114
1939

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მანათური

12

თბილისი
1939

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო,
სასულოვნო და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო
ჟურნალი

წელიწადი მეთექვსმეტე

~~103224~~
3550

12

19 დეკემბერი / სახელგამი 39

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქცია:
ტფილისი, მაჩაბლის 13,
მწერალთა სასახლე
ტ. 3-71-84

კანტორა:
ტფილისი, კამოს ქ. № 40
სახელგამი
პერიოდსექტორი

პ/მგ. რედაქტორი — ალიო მაშაშვილი

პ/მგ. მდივანი — კონ. ლორთქიფანიძე

გადაეცა წარმოებას 15/XII — 39 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/I — 40 წ. მთავლიტის რწმუნებული № ხ. — 2104. შეკვეთა № 2886. ტირაჟი 5000.

სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, ჟორესის ქ. № 5.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლავრენტი ბერია

# თანამედროვეობის უდიდესი ადამიანი

ბოლშევიკების პარტია, მთელი ჩვენი ქვეყანა დღეს სიამაყითა და სიხარულით აღნიშნავს ისტორიულ თარიღს — თავისი საყვარელი ბელადის, ამხანაგ სტალინის დაბადების სამოცი წლისთავს.

ამ დღეს ყოველი ჩვენგანი გამოსთქვამს ბელადისადმი თავისი უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების გრძნობას, ჩვენს ისტორიულ გამარჯვებათა გამო ღრმა მადლობის გრძნობას და მტკიცე ნებისყოფას — გასწიოს წინ დიდი სტალინის ბრძნული წინამძღოლობით.

ჩვენ ყველანი ყოველდღიურად, ჩვენი ცხოვრებისა და მუშაობის ყოველ დარგში, ჩვენი მძლავრი სოციალისტური სამშობლოს ცხოვრებაში ვგრძნობთ და ვხედავთ სტალინურ საქმეთა სიდიადეს. დღეს ძნელია მოიცვა და გამოჰხატო სიტყვით ყოველივე ის, რაც გააკეთა ამხანაგმა სტალინმა და რასაც აკეთებს ის საზოგადოების ძირფესვიანად გარდაქმნისათვის, კაცობრიობის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის. მხოლოდ მომავალი თაობანი შესძლებენ მთლიანად წარმოიდგინონ კომუნიზმის იმ მშენებლობის გრანდიოზული ისტორიული პროცესის სურათი, რომლის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორიც არის ამხანაგი სტალინი.

ამხანაგი სტალინი ჭაბუკობის წლებიდან ანდომებს მთელ თავის სიცოცხლესა და მუშაობას ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან მშრომელთა განთავისუფლების საქმეს. ის, რუსეთის მარქსისტების უფროს თაობასთან ურთიერთობის მეოხებით, ადრე ჩასწვდა ამ დიადი საქმის განხორციელების გზებს.

„რევოლუციურ მოძრაობაში, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — მე ჩავები 15 წლის ასაკიდან, როცა დავუკავშირდი მაშინ ამიერ-კავკასიაში მცხოვრებს რუსი მარქსისტების არალეგალურ ჯგუფებს. ამ ჯგუფებმა დიდი გავლენა მოახდინეს ჩემზე და შემაყვარეს არალეგალური მარქსისტული ლიტერატურა“. (ლენინი და სტალინი, ნაწარმოებთა კრებული საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესასწავლად, ტ. III, გვ. 527).

ლენინის ნაწარმოებთა შესწავლამ განსაზღვრა ის გზა, რომელსაც დაადგა ამხანაგი სტალინი

თავისი რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისიდანვე. ეს იყო გზა პროლეტარიატის ნამდვილი რევოლუციური პარტიის შექმნისა და განმტკიცებისა, მუშათა კლასის აშკარა პოლიტიკური ბრძოლის ორგანიზაციისა თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის ბატონობის დასამხობად.

ადვილი არ იყო ამ გზის გაკაფვა კავკასიაში, სადაც ცარიზმის მხრივ ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრის პირობებში ნაციონალისტური ბურჟუაზია და წვრილბურჟუაზიული ინტელიგენცია თავიანთ პროგრამას უფარდებდნენ მარქსიზმს და ცდილობდნენ თავიანთი ნაციონალისტური მიზნების განსახორციელებლად გამოეყენებინათ მუშათა მოძრაობა. ცნობილია, რომ კავკასია, კერძოდ, საქართველო, იყო სრულიად-რუსეთის მენშევიზმის ისეთ ვეშაპთა საქმიანობის სამშობლო და ძირითადი ბაზა, როგორიც იყვნენ ჟორდანია, ჩხეიძე, წერეთელი, ჩხენკელი და სხვები.

ამ პირობებში ამხანაგი სტალინი სათავეში ჩაუდგა კავკასიის მუშათა რევოლუციურ ბრძოლას. ჰქმნიდნენ რა ლენინურ-ისკრული მიმართულების პირველ რევოლუციურ მუშათა ორგანიზაციებს, ამხანაგი სტალინი და მისი თანამებრძოლნი გააფთრებულ ბრძოლას ეწეოდნენ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური და წვრილბურჟუაზიული პარტიების სამხილებლად, უცხო იდეოლოგიური და პოლიტიკური გავლენათაგან მუშების განსათავისუფლებლად.

ამხანაგ სტალინის პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით იყო მარქსიზმის შესწავლა, მარქსისტულ-რევოლუციური თეორიის გაწმენდა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური და სხვა ნაგავისაგან, რაც იქ შეტანილ იქნა მენშევიზმის დედაბოძების — ჟორდანიას, ჩხეიძისა და სხვ. ლიტერატურული ნაშრომებით, რომლებსაც მუშებს შორის ავრცელებდნენ ლეგალურ-მარქსისტული ორგანოების საშუალებით. უკვე გასული საუკუნის მე-90 წლების დამლევს ამხანაგი სტალინი იყო ღრმად განათლებული მარქსისტი, საყოველთაოდ აღიარებული ავტორიტეტი რევოლუციური მოძრაობის თეორიის საკითხებში.

მისი მეორე ნაბიჯი იყო მუშათა მოძრაობასთან სოციალიზმის შეერთების პრაქტიკული განხორციელება. სტალინმა მეცნიერული სოციალიზმის თეორია შეიტანა მუშათა მასებში, დაუკავშირა რა მარქსიზმის პროპაგანდა არა მარტო რუსეთის რევოლუციური მოძრაობის საერთო საკითხებს, არამედ ამიერ-კავკასიის პირობებში მუშათა რევოლუციური ბრძოლის ორგანიზაციის კონკრეტულ საკითხებსაც. ამას მაშინ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მენშევიკები ყოველნაირად ცდილობდნენ გადაებირებინათ მუშები სხვადასხვა წრეების, საკვირაო განმანათლებელი სკოლებისა და სხვ. ორგანიზაციის გზით. ეი რას

ამბობს თავის მოგონებაში ერთერთი მოწინავე მუშა, სტალინის წრის მოხაწილე ქალ. ბათუმში 1901 წელს:

„ერთხელ ამხანაგი სტალინი შემეკითხა: „რას გასწავლიან ხაკვირაო სკოლაში?“ და როცა ვუპასუხე, იქ გვასწავლიან, როგორ მოძრაობს მზე მეთქი, მან ღიმილით მითხრა:

— იცი რა გითხრა! ნუ გეშინია, მზე თავის გზას არ ასცდება. შენ კი ისწავლე, რა გზით უნდა მიდიოდეს რევოლუციური საქმე. და მომიწყე პატარა არალეგალური სტამბა...“ ასე უყრიდა თავს ამხანაგი სტალინი და „მესამედასელებს“ ხელიდან აცლიდა მუშებს, იზიდავდა „რა მათ პარტიაში“. („ძველი მუშების ნაამბობი დიდ ბელადზე“. თბილისი, 1937 წ. გვ. 38—39).

ახალი ტიპის პარტიის ორგანიზაციის ლენინური გეგმა გადაიქცა ამხანაგ სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის საბრძოლო პროგრამად,—და ამ მომენტიდან იგი მთელ თავის დაუშრეტელ ენერგიას, მთელ თავის საბრძოლო ტემპერამენტს და თავის ღრმა ცოდნას ანდომებს კავკასიაში ლენინურ-ისკრული ორგანიზაციების შექმნას და ჩამოყალიბებას, ბოლშევიკების პარტიის მშენებლობას და განმტკიცებას. ატარებდა რა ლენინის ხაზს და მხურვალედ იცავდა რა პარტიის მშენებლობის ლენინურ პრინციპებს, ამხანაგი სტალინი 1904 წელს სწერდა:

„მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენ შევალთ ერთერთ პარტიულ ორგანიზაციაში და ამგვარად, ჩვენს პირად ინტერესებს შევადუღებთ პარტიის ინტერესებთან,—მხოლოდ მაშინ შევძლებთ ჩვენ გავხდეთ პარტიის წევრები და ამავე დროსპროლეტართა არმიის ნამდვილი ხელმძღვანელები“.

ისევე, როგორც ლენინმა, სტალინმა სავსებით შეადუღა თავისი პირადი ინტერესები და თავისი ცხოვრება პარტიის .ინტერესებთან და ცხოვრებასთან მისი ცხოვრება და მოღვაწეობა განუყოფელია ბოლშევიკური პარტიის ისტორიისაგან.

დაწყებული 1898 წლიდან ამხანაგი სტალინი ხდება ლენინური სკოლის პროფესიონალი რევოლუციონერი და უდიდეს მუშაობას ეწევა იმისათვის, რომ შეჰქმნას და განამტკიცოს ბოლშევიკური ორგანიზაციები კავკასიაში, ხელმძღვანელობა გაუწიოს ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა პირველ რევოლუციურ ბრძოლებს მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ლენინურ-ისკრული, შემდეგში ბოლშევიკური, სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შექმნა თბილისში, ბაქოში, ბათუმში და სხვა სამრეწველო ცენტრებში, პირველი მასობრივი პოლიტიკური გაფიცვისა და აშკარა დემონსტრაციის მოწყობა თბილისში (1900 — 1901 წლ.), ბათუმის ცნობილი პოლიტიკური დემონ-

სტრაციის (1902 წ.), ბაქოში უდიდესი პოლიტიკური გაფიცვის (1904 წ.) და საქართველოს და ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა პირველი ფასობრივი შეიარაღებული გამოსვლების მოწყობა, აგრეთვე ბოლშევიკური პრესის გამოცემა და გავრცელება, მენშევიზმისა და ანარქიზმის იდეური და ორგანიზაციული განადგურება და ბაქოს უდიდესი მნიშვნელობის მქონე ორგანიზაციის გადაქცევა ბოლშევიზმის მიუვალ ციხე-სიმაგრედ—ყოველივე ეს განუყოფელად არის დაკავშირებული ამხანაგ სტალინის სახელთან და ხელმძღვანელობასთან. ამ ბრძოლაში ამხანაგი სტალინი გამოიბრძმედა, როგორც ფოლადისებური ბოლშევიკი, როგორც ლენინის ტიპის პოლიტიკური ხელმძღვანელი.

ამიერ-კავკასიაში თავისი მუშაობის დროს ამხანაგი სტალინი აქტიურ მონაწილეობას იღებს რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელობაში. მას მუდმივი პირადი და წერილობითი კონტაქტი აქვს ლენინთან, არის მისი ერთგული თანაშემწე პარტიული ყრილობებისა და კონფერენციების მომზადებასა და მათს მუშაობაში.

1911 წლიდან ამხანაგი სტალინი პარტიის ნება-სურვილით სამუშაოდ გადადის რუსეთის რევოლუციურ ცენტრში — პეტერბურგში და ხდება ლენინის უახლოესი და უშუალო თანაშემწე რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელობისა და სოციალისტური რევოლუციის მომზადების საქმეში.

მეფის თვითმპყრობელობამ თავიდანვე იგრძნო, რომ სტალინი მისი საშიში და შეურიგებელი მტერია. 1902 წლიდან დაწყებული მან რვაჯერ დააპატიმრა სტალინი, ამყოფა იგი საპატიმროებში, შვიდჯერ გადაასახლა სუსხიანი ჩრდილოეთის შორეულ მხარეებში და ამხანაგმა სტალინმა ექვსჯერ მოახერხა გადასახლებიდან გამოქცევა, რათა ახალი ენერგიით უხელმძღვანელოს ბრძოლას ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების დასამხობად.

რევოლუციური სიფხიზლე და შეურიგებლობა რევოლუციურ მოძრაობაში მარქსისტულ-ლენინური ხაზიდან თვით ოდნავი გადახვევებისადმიც კი—აი ის ძირითადი და უმნიშვნელოვანესი პრინციპი, რომლის მიხედვითაც ამხანაგი სტალინი ლენინთან ერთად ზრდის ბოლშევიკების პარტიას, იცავს მის მონოლიტობასა და ერთიანობას, პროლეტარიატის დიქტატურის სიმტკიცესა და ურყევობას. ბოლშევიზმის გაფორმების ჯერ კიდევ პირველ წლებში, 1904 წელს, ამხანაგი სტალინი სწერდა:

„პროგრამულ, ტაქტიკურ და ორგანიზაციულ შეხედულებათა **ერთიანობა** წარმოადგენს იმ ნიადაგს, რომელზედაც შენდება ჩვენი პარტია. მხოლოდ ამ შეხედულებათა **ერთიანობას** შეუძლია გააერთიანოს პარტიის წევრები **ერთ** ცენტრალიზებულ პარტიად... ჩვენ უაღრესად ფხიზელნი უნდა ვიყოთ და არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ

ჩ ვ ე ნ ი პ ა რ ტ ი ა ა რ ი ს **ც ი ხ ე-ს ი მ ა გ რ ე.** რ ო მ ლ ი ს ბ ა რ ე-
ბ ი მ ხ ო ლ ო დ ღ ი რ ს ე უ ლ თ ა თ ვ ი ს ი ღ ე ბ ა“.

ლენინთან ერთად და მისი ხელმძღვანელობით, ხოლო ლენინის გარდაცვალების შემდეგ ლენინიზმის დროშით აშენებდა ამხანაგი სტალინი სოციალიზმის ამ მიუვალ ციხე-სიმაგრეს — ბოლშევიკურ პარტიას.

ლენინთან ერთად ამხანაგი სტალინი გამანადგურებელ ლახვარს სცემს მენშევიკ-ლიკვიდატორებს, ტროცკისტებსა და შემარიგებლებს ბოლშევიკების პრაღის კონფერენციის პერიოდში.

1917 წელს, როდესაც პარტიის ცხოვრებისა და სოციალისტური რევოლუციის გადამწყვეტ პერიოდში ზინოვიევი, კამენევი, რიკოვი და სხვები, შემდეგში გამოაშკარავებული მტრები ხალხისა, ცდილობდნენ გაეცათ პარტია და მუშათა კლასი, ამხანაგი სტალინი ლენინის ყველაზე ერთგული და მახლობელი თანაშემწე იყო საზიზღარი გამცემლების მხილებისა და განადგურების საქმეში, რევოლუციის ძალების მობილიზაციისა და ოქტომბრის ძლევამოსილი შეიარაღებული აჯანყების განხორციელების საქმეში.

1918 წელს, როდესაც იმპერიალიზმის საზიზღარი აგენტები — ტროცკი, ბუხარინი და მათი ხროვა — ცდილობდნენ ჩაეშალათ ბრესტის ზავი და ამით დაეღუპათ საბჭოთა ხელისუფლება რუსეთში, ამხანაგი სტალინი ლენინთან ერთად იყო და აქტიურად ეხმარებოდა ლენინს რევოლუციის მტრების ძირგამომთხრელი საქმიანობის აღკვეთაში.

1918—1920 წლებში, უსასტიკესი სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის პირობებში, იუდა ტროცკი ცდილობდა ჩაეშალა საბჭოთა რესპუბლიკის თავდაცვა. ლენინის ხელმძღვანელობით ამხანაგმა სტალინმა რკინის ცოცხით გახვეტა ტროცკის აგენტები და უზრუნველჰყო შინაგანი და გარეშე კონტრრევოლუციის შეიარაღებულ ძალთა განადგურება.

1920—1921 წლებში სტალინი ლენინის ერთგული და უახლოესი თანაშემწე იყო პარტიის ბრძოლაში ყველა ანტიპარტიული ჯგუფების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ ჩაეშალათ პარტიის ლენინური ხაზი ქვეყნის პოლიტიკურ და სამეურნეო ხელმძღვანელობაში.

როდესაც, გაშლილ სოციალისტურ მშენებლობაზე გადასვლის დროს, ლენინი გარდაიცვალა, ბოლშევიკების პარტია, ჩვენი ქვეყნის მშრომელნი მჭიდროდ დაირაზმნენ ამხანაგ სტალინის, როგორც საუკეთესო ლენინელის, ნაცადი ბელადის გარშემო.

ამხანაგმა სტალინმა მტკიცედ და გაბედულად წაიყვანა პარტია და ხალხი ლენინური გზით ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისაკენ. მისი ბრძნული ხელმძღვანელობით ბოლშევიკების პარტიამ, გააერთიანა რა თავის გარშემო მშრომელთა უფართოესი მასები, გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა სოციალიზმის ყველა მტრებს — ტროცკისტებს, მემარჯვენეებს, ტროცკისტ-

ბუხარინელთა ბლოკს, — რომელნიც ცდილობდნენ ჩაეშალათ ჩვენს ქვეყანაში ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობა და აღედგინათ კაპიტალიზმი, გაანადგურა და გააცამტვერა ისინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგმა სტალინმა დაასაბუთა და განავითარა ლენინური მოძღვრება კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში მყოფ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ, ამხილა და გააცამტვერა ანტილენინური იდეური მიმდინარეობანი სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხებში. მან შეჰქმნა დიადი მოძღვრება ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და დარაზმა პარტია და ხალხი მრეწველობის მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის გრანდიოზული გეგმების განსახორციელებლად, — იმ გეგმების განსახორციელებლად, რომლებმაც ბრწყინვალე გამოხატულება ჰპოვეს სტალინურ ხუთწლედებში.

ამხანაგმა სტალინმა პრაქტიკული გამოცდილების განზოგადებისა და მოძრაობის პერსპექტივების წინასწარგანჭვრეტის საფუძველზე შემდგომ განავითარა მარქს-ენგელს-ლენინის მოძღვრება, კიდევ უფრო აამაღლა თეორიის მნიშვნელობა კომუნიზმის მშენებლობის ხაზით პრაქტიკული მუშაობის ხელმძღვანელობის საქმეში. მან ამხილა ბოლშევიზმის ისტორიის ფალსიფიკატორები, ახალ სიმაღლეზე აიყვანა პარტიული თეორიის სიწმინდის მნიშვნელობა და შეაიარაღა ჩვენი პარტია და ხალხი, მთელი მსოფლიოს მშრომელნი გენიალური თეორიის ნაწარმოებებით, რომლებიც ორიენტაციას აძლევენ მათ ბრძოლისა და მშენებლობის ურთულეს საკითხებში.

ამხანაგმა სტალინმა შეჰქმნა მთლიანი მარქსისტულ-ლენინური თეორია კადრების შესახებ. სიფხიზლე, მაღალი პრინციპულობა და იდეურობა, ადამიანთა გამოცნობისა და მათი დადებითი და უარყოფითი მხარეების შემჩნევის უნარი, უსაზღვრო ერთგულება ხალხისადმი, კადრების მზრუნველობით გამოზრდა — აი ძირითადი პრინციპები სტალინური მოძღვრებისა კადრების შესახებ. ამ მოძღვრების საფუძველზე, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობითა და ყოველდღიური მზრუნველობით შექმნილია ჩვენს ქვეყანაში პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელთა მილიონობით კადრები, საბჭოთა ინტელიგენციის კადრები.

სტალინურ მოძღვრებას რევოლუციური სიფხიზლის შესახებ, კაპიტალისტური გარემოცვის საფრთხის შესახებ უნდა ვუმადლოდეთ ჩვენი სამშობლოს თავდაცვით ძლიერების შექმნას, ჩვენი სამშობლოს გადაქცევას სოციალიზმის მიუვალ ციხე-სიმაგრედ, ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომ განმტკიცებას.

საერთაშორისო პოლიტიკაში მიღწეულ წარმატებებსა და საერთაშორისო საქმეებში საბჭოთა კავშირის ავტორიტეტის განსაკუთრებულ ზრდას, რამაც გამოიწვია ჩვენი თვისტომი ძმების — დასავლეთელ უკრაინელებისა და ბელორუსების განთავისუფლება პანების უღლისაგან და მათი ჩვენთან შემოერთება, ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ სტალინურ მოძღვრებას იმპერიალისტური სახელმწიფოების მზაკვრული მეთოდების მიმართ სიფხიზლის შესახებ, იმპერიალისტური სახელმწიფოებისა, რომლებიც ცდილობენ სხვისი ხელით ჰგლიჯონ ნარი.

განსაკუთრებით დიდია ამხანაგ სტალინის როლი ნაციონალური საკითხის პროგრამის შემუშავებისა და ჩვენი პარტიის ნაციონალური პოლიტიკის განხორციელების საქმეში. ჩვენმა პარტიამ ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით საბოლოოდ გაანადგურა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მიმდინარეობანი და დაჯგუფებანი, უზრუნველჰყო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ურღვევი ძმური კავშირი, უზრუნველჰყო სსრ კავშირის ხალხთა სტალინური მეგობრობა დიადი რუსი ხალხის მეთაურობით.

რევოლუციური სიფხიზლის შესახებ ბრძნული სტალინური მოძღვრებით შეიარაღებულებმა, ჩვენმა პარტიამ და მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა, მთელმა საბჭოთა ხალხმა ისწავლეს შინაგანი და გარეშე მტრების გამომჟღავნება და მათი ძირგამომთხრელი მუშაობის ყოველგვარი გამოხატულების გადაჭრით აღკვეთა.

ამხანაგი სტალინი წარმართავს ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ყველა მხარეს. იგი არის ყველა ჩვენი გამარჯვების, ახალი ცხოვრების მშენებლობის ყველა დიადი წამოწყების ინიციატორი და ორგანიზატორი. მან გვასწავლა, თუ როგორ უნდა დავეუფლოთ თანამედროვე მოწინავე სოციალისტურ ტექნიკას და ხალხის სამსახურში დავაყენოთ ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს წიაღის დაუშრეტელი სიმდიდრენი.

ამხანაგ სტალინს უსაზღვროდ უყვარს საბჭოთა ხალხი, აქვს მისი შემოქმედებითი ძალების მტკიცე რწმენა და ყველაზე მაღლა აყენებს ხალხის ინტერესებს. ხალხისადმი ამ სიყვარულით არის გამსჭვალული სტალინური კონსტიტუცია, ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერების კონსტიტუცია.

და მთელმა ჩვენმა მრავალმილიონიანმა ხალხმა, რომლისთვისაც უზრუნველყოფილია თავისუფალი მშვიდობიანი შრომა, კარგად იცის, რომ თავის ბედნიერ, კულტურულ და მდიდარ ცხოვრებას იგი სტალინს უნდა უმადლოდეს.

ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყნის ყველა ერი და ხალხი ერთხმარი სიყვარულით წარმოსთქვამენ სახელს „სტალინი“, და ამ სახელში მათი სიცოცხლე და ბედნიერება.

ბიბლიოთეკა

ამხანაგ სტალინისადმი სიყვარულით არის მიპყრობილი მთელი მსოფლიოს მშრომელთა თვალი.

სტალინი თანამედროვეობის უდიდესი ადამიანია. იგი ჩვენი ეპოქის უდიდესი თეორეტიკოსი და პროლეტარული რევოლუციის გენიალური სტრატეგი და ტაქტიკოსია.

მეფისდროინდელი საპატიმროებისა და გადასახლების მიუხედავად, ორმოცდახუთი წლის დაძაბული რევოლუციური მუშაობის მიუხედავად, ამხანაგი სტალინი მხნედ არის და ენერგიით აღსავსეა. მას მტკიცედ უჭირავს ხელში მსოფლიო კომუნიზმის საჭე.

ვუსურვოთ ჩვენს ბელადს, მასწავლებელსა და მეგობარს, მშობლიურ სტალინს დიდი და დიდი ხნის სიცოცხლე ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ, მთელი მსოფლიოს მშრომელთა საკეთილდღეოდ.

„პრავდა“ 21 დეკემბერი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს საბჭოთა მწერლების მიმართვა

# ამხანაგ სტალინისადმი

არის პატარა ქალაქი, თავისი კიდე — უბნითა,
ვარდის, ვაშლების ბაღნარით ამოვსებული უბითა,
განთქმული ხალხის სიმაგრით და გორისციხის შუბლითა,
მუდამდღე მზე რომ დარაჯობს — ხელში სხივების შუბითა!
აქ დილის ცისკარს ამოჰყვა მახარობელი დედისა,
მზის საბუდარში ნაშობი, ქორ-შევარდენი ქედისა,
ბავშვს აეხილა თვალები, მსგავსად ნათელი ბედისა,
არწია ქართლის დედამა აკვანი ბაზალეთისა!
აქ იზრდებოდი, იწყებდი აკვნიდან ალმაფრენასა,
ღიმილს გაფრქვევდა მშობელი, გრძნობდა შვებას და ლხენასა:
იზარდე ჩემო ვაჟკაცო, ქვეყანა ითხოვს შველასა,
„თავისუფლების შოვნაი სჯობს საშოვნელსა ყველასა!“
გარედან, გორისციხიდან თითქოს გეძახდა ქარია:
ამოდი, ჩემთან იმღერე, დავკრათ მომავლის ზარია,
ამღერდი, ააჩიკჩიკე წკრიალა ხმების ქნარია,
გახსენი, როგორც ცისკარი, პატარა ქოხის კარია!
აქ ჩასწვდი „დედა-ენასა“, ანბანი ამოიცანი,
დედამ პირველმა გაგიხსნა წადილი სწავლის გზისანი,
შეალე სკოლის კარები, როგორც დიადი მიზანი,
შიგ შეახათე მგზნებარე თვალები შევარდნისანი!
მაშინ მზე აკლდა ქვეყანას, ბნელოდა შინ და გარეო,
ადრე ალმართე ჭაბუკმა კალამი მოელვარეო:
„აყვავდი ტურფა ქვეყანავ, ილხინე ივერთ მბარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა სამშობლო გაახარეო!“.
შემდეგ ბრძოლები, ომები... გმირის ხმა არ ჩახშობილა,
რამდენი სისხლი დაღვრილა, რამდენი გადაშრობილა,
მტერზე აწვდილი მახვილი ქარქაშში არ ჩასობილა,
გორისციხიდან კრემლამდი გზა ცისარტყელად შობილა!
დღეს საბჭოეთის ქვეყნები, მზით გავსებული გულითა,
ერთად, ერთსხივად შემკული გრძნობების თაიგულითა,
შენი სიცოცხლის სამოცწელს ხვდებიან სიხარულითა,
ურიცხვ მადლობას გითვლიან სიმღერით, სიყვარულითა!
მათ შორის ჩვენც ვართ, ელვარებს ჩვენი მზისფერი ალამი,
ერთმანეთს გადაჭდობილან ჩაქუჩ-ნამგალი-კალამი,
ყელი სამღერლად ქცეულა, ვით სალამურის წალამი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღე საქართველოდან ჩვენი გულთბილი სალამი!
შენი სიცოცხლის ეს წლები და მისი წუთი ყოველი,
მშრომელი ხალხის ბრძოლასთან შეზრდილი, განუყოფელი,
მუდამ გმირული წინსვლაა, მუდამ ბრძოლისკენ მხმობელი,
სიმართლის გამარჯვებაა, სიბნელის დამამხობელი!
ეს არის წლები ხანგრძლივი ციმბირის, ცივი გზებისა,
გადასახლების, განდევნის ფოლადისებურ ნებისა,
მშრომელთა გამოფხიზლების, დამონებულთა შვებისა,
ეს არის წლები დიადი ბრძოლის და გამარჯვებისა!
ეს არის წლები, რომელმაც ხალხს აუხილა თვალები,
მოჰფინა ცას და ქვეყანას მზისფერ დროშების ალები,
დევგმირულ ამირანივით დალეწა ჯაჭვი წვალების
და დაუბრუნა ქვეყანას კვლავ სასიცოცხლო ძალები!
ეს არის ხალხთა სამშობლო, ლაშქარ-მრავალი, კლდიანი,
ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტი, თოვლით მოვერცხლილ-მთიანი,
უსაზღვრო, უხვი, უძლეული, მკლავმაგარ დროშის-ფრთიანი,
ხალხი პურადი, გულადი, ბრძენი და დოვლათიანი!
ლენინთან ერთად გასჭედე გულმტკიცე, ხმა-ცეცხლოვანი,
ბოლშევიკების პარტია გმირული, სახელოვანი,
რომ გაგეფანტათ ბნელეთი, — მუქთახორების ხროვანი,
ხალხში მზედ ამოსულიყო ქვეყნის დარდი და გლოვანი!
ლენინთან ერთად ეკვეთე მტერს ამოლებულ ხმალივით,
ბნელში გარბოდნენ მტარვალნი ნასეტყვარ-ნარისხვალივით,
და თქვენი აზრი გავრცელდა ოქტომბრის ქარში ალივით
და თქვენი დროშა მოედო ქვეყანას ქარიშხალივით!
დაემხო იგი სამყარო მუდამ სისხლისა მდომელი,
აზრების, თავისუფლების დამხრჩობი, დაუნდობელი,
აღსდგა ახალი ქვეყანა, მსგავსი სად არის, რომელი,
ჰაერით, ზღვით და ხმელეთით მტრისთვის ხელ-მიუწვდომელი!
შენი ცხოვრების ვრცელი გზა კიდით-კიდემდე ქებული,
ქართველი ხალხის გზაც არის ბრძოლებით გამაგრებული,
შენი პირველი ნაბიჯი, ვით ვარსკვლავების კრებული,
ქართლის მიწაზე ატყვია მარადის გაშუქებული!
ბაღებში, მინდვრად, ქარხნებში შენს მზეს ფიცულობს მშრომელი,
შენ მოგვაშორე სიავე და ღამე სულის მხშობელი,
ვამაყობთ: ჩვენი სამშობლო შენი დედაა, მშობელი,
რომ „იავ-ნანას“ გიმღერდა მტკვარი წყალ-დაუშრობელი!
გათენდა... ღამის წყვდიადის აწ დაბრუნება ძნელია,
ყოველი წელი ახალი — ეს გამარჯვების წელია,
„მზე მოგვეახლა, უკუნი ჩვენთვის აღარა ბნელია,
ბოროტსა სძლია კეთილმან, — არსება მისი გრძელია“!
ვინც იცის ჩვენი წარსული, — ბრძოლაა შეუწყვეტელი.
რაც ქართლზე იწვნენ ღამენი — ვინ იყო მისი მჭვრეტელი?
ჩვენი ხვავის და ბარაქის ვინ არ ყოფილა მხვეტელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის კართან ვწყდებოდით, ვიყავით მისი კედელი...
არ ახსოვთ ჩვენი ნაბრძოლი, არც ჩაუგდიათ იოტათ,
არასდროს მოგვშველებიან, როცა გვშიოდა, გვციოდა,
მტკვრის და რიონის მაგიერ სისხლის მდინარე დიოდა,
ალი და ცეცხლი წარღვნისა ჭერისთავს გადაგვდიოდა.
მტერი, რა მტერი, რამდენი, — ზღვას ვინ დაუდოს საზღვარი?
ჩვენსავით არვის რეგვავდა ქარფიცხელი და წყალღვარი!
ჩვენი სამშობლოს ველები, მდელო, მინდორი, ბალნარი —
ნათურქალია, ნარბევი, ნათქერი, ნაყივჩალარი!
მტერს ჩვენი მიჰქონდა ჩვენი მკვლელობის ხელფასად
რამდენჯერ გულის სიმწარით, მოვსთქვამდით ჩვენს აკლებასა:
„ცეცხლისა და წყალს-შუა ვართ, — ორისავე ვართ ნებასა,
ცეცხლი გვიპირებს დაწვასა, წყალი თან ჩაყოლებასა!“
მაგრამ არ დაგვიკვნესია, თუმცა ვიყავით თელილი,
ბევრჯერ აღგვილნი მიწიდან, ცხრამთის იქითაც დევნილი,
ტყეში, ღრეში და კლდის ეხში შემთხვევით გადარჩენილი:
„ვეფხვი ვინა სთქვა მტირალი, თვალზე ცრემლჩამოდენილი!“
მშობელმა ხალხმა არ შექმნა ლეგენდა ამირანისა?
დიდებული და უკვდავი, მოთხრობა დიდ მოწამისა,
მასში სთქვა ტანჯვა თავისი, წამება მრავალჟამისა
ისიც სთქვა, რომ ამ წამებამ მისი მზე ვერღა დანისლა.
რწმენით უმზერდა მომავალს, დახუნდებული, ვნებული,
კავკასის მთაზე მიჯაჭვულ ვაჟკაცით შთაგონებული
ის არა ერთხელ ყოფილა მკლავით და აზრით ქებული
დამშვენებული ძეგლებით, მარმარით ამოგებული.
აჰხედე მაღალ მწვერვალებს, არც კი ჩანს ნაბილიკარი,
ჩუქურთმიანი ნაშთები, ციხე-კოშკები იქ არი!
ქვის არშიები გვაკვირვებს, ვაზიდან გათლილი კარი,
ვეფხვი მტევნებში, ფასკუნჯი, ნუკრდახატული ფიქალი.
აჰფურცლე ხელნაწერები — თავსამკაულად მტრედები,
ასომთავრული შემკული ბრწყინვალე კამარედებით,
ნაწრთობი ხმალი, ზარნიში, ვარაყი, ოქრომკედები...
ნახე წარსულის ძეგლები და მათი ქვაკუთხედები...
რამდენი გვყვანდა ოსტატი, აზრის — ლოდებზე მყნობელი.
მოქანდაკე და მჭედელი, მხატვარი, ოქრომდნობელი,
ჯადო მარჯვენა ჰქონიათ, ბედი კი — დაუნდობელი.
ჰქმნიდნენ, გვარსაც კი არ სწერდნენ—გულში ცეცხლჩაუქრობელი!
მათი საფლავნიც არ ვიცით, — ნეშტი და ძვალჩასალაგი
სად არის შოთას სამარე, გურამიშვილის ალაგი?
ვინ დაიტირა ბესიკი, საბასულხანის ამაგი?
გასტყორცნა ბნელმა ცხოვრებამ, ანატრა მტკვარი, ალაგვი!
ვინ დასთვლის ჩვენსა გმირებსა და მათ გამომზრდელ მშობელსა
დიდ საკაძე გიორგის, მტრის ურდოს დამადნობელსა.
ან შალვა ახალციხელსა, ზეზვას — მტრის სისხლით მთრობელსა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამას არაგველს — კრწანისში მკერდზე სისხლ-შეუშრობელსა!
უმადურობით სავსეა მათი ნალვაწის რვეული,
მოწამებრივი ცხოვრება მათ წილად იყო ჩვეული,
გახსოვს, მრავლისა შესმული შხამი — ძიმწარე რეული,
გინდ ხმალი საკაძისა მიწაში გადამსხვრეული!
სურდა მტერს ხალხის სიკვდილი მუხანათსა და ორპირსა
ის არ იცოდა, — გულდაჭრილს მხრებში ფრთა ჰქონდა ორბისა.
მან შექმნა შოთას ოცნება, — წიგნი ვაჟკაცურ ძმობისა,
წიგნი მზის, თავისუფლების, მარადი მეგობრობისა.
მებრძოლი სული ხალხისა რჩებოდა უბერებელი
სწყუროდა მარად ნათელი მზის ელვარების ელფერით,
მუდამ იბრძოდა მზისათვის, როგორც მზის ვაჟკაცს შეჰფერის,
თავისუფლების მებრძოლი — რკინაა აუღებელი!
ვერც მთებს მოშორდა ნისლები, ვერც საქართველოს მტერია,
მოსისხლე მტრებში პირველი — რუსის ხელმწიფე ერია.
ვერ მოვითმინეთ, ავარდა ამბოხებათა მტვერია,
პირანთებული მრავალი ბრძოლაში გადაერია!
არ დავთმეთ თავისუფლება, მისი უკვდავი გენია.
წინ სიკვდილს მივგებებივართ, რა ცეცხლი მოგვითმენია!
რამდენი კაკო, არსენა ამ ბრძოლას დაუწვენია!
რამდენი ოხვრა ციმბირის ნამქერებს მოუსმენია.
შენ ჯერ ჭაბუკი მგზნებარე, ოცნებით ნაფერმკრთალები,
იყავ კავკასის ბელადი, მესაჭე მისი ძალების.
შენ გააღვიე მის გულში პირველი ნაპერწკალები,
და მერე ხანძრად აქციე ცხრაას ხუთი წლის ალები!
მერე შავი რეაქცია ღამესავით ქვეყნად დაწვა,
დღეჩააქრო და მზის ნაცვლად სახრჩობელა ტახტზე დასვა.
ვინ ღა იყო, ვის ახსოვდა მუშისა და გლეხის დაცვა,
სოფლები და ქოხმახები ულმობელმა ცეცხლმა დაწვა.
განა ერთი ჩვენი მოძმე ჯალათებმა შეიწირეს,
ჭლექით მოჰკლეს წულუკიძე, რადგან ჩასწვდა ხალხის ძირებს,
მოჰკლეს ლადო კეცხოველი, ტყვიით გული გაუგმირეს,
მაგრამ მტერი რას დალევდა შენს გამოზრდილ ქვეყნის გმირებს.
იდექ, როგორც ჩირაღდანი, როგორც სვეტი ნათლის მფენი,
მშრომელ ხალხის წმინდა დროშა იყო გზა და საქმე შენი.
შენ შეალე ყველა კარი, შენ გასწიე ყველა ბჭენი
და უთხარი იმ თავითვე ხალხს აზრი და სიტყვა ბრძენი.
შორს იყო, მაგრამ გათბობდა დიდი ლენინის გენია,
მთის არწივს გაჰყევ მხარდამხარ, წამიც არ დაგისვენია,
ორი მზე ერთად აენთო — ქვეყნად სინათლის მფენია,
ორივემ ერთად შეაშრეთ, რაც ხალხს ცრემლები სდენია.
დიდი ოქტომბრის მედროშე — ლენინი ქვეყნის ბელადი
გხედავდა მასთან რომ იდექ და ფოლადივით ელავდი,
თქვენ დაიხსენით მონები — ბორკილ გაყრილნი ყელამდი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასიონის ქედიდან ჩრდილო ზღვის მისასვლელამდი.
მაგრამ ამ დროს საქართველოს ისევ სცემდა ავი ქარი,
ცაში ხანძრის კვამლი იდგა და მზის ნაცვლად ენთო კვანძი,
ოქტომბერია მენშევიკებს უცებ დასცა შიშის ზარი
და დიდ რუს ხალხს გამოგვთიშეს, ჩაგვილობეს რკინის კარი.
სამ წელიწადს საქართველო სამარცხვინოდ სჭრეს და ჰყიდეს,
კვნესა იდგა ყოველ ქოხში, ცრემლი რწყავდა კიდით-კიდეს,
კავკასიის მოძმე ხალხი მათ ერთმანეთს გადაჰკიდეს,
სისხლი სურდათ და სისხლითვე მიაღწიეს სურვილს კიდეც.
სტიროდა ვერხვი შავი ზღვის, ვაზი ალაზნის ველისა,
სტიროდა მწყემსის ჩონგური და სალამური ლელისა,
მუშის მარჯვენაც სტიროდა და გუთნი-დედის ხელიცა,
ქაჯებს ტყვედ ჰყავდათ ლამაზი სამშობლო რუსთაველისა.
მაგრამ ის ცეცხლის ნათესი — შენ რომ დასტოვე ღვიოდა,
ჩრდილოეთიდან ისმოდა — იქ რომ არწივი ჰყიოდა.
კრემლის ვარსკვლავის სხივები გორის ციხეზე სცვიოდა
და ქართლის გულში გამთბარი მზესავით ამოდიოდა.
დაიძრა ხალხი მშრომელი, მტკიცე და თავგანწირული,
ბოლშევიკების პარტიამ სული ჩაუდგა გმირული, —
გაუძღვა როგორც მახვილი ბასრი და პირ დაპირული
და მოსპო ძალმომრეობა, ცრემლებით ამოკირული.
სტალინ, შენ იყავ მაშინაც ჩვენი დროშა და მახვილი,
შორს იყავ მაგრამ გვესმოდა ბრძოლაში შენი ძახილი,
ველზე კვდებოდა ვაჟკაცი — მარჯვენა დაუძრახელი
და სიკვდილის წინ გულიდან ჰხდებოდა შენი სახელი.
შენ ისევ მოძმე რუს ხალხთან შეგვკარი ძმური პირობით,
ხალხი — ლენინის მშობელი სახელგანთქმული გმირობით
ჩვენთან მოვიდა საშველად, ვაჟკაცურ პირდაპირობით,
და ერთად ვიწყეთ ცხოვრება — უწინ თუ ერთად ვსტიროდით.
დღეს გავცქერით იმ შავ წარსულს და ჩვენს მიწას ცეცხლით ნათელს,
ხალხის გული სწყევლის, ჰკრულავს ჩვენს მტრებსა და მუხანათებს,
სწყევლის, რადგან თუნდ მცირეხნით აგვაცილეს შენს გზას ნათელს,
სიყრმიდანვე შენგან ნაფიქრს და ღამეებს შენგან ნათევს.
დღეს, მებაღეევ ჩვენი ქვეყნის, გაიხარა შენმა ბაღმა,
შავი ღამე დარჩა მხოლოდ საბჭოეთის საზღვრებს გაღმა,
თუ რამ ჰქონდა სასიცოცხლო ჩამოსჭკნა და ისიც გახმა,
ველარავინ დააბრუნოს მათი ჩარხი ისევ წაღმა.
იქ ვის ახსოვს ხელოვანი, ვინ აფასებს ნამდვილ მწერალს,
მეცნიერი ქუჩაში ზის და ყინვაში ძველმანს კერავს,
მომღერალი ძალათ მღერის, ცრემლით ავსებს მშიერ კერას,
ან თავს იკლავს — რომ უარეს გადაურჩეს ბედის წერას.
ასე იყო ჩვენშიც წინათ, როცა ტახტი ედგა ჯალათს,
ნათელ აზრს და უკვდავ სიტყვას ხალხის გულში ჰკლავდნენ ძალად,
მათ უნდოდათ ქვეყანაზე სიმართლის ხმა წაეშალათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ჩაეხშოთ რომ ხალხშივე არ გაედგა ძირი კვალად.
მათ მოჰკლეს დიდი პუშკინი — დღე უკუნეთზე გასცვალეს,
სანამ სცოცხლობდა — იბრძოდა, ათასნაირად აწვალეს,
ტყვია ესროლეს ლერმონტოვს, სიცოცხლე აღარ აცალეს,
დაობლებულს და მწუხარეს ხალხს გული ამოაცალეს.
მგზნებარე ტარას შევჩენკოც — ფარხმალი უკრაინისა —
სტეხეს და ბოლოს იმსხვერპლეს, თუმც გული ჰქონდა რკინისა.
აქ ჩვენ მოგვიკლეს ილია, ჩვენი გულიც და ტვინიცა,
ნადიმს იხდიდნენ ყორნები, დრო დასდგომოდათ ლხინისა.
ვაჟა სიმშილმა მოგვტაცა, ვეღარ გაუძლო სხეულმა,
ყაზბეგი ბედმა — შავბედმა დასცა და დაასნეულა,
კიდევ რამდენი წაგვართვეს, კიდევ რამდენი ძლეულა,
მათი გმირობა სახალხო თქმულებად გადაქცეულა.
ვინ ჩამოსთვლის მათ სახელებს, ვინც ქვეყანა ასახელეს,
დოდაზვილს და ჩერნიშევსკის უბოჭავდნენ რკინით ხელებს.
ვინ ემსხვერპლა ციხეს, ციმბირს, ვინ დააკვდა ძვლებით ველებს.
მათ დიდება დარჩათ ხალხში და ზიზღი კი მხოლოდ მკვლელებს.
სტალინ, შენ და დიად ლენინს მტრებმა რა არ დაგიპირეს,
თქვენს სამუხთლოდ დანა ლესეს და მახვილიც ბევრჯერ ჰპირეს,
ბევრი მხდალი და სულმოკლე მოღალატედ გადიბირეს,
მაგრამ ხალხი კედლად ედგა თავის დიდს და უკვდავ გმირებს.
მწარე იყო ჩვენი ხვედრი და დუხჭირი იყო თანაც,
გვიგინებდნენ დედა-ენას — რუსთაველის ნათეს ყანას,
გულმოკლული დედა აკვანს ვერ ეტყოდა იავნანას,
დღეს ვიგონებთ მხოლოდ ოხვრით იმ შავ დროს და იმ შავ ხანას,
შენ გვყავდი, დღესაც მიგვიძღვი, მოგყვებით თავმოწონებით,
შენ დაგვიბრუნე სიცოცხლე შენი უკვდავი გონებით,
გზა კი არ არის, ბაღია — გაშლილი ვარდის კონებით,
„მიეცი ნიჭსა გზა ფართო... ათავისუფლე მონები“.
ჩვენმა ხალხმა საბჭოეთში არწივივით ფრთა გაშალა,
ჭირვარამში გამოვლილმა, აასკეცა თვისი ძალა,
ძველი წყლული მოიშუშა, გულით დარდი გადიყარა.
წამომდგარი გმირთა გმირი, ლალ ამირანს დაედარა.
მას წადილი აუსრულდა, მტერი მოსპო დასადაგი
წელში ახლად გაიმართა, სასიმღეროთ გახსნა ბაგე,
მიუძღვები უძლეველი, დიდი ბრძენი მოამაგე,
ხალხს შთაბერე ვეფხვის ძალა და კლდესავით გაამაგრე.
შენი სამშობლო აყვავდა, შრომის დროშაა აწვდილი,
წამოდგა კაცი მშრომელი, ხანდაზმული და ყმაწვილი,
რაც მოგვევლინა ბერია, შენი ფოლადის ნაწილი,
შენი ერთგული მოწაფე და საქართველოს არწივი.
ჩვენ ვაჟკაცი გვყავს მრავალი, მართლა შევარდნის სადარი.
სტახანოველი მედგარი, მკლავი მტკიცე და მაგარი.
სხვა საქართველო ასეთი, როდის ყოფილა, სად არი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო ადიდებულა, მტერი მოისპო საზარი.
აღორძინდა საქართველო და შიგ ელავს ძველი გორიც,
გალომკაცდა ჩვენში ხალხი, კავკასიის მთების სწორი.
ღირსეული ადგილი აქვს, მიკუთვნილი ძმათა შორის,
გვერდით უდგას ათი მოძმე, ვაჟკაცი და თანატოლი.
მზე არის და შენი თვალი რომ ანათებს ქართლის ბაღში,
სხივია და შენი მზერა გადმოღვრილი უკვდავ სახლში;
ხალხი, ხალხი ჟრიამულობს, ფოთლებივით სცვივა ტაში,
სტალინ! სტალინ, ბრძენო მამავ! მოგძახიან მთა და ბარში.
ინდუსტრიის მხარეთ იქცა ჩვენი კუთხე მოსაწონი,
ტყვარჩელი და ჭიათურა, ტყიბული და ზესტაფონი.
აბრეშუმის ქარხანა, თუ ქუთაისის ლიტაპონი
ელექტრონით მოქარგულან საქართველოს მიდამონი.
კახურ ბაღს რომ განშორდები, კოლხეთს ბაღში მიხვალ ისევ,
ნარინჯების წალკოტს ნახავ, ელავს ხელი მოხალისე,
ზღვის ნიავი აქანავებს დაფნას, ჭადარს და ალვის ხეს;
მებაღე სდგას თურინჯებში და ფორთოხალს ახარისხებს.
ბედნიერი კოლმეურნე ალამაზებს არე-მარეს.
და გუშინდელ ღარიბს ხიბლავს რომ გამდიდრდა ასე მალე.
ვარდებივით ბავშვები ჰყავს, აჭრიალებს ოდის კარებს;
მტერს და დუშმანს კოლმეურნე სამუდამოდ ასამარებს.
თუ რა შექმნა კოლმეურნემ, თუ რა შესძლო მძლე მარჯვენამ —
ჩვენი მინდვრის, ჩვენი სოფლის, აყვავება ხალხს აჩვენა,
დიდ მოსკოვში მრავალფერად გამართულმა გამოფენამ,
და ათასერთ ბაღად იქცა ჩვენი ხალხის ალმაფრენა:
თამბაქო და ჩაის ბუჩქი, ნარინჯები მრავალგვარი,
პურის ყანა, ვენახები, ან ჯეჯილზე ნიავ-ქარი,
კალმახები აუზებში, მოხატული ქართვლის ბარი,
სამაისო საქართველო ათი გმირის მეგობარი.
სუფრებს ამკობს მანდარინა, თვალმა როგორ დაითვალოს,
ფორთოხლის-ხე ალამაზებს კოლმეურნის კარმიდამოს.
დოვლათი და ქართვლის მიწა, მშრომელს ერგო სანეტაროდ —
გვინდა დროშა გამარჯვების, ცის კიდემდე გავიტანოთ.
რამის მინდორი გაშლილა, გერანიც სურნელოვანი,
ჩაის მკრეფელი მრავალი, ქალია სახელოვანი.
დავძლიეთ მთები მაღალი, გაუვალი და კლდოვანი!
გაახალგაზრდდა ბუნება და გაჭაბუკდა მხკოვანი!
ყოველივე შენ გვიბოძე, შენ ბრძენი ხარ და მებაღე,
ზამთარი და დაბრკოლება შენ მზესავით გადალახე,
ბნელი ღამე გაგვიკაფე, გამარჯვება გადმოგვძახე
და ყოველჟამს გზას გვინათებს ბრძენთა ბრძენო, შენი სახე!
მწყემსი შენზე ლერწამს უკრავს, მთიდან უმზერს საუკუნეს,
ხევსური თხზავს შენზე ლექსებს და ახალ გზას გადაყურებს,
კოლხიდელი ნანას მღერის, ბავშვს შენს სახელს დაღუღუნებს,



3350
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენს დიდებას კოშკთან სვანი ენგურივით აგუგუნებს.
კახელის ხმა მთასა სწვდება, მოწკრიალე ყოველ დილით,
მღერის ოსი და აფხაზი მაღალ მთაში გამოზრდილი.
გორის ახლო, ქართლის გულში, თითქო გალობს ავთანდილი,
და მესხეთში მტკვარი მოჰქუხს შოთას ლექსად გავარდნილი.
აჭარელი ზღვას გასცქერის, შენზე შეგალობს ალიონს,
შენ აამაღლე ყოველი დაჩაგრული და მდაბიო,
მოხევენი და ფშაველნი ლექსებს გეტყვიან მკაფიოს.
და კრიმანჭულით გურული შეარხევს ზეცის დაფიონს.
რიონს გასძახის იმერი, ტალღამ დაჰყარა ალმასი,
ლეჩხუმიდან და რაჭიდან მთები გიგალობს ლამაზი,
ხალხი გაკაჟდა პურადი, გულხმიერი და მამაცი —
თავდადებულნი ქვეყნისთვის, ვით არაგველი სამასი.
მერე პასუხობს თბილისი, ისმის მედგარი ძახილი,
ნარიყალა და ისანი წარსულის გამომსახველი,
მტკვარი — ნაპირებ შემკული, ბევრ უბედობის მნახველი,
გუგუნებს მთელი ქალაქი: ცოცხლობდეს შენი სახელი!
საქართველოს სიამაყე თბილისია მტკიცედ მდგარი,
ბევრჯერ მტრისგან შელეწილა მისი ციხე-გალავანი,
მაგრამ იგი მძლეც ყოფილა, ბევრ ურდოსთან ნაომარი,
დღეს ბერიას მარჯვენისგან გარდაქმნილა სანუკვარი.
ბაღებით და წალკოტებით ანთებულა მთა და ბარი,
ბოლნისის ქვით, ჩუქურთმებით — შენობები მრავალგვარი,
მოკირწყლული ნაპირებით მოელვარებს ჩვენი მტკვარი,
და ყველაფრის შემოქმედი შენი ბრძენი ხელი არი.
ქართვლის კულტურა ძველია, ძველთაგან გამოწრთობილი,
დახშული იყო მრავალჟამს, კარჩაკეტილი ობოლი,
შენა ხარ მისი დამხსნელი რუსთავლის გამომხმობელი.
გმირულმა ხალხმა გიწოდა ქვეყნის მხსნელი და მშობელი.
შემომქმედს ეხლა სად ახსოვს, ძველი წყლული და იარა,
შენი ამაგით გაცოცხლდა, ხალს ემსახურა მთლიანად.
გახდა ცხოვრების მჭედელი, სიამე გაიზიარა,
თავისი გული სპეტაკი საქვეყნოდ აახმიანა.
ოცდაათს ათას აჭარბებს მასწავლებელი სოფლისა,
არის რვაასი ათასი მოწაფე, თვალი მშობლისა,
მეცნიერი და სტუდენტი საბჭოთა დიდი სკოლისა,
რა არმიაა დიადი! სიხალისეა შრომისა!
ბევრი სიმაღლე ავიღეთ, ბევრი ლამაზი მწვერვალი,
არის საბჭოთა მგოსანი „მუდამ მხნე, მუდამ მღერალი“
რევოლუციის პოეტებს — საღი და წინ მაცქერალი
შემოუერთდა მრავალი ძველი ოსტატი მწერალი.
აყვავდა ჩვენი მწერლობა ხალხის ნებით და ძალებით
წამოდგა შოთაც, ილიაც ათასჯერ განაწამები,
მრავალ ენაზე ითარგმნა ქართული სიტყვის მამები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავალენაზე მღერიან წიგნები ნათარგმანები.
ბევრი ახალი რომანი, ბევრი მოთხრობა ქართული,
ბევრი ფერადი სურათი ჩუქურთმა გამოკვართული
გავიდა ხალხში გავრცელდა, როგორც ამბავი ხალხური
ჩვენი ცხოვრება იმღეროს, ჩვენი მგზნებარე წარსული.
ხალხშია სწავლა გასული დიდი სიმართლის მთხრობელი,
კინო თეატრით, კლუბებით გამდიდრდა ჩვენი სოფელი.
ქვეყნის შორეულ ყურესაც მზე დასცქერს მანათობელი
რა დიადია, ნათელი ხარობდეს მისი მშობელი!
სამშობლო ქვეყნის სიყვარულს დედა გვეტყოდა გოდებით,
შენმა პარტიამ ქვეყანას აჰყარა მძიმე ლოდები,
უძლეველია სამშობლო, გაშლილა მისი ტოტები.
ვუმღერით ქვეყნის სიმაგრეს, საბჭოთა პატრიოტები.
მშრომელი ხალხის ხელში ვართ გაზრდილი, დაბადებული
მშრომელი ხალხის საქმისთვის გმირულად თავდადებული,
ნაცადი ძველი თაობაც თანამებრძოლად გვეგულვის,
კარგი ჩვენია ახალი, ძველიც ჩვენია ქებული.
როგორ გვზრდის ჩვენი ქვეყანა, როგორ გვაფასებს პარტია,
ხალხის გული და ალერსი მზის ნათელივით გვარტყია.
ჩვენს საქმეს შენი თვალყური, ხელი მზრუნველი ატყვია,
რა ასპარეზი მოგვეცა, დიდია შენი ქარტია.
საბჭოეთის ორდენებით, — დიდებული ოქროს ზღვენი
დაგვმშვენდა და ალისფერად ანთებულა მკერდი ჩვენი.
ზოგს ნამგალი ახატია, ზოგს უნთია მკერდზე ლენინ,
ასე ფასობს მეცნიერი, ხელოვნების მოღვაწენი.
ვინაც ხალხის მსახურია, ვინაც ღონეს ხალხს მოახმარს,
ვინც ესწრაფვის შთაგონების ხალხის გულში გამონახვას
ის დაფასდა, მისი ჩარხი დატრიალდა უკვე წალმა,
ის უმაღლეს საბჭოებში აირჩია თვითონ ხალხმა.
მუშაობენ საბჭოებში და ქვეყანას ამაგრებენ,
სახელმწიფოს მსახურებენ, ხალხის ნდობას ანაღდებენ,
ქვეყნის გულში ტრიალებენ, თავის გულსაც ამაღლებენ
მუშასთან და გლეხთან ერთად ჩვენს ქვეყანას განაგებენ.
გულით დაგვაქვს სიმღერები ბედნიერი მშრომელ მხარის,
ფხიზლადა ვართ შეუდრეკელ გუშაგების რიგში მდგარი
და თუ მტერი დაიძრება ბოროტი და ღამის დარი,
ნახონ როგორ ტყვიამფქვევათ შეიცვლება კალმისტარი.
რა უკუნეთი გავლიეთ, მას აწი აღარ გამოვცდით,
შენ იხსენ ჩვენი ქვეყანა, ერებში აღარ გამოვწყდით,
ქალაქი აღიმართება, სადაც მარჯვენას გამოწვდი,
მოგვილოცნია ბელადო დიადი წელი სამოცი.
განა სამოცი წლისა ხარ! შეზრდილო ხალხის გულებთან,
შენ ათასიწლის ოცნებავ, იმედო საუკუნეთა,
შენზე დაიწყეს ღიღინი უხსოვარ დროის ხნულებთან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხი იმ დღიდან გელოდა, შენს სახელს აგუგუნებდა.
შენს ნაამაგარს ხედავენ თვალის პირველი გახელით,
ჩვენი საბჭოთა ეპოქა შენდება შენი სახელით;
იმედით შემოგცქერიან ყრმათა ბრწყინვალე სახენი,
ზენა ხარ ჩვენი გმირობის და ძლევის გამომსახველი.
შენ, როგორც დროშა უძღოდი ხასანის ტბასთან არმიას
და ჯარმაც სამურაების ბრბოები მიმოარბია!
სამშობლოს საზღვარს დასაცავს, — მთა და მდინარე არ ჰქვია,
იქ ჩვენი სისხლი მღელვარებს, ჩვენი ხორცი და ძარღვია!
შენმა სინათლემ ახაროს, თუ ვინმე ბნელით ჩაგრულა.
ბელორუსიის მიწიდან პანები მიმოკარგულან!
უკრაინელის გულმკერდზე შენი ხმა ამოქარგულა —
ორი ძმა იყო, ორთავეს თავისუფლება არგუნა!...
ხალხს ბედნიერი ცხოვრებით ბეჭები გაუმართია! —
შენი სახელი დიადი ჩაგრულთა განთიადია —
და გამარჯვების იმედად ფინელთა გულშიც ანთია,
რომ ბრძოლით გაანადგურონ ვინც მათში მუხანათია!
ჩვენი სიმღერა ბელადო, ერთა სურვილის მთქმელია —
რომელთაც ჩაუქრობელი სტალინის შუქი ჰფენია! —
აყვავებულა სამშობლო, მინდორველს მოულხენია,
კლდეებზე გადმომქუხარე მდინარეებიც მღერიან:
დღეგრძელი იყოს, იხაროს — ხალხი ვინც გაახალისა,
თერთმეტი ქვეყნის გულისთქმა, და ელვა მათი ხმალისა!
ბნელს ანათებდეს შორეულს სხივი ბელადის თვალისა —
ის ერთად-ერთი იმედი მსოფლიოს მომავალისა!...

საქართველოს საბჭოთა მწერლების მიმართვა ამხანაგ სტალინისადმი ლექსად გამოსთქვეს პოეტებმა:

ალიო მაშაშვილმა,
გიორგი ლეონიძემ,
ილო მოსაშვილმა,
სიმონ ჩიქოვანმა,
ირაკლი აბაშიძემ,
კარლო კალაძემ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფილიპე მახარაძე

# დიდი პროლეტარული მესაჭე

„პარტია უძლეველია, თუ მან იცის, საით წარმართოს საქმე, და თუ მას სიძნელეებისა არ ეშინია“.
ი. სტალინი.

1939 წ. დეკემბერში სრულდება სამოცი წელი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის (ჯუღაშვილი) დაბადებიდან. მის სახელს მთელი მსოფლიო იცნობს, ეს სახელი ყველა ქვეყნის მშრომელთა განთავისუფლების სიმბოლოდ გადაიქცა. ვ. ი. ლენინის შემდეგ არ ყოფილა და არც არის სხვა ისეთი ადამიანი, რომელიც თავისი გონების ძლიერებით, თავისი რევოლუციური და შემოქმედებითი მოღვაწეობის გაქანებით მას შეედრებოდეს. ამხანაგმა სტალინმა განვლო ცხოვრების დიდი გზა, რომელიც არასდროს არ იქნება დავიწყებული. ის ცხოვრობდა და ცხოვრობს პროლეტარული რევოლუციის ეპოქაში, — ეპოქაში, რომელსაც სტალინური ეპოქა ეწოდება.

ი. ბ. სტალინის ცხოვრება და მოღვაწეობა, ისევე როგორც ვ. ი. ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა, განუყრელად დაკავშირებულია ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ისტორიასთან.

სტალინი, ჯერ კიდევ 15 წლის ჭაბუკი, ებმება რევოლუციურ მოძრაობაში, ხელს ჰკიდებს „კაპიტალის“ შესწავლას, კ. მარქსის და ფ. ენგელსის სხვა შრომების შესწავლას, ავსებს თავის ცოდნას ისტორიულ და სოციალურ-ეკონომიურ მეცნიერებებში. 19 წლის ი. ბ. სტალინი, ცოდნის დიდი მარაგით აღჭურვილი, თეორიულად სავსებით მომზადებული მარქსისტი, შედის „მესამე დასში“, როგორც ლენინური ტიპის პროფესიული რევოლუციონერი, რათა მთელი თავისი ძალღონე, მთელი თავისი უნარი მოანდომოს მუშათა კლასის სამსახურს. დამახასიათებელია, რომ ი. ბ. სტალინი თავისი რევოლუციური მოღვაწეობის პირველი ნაბიჯებიდანვე იწყებს მეცნიერული სოციალიზმის თეორიის, ე. ი. რევოლუციური მარქსიზმის თეორიის გადატანას უშუალოდ მუშათა წრეში. ამრიგად, საქართველოში ის პირველია, რომელიც სტიქიურად დაწყებულ მუშათა მოძრაობას აერთებს სოციალიზმთან და ამით ბოლოს უღებს იმ დისპროპორციას, რომელიც არსებობდა საქართველოში გასული საუკუნის 90-იანი წლების შუა-ხანებიდან, ერთი მხრივ, სტიქიურად წარმოშობილ მუშათა მოძრაობასა და, მეორე მხრივ, ინტელიგენტებისაგან შემდგარ, ახლად გაჩენილ მარქსისტულ წრეებს (ეგრედწოდებულ „მესამე-დასელებს“) შორის. ამხანაგმა სტალინმა კარგად იცოდა, რომ „მესამე-დასელთა“ ჯგუფის უმრავლესობა, ნ. ჟორდანიას მეთაურობით, შორს იდგ-

რევოლუციური მარქსიზმისაგან, რომ ეს უმრავლესობა ნამდვილად არათუ არ ეხმარებოდა საქართველოში სოციალ-დემოკრატიულ მუშათა მოძრაობის განვითარებას, არამედ აშკარად აფერხებდა მას. ეს საკითხი, ისევე როგორც საქართველოს და ამიერ-კავკასიის რევოლუციურ მოძრაობაში ამხანაგ ს ტ ა ლ ი ნ ი ს განსაკუთრებული როლის საკითხი, საკმაო სიცხადით არის გაშუქებული ამხ. ლ. ბ ე რ ი ა ს მიერ მის ცნობილ მოხსენებაში „ა მ ი ე რ - კ ა ვ კ ა ს ი ი ს ბ ო ლ შ ე ვ ი კ უ რ ი ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ე ბ ი ს ი ს ტ ო რ ი ი ს ს ა კ ი თ ხ ი ს ა თ ვ ი ს“. აღნიშნავს რა „მესამედასელთა“ ერთგვარ დამსახურებას „თავდაპირველად მარქსისტული იდეების გავრცელების“ დარგში, ამხ. ბერია ამბობს: „მაგრამ, „მესამე დასის“ უმრავლესობა, ნ. ჟორდანიას მეთაურობით, მარქსიზმის იდეების მშვიდობიან, ლეგალურ პროპაგანდას და მუშებში ვიწრო — პროპაგანდისტულ საწრეო მუშაობას არ გასცილებია. „მესამე დასის“ უმრავლესობა არ სცნობდა იმას, რომ აუცილებელი იყო არალეგალური რევოლუციური პრესა, მასობრივი პოლიტიკური აგიტაცია და მუშათა კლასის პოლიტიკური რევოლუციური ბრძოლის მოწყობა ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ“. (აღნიშნული მოხსენება, გვ. 13-14, 1938 წ.). თბილისის სოც-დემოკრატიულ ორგანიზაციაში ამხანაგ ს ტ ა ლ ი ნ ი ს შესვლისთანავე „მ ე ს ა მ ე დ ა ს ი ს“ შ ი გ ნ ი თ, — ა მ ბ ო ბ ს შ ე მ დ ე გ ა მ ხ. ბ ე რ ი ა, — ჩ ა ი ს ა ხ ა დ ა ჩ ა მ ო ყ ა ლ ი ბ დ ა რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი მ ა რ ქ ს ი ს ტ უ ლ ი ჯ გ უ ფ ი — ს. წ უ ლ უ კ ი ძ ე, ლ ა დ ო კ ე ც ხ ო ვ ე ლ ი, ი. ს ტ ა ლ ი ნ ი. ე ს ჯ გ უ ფ ი წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ დ ა „მ ე ს ა მ ე დ ა ს ი ს“ უ მ ც ი რ ე ს ო ბ ა ს, რ ო მ ე ლ ი ც მ თ ე ლ რ ი გ ძ ი რ ი თ ა დ ს ა კ ი თ ხ ე ბ შ ი ა რ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ო დ ა „მ ე ს ა მ ე დ ა ს ი ს“ უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა ს.

პირველმა მწვავე უთანხმოებამ თავი იჩინა 1898 წელს არალეგალური პრესის საკითხის გამო. „მესამე დასის“ უმცირესობა არალეგალურ პრესას უდიდეს მნიშვნელობას აძლევდა რევოლუციური მარქსიზმის პროპაგანდისა და გავრცელების, თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ პოლიტიკური აგიტაციის, მუშათა კლასის პოლიტიკური ბრძოლის ორგანიზაციის და ნამდვილი პროლეტარული რევოლუციური პარტიის მშენებლობის საქმეში და არალეგალური გაზეთის დაარსების ამოცანას აყენებდა. „მესამე დასის“ უმრავლესობა, ნ. ჟორდანიას მეთაურობით, უარჰყოფდა არალეგალური პრესის აუცილებლობას“. (იქვე, გვ. 14).

ამ ნიადაგზე, აგრეთვე იმ საკითხის გამო, საჭიროა თუ არა მუშებთან საწრეო მეცადინეობიდან თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ მუშათა კლასის პოლიტიკური ბრძოლის აშკარა ფორმების სასარგებლოდ მუშებს შორის მასობრივი აგიტაციის გაწევაზე გადასვლა, — წარმოიშვა ბრძოლა სოციალ-დემოკრატიის მემარცხენე ფრთასა, ე. ი. „მესამე დასის“ უმცირესობასა და მის მემარჯვენე, ოპორტუნისტულ ფრთას, ე. ი. „მესამე დასის“ უმრავლესობას შორის, რომელსაც მეთაურობდა ნ. ჟორდანია. სოციალ-დემოკრატიის რევოლუციურ ფრთას მეთაურობდა ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი. მან თავის გარშემო, რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის გარშემო შემოიკრიბა ყოველივე ის, რაც კი საუკეთესო და რევოლუციური იყო მაშინდელი ქართველ ახალგაზრდობაში, როგორც ინტელიგენტ, ისე მუშა ახალგაზრდობაში, როგორც, მაგალითად: ლ. კეცხოველი, მ. ცხაკაია, ა. წულუკიძე, მ. ბოჭორიძე, გ. ჩოდრიშვი-

ლი, გ. თელია, მ. დავითაშვილი და სხვა. სოციალ-დემოკრატიის რევოლუციურმა ხაზმა, რომელსაც ატარებდნენ ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი და მისი თანამებრძოლნი მუშათა მასებში, როგორც ზემოთ ნათქვამი იყო, „მესამე დასის" უმრავლესობის ძლიერი უკმაყოფილება გამოიწვია, რამაც გააფთრებული შინაპარტიული ბრძოლის ხასიათი მიიღო. ქართველმა ოპორტუნისტებმა და რეფორმისტებმა, ნ. ჟორდანიას მეთაურობით, განსაკუთრებით ცხარე კამპანია გააჩაღეს ამხანაგ ს ტ ა ლ ი ნ ი ს წინააღმდეგ ბათუმში, სადაც ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი გაგზავნილი იყო ტფილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის მიერ 1901 წლის შემოდგომაზე მუშათა მოძრაობის მოსაწყობად და მისთვის ხელმძღვანელობის გასაწევად. მაგრამ ეს კამპანიაც საშინლად ჩაიფუშა, რადგან მუშები არსად, არც ტფილისში და არც ბათუმში მხარს არ უჭერდნენ თავგასულ ოპორტუნისტებს, პირიქით, მუშები ამხანაგ ს ტ ა ლ ი ნ შ ი ხედავდნენ თავიანთ ერთგულ მეგობარს და დამცველს, ხოლო ბათუმელი მუშები მას თავის მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ს უწოდებდნენ. ამხანაგ ს ტ ა ლ ი ნ ს მუშებისადმი სრულიად განსაკუთრებულ, ლენინურ-სტალინური მიდგომა ჰქონდა. ის მათ მარქს-ენგელსის მოძღვრებას სრულიად მარტივი და მისაწვდომი ენით ასწავლიდა, თავისი სიტყვების ნათელსაყოფად მოჰყავდა მაგალითები იმ მუშათა ცხოვრებიდან, რომელთა შორისაც ის ეწეოდა საუბრებს მარქსიზმზე, პარტიაზე, მუშათა მოძრაობაზე. აქ მომყავს ერთი შემთხვევა, როგორც მაგალითი, რომელიც ახასიათებს ამხანაგ ს ტ ა ლ ი ნ ი ს მიდგომას მუშებისადმი. 1902 წ. იანვარში მანთაშევის ქარხნის მუშები ამხანაგ ს ტ ა ლ ი ნ თ ა ნ ერთად იმუშავებდნენ მოთხოვნებს ქარხნის პატრონისათვის წარსადგენად. დასასრულ ამხანაგმა ს ტ ა ლ ი ნ მ ა ურჩია მათ შეეტანათ მოთხოვნათა სიაში კიდევ ერთი მუხლი: რომ ქარხნის პატრონს მუშებისათვის მიეცა ხელფასი მაშინაც, როდესაც ქარხანა თვით კაპიტალისტის მიზეზით არ მუშაობს. ეს იყო სრულიად ახალი, მუშებისათვის დიდმნიშვნელოვანი მოთხოვნა, მაგრამ მათთვის ეს ჯერ კიდევ არ იყო გასაგები. როგორ? ქარხანა არ მუშაობს, მისმა პატრონმა კი მუშებს ხელფასი უნდა აძლიოს. ერთმა მუშამ ისიც კი სთქვა, რომ ამ მუხლს მოთხოვნების სიაში ნუ შევიტანთ, რადგან სულერთია, აქედან არაფერი არ გამოვაო. ამხანაგმა ს ტ ა ლ ი ნ მ ა ასე განუმარტა მუშებს ამ მოთხოვნის აზრი: თქვენ მოგეხსენებათ, რომ კაპიტალისტი თანაბრად კვებავს თავის ცხენს: მაშინაც, როდესაც იგი მუშაობს, და მაშინაც, როდესაც იგი არ მუშაობს. გეკითხებით, რითაა მუშა ცხენზე უარესი? და ამიტომ ეს მუხლი მოთხოვნათა სიაში შეტანილ უნდა იყოსო. მუშებს ასეთი სიტყვები არასოდეს არ სმენიათ. ისინი გააოცა ამხანაგ ს ტ ა ლ ი ნ ი ს მარტივმა ლოგიკამ და მხოლოდ ჰკითხეს მას, სად იყავი ამდენხანს და რატომ ჩვენთან დღემდე არ მოხვედიო. აბა როგორ შეიძლებოდა არ შეჰყვარებოდათ ასეთი მეგობარი, ასეთი მასწავლებელი!

მეორე მაგალითი იმავე ბათუმის პრაქტიკიდან: როგორ ასწავლიდა ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი მუშებს კლასობრივ ბრძოლას და როგორ განუმარტავდა მათ პარტიულ საკითხებს. როტშილდის ქარხნის მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს (1902 წ. 1 მარტს) და ამხანაგ ს ტ ა ლ ი ნ თ ა ნ ერთად შეიმუშავეს მოთხოვნები ქარხნის პატრონისათვის წარსადგენად. მუშებს განზრახვა ჰქონდათ ეს მოთხოვნა კაპიტალისტისათვის დელეგაციის საშუალებით გაეგ-

ზავნათ. მაგრამ ამაზე ამხანაგმა სტალინმა უპასუხა: „ჩვენ ტყუილ-უბრალოდ დავღუპავთ იმ ამხანაგებს, რომლებიც ამ დელეგაციაში შევლენ. სჯობია ეს მოთხოვნები წერილობით ჩამოვაყალიბოთ და ... ქვეშ კი მოვაწეროთ: „ბათუმის სოციალ-დემოკრატი მუშების ჯგუფი". ეს იმიტომ, ამხანაგებო, — დასძინა მან, რომ ჩვენში კომიტეტი ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული, და მერე იმიტომ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არ შევსულვართ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში, როგორც ცალკე ჯგუფი". ბათუმელ მუშებს მაშინ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ იმის გამოცდილება, თუ რა მეთოდებით ეწარმოებინათ კლასობრივი ბრძოლა, მაგრამ ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ისინი ძალიან სწრაფად ამთავრებდნენ თავიანთ მომზადებას მომავალი სასტიკი კლასობრივი ბრძოლებისათვის. ასეთი იყო ამხანაგი სტალინის პროპაგანდისა და აგიტაციის მეთოდები და სტილი მისი რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისიდანვე.

ბათუმის მუშების 1902 წ. მარტის ცნობილი დემონსტრაციის შემდეგ, რომელიც ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ჩატარდა, ის დააპატიმრეს იმავე წლის აპრილში, ხოლო 1903 წ. ნოემბრის დასასრულს სამი წლით გადაასახლეს აღმოსავლეთ ციმბირში, საიდანაც 1904 წ. დამდეგს არალეგალურად დაბრუნდა საქართველოში. გადასახლების პერიოდში მას მიწერ-მოწერა აქვს ლენინთან. არ შემიძლია აქ საილუსტრაციოდ არ მოვიყვანო ფურცელი ამხანაგ სტალინის მოგონებიდან. აი, რას სწერს ის ამ შესანიშნავ დოკუმენტში:

„პირველად ლენინს 1903 წელს გავეცანი. მართალია, ეს იყო შორიდან გაცნობა, მიწერ-მოწერით, და არა პირადად. მაგრამ მან ჩემში წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა, და ეს შთაბეჭდილება პარტიაში მთელი ჩემი მუშაობის განმავლობაში თან მსდევდა. მე მაშინ ციმბირში ვიყავი გადასახლებული. ლენინის რევოლუციურ მოღვაწეობასთან გაცნობამ 90-იანი წლების დამლევიდან და განსაკუთრებით 1901 წლის შემდეგ, „ისკრის" გამოცემის შემდეგ, მე მიმიყვანა იმ რწმენამდე, რომ ჩვენ ლენინის სახით არაჩვეულებრივი ადამიანი გვყავს. ჩემს თვალში ის მაშინ პარტიის უბრალო ხელმძღვანელი კი არ ყოფილა, ის იყო მისი ფაქტიური შემქმნელი, ვინაიდან მხოლოდ მას ესმოდა ჩვენი პარტიის შინაგანი არსი და მისი გადაუდებელი საჭიროებანი. როდესაც ვადარებდი მას ჩვენი პარტიის დანარჩენ ხელმძღვანელებს, მე ყოველთვის მეჩვენებოდა, რომ ლენინის თანამებრძოლნი — პლეხანოვი, მარტოვი, აქსელროდი და სხვები—მთელი თავით დაბლა დგანან ლენინზე, რომ ლენინი მათთან შედარებით მარტო ერთერთი ხელმძღვანელი კი არ არის, არამედ უმაღლესი ტიპის ხელმძღვანელია, მთის არწივი, ბრძოლაში უშიშარი და რუსეთის რევოლუციური მოძრაობის უვალ გზებზე პარტიის გაბედულად წინ წამყვანი. ეს შთაბეჭდილება ისე ღრმად ჩამწვდა სულში, რომ ჩემთვის აუცილებელი გახდა მის შესახებ მიმეწერა ერთი ჩემი ახლობელი მეგობრისათვის, რომელიც მაშინ ემიგრაციაში იმყოფებოდა, და მეთხოვა მისთვის გამოეთქვა თავისი შეხედულება. რამდენიმე ხნის შემდეგ, უკვე ციმბირში გადასახლებულმა,—ეს იყო 1903 წლის დამლევს, — მე მივიღე ჩემი მეგობრისაგან აღფრთოვანებული პასუხი და უბრალო, მაგრამ ღრმა შინაარსიანი წერილი ლენინისა, რომლისთვისაც, როგორც გამოირკვა, ჩემს მეგობარს გა-

ეცნო ჩემი წერილი. ლენინის წერილი შედარებით პატარა იყო, მაგრამ ის იძლეოდა ჩვენი პარტიის პრაქტიკის გაბედულს, უშიშარ კრიტიკულ დამასში შესანიშნავი სიცხადით და შეკუმშულად იყო მოცემული პარტიის მუშაობის მთელი გეგმა უახლოესი პერიოდისათვის. მხოლოდ ლ ე ნ ი ნ ს შეეძლო უაღრესად დახლართულ საგნებზე ასე უბრალოდ, გარკვევით, შეკუმშულად და გაბედულად წერა—როდესაც თვითეული ფრაზა კი არ ლაპარაკობს, არამედ ტყვიასავით ვარდება. ამ უბრალო და გაბედულმა პატარა წერილმა კიდევ უფრო განამტკიცა ჩემში ის აზრი, რომ ლენინის სახით ჩვენ გვყავს ჩვენი პარტიის მთის არწივი. ვერ მიპატიებია ჩემი თავისთვის, რომ ლენინის ეს წერილი, ისე როგორც სხვა მრავალი წერილიც, ძველი იატაკქვეშელის ჩვეულების მიხედვით, დავწვი.

ამ დროიდან დაიწყო ჩემი ნაცნობობა ლენინთან."

ვფიქრობ, აქ დასამატებელი არაფერია. ორმა დიდმა ადამიანმა: ერთმა, რომელიც უკვე გახდა მუშათა კლასის ბელადი, ხოლო მეორემ, მისმა უერთგულესმა მოწაფემ და თანამებრძოლმა, მიწერ-მოწერის საშუალებით ჰპოვეს ერთმანეთი.

ამხანაგ ს ტ ა ლ ი ნ ს საპყრობილესა და გადასახლებაში ყოფნის დროსაც კი არ გაუწყვეტია კავშირი პარტიულ ორგანიზაციებთან. ის ათასგვარ საშუალებას იგონებდა, რათა დაკავშირებოდა ორგანიზაციებს მათთვის მითითებათა მისაცემად, ადგენდა და გარეთ გზავნიდა მოწოდებებსა და მიმართვებს, რომლებიც იბეჭდებოდა და ვრცელდებოდა მუშათა და გლეხთა შორის. იგი იმასაც კი ახერხებდა, რომ თვით საპყრობილეში აწყობდა მუშათა კრებებს და მართავდა მათთან საუბრებს პარტიულ და რევოლუციურ თემებზე.

რა თქმა უნდა, ამხანაგ ს ტ ა ლ ი ნ ი ს უყოფლობა, რაც, როგორც ზევით ვთქვით, დაახლოვებით ორ წელს გრძელდებოდა, ემჩნეოდა საქმეს. მართალია, პირველ ხანებში სოციალ-დემოკრატიის ლენინურ-ისკრული მიმართულება, საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში განმტკიცებული ამხანაგ ს ტ ა ლ ი ნ ი ს მიერ, ვიდრე მას დააპატიმრებდნენ, ჯერ კიდევ არ იყო შერყეული: ორგანიზაციები ლენინურ-ისკრული პლატფორმის ერთგულნი რჩებოდნენ, რაც დადასტურდა კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების პირველ ყრილობაზედაც, რომელიც 1903 წლის თებერვალ-მარტში შესდგა; ამ ყრილობამ შეჰქმნა კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების კავშირი და აირჩია კავშირის კომიტეტი. როგორც ცნობილია, ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი დაუსწრებლად აირჩიეს ამ კომიტეტში. მაგრამ მეორე მხრივ, ცნობილია, რომ ბათუმის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში, რაც უდიდესი მეცადინეობით შეჰქმნა ამხანაგმა ს ტ ა ლ ი ნ მ ა, ფეხს იკიდებდნენ ისეთი ოპორტუნისტები, როგორიც იყვნენ მოხეევ და ნ. რამიშვილი, რომელნიც თხზავდნენ სხვადასხვა ინსინუაციას და ცილისმწამებლურ ბრალდებებს ამ ორგანიზაციის შემქმნელის წინააღმდეგ და ამგვარად ხრწნიდნენ ამ ორგანიზაციებს.

მაგრამ ბრძოლა სოციალ-დემოკრატიის მემარჯვენე, ოპორტუნისტულ ფრთასა და მის მემარცხენე, ლენინურ-ისკრულ ფრთას შორის გამწვავდა უმთავრესად მას შემდეგ, რაც II ყრილობაზე მოხდა პარტიის გათიშვა ბოლ-

შევიკებად და მენშევიკებად, როდესაც ამ უკანასკნელებმა გადასწყვიტეს ხელთ ჩაეგდოთ ამიერ-კავკასიის ყველა ორგანიზაცია, რომელთა უმრავლესობა მანამდე მთლიანად მხარს უჭერდა ლენინური „ისკრის" პოზიციას. ამ ბრძოლის გამწვავება დაემთხვა სწორეთ იმ დროს, როდესაც ამხანაგი სტალინი გადასახლებიდან დაბრუნდა. ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის ბათუმის, ქუთაისის, ჭიათურის, თბილისის მუშათა კრებებსა და კონფერენციებზე დაიწყო მცირე და დიდი დავა, დისკუსიები, რომლებიც ხშირად ძალიან მკაცრ ხასიათს იღებდნენ. ამ დისკუსიებში ბოლშევიკების მხრით გამოდიოდნენ ამხანაგები სტალინი, მ. ცხაკაია, ალ. წულუკიძე, მ. დავითაშვილი, მ. ბოჭორიშვილი და სხვ.

განსაკუთრებული ხასიათი ჰქონდა ამხანაგი სტალინის გამოსვლებს. დიდ შთაბეჭდილებას სტოვებდა მსმენელებში მისი დამშვიდებული და სერიოზული კილო, მისი სიდინჯე, მის ღრმადშინაარსიან სიტყვებში ჩაქსოვილი იყო მახვილი ჰუმორი და სარკაზმი. ის დისკუსიაზე მიდიოდა წერილობითი და ნაბეჭდი დოკუმენტით შეიარაღებული, რათა იქვე დოკუმენტურად ემხილებინა ბოლშევიკების წინააღმდეგ მიმართული ყოველგვარი პროვოკაცია, სიცრუე და ცილისწამება მენშევიკი ორატორებისა, რომელნიც არაფერს არ თაკილობდნენ, ოღონდ კი ბოლშევიკები დაემარცხებიათ.

ახლა ძნელია წარმოვიდგინოთ ის უდიდესი მუშაობა, რომელიც გაშალა ამ პერიოდში ამხანაგმა სტალინმა. ის პირდაპირ ცეცხლივით ედებოდა საქმეს, ყველგან ასწრებდა, განუწყვეტლივ შემოივლიდა ხოლმე ყველა ცოტად თუ ბევრად დიდ ცენტრს, დაიარებოდა სოფლებში, გამოდიოდა მიტინგებზე, იძლეოდა ახსნა-განმარტებას. თუმცა ის დაუცხრომლად ეწეოდა სიტყვიერ აგიტაციას, გამუდმებით გადადიოდა ერთი ადგილიდან მეორეში, მაგრამ მაინც ჰპოულობდა დროს ეწერა მთელი ბროშურები და საგაზეთო სტატიები არალეგალურ და ლეგალურ ორგანოებში. მისი ბროშურა „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე", დაბეჭდილი არალეგალურად სამ ენაზე (ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე) და ათას ცალობით გავრცელებული, აგრეთვე „ბრძოლაში" მოთავსებული სტატია, — „პასუხი „სოციალ-დემოკრატს" (ტფილისის მენშევიკების ორგანო 1905 წელს) მთლად აცამტვერებდნენ მენშევიკებისა და მათი ბელადის ჟორდანიას ცრუ და ცილისმწამებლურ ლაყბობას, მათს გალაშქრებას ლენინის ბროშურების წინააღმდეგ — „რა ვაკეთოთ", „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან" და სხვ.

1905 წელს, გაჩაღებული რევოლუციური მოძრაობის პერიოდში, საქართველოს სოც.-დემოკრატიული ორგანიზაციები ფაქტიურად გათიშული იყვნენ. ტფილისში პარალელურად არსებობდნენ ბოლშევიკური და მენშევიკური კომიტეტები. 1905 წელს ამხანაგი სტალინი უდიდეს რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა ამიერკავკასიაში. ამხანაგი სტალინი ამხილებდა და ანადგურებდა მენშევიკებს, როგორც რევოლუციისა და შეიარაღებული აჯანყების მოწინააღმდეგეებს. ის ამზადებდა მუშებს თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისათვის. მეფის მანიფესტის გამოცხადების დღეს ტფილისში შემდგარ მიტინგზე ამხანაგი სტალინი ეუბნებოდა მუშებს: „რა გვესაჭიროება ჩვენ, რომ მართლა გავიმარჯვოთ? ამისათვის გვესაჭიროება სამი რამ: პირველი, ჩვენ გვესაჭიროება შეიარაღება,

მეორე — შეიარაღება, მესამე — კიდევ და კიდევ შეიარაღება“ („საკ. კ./ პ. (ბ) ისტორია“, გვ. 98).

ამხანაგი სტალინი დაუცხრომლად ამხილებდა [illegible] და მუშების ისეთ მოჩვენებითსა და თვალთმაქც „მეგობრებსაც“ როგორიც იყვნენ სომეხი დაშნაკები, ქართველი სოციალ-ფედერალისტები და ანარქისტები.

1905 წ. დეკემბრის დამდეგს ტამერფორსში შეიკრიბა ბოლშევიკების კონფერენცია, სადაც დელეგატად გაგზავნილი იყო ამხანაგი სტალინი და სადაც ერთმანეთს პირველად შეხვდნენ ლენინი და სტალინი, რომელნიც მანამდე ერთი-მეორეს მხოლოდ მიწერ-მოწერით იცნობდნენ. კონფერენციამ მიიღო მთელი რიგი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი, და დელეგატები მალე დაიშალნენ, რადგან მოსკოვში ამ დროს შეიარაღებული აჯანყება მზადდებოდა. ამიერ-კავკასიასა და საქართველოშიც ამ დროისათვის აგრეთვე მზადდებოდა გადამწყვეტი შეტაკებანი კონტრრევოლუციის ძალებსა და რევოლუციის ძალებს შორის. ტამერფორსიდან დაბრუნების შემდეგ ამხანაგი სტალინი, ამხ. სტ. შაუმიანთან, ისიდორე კორასთან ერთად, აგრეთვე მოწინავე მუშებთან ერთად, რომელთა შორის იყო მუშათა რაიონის („ნაძალადევი“) თავდაცვის დროს კაზაკების ტყვეით განგმირული 9 მუშა, მეთაურობს ტფილისის პროლეტარიატის შეიარაღებული ბრძოლის ორგანიზაციას 1905 წ. დეკემბერში. მაგრამ მენშევიკებმა უკვე ყოველივე მოიმოქმედეს იმისათვის, რომ ჩაეშალათ ტფილისის პროლეტარიატის შეიარაღებული ბრძოლა. დგება კონტრრევოლუციური აღვირახსნილობის შავბნელი დღეები. რევოლუციისათვის ამ მძიმე დროში, როდესაც კონტრრევოლუცია ზეიმობდა თავის გამარჯვებას მუშებსა და გლეხებზე, როდესაც ბერყევი და მხდალი წვრილბურჟუაზიული ელემენტები შორდებოდნენ და ღალატობდნენ რევოლუციას, მარტო ბოლშევიკებს ამხანაგ სტალინის მეთაურობით კვლავ მაღლა ეჭირათ რევოლუციის დროშა, მარქსიზმ-ლენინიზმის დროშა და დაუცხრომლად მუშაობდნენ დანგრეული ორგანიზაციების აღსადგენად და ძალების შესაკრეფად. ამხანაგი სტალინი ყოველივე ამაში განსაკუთრებულ ორგანიზატორულ ნიჭს იჩენდა.

ამ პერიოდში ამხანაგი სტალინი დელეგატად იგზავნება ჯერ გამაერთიანებელ ყრილობაზე (1906 წ. აპრილი), შემდეგ კი ლონდონის ყრილობაზე (1907 წ. მაისი), რომლებშიც ამხანაგი სტალინი უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებს. თავის ნაბეჭდ მოხსენებაში ამ ყრილობათა მუშაობის შესახებ ამხანაგი სტალინი განუმარტავს მუშებს აღნიშნულ ყრილობათა როლსა და მნიშვნელობას.

ლონდონის (V) ყრილობის შემდეგ, 1908 წ. ივნისში, პარტიის გადაწყვეტილებით ამხანაგი სტალინი მიემგზავრება ბაქოს, სადაც ხანგამოკლებით რჩება თითქმის 1910 წლის დასასრულამდე და სადაც იგი, მისივე სიტყვით „რევოლუციის შაგირდის ნაცვლად ქარგალი გახდა“. მართლაც, პროლეტარულ ბაქოში კიდევ უფრო ფართოდ და უფრო ბრწყინვალედ გაიშალა ამხანაგი სტალინის რევოლუციური და პარტიული მოღვაწეობა. მისი მეოხებით ბაქო, სადაც წინათ მოძალებული იყვნენ შჩედრიკოვის ტიპის მენშევიკები, ესერები და დაშნაკები, მალე ბოლშევიზმის ციხე-სიმაგრედ გადაიქცა. ამ პერიოდში ბაქოში სტალინთან ერთად მუშაობდნენ გაშო-

ჩენილი ბოლშევიკები: ა. ჯაფარიძე, შაუმიანი, ს. ორჯონიკიძე, სარატოველი, სპანდარიანი, მაკვლური, ეგორი და სხვ. მაგრამ ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაციის ნამდვილი ორგანიზატორი, პრაქტიკული და იდეური ხელმძღვანელი იყო ამხანაგი სტალინი, რომელმაც განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა ნავთის მრეწველთა წინააღმდეგ ბაქოს მუშების ბრძოლაში, ჩამოაცილა რა მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელობას ყველა წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიული ნაციონალისტური პარტიები—მენშევიკები, ესერები, დაშნაკები.

ამხანაგი სტალინი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მუსლიმან მუშებს, რომლებსაც წინათ ნაკლები ყურადღება ექცეოდა, ამავე დროს კი, მათ დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ რევოლუციური მოძრაობისათვის როგორც ბაქოში, ისე განსაკუთრებით აზერბეიჯანის სოფელში. მეფის ოხრანკა, თავის მხრივ, განსაკუთრებულ გულმოდგინებას იჩენდა ამხანაგ სტალინის დევნაში. იგი ორჯერ დააპატიმრეს და გადაასახლეს ბაქოდან, მაგრამ ყოველთვის არალეგალურად ბრუნდებოდა გადასახლებიდან და არალეგალურად განაგრძობდა მუშაობას ბაქოშივე. და ბოლოს, 1910 წ. მარტში ამხანაგი სტალინი მესამეჯერ დააპატიმრეს და გადაასახლეს სოლვიჩეგოდსკში. ამხანაგმა სტალინმა ბაქოში მოკლე ხნის განმავლობაში მოასწრო აღეზარდა ბოლშევიკურად მტკიცე და ურყევი ამხანაგების მთელი თაობა და მუშათა ფართო მასების სიყვარული და ნდობა დაიმსახურა.

1912 წლის იანვარში პრაღის კონფერენციაზე ამხანაგ სტალინს დაუსწრებლად ირჩევენ ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში, იგი ამ დროს შორეულ ადგილას იყო გადასახლებული და არ სწყვეტდა თავის რევოლუციურ მოღვაწეობას.

ლენაზე 1912 წ. აპრილში მუშების დახვრეტის გამო ამხანაგმა სტალინმა ბოლშევიკურ გაზეთ „ზვეზდა"-ში (არალეგალურად გამოდიოდა პეტერბურგში) მოათავსა სტატია, რომელშიც ის შემდეგს ღირსშესანიშნავ სიტყვებს ამბობდა: „ლენაზე თოფის გასროლამ დაამსხვრია დუმილის ყინული, და დაიძრა სახალხო მოძრაობის მდინარე. დაიძრა!... ყოველივემ, რაც კი იყო ბოროტი და დამღუპველი თანამედროვე რეჟიმში, ყოველივემ, რითაც დაავადებული იყო მრავალტანჯული რუსეთი, — ყოველივე ამან თავი მოიყარა ერთ ფაქტში, ლენაზე მომხდარ ამბებში. აი რატომ იყო, რომ სწორედ ლენაზე თოფის გასროლა გახდა გაფიცვებისა და დემონსტრაციების სიგნალი". („საკ. კ. პ. (ბ) ისტორია", გვ. 178). იმავე წლის 5 მაისს ლენინის მითითებით ამხანაგმა სტალინმა, ოლმინსკისთან და პოლეტაევთან ერთად, დაარსა მასობრივი ბოლშევიკური გაზეთი „პრავდა" (იქვე, გვ. 181). „პრავდის" უდიდესი მნიშვნელობა რევოლუციური ბრძოლისათვის მუშების მობილიზაციისა და ორგანიზაციის საქმეში საყოველთაოდ ცნობილია. „პრავდა" იდგა პარტიულობისათვის, მასობრივი მუშათა რევოლუციური პარტიის აღდგენისათვის ბრძოლის ცენტრში" (იქვე, გვ. 187). როგორც ცნობილია, ამ პერიოდში — „პრავდას" ხელმძღვანელობდა ამხანაგი სტალინი. იგივე ხელმძღვანელობდა IV სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას. როდესაც ამ სათათბიროს არჩევნების წინ მთავრობა შე-

ეცადა დაერღვია მუშების საარჩევნო უფლება, ამხანაგ სტალინის ინიციატივით ჩვენი პარტიის პეტერბურგის კომიტეტმა მოუწოდა მუშებს ერთდღიანი გაფიცვა გამოეცხადებინათ. და მთავრობა იძულებული [illegible] მუშებს კრებებზე მიეცათ შესაძლებლობა გაეყვანათ ისინი, ვინც მათ სურდათ. ამხანაგ სტალინის მიერ შედგენილ იქნა მუშების „განაწესი" რწმუნებულებისა და დეპუტატისადმი (იქვე, გვ. 188). ამხანაგი სტალინი მთელი ამ ხნის განმავლობაში არალეგალურად ცხოვრობდა პეტერბურგში 1913 წლის გაზაფხულამდე, როდესაც პროვოკატორმა მალინოვსკიმ გასცა ის. მეფის მთავრობამ კვლავ გადაასახლა ამხანაგი სტალინი ტურუხანსკის მხარეში, სადაც იგი იმყოფებოდა 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციამდე. ამ დროს ის ყველაზე მეტად საჭირო იყო რევოლუციის ცენტრში— პეტერბურგში, პიტერის მუშებს შორის, რომელნიც მას კარგად იცნობდნენ. ამხანაგი სტალინი დაუყონებლივ, ჯერ კიდევ ლენინის ჩამოსვლამდე, ბრუნდება პეტერბურგს და იწყებს მუშაობას ურთულეს პირობებში. 1917 წლის 3 (16 აპრილს ემიგრაციიდან ბრუნდება ლენინიც. ამ დროიდან სტალინი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული და პროლეტარული რევოლუციის ყველაზე პასუხსაგებ პერიოდში განუწყვეტლივ მუშაობს ლენინის უშუალო ხელმძღვანელობით. სტალინი არის ლენინის უერთგულესი თანაშემწე ყველა საქმეში და პარტიული და სახელმწიფო მშენებლობის ყველა მნიშვნელოვან საკითხში. პროლეტარული რევოლუციის ეს ორი უდიდესი გენიოსი უკვე დიდიხანია ერთმანეთს იცნობდა. ორივენი თანაბრად უსაზღვროდ ერთგულნი იყვნენ პარტიისა, რევოლუციისა და მუშათა კლასისა. ისეთ საკითხებში, როგორიცაა შემდგომი ბედი თებერვალ-მარტის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციისა, რომელმაც ძალაუფლება ხელთ მისცა იმპერიალისტურ ბურჟუაზიას, როგორიცაა გადასვლა რევოლუციის მეორე ეტაპზე, რომელსაც ძალაუფლება ხელთ უნდა მიეცა პროლეტარიატისათვის უღარიბეს გლეხობასთან ერთად, როგორიცაა ერთ, ცალკე აღებულ, ქვეყანაში სოციალიზმის აშენება, ისინი სავსებით და ბოლომდე ერთსულოვანნი იყვნენ. რევოლუციის უმნიშვნელოვანესი, გადაუდებელი საკითხების გადაწყვეტის დროს, ლენინიზმის მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში ლენინისა და სტალინის შეხედულებათა ერთიანობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

პარტიის VI ყრილობაზე (1917 წ. 26 ივლისიდან 3 აგვისტომდე), რომელიც მიმდინარეობდა პეტროგრადში არალეგალურად, ლენინის დაუსწრებლად, ამხანაგი სტალინი, უშუალოდ ხელმძღვანელობდა რა ამ ყრილობას, ილაშქრებდა იმათ წინააღმდეგ, ვინც გამოდიოდა სოციალისტურ რევოლუციაზე კურსის აღების წინააღმდეგ. ამხანაგი სტალინი ამბობდა: „შეუძლებელი არ არის, რომ სწორედ რუსეთი გახდება იმ ქვეყნად, რომელიც გაჰკაფავს გზას სოციალიზმისაკენ. უნდა უკუვაგდოთ დრომოჭმული წარმოდგენა, თითქოს მხოლოდ ევროპას შეეძლოს გვიჩვენოს ჩვენ სოციალიზმის გზა. არსებობს მარქსიზმი დოგმატიკური და მარქსიზმი შემოქმედებითი. მე ამ უკანასკნელის ნიადაგზე ვდგავარ". (VI ყრილობის ოქმები, გვ. 233—234). ამხანაგმა სტალინმა, ლენინის უერთგულესმა თანაშემწემ, VI ყრილობაზე გადამწყვეტი წინააღმდეგობა გაუწია იმათ, ვისაც განზრახული ჰქონდა წარემართა პროლეტარიატის მოძრაობა, მენშევი-

კების და ესერების მსგავსად, კონტრრევოლუციურ ბურჟუაზიასთან შემთანხმებლობის გზით. ბოლშევიკების პარტიამ, ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით, გადაჭრით უკუაგდო ეს, პროლეტარულ რევოლუციის დამღუპველი, გზა. შეიარაღებული აჯანყება სწრაფად მწიფდებოდა. 1917 წ. 10 ოქტომბერს ცენტრალურმა კომიტეტმა ლენინის წინადადებით გამოიტანა ისტორიული გადაწყვეტილება შეიარაღებული აჯანყების შესახებ. ამ წინადადების წინააღმდეგ ხმა მისცეს კამენევმა და ზინოვიევმა, რომლებიც შემდეგში ხალხის უბოროტესი მტრები გახდნენ. 16 ოქტომბერს ცენტრალურ კომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე არჩეულ იქნა პარტიული ცენტრი აჯანყებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად ამხანაგ სტალინის მეთაურობით („საკ. კ. პ. (ბ) ისტორია", გვ. 250). უკეთესი არჩევანი შეუძლებელი იყო. მიუხედავად იმისა, რომ 18 ოქტომბერს კამენევმა და ზინოვიევმა მენშევიკურ გაზეთში დაბეჭდეს განცხადება — ბოლშევიკები კერენსკის დროებითი მთავრობის წინააღმდეგ შეიარაღებულ აჯანყებას ამზადებენო, ხოლო ტროცკიმ პეტროგრადის საბჭოს სხდომაზე მტერს გაუმხილა აჯანყების დღე და ამრიგად მას შესაძლებლობა მისცა მომზადებულიყო თავდასხმისათვის,— პარტიულმა ცენტრმა ამხანაგი სტალინის ხელმძღვანელობით ბრწყინვალედ შეასრულა ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება კერენსკის ბურჟუაზიული მთავრობის დამხობისა და 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს) საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შესახებ. ამ უაღრესად სერიოზულ მომენტში, როცა იშვა პროლეტარიატის ახალი ხელისუფლება, ყოველმხრივ გარშემორტყმული დამხობილი ექსპლუატატორთა ხელისუფლების აგენტების მიერ, რომელნიც ცდილობდნენ ამბოხებათა მოწყობას, როდესაც საჭირო იყო ფოლადისებური ერთიანობა პარტიის შიგნით და ყველა მისი წევრის რკინისებური დისციპლინა, — პარტიის წევრების ერთ ჯგუფს, რომელიც პასუხსაგებ პოსტებზე იმყოფებოდნენ, შეაქვს განცხადება ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან და სახალხო კომისართა საბჭოს შემადგენლობიდან გასვლის შესახებ, რასაც იმით ასაბუთებენ, რომ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკას არ ვეთანხმებითო. მაგრამ ერთი მუჭა კაპიტულანტების სამარცხვინო მოქმედებას, რომლებმაც გარიყეს თავიანთი თავი პარტიისა და მუშათა კლასისაგან, არ შეეძლო შეერყია მტკიცე და გაბედული პოლიტიკა ბოლშევიკური პარტიისა, რომელსაც ლენინი და სტალინი ხელმძღვანელობდნენ.

ახალი სიძნელენი შექმნეს პარტიაში, ერთი მხრივ, ეგრედწოდებულმა „მემარცხენე კომუნისტებმა", რომელნიც ლენინის წინააღმდეგ პარტიის შიგნით გააფთრებულ ბრძოლას ეწეოდნენ, და, მეორე მხრივ გამცემლურმა მოქმედებამ იუდუშკა-ტროცკისამ, რომელმაც, წინააღმდეგ ცენტრალური კომიტეტის დირექტივებისა, უარი სთქვა ხელი მოეწერა საზავო ხელშეკრულებაზე გერმანიასთან. „ლენინს, სტალინსა და სვერდლოვს უაღრესად შეუპოვარი ბრძოლის გადატანა მოუხდათ ცენტრალურ კომიტეტში ტროცკის, ბუხარინისა და სხვა ტროცკისტების წინააღმდეგ, რათა მიეღწიათ ზავის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისათვის. ლენინი აღნიშნავდა, რომ ბუხარინი და ტროცკი „საქმით დაეხმარნენ გერმანელ იმპერიალისტებს და ხელი შეუშალეს რევოლუციის ზრდასა და განვითა-

რებას გერმანიაში". („საკ. კ. პ. (ბ) ისტორია", გვ. 264). ახლა უკვე დამტკიცებულია, რომ „ბუხარინი, ტროცკი და შეთქმულების ხაზით მათ [illegible] ველები, თურმე, მიზნად ისახავდნენ ჩაეშალათ ბრესტის საზავო ხელშეკრულება, დაეპატიმრებინათ ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, ი. მ. ს ვ ე რ დ ლ ო ვ ი, მოეკლად ისინი და შეედგინათ ახალი მთავრობა ბუხარინელებისა, ტროცკისტებისა და „მემარჯვენე" ესერებისაგან" (იქვე, გვ. 265), აი, რა უსაზიზღრესი დანაშაული ჰქონდათ განზრახული კაცობრიობის ამ ნაძირალებს. მაგრამ ლ ე ნ ი ნ ი ს ა და ს ტ ა ლ ი ნ ი ს გენიალურმა გამჭრიახობამ ხელი შეუშალა ბუხარინელებისა და ტროცკისტების ამ უსაძაგლესი გეგმების განხორციელებას. ლ ე ნ ი ნ მ ა და ს ტ ა ლ ი ნ მ ა შესძლეს იდეურად და ორგანიზაციულად გაენადგურებინათ „მემარცხენე კომუნისტები" და ტროცკისტები და გამოეყენებინათ დროებითი „შესვენება" საბჭოთა ხელისუფლებისა და წითელი არმიის გასამტკიცებლად.

მაგრამ 1918 წლის შუათვეებში ეს „შესვენება" დამთავრდა, რადგან დაიწყო სამოქალაქო ომი, რაც რუსეთის საბჭოთა ხელისუფლებას თავს მოახვიეს ინგლისის, საფრანგეთის, იაპონიის, ამერიკის იმპერიალისტებმა. რომელნიც გაერთიანდნენ შინაური კონტრრევოლუციის ძალებთან. ინტერვენტები საბჭოთა რუსეთის ტერიტორიაზე თითქმის ერთდაიმავე დროს შემოიჭრნენ სხვადასხვა მხრიდან და მათი დახმარებით სხვადასხვა ადგილას გაჩნდნენ თეთრგვარდიელთა „მთავრობანი", ესერ-მენშევიკებთან შეკავშირებულნი. ინტერვენტებმა და შინაურმა კონტრრევოლუციურმა ძალებმა ჩეხოსლოვაკთა კორპუსის დახმარებით უკვე იწყეს საბჭოთა რუსეთის ქალაქებისა და სურსათის, ნედლეულის და სათბობის ძირითადი რაიონების ხელში ჩაგდება, და, ამრიგად, განზრახული ჰქონდათ ჩაეხშოთ ნორჩი საბჭოთა რესპუბლიკა. შექმნილი გარემოებანი თითქოს ხელს უწყობდნენ ინტერვენტებსა და რუს თეთრგვარდიელებს. მათ თითქოს ყველა უპირატესობა ჰქონდათ. მაგრამ მათ ჯერ კიდევ არ იცოდნენ, თუ რა არის პროლეტარული რევოლუცია და საბჭოთა ხელისუფლება; მათ ჯერ კიდევ არ იცოდნენ, თუ რა უსაზღვრო ერთგულებისა და თავგანწირულების გამოჩენა შეუძლიათ მუშათა კლასსა და უღარიბეს გლეხობას საბჭოთა ხელისუფლების დაცვის საქმეში, მათ ჯერ კიდევ არ იცოდნენ, თუ რა გმირობის და ვაჟკაცური საქმეების ჩადენა შეუძლიათ მუშურ-გლეხურ წითელ არმიას, პროლეტარული ბელადების ლ ე ნ ი ნ ი ს ა და ს ტ ა ლ ი ნ ი ს მიერ შექმნილსა და აღზნებულს. მაგრამ, რაც უმთავრესია — მათ არ იცოდნენ, არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდათ პროლეტარულ სტრატეგიასა და ტაქტიკაზე. ახალი ტიპის დიდ სარდლებსა და სტრატეგებზე, რომლებსაც განვლილი ჰქონდათ სამი დიდი რევოლუციის სკოლა და რომელთა წინაშე იარაღი უნდა დაეყარათ ბურჟუაზიული არმიების საუკეთესო გენერლებს. რევოლუციამ ხალხის წიაღიდან ბლომად წარმოშვა უნიჭიერესი სარდლები, რომლებმაც თავი გასწირეს, თავიანთ პოსტებზე დაიღუპნენ და დაიცვეს საბჭოთა ხელისუფლება.

დიდია და ფასდაუდებელი ამხანაგ ს ტ ა ლ ი ნ ი ს როლი ინტერვენტებისა და თეთრგვარდიელების საბოლოო განადგურებაში სამოქალაქო ომის დროს. ამხანაგ ს ტ ა ლ ი ნ ს რომ პროლეტარიატისა და რევოლუციის წინაშე სხვა დამსახურება არ ჰქონოდა, მარტო ეს დამსახურებაც სავსებით საკ-

მარისი იქნებოდა იმისათვის, რომ მისი სახელი სამუდამოდ ყოფილიყო უჭკნობი დიდებით მოსილი. ცნობილია, რომ გამცემელ ტროცკის თავისი არასწორი ბრძანებებით არევ-დარევა შეჰქონდა წითელარმიელთა ნაწილებში, რომ ის აშკარად უაზრო სტრატეგიულ გეგმებს ადგენდა წითელ არმიის ოპერატიული მოქმედებისათვის. ტროცკის ყველა ეს მოქმედება აშფოთებდა წითელი არმიის ნაწილთა იმ მეთაურებსა და კომისრებს, რომელნიც ერთგულნი და თავდადებულნი იყვნენ. საჭირო იყო პარტიის, ლენინის მაღალი ნდობით აღჭურვილი ადამიანი, რომელიც გაბედულად და გადაჭრით უკუაგდებდა ყველა ამ უბადრუკ სტრატეგიულ გეგმებს, რომლებიც წითელ არმიას მხოლოდ დამარცხებას განუმზადებდენ; საჭირო იყო ისეთი ადამიანი, რომელიც დაუყონებლივ შესცვლიდა მათ სხვა სტრატეგიული გეგმებით, პროლეტარული სტრატეგის ღირსი გეგმებით. ასეთი იყო სწორედ ამხანაგი სტალინი, რომელსაც, როგორც რევოლუციის საუკეთესო ორგანიზატორსა და საუკეთესო სტრატეგს, პარტიის ცენტრალური კომიტეტი და ამხანაგი ლენინი მთელი სამოქალაქო ომის განმავლობაში გზავნიდნენ ერთი ფრონტიდან მეორეზე, სადაც კი წითელ არმიას ყველაზე მეტი საფრთხე ემუქრებოდა. საკმარისი იყო გამოჩენილიყო ასეთ ადგილებში ამხანაგი სტალინი, და იქ მდგომარეობა ერთბაშად იცვლებოდა და გამარჯვება უზრუნველყოფილი იყო. ასე იყო ცარიცინის ფრონტზე, შემდეგ აღმოსავლეთის და სამხრეთის ფრონტებზე და პეტროგრადთან. ამხანაგი სტალინი აუქმებდა ტროცკის უვარგის სტრატეგიულ გეგმებს, ფაქტიურად აშორებდა რა მას ხელმძღვანელობას, არჩევდა ბოლშევიკთა კადრებს მეთაურთა შემადგენლობისათვის, აწესებდა მეთაურთა პასუხისმგებლობას, შემოჰქონდა უსასტიკესი სამხედრო დისციპლინა წითელი არმიის ნაწილებში. ყველა უმნიშვნელოვანეს სამხედრო-სტრატეგიულ გეგმებს ამუშავებდნენ ლენინი და სტალინი და ამ გეგმებს ცხოვრებაში ატარებდნენ ახალი ტიპის სარდლები — ფრუნზე, ვოროშილოვი, ბუდიონი და სხვ.

გენიალურად შემუშავებული სტრატეგიული გეგმებისა და ამხანაგ სტალინის უშუალო გენიალური ხელმძღვანელობის შედეგად, განადგურებულ და მოსპობილ იქნენ კრასნოვი, დუტოვი, იუდენიჩი, კოლჩაკი, დენიკინი, ვრანგელი, თეთრპოლონელები. საბჭოთა ხელისუფლება გადარჩენილ იქნა.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება სამოქალაქო ომში ვერ იქნებოდა უზრუნველყოფილი, რომ, ერთი მხრივ, ღარიბი გლეხობა საშუალო გლეხობასთან ერთად და, მეორე მხრივ, ცარიზმის მიერ დაჩაგრული და დამონებული ხალხები გადაჭრით არ მიმხრობოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას.

ამხანაგმა სტალინმა ჯერ კიდევ რევოლუციამდე დიდი ხნით ადრე უძვირფასესი განძი შეიტანა მარქსისტულ-ლენინური თეორიის საგანძურში— თავისი შრომა „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი". მას კარგად ესმოდა, რომ, თუ ეს საკითხი საფუძვლიანად არ იქნებოდა შესწავლილი, თუ არ იქნებოდა შემუშავებული მისი გადაჭრის პროგრამა და გეგმა, თუ ხელი არ შეეწყობოდა ნაციონალურ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას და თუ ეს მოძრაობა დაკავშირებული არ იქნებოდა მუშათა კლასის მოძრაობასთან, ისე კაპიტალის უღლისაგან მუშათა კლასის განთავისუფლების

საქმე დაბრკოლდებოდა და შეფერხდებოდა. ამხანაგ სტალინის უშესანიშნავესი შრომა — „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი", დაწერილი და გამოქვეყნებული ჯერ კიდევ 1913 წელს, საფუძველად დაედო ბოლშევიკური პარტიის ნაციონალურ პროგრამას, რომელსაც ეყრდნობა ლენინურ-სტალინური პარტიის ნაციონალური პოლიტიკა. მაგრამ ამხანაგი სტალინი არის ნაციონალური საკითხის არა მარტო გენიალური თეორეტიკოსი, ამასთან ერთად მისი დამსახურებაა ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის პრაქტიკული გატარება ცხოვრებაში, ყველა ხალხის ნამდვილი თანასწორუფლებიანობის პრაქტიკული განხორციელება, ნაციონალიზმისა და შოვინიზმის აღმოფხვრა, სსრ კავშირის ხალხთა შორის ძმობისა და მეგობრობის შექმნა და განმტკიცება. ამხანაგ სტალინის დამსახურება ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ნამდვილად განხორციელების დარგში ჭეშმარიტად ფასდაუდებელია.

ამხანაგი სტალინის, როგორც სოციალისტური სახელმწიფოს სახელმწიფო მოღვაწის, დასახასიათებლად უაღრესად საინტერესოა მის მიერ 1921 წლის დასაწყისში ლენინისადმი გაგზავნილი წერილი რუსეთის ელექტროფიკაციის გეგმის გამო, რომელიც შეადგინეს მაშინდელმა სპეციალისტებმა პირადად ვ. ი. ლენინის წინადადებით და რომელიც ცნობილია „გოელროს" სახელწოდებით. ამ წერილში მოცემული იყო აღნიშნული გეგმის გენიალური შეფასება. აქვე ამხანაგმა სტალინმა გზადაგზა სასაცილოდ აიღო ტროცკის სულელური „გეგმა" რუსეთის სამეურნეო აღორძინებისა, აგრეთვე რიკოვის მიერ „გოელროს" მეშჩანური კრიტიკა.

საბჭოების II ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა წარმოსთქვა ისტორიული ფიცი სოციალიზმის დიდი მასწავლებლის — ვ. ი. ლენინის გარდაცვალების გამო. ეს ფიცი ყველამ იცის. ამხანაგი სტალინი დებდა ამ ფიცს მთელი პარტიის, დიდი მასწავლებლის ლენინის მიერ შექმნილი და გამოზრდილი პარტიის სახელით, მთელი საბჭოთა ხალხის სახელით. ისტორიამ არაფერი იცის ამხანაგ სტალინის ამ ფიცის მსგავსი. ის ლაპარაკობდა მტკიცეთ და გულდაჯერებით, მან იცოდა, თუ რა ფიცს სდებდა თავისი დიდი მასწავლებლის სამარის წინაშე. ის ფიცს სდებდა, რომ წმინდად შეასრულებდა ვ. ი. ლენინის დიად ანდერძს. ამ ანდერძთა შორის უმთავრესი იყო: პარტიის ერთიანობის შენარჩუნება, პროლეტარიატის დიქტატურის შენარჩუნება და განმტკიცება, მუშათა და გლეხთა კავშირის შენარჩუნება და განმტკიცება, სსრ კავშირის განმტკიცება და გაფართოება, წითელი არმიისა და წითელი ფლოტის განმტკიცება, კომუნისტური ინტერნაციონალის განმტკიცება და გაფართოება. პარტიაში მოიპოვებოდნენ ისეთი ადამიანები, რომელთაც თავიანთი თავი ბელადებად მოჰქონდათ, მაგრამ რომელნიც ძირს უთხრიდნენ პარტიის ერთიანობას, არ სწამდათ, რომ საბჭოთა რუსეთში შეიძლება სოციალიზმის აშენება, სურდათ მოესპოთ პროლეტარიატის დიქტატურა და გზა გაეკაფათ კაპიტალიზმის რესტავრაციისათვის. თავდაპირველად ეს ვაჟბატონები ვერ ბედავდნენ ყოველივე ამაზე აშკარად ლაპარაკს, მაგრამ ლენინის ერთგულ მოწაფეებს და უპირველეს ყოვლისა ი. ბ. სტალინს კარგად ესმოდათ, თუ სახელდობრ რა სწადდათ ტროცკის, ზინოვიევს, კამენევს, ბუხარინს, რიკოვსა და მათ კომპანიას. დასაწყისში ეს გამცემლები ჩვე-

ულებრივ გამოდიოდნენ, როგორც ოპოზიციონერები, მოითხოვდნენ რა პარტიის შიგნით აზრთა „თავისუფლების", ფრაქციათა თავისუფლების დაკანონებას, რათა ძირი გამოეთხარათ პარტიის ერთიანობისათვის და შეეტანებინათ მისი რკინისებური ბოლშევიკური დისციპლინა. ოპოზიციონერები განსაკუთრებით ცდილობდნენ გამოეყენებინათ პარტიის წინააღმდეგ ბრძოლაში საბჭოთა ხელისუფლების სიძნელენი, რითაც კიდევ უფრო აღრმავებდნენ ამ სიძნელეებს. ისინი ბედავდნენ ბრალად დაედოთ ლენინური ცენტრალური კომიტეტისათვის გადაგვარება, ტერმიდორიანობა, ნაციონალური შეზღუდულობა. ხოლო, რაც უმთავრესია, ეს იყო ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის უარყოფა. მაგრამ ყველა მათი ცრუ და ცილისმწამებლური ბრალდება, ყველა მათი შხამიანი ისარი მიმართული იყო უწინარეს ყოვლისა ლ ე ნ ი ნ ი ს ყველაზე ერთგული მოწაფის წინააღმდეგ, პარტიისა და პროლეტარული რევოლუციის ყველაზე ერთგული ადამიანის წინააღმდეგ, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ს ტ ა ლ ი ნ ი ს წინააღმდეგ. ოპოზიციონერებს უნდოდათ თავისი გზიდან პირველ რიგში მოეშორებიათ ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი, რათა გაეადვილებინათ ბრძოლა მთელი პარტიის წინააღმდეგ, ვინაიდან მათ კარგად ესმოდათ, რომ ს ტ ა ლ ი ნ ი ყველაზე მტკიცე ლენინელი და ლ ე ნ ი ნ ი ს ანდერძის ყველაზე ერთგული დამცველი იყო. მაგრამ ისინი მოსტყუვდნენ თავიანთ ანგარიშში. ამხანაგმა ს ტ ა ლ ი ნ მ ა გააცამტვერა ტროცკისტების, ბუხარინელებისა და რიკოველების ყველა ცილისმწამებლური ბრალდება და ამხილა ამ ვაჟბატონების ყველა ფარული და აშკარა ვერაგობანი ლ ე ნ ი ნ-ს ტ ა ლ ი ნ ი ს პარტიის წინააღმდეგ, პროლეტარული დიქტატურის წინააღმდეგ, ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის წინააღმდეგ.

ოპოზიციის წარმომადგენლები ორგულნი, თვალთმაქცნი და ფარისეველნი აღმოჩნდნენ. როცა მათ ამხელდნენ და ჩიხში მოამწყვდევდნენ, ისინი თვალთმაქცურად მოინანიებდნენ — შევცდით, აწი პარტიის გენერალური ხაზის წინააღმდეგ არ წავალთო. მაგრამ ისინი საზიზღრად სცრუობდნენ და ორგულობდნენ, ვინაიდან ყოველთვის, როცა პარტია ახდენდა მობრუნებას კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ გადაჭრითი შეტევისაგან და აჩქარებდა სოციალიზმის მშენებლობის ტემპებს, „ყოფილი ოპოზიციონერები" კვლავ და კვლავ ჩნდებოდნენ სცენაზე და უმასპინძლდებოდნენ პარტიას თავიანთი ძველი, არაერთხელ უარყოფილი პლატფორმებით, რომლებიც შეზავებული იყო მემარჯვენე-„მომემარცხენო" ან მემარჯვენე-ოპორტუნისტულ ლოზუნგებით. და ეს მანამდე გრძელდებოდა, სანამ ეს ვაჟბატონები არ გაეძევეს თავიანთი პოსტებიდან და არ გარიცხეს პარტიიდან. მიუხედავად იმისა, რომ ეს ოპოზიციონერები პარტიასა და საბჭოთა ხელისუფლებას ძალიან ბევრ ზიანს აყენებდნენ, პარტია კიდევ უფრო განმტკიცდა ყველა ამ ოპოზიციურ დაჯგუფებასთან ბრძოლაში. მან განამტკიცა თავისი რიგების ერთიანობა და მონოლითურობა, განმტკიცდა და გაძლიერდა პროლეტარიატის დიქტატურა, სწრაფი ტემპით გაიშალა სოციალიზმის მშენებლობა. ჯერ კიდევ პარტიის XIV ყრილობაზე, 1925 წლის დამლევს, ამხანაგმა ს ტ ა ლ ი ნ მ ა შემდეგი სიტყვებით განსაზღვრა პარტიის ძირითადი ამოცანა: „გ ა დ ა ვ ა ქ ც ი ო თ ჩ ვ ე ნ ი ქ ვ ე ყ ა ნ ა ა გ რ ა რ ულ ი დ ან ინ დ უ ს ტ რ ი ულ

ქვეყნად, რომელსაც შეეძლება თავისი საკუთარი ძალებით აწარმოოს საჭირო მოწყობილობა, — აი რაშია ჩვენი გენერალური ხაზის დადებითი არსი, საფუძველი". („საკ. კ. პ. (ბ) ისტორია", გვ. 335, კურსივი ჩვენია). ამავე ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა მიგვითითა, რომ პარტიის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა „მუშათა კლასის მტკიცე კავშირი საშუალო გლეხთან სოციალიზმის მშენებლობის საქმეში". მან მიგვითითა ორ გადახრაზე გლეხთა საკითხში, რომლებიც მაშინ პარტიაში არსებობდნენ და რომლებიც წარმოადგენდნენ საფრთხეს ამ კავშირის საქმისათვის. „პირველი გადახრა — ეს იყო კულაკური საფრთხის შეუფასებლობა და დამცირება, მეორე — პანიკა, შიში კულაკის წინაშე და საშუალო გლეხის როლის შეუფასებლობა" (იქვე). ამხანაგ სტალინის ამ მითითებებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ კულაკობისა და საშუალო გლეხების მიმართ პარტიის სწორი პოლიტიკის გატარების საქმეში. პარტიის XV ყრილობაზე, რომელიც 1927 წლის დამლევს შესდგა, პარტია ამხანაგი სტალინის ინიციატივით კიდევ უფრო გადამწყვეტ ნაბიჯებს სდგამს სოციალიზმის მშენებლობის გზაზე როგორც ქალაქად, ისე სოფლად. დახატა რა მრეწველობასთან შედარებით სოფლის მეურნეობის მძიმე მდგომარეობის სურათი, ამხანაგი სტალინი თავის სანგარიშო მოხსენებაში კითხულობდა: „მაშ სად არის გამოსავალი?" „გამოსავალი იმაშია, — უპასუხა მან, — რომ წვრილ და უწვრილეს გლეხურ მეურნეობებს თანდათანობით, მაგრამ განუხრელად, არა იძულების წესით, არამედ ჩვენებისა და დარწმუნების წესით, ვაერთიანებდეთ მსხვილ მეურნეობებად მიწის საზოგადობრივი, საამხანაგო, კოლექტიური დამუშავების საფუძველზე, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და ტრაქტორების გამოყენებით, მიწათმოქმედების ინტენსიფიკაციის მეცნიერული ხერხების გამოყენებით. სხვა გამოსავალი არ არის". („საკ. კ. პ. (ბ) ისტორია", გვ. 351). ყრილობამ ამხანაგ სტალინის მითითებით გამოიტანა გადაწყვეტილება სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ყოველნაირად გაშლის შესახებ. ეს იყო პირველი გადამწყვეტი, მაგრამ ამავე დროს მეტად ფრთხილი ნაბიჯი სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისაკენ; მთლიანი კოლექტივიზაციისათვის ყველა პირობა ჯერ კიდევ არ იყო მომზადებული. მთელ სახალხო მეურნეობაში გეგმიანი საწყისის კიდევ უფრო განმტკიცების, აგრეთვე კაპიტალისტურ ელემენტებზე შეტევის კიდევ უფრო გაძლიერების მიზნით, XV ყრილობამ ამხანაგ სტალინის წინადადებით სათანადო ორგანოებს მითითება მისცა შეედგინათ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის პირველი ხუთწლიანი გეგმა. ხოლო 1929 წ. აპრილში, XVI პარტკონფერენციაზე მიღებულ იქნა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის პირველი ხუთწლიანი გეგმა. პირველი ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანა ამხანაგმა სტალინმა ასე განსაზღვრა „პირველი ხუთწლედის ძირითადი ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ შეექმნა ჩვენს ქვეყანაში ისეთი ინდუსტრია, რომელიც შესძლებდა ხელახლა შეეიარაღებინა და გადაეკეთებინა არა მარტო მრეწველობა მთლიანად, არამედ ტრანსპორტიცა და სოფლის მეურნეობაც—სოციალიზმის ბაზაზე" (სტალინი. ლენინიზმის საკითხები", გვ. 574). როგორც ცნობილია, პირველი ხუთწლედის მიღებას მემარჯვენე და

„მემარცხენე“ ოპორტუნისტები (რიკოვი, ბუხარინი და სხვ.) მტრულად შეხვდნენ, და მათი დამოკიდებულება პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ამ უმნიშვნელოვანესი ღონისძიებებისადმი თითქმის არაფრით არ განსხვავდებოდა სოციალიზმის აშკარა და მოსისხლე მტრების დამოკიდებულებისაგან. ამავე დროს კი, ჩვენს ქვეყანაში ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობითა და ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი ს მეთაურობით, სწრაფი ტემპით ვითარდებოდა გრანდიოზული, ისტორიაში სრულიად უმაგალითო სოციალისტური მშენებლობა. ამ მშენებლობის ძალა და გაქანება ამხანაგმა ს ტ ა ლ ი ნ მ ა ამცნო მთელ მსოფლიოს ჯერ კიდევ 1929 წელს ცნობილი სტატიით „დ ი ა დ ი გ ა რ დ ა ტ ე ხ ი ს წ ე ლ ი წ ა დ ი“ („პრავდა“, 7 ნოემბერი), რომლის დასკვნაში ავტორი სწერდა: „ჩვენ მთელი სისწრაფით მივექანებით ინდუსტრიალიზაციის გზით — სოციალიზმისაკენ და უკან ვტოვებთ ჩვენს საუკუნოებრივ „რუსეთულ“ ჩამორჩენილობას. ჩვენ ვხდებით ლითონის ქვეყნად, ავტომობილიზაციის ქვეყნად, ტრაქტორიზაციის ქვეყნად. და როდესაც საბჭოთა კავშირს დავსვამთ ავტომობილზე, ხოლო გლეხს—ტრაქტორზე, მაშინ სცადონ და დაგვეწიონ პატივცემული კაპიტალისტები, რომლებსაც თავი მოაქვთ თავისი „ცივილიზაციით“ (ს ტ ა ლ ი ნ ი. „ლენინიზმის საკითხები“, გვ. 354). ეს ჭეშმარიტად წინასწარმეტყველური სიტყვები იყო. ამხანაგმა ს ტ ა ლ ი ნ მ ა ჯერ კიდევ მაშინ, რამდენიმე წლის წინათ, ნათლად განსჭვრიტა პირველი ხუთწლედის წარმატებით დამთავრება.

1929 წლის ზაფხულიდან პარტია ამხანაგ ს ტ ა ლ ი ნ ი ს უშუალო ხელმძღვანელობით გადადის ლოზუნგზე — კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაცია სოფლის მეურნეობის მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე. ამხანაგმა ს ტ ა ლ ი ნ მ ა პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ღონისძიების გენიალური დასაბუთება მოგვცა თავის გამოსვლაში აგრარიკოს-მარქსისტთა კონფერენციაზე, 1929 წლის 27 დეკემბერს. „შეიძლება თუ არა, — კითხულობდა ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი, — დაჩქარებული ტემპით წავსწიოთ წინ ჩვენი სოციალიზებული ინდუსტრია, როცა გვაქვს ისეთი სასოფლო-სამეურნეო ბაზა, როგორიც არის წვრილი გლეხური მეურნეობა, რომელსაც არა აქვს გაფართოებული რეპროდუქციის უნარი და რომელიც ამასთან წარმოადგენს უპირატეს ძალას ჩვენს სახალხო მეურნეობაში? არა, არ შეიძლება“, — უპასუხებდა ის (ს ტ ა ლ ი ნ ი „ლენინიზმის საკითხები“, გვ. 358). ამასთან ერთად საჭირო იყო იმ გარემოების გათვალისწინებაც, რომ კულაკობას, რომელიც განაგრძობდა უღარიბესი გლეხობის დაუზოგავად და უტიფრად ექსპლუატირებას, აშკარად მტრული პოზიცია ეკავა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. და აი დადგა დრო, როდესაც „კულაკობის ექსპლუატატორული ტენდენციების შ ე ზ ღ უ დ ვ ი ს პ ო ლ ი ტ ი კ ი დ ა ნ ჩვენ გადავედით კულაკობის, როგორც კლასის, ლ ი კ ვ ი დ ა ც ი ი ს პ ო ლ ი ტ ი კ ა ზ ე“. ს ტ ა ლ ი ნ ი. „ლენინიზმის საკითხები“, გვ. 372) კულაკობის მიმართ პოლიტიკაში ამ მძაფრი მობრუნების ღირსეულ შეფასებას ჩვენ ვპოულობთ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის“ კურსში, სადაც ვკითხულობთ: „ეს იყო უ ღ რ მ ე ს ი რ ე ვ ო ლ უ ც ი ო ს ი გადატრიალება, ნახტომი საზოგადოების ძველი თვისობრივი მდგომარეობიდან ახალი თვისობრივი მდგომარეობისაკენ, რომელიც თავისი შ ე დ ე გ ე ბ ი თ 1917 წ ლ ი ს ო ქ ტ ო მ ბ ე რ-

ში მომხდარი რევოლუციური გადატრიალების თანაბარი მნიშვნელობისა იყო“ (გვ. 371).

ყველასათვის ცნობილია, თუ რა არაჩვეულებრივი ენტუზიაზმი და ალფრთოვანება გამოიწვია ამ რადიკალურმა მობრუნებამ გლეხთა მასებში. ერთბაშად გაიშალა „მძლავრი საკოლმეურნეო მოძრაობა. გლეხები მთელი ოჯახობითა და რაიონობით შედიოდნენ კოლმეურნეობებში და გზიდან იშორებდნენ კულაკობას. მაგრამ ალაგ-ალაგ ამ უდიდეს საქმეში, გაფრთხილების მიუხედავად, პარტიულმა ორგანიზაციებმა დაუშვეს სერიოზული შეცდომები და პარტიის ხაზის გამრუდება. ამის გამო ამხანაგმა სტალინმა 1930 წლის 2 მარტს გამოაქვეყნა შესანიშნავი სტატია სათაურით „თავბრუდახვევა წარმატებებისაგან“, რომელშიც დაუზოგავად იყო მხილებული ყველა შეცდომა და გამრუდება, დაშვებული კოლექტივიზაციის დარგში ზოგიერთი უთავბოლო ადამიანის მიერ. „ვის სჭირდება ეს გამრუდებანი, — კითხულობდა ამხანაგი სტალინი, — საკოლმეურნეო მოძრაობის ეს ჩინოვნიკური დეკრეტირება, ეს არასაკადრისი მუქარა გლეხების მიმართ?, არავის, ჩვენი მტრების გარდა“, — უპასუხებდა ამხანაგი სტალინი (ლენინიზმის საკითხები, გვ. 385). შემდეგ სტატიაში ამავე საკითხზე „პასუხი ამხანაგ კოლმეურნეებს“, რომელიც გამოქვეყნდა „პრავდაში“ 1930 წლის 30 აპრილს, ამხანაგმა სტალინმა მოგვცა საკოლმეურნეო მოძრაობაში დაშვებული 'მეცდომათა და დამახინჯებათა კიდევ უფრო გაშლილი კრიტიკა და გვიჩვენა მათი გამოსწორების გზები და საშუალებანი.

პირველი ორი სტალინური ხუთწლედის შესრულების შედეგად მესამე სტალინური ხუთწლედის საზღვარზედ სსრ კავშირი ძირფესვიანად გარდაიქმნა. სამუდამოდ მოსპობილია ექსპლუატატორული და პარაზიტული კლასები, ლიკვიდირებულია უმუშევრობა, მთლად მოსპობილია ის პირობები, რომლებიც წარმოშობენ ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციას, ბოლო მოეღო სსრ კავშირის ხალხთა ეკონომიურ და კულტურულ ჩამორჩენილობას და დამთავრებულია დიადი საქმე: ჩვენს ქვეყანაში ძირითადად აშენებულია სოციალიზმი და საბჭოთა საზოგადოება შევიდა სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის პერიოდში. დაძლეულია არაჩვეულებრივი სიძნელენი, შესრულებულია უდიდესი ამოცანა, დასმული ჯერ კიდევ რუსეთის რევოლუციური მოძრაობის განთიადზე ლენინის გენიალურ შრომაში— „რანი არიან ხალხის მეგობრები და როგორ იბრძვიან ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ“, ამასთან ერთად შესრულებულია ვ. ი. ლენინის დიადი ანდერძი, შესრულებულია ი. ბ. სტალინის დიადი ფიცი, მის მიერ ლენინის სამარესთან საზეიმოდ დადებული. ასეთია ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ბრძოლის და გამარჯვებათა შედეგები.

სსრ კავშირის სოციალისტური სახალხო მეურნეობის კოლოსალური წარმატებანი უაღრესად მჭიდროდ არის დაკავშირებული წითელი არმიისა და წითელი ფლოტის ყოველნაირად განმტკიცებისათვის ზრუნვასთან. ამხანაგი სტალინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა და აქცევს წითელი არმიის, წითელი ფლოტისა და წითელი ავიაციის საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების გაძლიერებას. მისი ინიციატივითა და მისი მითითებით შექმნილი და მომზადებული არიან პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ერთგული

და თავდადებული კადრები სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, აგრეთვე სამხედრო დარგშიც. ისეთი უერთგულესი და უმამაცესი კადრები, რომელიც ჰყავს საბჭოთა ქვეყანას სამხედრო დარგში, ავიაციის დარგში, არა ჰყავს მსოფლიოს არცერთ სხვა ქვეყანას. ეს კადრები გამოზრდილია და სოციალიზმის დიადი საგმირო საქმეებისათვის აღფრთოვანებულია სტალინის დიდ გენიის მიერ.

ამხანაგი სტალინი ყოველთვის გენიალური მარქსისტულ-ლენინური გამჭრიახობით იძლეოდა საერთაშორისო მდგომარეობის ანალიზს და ითვალისწინებდა შექმნილ ვითარებას, რათა ყოველივე ამის საფუძველზე მიეღო ზომები მშვიდობიანობის შესანარჩუნებლად. დაუზოგავად და ოსტატურად ამხილებდა რა ყველა გაქნილი ბურჟუაზიული დიპლომატის სიცრუესა და ხრიკებს, ამხანაგი სტალინი ყოველთვის ღირსეულ პასუხს აძლევდა ომის ყველა პროვოკატორსა და გამჩაღებლებს. პარტიის XVIII ყრილობაზე გაკეთებულ საანგარიშო მოხსენებაში ამხანაგმა სტალინმა, სასტიკად ამხილა რა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის გამჩაღებლები და საერთაშორისო მასშტაბით ატეხილი ხმაური, განაცხადა: „გამოდის, რომ ეს საეჭვო ხმაური მიზნად ისახავდა აღენთო საბჭოთა კავშირის გააფთრება გერმანიის წინააღმდეგ, მოეწამლა ატმოსფერო და პროვოკაციულად გამოეწვია კონფლიქტი გერმანიასთან საამისოდ აშკარა საფუძვლების უქონლად". (ი. სტალინი. საანგარიშო მოხსენება XVIII ყრილობაზე, გვ. 16), ახლა ყველასათვის ცნობილია, რომ ეს პროგნოზი მთლიანად გაამართლეს შემდგომმა მოვლენებმა. მოვლენებმა სავსებით დაადასტურეს ამხანაგი სტალინის მეორე პროგნოზიც ჩაურევლობის პოლიტიკის ეგრეთწოდებულ ვითომდა მომხრეების მიმართ, რომელთა შესახებ ამხანაგმა სტალინმა იმავე მოხსენებაში განაცხადა: „მაგრამ, საჭიროა შევნიშნოთ, რომ დიდი და სახიფათო პოლიტიკური თამაში, რომელიც ჩაურევლობის პოლიტიკის მომხრეებმა დაიწყეს, შეიძლება მათთვის სერიოზული მარცხით დამთავრდეს." (ი. სტალინი. საანგარიშო მოხსენება პარტიის VXIII ყრილობაზე, გვ. 17) თავის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XVIII ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა, შეჩერდა რა გზააბნეული ბურჟუაზიული პოლიტიკოსების საომარ გეგმებზე, განაცხადა: „მაგრამ თუ ბურჟუაზია არჩევს ომის გზას, კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასი, სასოწარკვეთილებამდე მოყვანილი ოთხი წლის კრიზისითა და უმუშევრობით, დგება რევოლუციის გზაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ მწიფდება და უფრო მომწიფდება რევოლუციური კრიზისი". (ლენინიზმის საკითხები, გვ. 646). ასეთია ამხანაგ სტალინის მარქსისტულ-ლენინური ანალიზი საერთაშორისო პოლიტიკის დარგში, ანალიზი რომელსაც ემყარება საბჭოთა ხელისუფლების საერთაშორისო პოლიტიკა.

ლენინთან ერთად ამხანაგი სტალინი სოციალიზმის უდიდესი მასწავლებელია. ხელმძღვანელობს რა სოციალისტურ სახელმწიფოს, ის ასწავლის საბჭოთა ხალხს, თუ როგორ უნდა იმოქმედოს, რომ მიაღწიოს გამარჯვებას სოციალისტური მშენებლობის ამა თუ იმ უბანში, ამა თუ იმ დარგში, ავიღოთ, მაგალითად, სამუშაოს გაცდენისა და შრომის ნაყოფიერების საკითხი. ჯერ კიდევ 1926 წელს ლენინგრადის ორგანიზაციის აქტივის კრებაზე გაკეთებულ მოხსენებაში ამხანაგი სტალინი ამბობდა:

„ათი და ასი ათასობით სამუშაო დღე იკარგება მრეწველობისათვის სამუშაოს გაცდენის გამო. ასი ათასები და მილიონები იკარგება ამის გამო ჩვენი მრეწველობის, ჩვენი ინდუსტრიის საზარალოდ. ჩვენ ვერ ვავიეთ წინ ჩვენს ინდუსტრიას, ჩვენ ვერ გავადიდებთ ხელფასს, თუ არ შესწყდება გაცდენა, თუ შრომის ნაყოფიერება ერთს წერტილზე გაიყინება. უნდა განემარტოთ მუშებს, მეტადრე იმათ, რომელნიც ცოტა ხნის წინათ შევიდნენ ფაბრიკებსა და ქარხნებში, უნდა განემარტოთ, რომ როცა ისინი სამუშაოს აცდენენ და არ ადიდებენ შრომის ნაყოფიერებას, ამით მოქმედებენ საერთო საქმის საზიანოდ, მთელი მუშათა კლასის საზიანოდ, ჩვენი მრეწველობის საზიანოდ. ბრძოლა სამუშაოს გაცდენასთან, ბრძოლა შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად ჩვენი მრეწველობის ინტერესებისათვის, მთელი მუშათა კლასის ინტერესებისათვის— ასეთია ამოცანა“. სტალინურმა ბრძოლამ ლენინიზმის მტრების წინააღმდეგ უზრუნველჰყო ჩვენი გამარჯვება.

მოხსენებაში პარტიის XVI ყრილობაზე ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი, ლაპარაკობს რა გადახრებზე ლენინური ხაზიდან, სვამს კითხვას:

„განა შეიძლება წარმატებით ბრძოლა კლასობრივ მტრებთან, თუ ამავე დროს არ ვებრძოლეთ გადახრებს ჩვენს პარტიაში, თუ არ დავძლიეთ ეს გადახრები? — არა, არ შეიძლება“, — უპასუხებს იგი...

„აქედან შეურიგებელი ბრძოლა გადახრებთან ლენინური ხაზიდან, როგორც პარტიის მორიგი ამოცანა.

რატომ წარმოადგენს მემარჯვენე გადახრა ამჟამად მთავარ საფრთხეს პარტიაში? — ჰკითხულობს ის შემდეგ და უპასუხებს: — იმიტომ, რომ ის გამოხატავს კულაკურ საფრთხეს, ხოლო კულაკური საფრთხე ამჟამად, გაშლილი შეტევის და კაპიტალიზმის ფესვების ამოთხრის მომენტში, ძირითად საფრთხეს წარმოადგენს ჩვენს ქვეყანაში.

რა უნდა გაეკეთებია ცენტრალურ კომიტეტს, რომ დაეძლია მემარჯვენე გადახრა, საბოლოოდ გაენადგურებია „მემარცხენე“ გადახრა და გაეწმინდა გზა ლენინური ხაზის ირგვლივ პარტიის მაქსიმალურად შემჭიდროებისათვის?

ა) საჭირო იყო, უწინარეს ყოვლისა, მოგვესპო ტროცკიზმის ნაშთები პარტიაში, მოგვესპო ტროცკისტული თეორიის ნაშთები. ტროცკისტული ჯგუფი, როგორც ოპოზიცია, ჩვენ უკვე დიდი ხანია გავანადგურეთ და გავაგდეთ ჩვენი რიგებიდან. ამჟამად ტროცკისტული ჯგუფი წარმოადგენს ანტიპროლეტარულ და ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციურ ჯგუფს, რომელიც გულმოდგინედ აწვდის ცნობებს ბურჟუაზიას ჩვენი პარტიის საქმეების შესახებ. მაგრამ ტროცკისტული თეორიის ნაშთები, ტროცკიზმის ნაშთები ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის აღმოფხვრილი პარტიიდან. და, აი, საჭირო იყო უწინარეს ყოვლისა ამ ნაშთების მოსპობა“ („ლენინიზმის საკითხები“, 1935 წლის ქართული გამოცემა, გვ. 494—495).

ამხელს რა მემარჯვენე და „მემარცხენე“ გადახრებს პარტიაში, ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი იმავე მოხსენებაში შეეხო აგრეთვე პარტიაში არსებულ გადახრებს ნაციონალური საკითხის დარგში.

„მე მხედველობაში მაქვს, — ამბობს იგი,—ჯერ ერთი, გადახრა ველიკორუსული შოვინიზმისაკენ და, მეორე, გადახრა ადგილობრივი ნაციონალიზმისაკენ“... „მათ შეიძლება ვუწოდოთ მცოცავი გადახრები“...

„რაში მდგომარეობს ველიკორუსული შოვინიზმისაკენ გადახრის დედაარსი ჩვენს თანამედროვე პირობებში? — ჰკითხულობს იგი.

ველიკორუსული შოვინიზმისაკენ გადახრის დედაარსი მდგომარეობს მისწრაფებაში გვერდი აუხვიონ ენის, კულტურის, ყოფაცხოვრების ნაციონალურ სხვადასხვაობას; მისწრაფებაში მოამზადონ ნაციონალური რესპუბლიკებისა და ოლქების ლიკვიდაცია; მისწრაფებაში ძირი გამოუთხარონ ნაციონალური თანასწორუფლებიანობის პრინციპს და სახელი გაუტეხონ პარტიის პოლიტიკას აპარატის ნაციონალიზაციის, პრესის, სკოლისა და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ნაციონალიზაციის საქმეში“ („ლენინიზმის საკითხები“, 1935 წ. ქართ. გამ., გვ. 501).

არღვევს რა ველიკორუსი შოვინისტების საბუთებს და არგუმენტებს, ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი ამბობს:

„ვინც ველიკორუსული შოვინიზმისაკენ იხრება, ღრმად სცდება, როცა ფიქრობს, რომ სოციალიზმის მშენებლობის პერიოდი საბჭოთა კავშირში არის ნაციონალური კულტურების დაშლის და ლიკვიდაციის პერიოდი. პირიქით, საქმე სულ საწინააღმდეგოდ არის. ნამდვილად პროლეტარიატის დიქტატურის და სოციალიზმის მშენებლობის პერიოდი საბჭოთა კავშირში არის შინაარსით სოციალისტურ და ფორმით ნაციონალურ კულტურათა ა ყ ვ ა ვ ე ბ ი ს პერიოდი“.

„ძნელი არ არის იმის გაგება, რომ ეს გადახრა გამოხატავს წინათ გაბატონებული ველიკორუსი ერის მომაკვდავი კლასების მისწრაფებას დაიბრუნონ დაკარგული პრივილეგიები“ („ლენინიზმის საკითხები“, 1935 წ. ქართ. გამ., გვ. 505 — 507).

ეხება რა შემდეგ ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ ი ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ზ მ ი ს ა კ ე ნ გ ა დ ა ხ რ ი ს დედაარსს, ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი ასე განმარტავს მას:

„ადგილობრივი ნაციონალიზმისაკენ გადახრის დედაარსი მდგომარეობს მისწრაფებაში განცალკევდნენ და ჩაიკეტონ თავისი ნაციონალური ნაჭუჭის ჩარჩოებში, მისწრაფებაში მიჩქმალონ თავისი ერის შიგნით კლასობრივი წინააღმდეგობანი, მისწრაფებაში დაიცვან თავი ველიკორუსული შოვინიზმისაგან სოციალისტური მშენებლობის საერთო ნაკადიდან განდგომის გზით, მისწრაფებაში არ დაინახონ ის, რაც აახლოვებს, აერთიანებს საბჭოთა კავშირის ეროვნებათა მშრომელ მასებს, და დაინახონ მხოლოდ ის, რასაც შეუძლია მათი ერთი მეორისაგან დაშორება“.

„ამ გადახრის საფრთხე მდგომარეობს იმაში, რომ ის ნერგავს ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს, ასუსტებს საბჭოთა კავშირის მშრომელ ხალხთა ერთიანობას და ხელს უწყობს ინტერვენციონისტებს“.

„პარტიის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოოს ამ გადახრასთან და უზრუნველჰყოს საბჭოთა კავშირის ხალხთა მშრომელი მასების ინტერნაციონალური აღზრდისთვის აუცილებელი პირობები“ („ლენ. საკ.“, 1935 წ. ქართ. გამ., გვ. 507 — 508).

ასე სვამდა და სწყვეტდა ნაციონალურ საკითხს ამხანაგი სტალინი პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში.

არღვევდა რა მეორეხარისხოვანი უკლონისტების (ბუხარინის, რიკოვისა და სხვების) იმ ანტიმარქსისტულ, ანტილენინურ შეხედულებებს, თითქოს სოცია-

ლისტური სახელმწიფოს ზრდა ხელს შეუწყობს „კლასობრივი ბრძოლის ქრობას“, რის გამოც კულაკები ვითომ „მშვიდობიანად შეეზრდებიან სოციალიზმს“, ამხანაგი სტალინი, საბჭოთა კავშირში კლასობრივი ბრძოლის ცოცხალი გამოცდილების საფუძველზე, ამტკიცებდა, რომ „საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების ზრდა გააძლიერებს მომაკვდავი კლასების უკანასკნელი ნაშთების წინააღმდეგობას“ და რომ კლასების მოსპობა შეიძლება „არა კლასობრივი ბრძოლის ქრობით, არამედ მისი გაძლიერებით“ („ლენინიზმის საკითხები“. 1935 წ. ქართ. გამ., გვ. 602 — 603).

ძალიან დამახასიათებელია ის, რომ ამხანაგი სტალინი მკაცრად ამათრახებდა და ამათრახებს ისეთ კომუნისტებს, რომელნიც, ხედავენ რა საბჭოთა ხელისუფლების დიდ წარმატებებს, უზრუნველნი ხდებიან და ივიწყებენ უალრესად არსებითს საქმეებს. თავის შესანიშნავ მოხსენებაში საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე (1935 წლის 3—5 მარტს) „პარტიული მუშაობის ნაკლოვანებებსა და ტროცკისტ და სხვათა თვალთმაქცთა ლიკვიდაციის ღონისძიებებზე“ ამხანაგი სტალინი, ეხება რა სამეურნეო წარმატებათა ზოგიერთ ჩრდილოვან მხარეს, ამბობს:

„წარმატებანი და მიღწევანი, რასაკვირველია, დიადი საქმეა. ჩვენი წარმატებანი სოციალისტური მშენებლობის დარგში მართლაც უდიდესია. მაგრამ წარმატებებს, როგორც ყველაფერს ამ ქვეყნად, თავისი ჩრდილოვანი მხარეებიც აქვს. იმ ადამიანებში, რომლებიც ნაკლებად ნაცადნი არიან პოლიტიკაში, დიდი წარმატებანი და დიდი მიღწევანი არაიშვიათად ჰბადებენ უდარდელობას, უზრუნველობას, თვითკმაყოფილებას, უსაზღვრო თვითრწმენას, თავგასულობას, მკვეხაროობას. თქვენ არ შეგიძლიანთ უარყოთ, რომ უკანასკნელ დროს მკვეხარები ჩვენში ისე მომრავლდნენ, რომ ვერც კი დასთვლით. გასაკვირველი არ არის, რომ სოციალისტური მშენებლობის დარგში დიდ და სერიოზულ წარმატებათა ამ ვითარებაში იქმნებიან ბაქიობის განწყობილებანი, ჩვენს წარმატებათა პარადული მანიფესტაციების განწყობილებანი, იქმნებიან ჩვენი მტრების ძალთა შეუფასებლობის განწყობილებანი, თავის ძალთა გადაფასების განწყობილებანი და, როგორც ყოველივე ამის შედეგი, — ჩნდება პოლიტიკური სიბრმავე“ (ცალკე ქართ. გამოცემა, 1937 წ., გვ. 59 — 60).

ბელადის ეს მამხილებელი სიტყვები და, საზოგადოდ, მთელი ეს განსაკუთრებული მნიშვნელობის მოხსენება მეტად დროული იყო და სათანადოდ იქმნა შეფასებული მთელი პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის მიერ.

ასე გვასწავლის ამხანაგი სტალინი. მაგრამ, ასწავლის რა სხვებს, ის თავათაც სწავლობს, და ამაშია მისი უდიდესი ღირსება. სტახანოველთა პირველ სრულიად საკავშირო თათბირზე (1935 წლის ნოემბერს) ამხანაგი სტალინი ამბობდა:

„ლენინი გვასწავლიდა, ნამდვილი ბოლშევიკ-ხელმძღვანელები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ისეთი ხელმძღვანელები, რომლებსაც შესწევთ უნარი არა

მარტო ასწავლონ მუშებსა და გლეხებს, არამედ მათგან კიდეც ისწავლონო". „მართლაც-და, მშრომელთა, მუშათა და გლეხთა მილიონები შრომობენ, ცხოვრობენ, იბრძვიან. ვის შეუძლია ეჭვი შეეპაროს იმაში, რომ ეს ადამიანები ამაოდ არ ცხოვრობენ, რომ ეს ადამიანები ცხოვრობენ, იბრძვიან და აგროვებენ უდიდეს პრაქტიკულ გამოცდილებას? განა შეიძლება ეჭვი შეგვეპაროს იმაში, რომ ხელმძღვანელები, რომელნიც ამ გამოცდილებას უგულებელყოფენ, არ შეიძლება ჩაითვალონ ნამდვილ ხელმძღვანელებად? მაშასადამე, ჩვენ, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებმა, არა მარტო უნდა ვასწავლოთ მუშებს, არამედ მათგანაც ვისწავლოთ. თქვენ, ამ თათბირის წევრებმა, რომ ზოგი რამ ისწავლეთ აქ, თათბირზე, ჩვენი მთავრობის ხელმძღვანელებისაგან, ამას მე არ უარვყოფ. მაგრამ არ შეიძლება არც იმის უარყოფა, რომ ჩვენც, მთავრობის ხელმძღვანელებმა ბევრი რამ ვისწავლეთ თქვენგან, სტახანოველებისაგან" („სიტყვა სტახანოველთა საკავშირო თათბირზე", 1935 წ., გვ. 29—30).

ეს დიადი ლენინური სიტყვები და აზრებია! უნდა ვისწავლოთ მასებისაგან, უნდა გამოვიყენოთ მილიონების გამოცდილება. მაშინ გავხდებით ნამდვილი ლენინურ-სტალინური ხელმძღვანელნი.

ჩვენ ვიცით, რომ ამხანაგი სტალინი სწავლობდა, უპირველეს ყოვლისა, თვით ცხოვრებისაგან. მან შეიწოვა უამრავ მშრომელთა უდიდესი გამოცდილება, გამოიყენა რა აქედან ყველაზე ძვირფასი და ყველაზე სასარგებლო კაპიტალის უღლის წინააღმდეგ ბრძოლაში და მუშებისა და გლეხების განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. მას შეეძლო გაეკეთებინა ეს არა მარტო იმიტომ, რომ იგი გენიოსია, არამედ იმიტომაც, რომ მას ფართოდ და ღრმად ესმის საერთოდ მეცნიერება და კერძოდ ისტორიული მეცნიერება. ამხანაგი სტალინი მარქს-ენგელსისაგანაც და ლენინისაგანაც სწავლობდა პირველი წყაროების მიხედვით. კვალდაკვალ მისდევდა რა თავის დიდ მასწავლებლებს, მან შეისწავლა პოლიტიკური ეკონომიაც, ისტორიაც, სოციოლოგიაც, ლიტერატურაც — ამ სიტყვის უფართოესი მნიშვნელობით.

დიდი ცოდნით აღჭურვილი ყველა ამ დარგში, ამხანაგი სტალინი თავისი შემოქმედებითი ჭკუით სვამდა და სწყვეტდა პროლეტარული რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის უძნელეს პრობლემებს, სვამდა და სწყვეტდა ამას ეკონომიურად ჩამორჩენილ და წვრილ-გლეხურ ქვეყანაში. საბჭოთა კავშირი არავითარ ფინანსიურ დახმარებას არ ღებულობდა გარედან, და თუ, მიუხედავად ამისა, მან წარმატებით გადასწყვიტა დაგროვების პრობლემაც და მძიმე ინდუსტრიის პრობლემაც, ეს უპირველეს ყოვლისა ამხანაგ სტალინის დამსახურება იყო. სტატიაში „დიდი გარდატეხის წელიწადი" ამხანაგმა სტალინმა ჩვეული სიცხადით და გარკვეულობით დაუმტკიცა მთელ მსოფლიოს, რომ, წინააღმდეგ ბურჟუაზიული „მეცნიერებისა" და ბურუაზიული ეკონომისტებისა, კოლმეურნეობების და მსხვილი მარცვლეულის ფაბრიკების ორგანიზაცია სავსებით შესაძლებელი და სასარგებლო საქმეა.

თავის გამოსვლაში აგრარიკოს-მარქსისტთა კონფერენციაზე ამხანაგმა სტალინმა ჩვეული გაბედულობით და გადაჭრით აიგდო სასაცილოდ ბურჟუაზიული თეორიები, რომელთაც მაშინ გასავალი ჰქონდათ სახალხო მეურნეობის სპეციალისტთა შორის და რომელნიც აფერხებდნენ სოციალისტუ-

რი მეურნეობის განვითარებას. ის ამბობდა, რომ „თუ ჩვენ საბუთი გვაქვს ვიამაყოთ სოციალისტური მშენებლობის პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი წარმატებებით, არ შეიძლება იგივე ითქვას ჩვენი თ ე ო რ ი უ ლ ი მუშაობის წარმატებებზე საერთოდ ეკონომიკის სფეროში და განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის სფეროში“ და რომ „ჩვენ გვაქვს ერთგვარი დაშორება პრაქტიკულ წარმატებებსა და თეორიული აზროვნების განვითარებას შორის“. განმარტავს რა თეორიის მნიშვნელობას პრაქტიკული საკითხების სწორი გადაწყვეტისათვის, ამხანაგი სტალინი აღნიშნავს, რომ „ჩვენში, ჩვენს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ჯერ კიდევ გასავალი აქვს სხვადასხვა ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ თეორიებს ჩვენი ეკონომიკის საკითხებზე“... რაც, — განაგრძობს ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი, — „წარმოშობს ახალ მიდგომას გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის პრობლემებისადმი. ახლებურად ისმება საკითხი ახალი ეკონომიური პოლიტიკის შესახებ, კლასების შესახებ, მშენებლობის ტემპების შესახებ, მუშათა კლასის და გლეხების კავშირის შესახებ, პარტიის პოლიტიკის შესახებ“... „უამისოდ შეუძლებელია იმ ბურჟუაზიული თეორიების დაძლევა, რომელნიც ანაგვიანებენ ჩვენი პრაქტიკოსების თავს“... „ვინაიდან მხოლოდ ბურჟუაზიულ ცრურწმენათა წინააღმდეგ ბრძოლით თეორიაში შეიძლება მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციების განმტკიცება“ („ლენინიზმის საკითხები“, 1935 წ. ქართ. გამოცემა, გვ. 355 — 356).

ამხანაგმა ს ტ ა ლ ი ნ მ ა სასაცილოდ აიგდო და საბოლოოდ გააკამტვერა სახალხო მეურნეობის სექტორების, ეგრეთ-წოდებული, „წონასწორობის“ თეორია, რომელსაც მაშინ ჯერ კიდევ ჰქონდა გასავალი კომუნისტებს შორისაც-კი.

უდიდესი მეცნიერული და ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ამხანაგ ს ტ ა ლ ი ნ ი ს „წერილს „პროლეტარსკაია რევოლუციი“-ს რედაქციისადმი, რომელიც ცნობილია შემდეგი სათაურით: „ბ ო ლ შ ე ვ ი ზ მ ი ს ი ს ტ ო რ ი ი ს ზ ო გ ი ე რ თ ი ს ა კ ი თ ხ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ“. („პროლეტ. რევ.“ № 6, 1931 წ.).

ამ სტატიის უდიდესი მნიშვნელობა მდგომარეობს, უპირველეს ყოვლისა, იმაში, რომ ის დაუზოგავად ამხელს ტროცკისტულ და სხვა მენშევიკურ კონტრაბანდისტებს ისტორიულ ფრონტზე. შემდეგ, მან შეიტანა გარკვეულობა და სიცხადე ბოლშევიზმის ნამდვილი ისტორიის შესწავლის საქმეში და ბოლო მოუღო იმ ქაოსსა და დამპალ ლიბერალიზმს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ უმნიშვნელოვანეს დარგში. „რედაქციის ამოცანა, — ამბობს ამ სტატიაში ამხანაგი სტალინი, — მდგომარეობს იმაში, რომ ბოლშევიზმის ისტორიის საკითხები აიყვანოს სათანადო სიმაღლეზე, ჩვენი პარტიის ისტორიის შესწავლის საქმე დააყენოს მეცნიერულ, ბოლშევიკურ რელსებზე, და გაამახვილოს ყურადღება ჩვენი პარტიის ისტორიის ტროცკისტულ და ყველა სხვა ფალსიფიკატორის წინააღმდეგ, სისტემატურად ჩამოჰგლიჯოს მათ ნიღაბი“ („ლენინიზმის საკითხები“, 1935 წ. ქართ. გამ., გვ. 565).

მაგრამ ამ სტატიას მნიშვნელობა მარტო პარტიის ისტორიის შესწავლის საქმის სწორად დაყენებისათვის როდი ჰქონდა; იგი ყურადღებას ამახვილებდა მეცნიერული აზრის სხვა დარგებზედაც, სადაც აგრეთვე აღმოჩნდნენ ფალსიფიკატორები და კონტრაბანდისტები. ასე, მაგალითად, საჭირო გახდა პარტიას ყურადღება მიექცია მემარჯვენე-მომემარცხენო ნახტომებისთვის ისეთ

საკითხებში, როგორიც იყო საკოლმეურნეო მოძრაობა, სახალხო მეურნეობის მომემარცხენო დაგეგმვა, ფულის ლიკვიდაცია, ყურადღება მიექცია ისეთი მოჩვენებითი რადიკალური თეორიებისათვის, რომელნიც იცავდნენ გათანაბრებას და ამტკიცებდნენ ნარდი სამუშაოს შეუთავსებლობას სოციალიზმის პერიოდთან. მაგრამ, რა თქმა უნდა, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ამხანაგ სტალინის „წერილს" ჰქონდა ბოლშევიზმის ისტორიის შესწავლის საქმის სწორად დაყენებისთვის. ამ მხრივ მან გარდატეხა მოახდინა.

ამხანაგ სტალინის ისეთი შრომები, როგორიც არის „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი", მის მიერ უკანასკნელ დროს დამუშავებული მოძღვრება სოციალისტური სახელმწიფოს შესახებ, მოძღვრება საბჭოთა ინტელიგენციის შესახებ, მარქსიზმ-ლენინიზმის საგანძურის უძვირფასეს შენაძენებს წარმოადგენენ. ამ შრომებში, მეტადრე სოციალისტური სახელმწიფოს შესახებ შრომაში, ამხანაგმა სტალინმა შეავსო და განავითარა მარქს-ენგელს-ლენინის მოძღვრება სოციალისტური სახელმწიფოს შესახებ პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში — კაპიტალისტური გარემოცვის დროს. ლენინი და სტალინი ყოველთვის ამტკიცებდნენ, რომ მარქსიზმი არის არა დოგმა, არამედ სახელმძღვანელო მოქმედებისთვის. ამ დებულებიდან გამოსულმა სტალინმა, იხელმძღვანელა რა მარქს-ენგელს-ლენინის მოძღვრებით სახელმწიფოს შესახებ, სრული სიცხადე შეიტანა მოძღვრებაში სოციალისტური სახელმწიფოს შესახებ — როდის და როგორს ისტორიულ პირობებში შეიძლება მოხდეს მისი მოკვდაობა.

სსრ კავშირის საბჭოების სრულიად-საკავშირო ყრილობამ 1935 წლის თებერვალს, ამხანაგ სტალინის ინიციატივით დაადგინა: შეტანილ იქნას ცვლილებები სსრკ კონსტიტუციაში. ამ დადგენილების საფუძველზე შესდგა კომისია ამხანაგ სტალინის თავმჯდომარეობით საბჭოთა კავშირის ახალი სოციალისტური კონსტიტუციის გამოსამუშავებლად. პროექტი ამ კონსტიტუციისა, რომელიც ისტორიაში სტალინური კონსტიტუციის სახელით შევიდა, დამტკიცებულ იქნა საბჭოების VIII სრულიად-საკავშირო საგანგებო ყრილობაზე 1936 წლის დეკემბერს. ამ კონსტიტუციის შემქნელმა ამხანაგმა სტალინმა განსაზღვრა მისი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა. ეს ახალი კონსტიტუცია, — სთქვა მან თავისი მოხსენების დასასრულს, „იქნება ისტორიული დოკუმენტი, რომელიც მარტივად და სხარტად, თითქმის ოქმის სტილით ლაპარაკობს სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების ფაქტებზე, კაპიტალისტური მონობისაგან სსრ კავშირის მშრომელთა განთავისუფლების ფაქტებზე, სსრ კავშირში გაშლილი, ბოლომდე თანმიმდევარი დემოკრატიის გამარჯვების ფაქტებზე.

ეს იქნება დოკუმენტი, რომელიც მოწმობს იმას, რომ ის, რაზედაც ოცნებობდნენ და განაგრძობენ ოცნებას მილიონობით პატიოსანი ადამიანები კაპიტალისტურ ქვეყნებში, — უკვე განხორციელდა სსრ კავშირში.

ეს იქნება დოკუმენტი, რომელიც მოწმობს იმას, რომ ის, რაც განხორციელებულია სსრ კავშირში, სავსებით შეიძლება განხორციელდეს სხვა ქვეყნებშიაც" (ი. ბ. სტალინი: „სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ", 1937 წ., გვ. 120 — 121).

აქედან გამომდინარეობს მისი დიადი მსოფლიო მნიშვნელობა, „ვადგან „კაპიტალისტური ქვეყნების ხალხთათვის სსრ კავშირის კონსტიტუციას მოქმედებათა პროგრამის მნიშვნელობა ექნება“ (იქვე, გვ. 122).

ამრიგად, საბჭოთა კავშირში დასრულებულ იქნა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის საქმე: დამთავრდა კომუნიზმის პირველი ფაზა — აშენებულ იქნა სოციალისტური საზოგადოება. პირველად კაცობრიობის ისტორიაში მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის გენიალური მოძღვრების საფუძველზე განხორციელებულ იქნა უდიდესი საქმე—მშრომელთა მასები განთავისუფლდნენ ყოველგვარი ჩაგვრისა და ექსპლუატაციისაგან. მეცნიერული სოციალიზმის დიადი მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ ცხოვრებაში გატარებულ იქნა გიგანტური მასშტაბით. ამის განხორციელება შეიძლებოდა ლენინ-სტალინის დიადი პარტიის წყალობით: ამის განხორციელება შეიძლებოდა ამ საქმეში უფართოესი მასების უაღრესად აქტიური მონაწილეობის წყალობით, ისტორიაში გაუგონარი იმ ენტუზიაზმისა და აღფრთოვანების წყალობით, რომლითაც გატაცებულნი იყვნენ მასები, განსაკუთრებით დიადი ოქტომბრის პროლეტარული რევოლუციის მომენტიდან.

მუშები და კოლმეურნეები საბჭოთა ინტელიგენციასთან ერთად იჩენდნენ და იჩენენ ნამდვილ გმირობას როგორც სამეურნეო, ისე კულტურულ ფრონტზე, იჩენდნენ და იჩენენ უაღრეს ერთგულებას და სიყვარულს სოციალიზმის მშენებლობის დიადი საქმისადმი. წითელარმიელები და წითელფლოტელები თავიანთი სახელოვანი მეთაურების წინამძღოლობით, მსოფლიო რეკორდების დამმყარებელ გმირ ავიატორებთან ერთად, მამაცობისა და ვაჟკაცობის სასწაულებით გვაკვირვებენ, გმირობას გმირობაზე გვიჩვენებენ, თავგამოდებით იცავენ სოციალიზმის დიადი ქვეყნის წმინდა საზღვრებს. მუშები და კოლმეურნეები, მუშაკები — ქალები და კაცები, წითელარმიელები და წითელფლოტელები, — ყველა ესენი ერთი გრძნობით არიან გამსჭვალულნი და გატაცებულნი: გადააქციონ ჩვენი ქვეყანა უფრო ძალოვან სახელმწიფოდ, ყველაზე ძლიერ სახელმწიფოდ დედამიწაზე, გადააქციონ იგი მიუდგომელ ციხე-სიმაგრედ და დაიცვან მტრის თავდასხმისაგან, დამპალ კაპიტალიზმისაგან.

მაგრამ მათ იციან ისიც, რომ მაშინ, როდესაც ისინი უფრო და უფრო ამაგრებენ ჩვენს ქვეყანას, უფრო და უფრო აძლიერებენ მას ეკონომიურად და კულტურულად, როდესაც იცავენ მას მტრის ბოროტი განზრახვებისაგან, ამით ისინი აკეთებენ და იცავენ არა მარტო საბჭოთა კავშირის მშრომელთა საქმეს, არამედ მთელი მსოფლიოს მშრომელთა საქმეს.

მერე, ვინ ხელმძღვანელობს ყველა ამას, ვინ რაზმავს საბჭოთა კავშირის მშრომელებს, ვინ შთააგონებს და წარმართავს მათ ინტერნაციონალიზმის გზით, სოციალიზმის გზით? — ლენინ-სტალინის პარტია, ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტი, პროლეტარული რევოლუციის დიდი მესაჭე, სოციალიზმის გამარჯვებათა დიდი ორგანიზატორი, ბრძენი ბელადი და ხალხთა მამა — ჩვენი საყვარელი სტალინი, რომელსაც 60 წელიწადი შეუსრულდა.

იცოცხლოს მან კიდევ მრავალ, მრავალ წელიწადს მთელი მსოფლიოს მშრომელთა სასახელოდ და სასიხარულოდ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალიო მაშაშვილი

# დ ა ბ ა დ ე ბ ა

ზამთარია, თოვს და ცივა, გარეთ ველარ გაიხედავ,
სანთლის მკრთალი შუქნათელი ეფინება ქოხს იმედად,
ჩიხტიკოპში მოწყობილნი დედოფლები უხმოდ სხედან
და წევს იქვე სარეცელზე მშობიარე ქართლის დედა!

შეჰყურებენ ბებია-ქალს, ოთახში რომ დადის ცერად,
ლანდისფერი ორეული დასდევს, როგორც ბედის წერა,
საოცრებას შეუპყრია გარინდებულ თვალთა ცქერა,
მსგავსად ნაზი ჩონგურების ისმის ქალთა გულის ძგერა!

ფანჯარაში იხედება ღამე ცივი და ფერმკრთალი,
მის ბიბლიურ ჭალარაზე ცვივა თოვლის ნაფერთალი,
კერა მაინც არ ჩამქრალა, ნაღვლით ნამწვარ-ნაღვენთალი,
ქოხის გულში დაფარული ღვივის ცეცხლის ნაღვერდალი!

გარეთ ისმის ნიავის ხმით თოვლში როგორ სწუხს მთა-ველი,
გორისკიხით გამოქცეულ ისმის ქარის სუნთქვა ნელი,
კუთხეში წევს მშობიარე, სწუხს, უმწარებს გულს ნაღველი,
თავს დაჰყურებს ბრძენი სახით შვიდასი წლის რუსთაველი.

შუაღამე გადავიდა, არემარეს იპყრობს ძილი,
ბაღში აღარ შრიალებენ ხენი ფოთლებ-შემოცლილი,
მხოლოდ მტკვარი და ლიახვი ჰქუხან ტალღებ-შემოხსნილი,
მზის ბუდეს ჰგავს ძველი ქოხი, თოვლის შუქით შემოსილი!

ოთახში ზის სახლის ბურჯი, სახე-ჯმუხა და ჯანმრთელი,
მაგიდაზე დაყრდნობილი გმინავს გულმკერდ-განათელი,
დაღვრემილა დ თვალებში არ უღიმის კაცს ნათელი,
სავალალო რამ ყოფილა დედაკაცის განსაცდელი!

კაცი ასე მგრძნობიარედ ვერ იდარდებს, ვერ იწამებს,
თან სიავით გული უმძიმს, თან სიამით ელის წამებს,
ჯერ თვალი არ მოუხუჭავს, უძილოა მთელი ღამე,
გვერდით უდგას „ატენური“, სანთელივით მოკამკამე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცებ: კარი, ვით ცისკარი, შეირხა და... შექმნეს ღელვა,
ქარმაც „ვაჟის“ მახარობლად თითქოს რაში მოაგელვა,
ბავშვის კვნესა შემოესმა, ვერ დაფარა სარეცელმა,
გარეთ თოფის ხმა გავარდა. ბნელს დაეცა, როგორც ელვა!

და წამოდგა მაშინ მამა, სთქვა: მეც კაცი მქვიან სოფლად,
მეც კაცურად ქუდი მხურავს ხალხში, სახლში და მეზობლად,
მეც ვწერივარ ქვეყანაში, არ მიგულვოთ აწი ობლად,
დღეს მერცხალმა შემომჭყივლა გაზაფხულის მახარობლად!

მან იცოცხლოს! გაიფურჩქნოს მისი ძალა და იერი,
მშობელ დედის რძედ შეერგოს ეს ცხოვრება წამიერი,
ჯუღაშვილის გვარს მღეროდეს მთელი იმერ-ამიერი,
მან იცოცხლოს! მუდამ იყოს მისი მრავალჟამიერი!

ყვავ-ყორნებში მომწყვდეული ამირანი ისევ ყვირის,
მთიდან, ბედის ვარსკვლავებად, ბორკილების ელავს ჭვირი,
მან იცოცხლოს, გაიზარდოს, გამოიხსნას გმირმა გმირი
და ქვეყანას მოაშოროს ამ ცხოვრების გასაჭირი!

მან იცოცხლოს! გულით, სულით დაფოლადდეს, დაირკინოს,
გაუმრავლდეს მეგობრები, მტერი გაწყდეს, გაიყინოს,
დღეს მე გავხდი ბედნიერი, მსურს ვიმღერო და ვილხინო,
მან იცოცხლოს! კიდევ სთქვა და... ეშხიანად შესვა ღვინო.

არის ლხინი მხიარული მტკვრის, ლიახვის ტაშის კვრაში,
ჰქუხს მრისხანე მომავალი ამომავალ ხალხის ხმაში:
რომ ოჯახის მახარობლად შეეძინა დედას ვაჟი,
რომ პატარა გორის ჭერქვეშ დაიბადა გარიჟრაჟი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ალექსანდრე გომიაშვილი

# ბაზალეთის ფბა

ქართვლის ძილშია გახვეული სამშობლო მთელი,
მთვარეც ჩასულა, ვარსკვლავები აღარა ბრწყინავს.
მხოლოდ მიწურვილ — შანდლის თავზე ერთი სანთელი
თავსა ანარცხებს... წამოდგება, და ისევ ბზინავს...
სძინავს დიდებულ ჭაღაროსანს ნათელის ძილით,
მგოსნის ბინაშიც დადუმებულ ჩონგურებს სძინავთ.
მას ესიზმრება: უეცარი მკრთალი ნათელი,
როგორ მოადგა ფანჯრებიდან მგოსანის ბინას.

მოადგა ზუქი — სიხარულის ცრემლი წამწამებს.
გაჩალებული ბაზალეთის ზეცა ღვიოდა.
და ტბად ქცეული ივერიის ცრემლები მწარე
შამბნართა შორის გულდამწვარად ამოხვიოდა.
ხვიოდა ტალღა. და ვარსკვლავებს — ვეფხების ბრწკალებს
ღამის წყვდიადში ნაპერწკლები დაბლა სცვიოდათ;
გადახსნილიყო ბაზალეთის წალკოტი მწვანე —
ოქროს აკვნიდან მზეჭაბუკი ამოდიოდა.

ამოდიოდა... და თან ცეცხლი ამოიყოლა,
იმ ცეცხლის ნათლით პრიალებდა ჭაბუკის ფარი.
ხელში ეჭირა ნაპერწკალი და ცაზე რგოლად
ცეცხლის ნაპერწკალს ავრცელებდა სასტიკი ქარი...
იყო სიზმარი — განახლების გრიგალის ქროლა,
ქვეყნიერების გადარჩენის ენთო ცისკარი.
გამოეღვიძა. და გარშემო არა იყო რა —
თბილისის გულში მოშხუოდა მდინარე მტკვარი.

ინათებს ისევ ღვინისფერი თბილისის დილა,
ქუჩა წყნარია. თოვლზე მიჰქრის ერთი მარხილი,
დასჭყივის ცხენებს მოგზაური იმ მარხილიდან
და ისმის ცხენთა თქარათქურის გამოძახილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიჰფარდა იგიც... წინ ნამქერი ქარმა არია
და ახლა მინებს ეხეთქება, როგორც მახვილი,
„ნუთუ, ოცნება, მხოლოდ თოვლი და სიზმარია“
ფიქრობს მოყმეზე ნაღვლიანი და თავდახრილი.

უცებ... კედლიდან ივერიის ზარი წკრიალებს...
ჰქრება ბურანი. კიბეებზე ჯუღაშვილია.
ისმის მსუბუქი ნაბიჯები... კიბე ჭრიალებს...
უახლოვდება... და შეხვედრა უფრო ტკბილია.
ასეა ხოლმე, როცა ელი ნაპერწკლიანებს —
დილის მნათობებს. და მუხებიც მხარგაშლილია.
მოვიდა. ლაღი შემოაღებს ოთახის კარებს
და მზესთან ერთად — წამოდგება ფეხზე ილია!

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**კონსტანტინე გამსახურდია**

# ბელადი[1]

## ტრილოგია

### წიგნი პირველი.

### 22. ოსმანას სიკვდილი

ადრე დამდგარი ხვატი შემოსწოლოდა შირაქის ველს: გადეთქერა სტეპის ბალახი, კლანჭა მოეციცქნა ცხვარს, აღარც ურო ღიმღამებდა სადმე. ამილა-ხვრიანთ ცხვარი დასავლეთისაკენ მიიწევდა, ავშანიც გაეხმო ახლად მოსული კვირტებიც მოესრნა პაპანებასა და აღმოსავლეთიდან მოწოლილ ბუღს. ცხვარი სუნავდა დახეთქილ მიწას, უხიაგად ფრუტუნებდა, დასავლეთისაკენ მიისწრაფოდა მღვრიე ტალღების დარად.

მინდვრის თაგვებს დაეცხრილათ ნარბილი სავსებით, ჯოგის მიახლოვებაზე გარბოდნენ დამშეულნი. ბინისთავი, პაპა არაბული წინ მიუძღოდა ფარას. გულშემოყრილი დასჩერებოდა უცნაურად გაბერწებულ მიწას. ხანაც შესდგებოდა, მარჯვენა ხელს მიიჩრდილავდა თვალებზე, გაჰხედავდა ლაყე კვერცხივით გაყვითლებულ, ამღვრეულ მზეს, მტვრის ბუღში გახვეულს.

დილიდანვე უგუნებობა აჰყვა უფლისა არაბულს. გუშინლამ უხეირო სიზმარი ჰქონდა: მისი პირველი ცოლი, განსვენებული ლელაი ველზე იდგა, სატევარით ყელგამოღადრული შავი თოხლი ხელში ეჭირა. გაგაი მიიწევდა ტფილი სისხლის სახვრეპად, სატევარს იქნევდა ლელაი და არ ანებებდა სისხლის მღსმას ვაჟს. გამოეღვიძა უფლისას: ვამეხი და ქიტესა პირაღმა იწვნენ და სულთმობრძავივით ხროტინებდნენ.

არც სიცხადე იყო ნუგეშის მომგვრელი. წინა ღამით მგელმა ნოტო[2] მოსხლიტა ცხვარს, ისევ ოსმანამ ივაჟკაცა გულადმა ძაღლმა, ძლივს გადაარჩინა ხუთიოდე თოხლი. ცხვარში გაბარაი გაჩნდა, რვაოცი სული ამოსწყვიტა.

გაზაფხულის ხვატმა საძოვრები გაანადგურა. ჯავახეთს აპირებდნენ გადასვლას, მაგრამ ვამეხი აღარსად სჩანდა ორი კვირის წინად სიღნაღს წასული. გუშინწინ კაცი აფრინეს მის მოსაძებნად, მედუქნე ნიკალას ასე უთქვამს: გასულ შაბათს ნაბდები იყიდა, დუქანში ღამე გაათია, დილით ერთი თხლაშო არაყი დალია, ნაბდები მოგვაბარა და მერმე მისი მნახველიც არავინ გვიხილავსო.

---

[1] იხ. „მნათობი", №№ 10-11.

[2] როცა მგელი რამდენიმე ცხვარს ჩამოაცლის ფარას და განზე გაიგდებს, ამას ნოტო ჰქვია.

ნაბადი ჩამოიტანა ქიტესამ და მიწურში დაჰყარა. პაპა უფლისას, აღარ შეეძლო ამ ნაბდების ყურება. ისინი ეყარნენ გარეშემო, როგორც უცნაური რამ გლოვის მაუწყებელი ძაძა.

ახლა ნაბდები აეკვიატა სიზმარში უფლისას, ესიზმრა: სთოვდა მიწაქში, ქვეყანა დაბურვილი იყო შავი, გრძელ წილამურებიანი ნაბდებით.

მისი მნახველიც არავინ გვინახავსო!

ეს შემოთვალა ნიკალამ, სიღნაღელმა მიკიტანმა. პაპა არაბული გაგუდულივით დადიოდა, ქიტესასაც არ უმხელდა გულში დავანებულ შიშს. გუშინწინ თუშმა მეცხვარემ ამბავი მოიტანა ალვანიდან ახალი: თუშეთშიაც დაეძებსო პოლიცია მამუკას.

ვინ იცის, ეგებ სიღნაღში გადააწყდნენ სადმე ვამეხს, დაიბარეს და აღარ გამოუშვეს. განა ცოტაა მაგალითი შვილის ნაცვლად მამა დაეჭიროს პოლიციას?

მიდიოდა ბერი სარქალი ამ ფიქრებით მოცული, უთვალთვალებდა ხან მზეს,ხანაც მიწას. ერთბაშად შესდგა, დაცუცქდა მოხუცი, ბალახი მოსწყვიტა, მოსრისა, უყნოსა, ხელის გულზე დაიყარა, ისევ გასწორდა იმედმოცემული წელში და მის უკან მომავალ ქიტესას გასაგონად წამოიძახა:

„აქათ ხურხუმაი დარჩენილა ბალღო, მე თოლს არ მიჩანს, მოდი დახე შენ გარდას ერთი“.

ქიტესა გამოჰქანდა, კიდეშეტრუსული ფოთოლი გამოართვა მამას, თავათაც მოფშვნიტა, უყნოსა და ამბობს:

„მყრალაია მამა“.

გაწბილებულმა უფლისამ ცას ახედა:

„მზეს ბული ადგა ბალღო, შესაძლოა წვიმა მავიდეს, ლომისაის მადლმა გვიწიოს ბალღო“.

„წუხელ ცხორი იბღერტებოდა მამავ, მემრე რაი?“

მამა და შვილი მდუმარედ მიჰყვებოდნენ გადარუჯულ ველს. უზარმაზარი ჩრდილები მიიზლაზნებოდნენ, მდევებს მიაგავდნენ ამ ორთა ლანდები.

ქიტესა მიწას დასჩერებოდა და გოდებდა:

„მოლეულა ყუშო, აღარც სამყურაი დარჩენილა სადმე, აღარც ყვავილ-ფრჩხილა, აღარც რძიანაი, აღარც ქარცხი“.

ქიტესა მცირე ხანს მდუმარედ მიჰყვებოდა კვალდაკვალ მამას, ბოლოს დასძინა:

„წუხელ კიდევ ერთი შაქი მაუკლავს გაბარაის“.

„რომელი შაქი ბალღო?“

„კორაკანაში რომა გვყანდა“.

„წინწკალაი?“

„არა, ციკა-თეთრაი“.

ვიდრე მამა და შვილი ბალახს სინჯავდნენ, ფარამ გაასწრო მათ. უფლისაი ხედავდა უკვე ტუჩსაც არ აკარებდა დედამიწას ცხვარი, თავაღებული მიისწრაფოდა დასავლეთისაკენ. ერთბაშად ქიტესამ თვალი მოჰკრა: ბოტი შესდგა, მათთან ერთად მთელმა ფარამ ასწია თავი დაფრთხა რამდენიმე ათასი ცხვარი, ერთბაშად დაიფრუტუნა ფარამ და უცნაურის ჟივილით უკან გამოჰქანდნენ ცხვრები.

მეცხვარეები ყვიროდნენ, ძაღლები ყეფდნენ და ღმუოდნენ.
„მგელი ხომ არაა ბალღო!?“

ამბობს უფლისაი და თავისი თელგამიანი თვალებით გასცქერის დასავლის კიდეს. ქიტესამაც დაძაბა მზერა, მაგრამ იქითკენ, საითკენაც ფარა იმზირებოდა წელან, სულიერი არ ღიმღამობდა.

ნაბიჯი აუჩქარა უფლისამ და წინ გაეშურა ბერიკაკი. მეცხვარეები მორბოდნენ და ყვიროდნენ: გველი, გველიო.

უფლისას და ქიტესას ასე მოესმათ: მგელიო. კომბლები მოიმარჯვეს, გარბოდნენ თავათაც ყვიროდნენ:

სადაა მგელი? ველი მთლად შიშველი იყო.

დაცუცქულიყო ოსმანა და შემზარავი ხმით ყმუოდა, ოსმანაც დამფრთხალიყო ლომგულოვანი ძაღლი, მგელი აღარსად სჩანდა.

უფლისამ და ქიტესამ მიაღწიეს ოსმანას მახლობლად, ცისკენ თავაშვერილი ძაღლი ყმუოდა საზარლად .აქ კი უცნაური და ამაზრზენი სურათი თვალწინ დაუდგა მამაშვილს.

აურაცხელი გველები ზოლად მიიკლაკნებოდნენ სამხრეთისაკენ, მიედინებოდა უზარმაზარი მასსა, როგორც თალხი მდინარე, თავაშვერილი მტვრისფერი ანკარები, ჭრელა-ჭრელა მაისისგველები, ტანხატული ჭრელანები და ჯაგრიანები, მიასავსავებდნენ თავებს, ტალღისებრ მიედინებოდა მრავალი ათასი მცურავი, მიდიოდნენ მდუმარედ, უელავდათ ციმციმა თვალები, ერთობლივად, მწყობრად მილასლასებდნენ, თითქოს უცნაურად მოსიპულ კალაპოტს რასმეს მიჰყვებოდნენ სამხრეთისაკენ.

უფლისა არაბულმა პირჯვარი გადაიწერა გაოგნებულმან, შემდგომი ამისა ერთი გადააფურთხა, შვილს ხელი წაავლო და გამობრუნდა.

„ცუდი ნიშანია, ამბობს უფლისა, დაბეჟილი ხმით. ასეთი რამ დიდი ხანია არავის მოსწრობია, დიდი მიწისძვრა უნდა მავიდას, ან წარღვნა რაიმე. ბატონყმობა რო გადავარდა, სწორედ იმ წელს ცხორს ვაძოვებდი თმოგვის ციხის მახლობლად, მთვარიან ღამეჩი შემოგვეფეთა ესრეთი ქარავანი გველებისა დიდი.

მთვარიან ღამეჩი მიველალებოდით ცხორს, ცხენზე ვიჯექით მე და პაპაშენი, იმან გვიპატია, ცხორი დაგვიფრთხა, ქარაფიდან გადაიხვეწა, ჩუენ თავათ ვუტიეთ და ცხენები გავქუსლეთ, გულდაგულ მიადგენ მტკვარს.“

„გადალახეს მემრელა?“

„ჰაი ჰაი რომ გადალახეს, გალმაც მემცხორეები შაჰყრიან, დიდი წიოკობა შამოგვესმა“.

„რად იკრიბებიან ამ დროსა?“
ეკითხება ქიტესა.

„გაზაფხულზე გველი ამძუვდება ისე, როგორც იანვარჩი მგელი,შაიყრებიან და დადიან ქარავნად, თუ სადმე საფრთხე რაიმე მაელით, გადაინაცვლებენ ადგილს.“

„კაცს არას უშავებენ რა?“
„თუ წინ არ შაეფეთე არას დაგიშავებენ“
„საქონსაც ეშინია, სჩანს მაშინ?“

„იმ წელს ოცდაათი ცხენოსანი ვახლდით ცხორს. მას შემდეგაც, რომ მათ ჩაიარეს, ცხენები ცემით გავასივნეთ, ვერ გადავატარეთ ნაკოლოსანი.

ესა სთქვა უფლისა არაბულმა და ისევ მიიჩრდილა ხელი თვალზე. და დასავლეთისკენ გაიხედა, თანაც ეუბნება შვილს:

„გახედე ერთი ბალღო, ეგ თუ ცეცხლი არაა?!"

ხანძარიაო მამავ.

ამბობს ქიტესა.

„ვინა ქნა ეს ჩემი ცოდოთ სავსემან?"

კვნესოდა პაპა არაბული.

„წოვა-თუშები აძოვებდნენ იქითკენ ცხორს, ალბათ წუხანდელი ცეცხლი დარჩებოდათ და ის იძალებდა".

ახლა ორივე მამაშვილი თვალნათლივ ხედავდა თუ როგორ ედებოდა ხანძარი ველს. ჯერ ოქროს გველივით გაიშლიგინა ცეცხლმა ავშანის მხმარ კლერტებს შორის.

მოედო სტეპს, გველივით კი არა, ცელივით, მერმე ირიბად წალასლასდა, ბოლოს ფეხი აიდგაო თითქოს, წაიგრძელა, წაიგრძელა ენა, სულ რამდენიმე წამში ზღვის მოქცევასავით გადმოინთხა ტრამალზე და მოდიოდა ფეხადგმული ლავა ცეცხლისა, მიისწრაფოდა სამხრეთისაკენ, თითქოს კვალდაკვალ მისდევდა გველების ქარავანს, რათა ქვეწარმავალის ნავალი წარეხოცა მიწაზე.

მამაცად მიიწევდა ბინისთავი სამხრეთისაკენ, თითქოს ეწადა თავისი კომბლით მაინც შებმოდა იალაღების უდიდესს მტერს. ნიავს მოჰქონდა მისკენ ცეცხლის სუნი, გველის სუნი და გადატრუსული მყრალი ბალახის სუნი.

გველების ქარავანმა რა ჩაიარა, ფარა ისევ შემობრუნდა და სამხრეთისაკენ გაიშალა. დამშეული საქონელი მიწაზე ეძებდა ბალახის ნამუსრევს და ცეცხლისაკენ მიიწევდა, თითქოს ნაადრევ სიკვდილს მიელტვისო სასოწარკვეთილი პირუტყვი.

ქიტესამ შეუტია ბოტს, ძაღლი ოსმანა გაედევნა ჩებიჩს, იგიც ჩრდილოეთისაკენ მიბრუნდა და გასარდლა ფარა. ორიოდე თხა მაინც ოჩნობდა. მაშინ გაბრაზდა ქიტესა, ყელკავა მოიმარჯვა, ფერდებში უთავაზა ცივა-თეთრა თხას.

ახლა ჩრდილოეთისაკენ გაიელვა ცეცხლის ზოლმა, აქაც ოქროს ცელივით მოუსვა ველის პირს ენა, გაიშალა, მცირე ბექობზე გადაეშვა, ისევ გაივაკა და ტაატით მოედო ველს.

ამ წუთში ქიტესამ და უფლისამ თვალი მოჰკრეს თუ როგორ დასძრეს წოვა-თუშებმა ფარები, აბღავლდა უშქარი ცხვარი, მორიგეობით მოედო ბღავილი გუნდებად დაშლილ ფარებს. ჟივოდა ამილახვრიანთ ფარაც. ამ ერთობლივმა აბღავლებამ მრავალი ათასი პირუტყვისამ უცნაურად გაბუძგა ტანში უფლისა და ქიტესა.

აყმუვლდნენ ძაღლები, აჭიხვინდნენ ცხენები, ყოველი მხრიდან გამოცვივდნენ მეცხვარეები და შეუდგნენ ხანდაკების თხრას, რათა ცეცხლის სარბიელისათვის დაედოთ მზღვარი.

ზოგს ორ ორი დურკა გაევსო წყლით, მანდიკურად გადაეგდო ცხენზე და ისე მოჰქონდა, ზოგიც სველ თექებსა და ნაბდებს ესროდა ხანძარს.

* *

მხოლოდ ნაშუალამევს მობრუნდა პაპა არაბული ფარეხიდან. ჯერაც ფხიზლობდა ფარა, უცნაურად ყივოდნენ ცხვრები, მხოლოდ ოსმან-იწვა ფარეხის თავზე, თავკისერი ამაყად მოეღირა, გადასცქეროდა მოქოთქოთე ფარეხს.

შემოეგება ბინისთავს ყურებ მოჭრილი ბასარაი, ოსმანას დედა, ბამბის პოპოკივით თეთრი ლეკვები უკან მოსდევდნენ წკავწკავით ძუს.

დარდიანად ქშინავდნენ კორაკანებში[1]) ჩამწყვდეული ცხვრები.

გადახტა ფარეხში უფლისა, ერთ მთლიან სხეულად მოსჩანდა მთვარის შუქზე ურთიერთზე მიყრილი ცხვარი. მიწაში თავი ჩაერგო მრავალ ათას სულს, უცნაურად ყივოდა ფარა. შეჰზარა პაპა არაბული დაშინებული ცხვრის ყივილმა, დანდობილად გამობრუნდა, ჩელტის კარი გაიხურა და მეცხვარეთა მიწურის კიბეზე ჩავიდა, კარი ღიჭედ დარჩენოდათ მიწურში.

კიბალის მახლობლად შუაცეცხლთან ჭრაქი ენთო, დაპირქვავებული კეჩხი ეგდო ზედ.

კიბისაკენ ზურგშექცეულ- ჯდა ქიტესა, დააკვირდა: ქიტესა არ უნდა ყოფილიყო, ვამეხს ორივე ხელი ძუხლის თავებზე შემოეხვია და ზედ ეძინა.

დასცქეროდა უფლისა არაბული სავსებით გაჟღალებულ თავკისერს შვილისას, ისეთი მოსჩანდა იგი მთვარისა და ჭრაქის ორმაგ შუქზე, ნაცარი გადაუყრიათო თავზე.

დაახველა უფლისამ, მაგრამ ვამეხმა მაინც არ ასწია თავი.

სძინავს თუ ავადაა?

გაიფიქრა უფლისამ, მერმე თითქოს ჩურჩულით წარმოსთქვა:

„რაი მაგივიდა ბედშავო ვამეხ?“

გველცემულივით წამოიჭრა იგი.

„რაი მამხდარა მამავ?“

ამბობს ვამეხი და ანაზდად იფშვნეტავს თვალებს.

უფლისაიმ დაამშვიდა გაჟღალებული ვაჟი, თავზე ხელი გადაუსვა თითქოს ბალლი ყოფილიყო იგი პატარა და სათითოოდ გამოჰკითხა ამდენხანს გაუჩინარების მიზეზი.

ვიღაც მეცხვარე თუშს გორიდან ამბავი ჩაეტანა სიღნაღში: ავად გამხდარაო გაგაი, შემდგომ ამისა უამბო თუ როგორის წვალებით წასულიყო გორს ზურგ დაშავებული ცხენითა.

„რაი გაშჭირვებია გაგაის?“

იკითხა მოუთმენლად უფლისამ.

მტკვარში გაცივებულაო გაგაი.

„მტკვარჩიო?“

„ჯუღაანთ ბიჭს გადაჰყოლიაო მტკვარჩი“.

„მტკვარჩი რა უნდოდაო მაგ ჩემი ცოდვით სავსეთა?“

„ამილახვარიანთ გარდილი რუსიკო თავს იხრჩობდა თურმე და იგი გამაუთრევიათ“.

უფლისა აიმღვრა ამ ამბის შემცნობი.

---

[1] კორაკანა — ქალტა, საჩიხე სადაც ცხვარს დაამწყვდევენ იმ შემთხვევაში, როცა იგი ძუძუს არ მოაწოვებს საკუთარ ბატკანს.

მცირე ხანს სდუმდა ვამეხი, ბოლოს თავი აიღო და ესა სთქვა:

„შაწუხებულია ყმაწვილი ძრიელა. პაპა უფლისაი მავიდესო ენატრის. ჩვენ მაინც ჯავახეთსა ვართ წასასვლელი, ბარე წინდაწინ გადადგა გორში ხერთვისჩი მოგვიკითხავ თვის დამლევს“.

*

* *

იმავე ღამეს შეუკაზმეს ცხენი ქიტესამ და ვამეხმა მამას. უთენია გავიდა პაპა არაბული შირაქიდან.

მიდიოდა ჩაფიქრებული უფლისა, მიაჩაქჩაქებდა სავსე ხურჯინით დატვირთულ ცხენს.

კასრის წყალთანაც არ იყო მიღწეული, შეამჩნია უფლისამ: ძაღლი ოსმანა ბინიდან გამოჰყოლოდა თან. ცხენი შეაბრუნა ბინისთავმა, მათრახი დაატკაცუნა, დაემუქრა ძაღლს. ოსმანა გაბრუნდა, ჩირგვს აეფარა, მაგრამ როგორც კი გზა განაგრძო უფლისამ, ისევ მიჰყვა ქურდული ნაბიჯით. ისევ გამოაბრუნებდა ბინისთავი ცხენს, დაუტატანებდა, ცემას დაჰპირდებოდა ურჩს, გაინაბებოდა ოსმანა ძეძვებში და კვლავ მოჰყვებოდა კვალდაკვალ ცხენოსანს.

ბოლოს შეურიგდა უფლისა ამ ამბავს, თან გაიყოლა გორში მიმავალმა ძაღლი.

*

* *

ოსმანას გორში ჩამოსვლას გაცილებით მეტი ყურადღება ხვდა, ვიდრე პაპა არაბულისას.

ცოქალამ გაიხარა, როცა ხურჯინებით დატვირთული ცხენოსანი მიადგა ქილიფთარიანთ ბაღს.

გაგას სახე გაუბრწყინდა პაპის დანახვაზე, არა ნაკლებად გაუხარდა ოსმანას სტუმრობა.

ოსმანა განცვიფრებას იწვევდა გორში, თავათ მიხა ქილიფთარიც გააოცა ამ ძაღლის ანაგობამ დიდებულმა.

საერთოდ მიხა ქილიფთარს თეორია ჰქონდა ასეთი: ქართველი ვაჟკაცი უმამაცესიაო, ქართველი ქალი — ულამაზესი, ქართული ღვინო უსაჩინოესი და ახლა ქართული ძაღლის ქებაც დაიწყო მიხამ.

იჯდა მიხა ქილიფთარი, თვალგაბრწყინვებული შესცქეროდა ვეფხური სიამაყით წამომჯდარ ოსმანას.

„აბა, სოსოჯან, ერთი მიჩვენონ ზოოლოგებმა ამაზე უკეთესი ჯიშის ძაღლი. ჩვენია, ჩვენი შვილო, ქართული ჯოგის ძაღლი შორს ჯობია ესპანურსა და შოტლანდიურ ცხვრის ძაღლებს“.

ეუბნება მიხა იქვე მჯდარ სოსოს.

არც სოსოს ენახა ოდესმე ამოდენა ძაღლი.

ოსმანა მთლად მტუტისფერი იყო, სითეთრე ფქვილივით ჰქონდა ალაგალაგ სხურვებული. მკერდი, მუცელი და თათების ქვედა მხარენი ცივა-თეთრა ჰქონდა, დრუნჩი ისეთი შავი, ასე იტყოდით მურში ჩაუკრავსო ცხვირი. შავი თმები ამოსვლოდა წაჭრილი ყურების ღრუდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მორგვივით მსხვილი თავი ჰქონდა. ქარვისფერი, ჭკვიანური თვალებით ათვალიერებდა მის საჭვრეტად მოგროვილ ადამიანებს. უშველებელი ენა გამოეყო და ქელავდა.

„სადაურია ეს ძაღლი? შირაქულია?“

ეკითხება მიხა პაპა არაბულს.

„ამ ძაღლის დედა ბასარაი მესხეთჩი ვიყიდე ორ ბატკნად“.

„მამა?“

უფლისამ გაიცინა.

„ძაღლი ხომ არა გგონიან?“

„მაშა?“

იკითხა გაოცებულმა სოსომ.

„ოსმანას მამა ძაღლი როდისლაა, არამედ მგელი“.

„როგორ თუ მგელი?“

სიტყვა ჩაუგდო გაოცებულმა მიხამ.

„იანვარჩი მგელი ამძუვდება შირაქჩი. დავაბამთ მემცხორეები ღამით ძუ ძაღლს მინდორჩი. მიეპარება ხვადი მგელი და დაამაკებს“.

მიხა ბიოლოგიაშიაც განსწავლული იყო, და გაოცდა ფრიად როცა ისეთი რამ წამოცდა პაპა არაბულს, რაც მას აროდეს წაუკითხავს.

სოსომ დარვინს გადაავლო გონების თვალი; არც ჯიშების წარმოშვებაში ეგულებოდა მას ასეთი ამბავი.

იჯდა, აღტაცებული შესცქეროდა მართლაც უსაჩინოესს ძაღლთა შორის. ოსმანას ისეთი გონივრული თვალები ჰქონდა, ასე იტყოდით სადაცაა ენას აიდგამსო.

*

* *

ხშირად სიხარული კურნავს ადამიანის სხეულსაც; პაპა უფლისას და ოსმანას ჩამოსვლამ მოულოდნელად განკურნა გაგა. ექიმი უკრძალავდა ავადმყოფს ადგომას, მიუხედავად ამისა, მეორე დღესვე წამოდგა იგი. ცოქალა ასეთ რამეს როგორ დაანებებდა, მაგრამ სწორედ იმ დღეს შეასრულა გორიჯვარის წ. გიორგისთვის დანაპირები: სამი დღე უნაბის ქვეშ იჯდა მშიერ მწყურვალი.

ეს ყოველივე ურთიერთს დაემთხვა და სწორედ ამიტომ ცოქალამაც ნება მისცა თავის შვილობილს „წმინდანის ნებისამებრ“ მოქცეულიყო.

პაპა არაბულის ტყაპუჭს თან ჩამოჰყვა ცხვრის სუნი. სკოლაში სიარულს ოსმანასთან ერთად ხეტიალსა და ლაღობას არჩევდა გაგა.

ისევ წამოეძალა ნამწყემსარს მრავალგზის ნანატრი თავისუფლებისადმი წყურვილი. ცხვარი, ფარეხი, იალაღი, ხიფათით სავსე ცხოვრება, რომელიც ძველ მწყემსებს დიახაც მობეზრებული ჰქონდათ, ხოლო გაგასთვის იგი უკვე მიუწვდენელ ბედნიერებას შეიცავდა, რაკი ეს ყოველივე უკვე შეუძლებელი გამხდარიყო მისთვის.

ოსმანასაც შურისთვალით შესცქეროდა გაგა. წაჰყვებოდა ახლა ოსმანა პაპა უფლისას ჯავახეთში. ამ წუთში იგი პირუტყვს როდი ჰხედავდა ძაღლში, არამედ მეცხვარის ჭირისა და ლხინის თანაზიარს. გაგას ხელში გაიზარდა ოსმანა ლეკვობიდან, რამდენ გზის შებმიან ისინი მგელს!

ღამით მოუსვენრად ეძინა გაგას, ეზმანებოდა, თითქოს კვლავ ცხვარში იყვნენ გაგა და ოსმანა.

უთენია დგებოდა, დაატარებდა ძაღლს, ისე ელაპარაკებოდა და ეფერებოდა, თითქოს ადამიანი ყოფილიყოს იგი. გაგას გულში კვლავ იბრძოდა ზრახვა: თავი დაენებებინა სკოლისათვის.

მობეზრებული ჰქონდა გაგას ინსპექტორის უხიაგი ჩხავილი, ლავროვის ყვირილი და ლახძღვა, იძულებითი ლოცვა, კატეხიზმუსის ჩიჩინი, ბერძნული გრამატიკის თავბრუდამსხმელი ბრუნვები.

უბრალო ბრუნვასაც ვერ გაართვა თავი. თუ პირველი პირი იქნებოდა „ეგო" მეორე რად უნდა ყოფილიყო „ემუ?"

ახლა ბერძნული ზმნის ინდიკატივი, კონიუქტივი, ოპტატივი, და იმპერატივი, ეს ყოველივე არ შედიოდა მის გონებაში. გაკვეთილების შემდეგ საათობით ჩასჩიჩინებდა სოსო ბრუნვებისა და უღვლილების კანონებს, მაგრამ სავსებით ამაოდ.

როცა სოსო წამოდგებოდა და ზმნის „ტიმეოს" ყველა ფორმებს ჩააბულბულებდა, გაგა გაოცებული მიაშტერდებოდა მეგობარს. ეს კიდევ ცოტაა, გასულ კვირას სწორედ ამ ზმნის უღვლილებას დაფაზე სწერდა მასწავლებელი, შეეშალა. სოსომ თითი ასწია.

„შეცდომაა ბატონო".

მასწავლებელი აენთო.

„სადაა შეცდომა?"

შეუღრინა სოსოს.

„პარტიციპში ბატონო".

მასწავლებელი მივიდა, წაშალა და თავათვე გაასწორა შეცდომა. ამ ამბავმა მთელი კლასი გააოცა, სოსოს მომეტებული პატივი დაედო ამხანაგების თვალში.

*

* *

ახლა ეძლეოდა გაგას მარჯვე შემთხვევა მიეფურთხებინა ამ ბერძნული აორისტებისა და ოპტატივებისათვის, მის თვალწინ იშლებოდა თვალწარმტაცი ცხოვრება, რომელსაც არც ბრუნვები სჭიროდა, არც უღვლილება და არც არავითარი აორისტი.

ბერძნული გრამატიკით თავი აროდეს შეუწუხებია არც პაპა არაბულს, არც ვამეხსა და არც მამუკას. არც რუსული „იათ", არც ისრაელის თორმეტი მუხლის ამბებით აუტკივებიათ თავი, მაინც უჭამიათ ამ ქვეყანაზე პური.

ეს ყოველივე იბრძოდა გაგას გულში წინადაც, მაგრამ ახლა ოსმანას გორში ჩამოსვლამ ისეთი ამბოხი შეიტანა მის ცხოვრებაში, სოსოს გაუმხილა თავისი იდუმალი განზრახვა გორიდან გაპარვისა.

სოსომ არამც თუ არ მოუწონა, დატუქსა კიდევაც.

სულ ასე არ ვიქნებითო, ამბობდა სოსო, მალე სკოლას დავამთავრებთ, ტფილისში გადავალთ. ქალაქში შესანიშნავი წიგნთსაცავები ყოფილა, სემინარიაში ძალიან ჭკვიანი ვაჟებია თურმე, განვითარებული და განათლებული ადამიანები გამოვალთო.

პაპა უფლისას და ვამეხს არ ეყოფათო თხუნელასავით ბნელში ყოფნა, ცხვარში ჩვენ თუ წავალთ, იმისთვის უნდა წავიდეთ სინათლეზე შევიტანოთო მწყემსების ბნელ ფარეხებში.

ბიბლიოთეკა

გაგა დაეთანხმა სოსოს, მაგრამ მაინც ევედრა პაპა არაბულს კიდევ ორიოდე დღე დაეყო გორში, ეს ყავლი იმისთვის სჭიროდა, რათა საბოლოოდ გადაეწყვიტა გორში დარჩენილიყო თუ ცხვარში წაჰყოლოდა პაპას?

ძლიერ ეჩქარებოდა უფლისას, მაგრამ ხათრი დასდო ნაავადმყოფარ ყმაწვილს.

პაპა არაბული დღისით არ გამოდიოდა ქილიფთარიანთ ბაღიდან, ეშმაკს თვალი არ უჩანსო, ასე ფიქრობდა. ეგებ პოლიციამ გაიგოს ჩემი აქ ჩამოსვლა, დამიბარონ და აღარ გამომიშვანო. შეღამებამდის მიხასას ჩალიჩობდა, შეღამდებოდა თუ არა, გიორგაანთ მიწურისაკენ გაიპარებოდა, მამუკას მიაკითხავდა.

*

* *

მამუკა სავსებით ნირშეცვლილი ეჩვენა უფლისას. დაღონებულიყო, დაბეჩავებულიყო მხნე მამუკა, ჩოხა სავსებით შემოცვეთოდა, ქალამნებიდან ცერი მოუჩანდა.

სჩივოდა: საკუთარ შვილს შორიდან შევსცქერი და მოალერსებაც ვერ გამიბედნიაო. გამოვეცნაუროვო, ყმაწვილი არ დაიშლის ჩემთან სიარულს, შემიტყობენ და დამიჭერენო.

„უკვე აღარ შამიძლია პაპი მუდამ უჩინმაჩინად სიარული, რაც იქნება, იქნება. წამოვალ ჯავახეთს ცხვორჩი, თუ იქაც მამაკითხეს, როგორმე გავექცევი და ტყეჩი წავალ, ცოცხალი თავით არ დავნებდები რუსის მთავრობას, სულ ერთია, თუ მამახელეს მომაშთობენ“.

სჩივოდა მამუკა.

„ცხორში არ იქნება ბალღო, ათათბირებდა პაპა უფლისა შვილიშვილს, ამილახვრიანთ მოურავმა სანდო კაცები შამოგვიჩინა მწყემსებად. მოურავი ვართანაი ენაჭარტალაა. ასე უბნობენ თავათ კნიაზსაც ასმენსო ვეზნაჩანიკთან.

იყუჩე ბალღო ხელმარჯვე დროს ვუცადოთ, ბალღო“.

*

* *

კვირა დილას უნდა გამგზავრებულიყო პაპა უფლისა ჯავახეთს, შაბათ საღამოს გაგას მოეწადინა უკანასკნელად გაესეირნებინა ოსმანა გორში.

დაჰყავდა ძაღლი სახაშეებში, სამიკიტნოებში. მედუქნეები სიხარულით ეგებებოდნენ ხევსურსა და მის მეგობარს. გამოჰქონდათ ხაშლამა და ბატკნის თავ-ფეხი. სიამოვნებით უმასპინძლდებოდნენ „ჯიგრიან მგელ ძაღლას“.

ჩუთკერაანთ უბანში შემობრუნებულს, სოსო, ძაღლის მწერი და მიტკა პოპოვი, გზისოსტატის ვაჟი შემოეყარა.

მიტკა ახლად გადმოსული იყო ქუთაისიდან, მან უეცრად გაითქვა გორის ყმაწვილებში სახელი როგორც სწავლით, ისე მტრედების ჭერით. იგი უცნაურად დაუსტვენდა ხოლმე და მთელი ქვეყნის მტრედები ყმებივით ემორჩილებოდნენ.

თავის სიბეჯითისა და გულკეთილობის მიუხედავად, მიტკას „ჩააცივდა“ ლავროვი მხოლოდ იმიტომ, რომ ლავროვს უნდოდა დაემტკიცებინა: ქუთაისის სასულიერო სკოლის მასწავლებლებმა რუსული არ იციან, „რადგან ესენი „ტუზემცებიაო“.

მიტკას წარამარა ლანძღავდა, რუსულსაც უწუნებდა და გრამატიკის ცოდნასაც, გასულ კვირას ქართული წიგნის კითხვაში დაიჭირა შავი ფირფიტა შეაბა ყელზე. რათ უნდათ რუსებს ქართული ენა, ქართულს ქართველებიც რომ არ ლაპარაკობდნენ ჭკუას იხმარდნენო.

გაგა დაღონებული ეჩვენა სოსოს.

ჰკითხავდა:

„რად მოგიწყენია გაგაჯან?“

„უნდა მივატოვო სკოლა, წამოიწყო ხელახლად გაგამ, ცხვორჩი უნდა წავიდე სოსო“.

„რად უნდა მიატოვო სკოლა?“

ეკითხება ყასიდად სოსო, თითქოს არ იცოდა მიზეზი.

„გადამეკიდნენ რუსები, ცუდი ხალხია რუსები“.

„ვინ რუსები, გაგა?“

„ლავროვი და ბერძნულის მასწავლებელი“.

„რუსები რა შუაშია გაგა? ყველა რუსი ხომ ცუდი არ იქნება? განა ცუდი ბიჭია ჩვენი მიტკაი?“

ეუბნება სოსო, მხარზე ხელი დაადო პოპოვს. გაგამ შეხედა მშვენიერს, ცისფერთვალება ყმაწვილს, რომელსაც სიმინდის ხაშარივით ხასხასა და ქერა კულულები გადმოღვროდა შუბლზე.

გაგამ გაულიმა და ჩაიბუტბუტა:

„ეგ ერთია კარგი“.

„რატომ ერთი გაგა? მამამისი, გზისოსტატიც — შესანიშნავი კაცია, ქართველ მუშებს თვალში რომ ჩაუვარდეს ხელს არ მოისვამენ, განა ცუდი კაცია ფერშალი კალაშნიკოვი. ზეინკალი კონოვალოვი? რამდენი ერთი დაგისახელო?“

გაგა დადუმდა, წასვლა დააპირა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, ბოლოს უეცრად შემობრუნდა და ელდანაცემმა წასჩურჩულა მეგობრებს:

„ლავროვი, ლავროვი“.

სოსომ გაიხედა და მართლაც ლავროვი დაინახა თავდაღმართში მიმავალი.

კოკარდიანი მწვანე ქუდი ეხურა, გრძელბალთებიანი პერელინა ეცვა, მიჩაქჩაქებდა, მიაფრიალებდა ეპისკოპოსის ბარტყულებივით განიერსა და გრძელ სახელოებს.

„მოდით ბიჭებო, ერთი ოინი მოვუწყოთ ამ ღმერთძაღლს,“ ამბობს სოსო, მიტკას და გაგას ხელი წაავლო და მახლობელ ეზოში შეიყვანა.

როცა ქუსლების პაკი-პუკით ჩაიარა ლავროვმა, ბიჭები გამოხტნენ ეზოდან.

გაგამ საბელი ახსნა ოსმანას და წაუსისინეს თავდაღმართში მიმავალს.

საშინელის ღრენით გაჭენდა თავდაღმართში ძაღლი. ქუჩაზე ვიღაც ჩიქილიან დედაკაცს ბავშვი მიჰყავდა. ოსმანა საერთოდ არ ერჩოდა ქალებსა და ბალღებს. დაშინებული დიაცი ბალღიანად გადავიდა ტროტუარიდან საჩქაროდ.

ლავროვს ესმოდა ოსმანას ღრენა და ფეხების თქარუნი.უკან მოიხედა, მაგრამ ვეღარ გადაასწრო ტროტუარიდან.

ამასობაში მგელძაღლა ეცა, პერელინა შემოაფხრიწა, თავათ ოსმანამაც ვერ შეიკავა თავი და დრუნჩი დაჰკრა მიწაზე, მერმე შემოტრუნდა და უკანალზე ეცა ლავროვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიჭები ვერხვებს უკან მოფარებული შესცქეროდნენ ამ სანახაობას და სიცილისაგან იგუდებოდნენ.

ლავროვის ღრიანცელზე ყოველი მხრიდან გამოსცვივდა ხალხი, მოსახვევიდან ორი გოროდოვოი გამოვარდა და ასტეხეს სტვენა.

ბიჭები დაფრთხნენ და თავდაღმართში გაიქცნენ. ძაღლის მწერი ზედ გადაახტა პირქვე დაგდებულ ლავროვს, მას სისხლი მოსთქრიალებდა უკანალიდან.

გოროდოვოებმა ეჭვი აიღეს და სირბილით გამოეკონენ გაქცეულებს.

ვიწრო ქუჩის ბოლოდან მომავალი გამვლელები რა დაინახეს, წინ მორბენალმა გოროდოვოიმ დასჭყივლა: არ გაუშვათო.

სოსო წინ მორბოდა, შეეშინდა არ დამიჭირონო, ამიტომაც შემოიქცა. მხარმარცხნით მაღალი მესრები დაუხვდა, ისკუპა და ზედგადაეკვლო. გადაჰყვა გაგაც.

ისკუპა მიტკა პოპოვმაც, იგიც გადახტა ვიღაცას ვენახში. ორთავეს ძაღლის მწერი მიჰყვა, მესერზე მოახერხა შეხტომა ვაშალომიძემ, მაგრამ ვენახისაკენ რა გადაიხედა, გადახტომა ველარ გაბედა.

გოროდოვოებმა შარვლის ტოტებით დაითრიეს ძაღლის მწერი.

ოსმანა ძლივს მოაცილეს დაკბენილ ლავროვს. გოროდოვოებმა ძაღლსაც დაუპირეს დაჭერა, მაგრამ ოსმანამ უფრო წინდახედული აღმოჩნდა: ქილიფთარიანთ ბაღისკენ მოუსვა.

ძაღლის მწერი მთელი ღამე დამწყვდეული ჰყავდათ საპოლიციო უბანში, უთენია გააღვიძეს და გამოკითხვა დაუწყეს:

ვინ მიუსიაო მასწავლებელს ძაღლი?

ვაშალომიძე გაჯიქდა. მაგრამ მოვიდა ბოქაული, ბრძანა: შარვალი ჩაჰხადეთ და მათრახები მიართვითო.

ვაშალომიძე კიდევ ყოყმანობდა: სამივე ამხანაგის ეშინოდა: კრივში საუკეთესონი იყვნენ, როგორც სოსო, ისე გაგა და მიტკა. ერთი რამ იყო. გაგა ცხვარში აპირებს მაინც წასვლას, სადღა შემხვდებაო იფიქრა, ამიტომაც როცა მეორეჯერ უთავაზეს მათრახები, აღვიარა: გაგა არაბულმა მიუსიაო ლავროვს მგელძაღლა. ძაღლიც მისიაო, დასძინა ვაშალომიძემ.

გორის მთელმა ადმინისტრაციამ გაიგო ეს ამბავი. მაზრის უფროსმა ცოვიანოვმა მოხსენებითი ბარათი დასწერა და ტფილისის გუბერნატორს მიართვა.

„ტუზემცები" გათავხედნენ, ქართველმა მოწაფეებმა ძაღლი მიუსიესო რუსულის მასწავლებელს, ერთერთი დამნაშავე შევიპყარით, ძაღლის პატრონს ვეძებთო.

*

* *

საღამოსკამს უფლისა არაბული ქილიფთარიანთ აივნის კიბეზე იჯდა ფეხშორთხმული და კიბის ზემო ხარისხზე წამომჯდარ მიხას ესაუბრებოდა.

სწორედ ამ დროს აივნიდან გამოვიდა ცოქალა და ქმარს უჩურჩულა: ვილაც ჩაფრები მოვიდნენ, პაპა უფლისას კითხულობენო.

მიხა შეკრთა, უფლისამაც გაიგონა ცოქალას ნათქვამი, წამოდგა და თავის გარიდება განიზრახა, სწორედ ამ დროს ორი ჩაფარი ქვემოდან მოადგა კიბეს.

ერთი კიბეზე ამოვიდა, წინ შეეხეჩა არაბულს და ეუბნება: წამოდიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიბიდან ჩამოვიდა მოხუცი და აუღელვებლად ჰკითხა: „რაი გინდით ჩემგან?“

მაზრის უფროსი გიბარებს, თავად გეტყვისო სათქმელს.

უფლისას ცეცხლი შემოეგზნო გულზე: სწორედ დღესლამ აპირებდა მთვარიანში წასვლას, მიხვდა მამუკას საქმეზე რომ იბარებდა მაზრის უფროსი.

იფიქრა: გავჯანჯლდები მცირეს, გაგა საგზაო არყის სასყიდლად ჰყავდა გაგზავნილი, ამასობაში მომისწრებსო, შვილებს დაუბარებდა: ხერთვისში აღარ ეცადათ, არდაგანს გაელალათ ცხვარი.

ჩაფარი არ ეშვებოდა, ეძიძგილავებოდა მოხუცს, უხეშად ავლებდა საკინძეზე ხელს.

მაშინ განრისხდა მოხუცი მთიელი, მკერდზე მუშტი ჰკრა ჩაფარს, ცინდალივით დააბერტყა ძირს.

ახლა ორი დანარჩენი მივარდა და დაეჭიდნენ მეცხვარეს, უმოწყალოდ სცემდნენ ცხვირპირში.

უარესად გამწარდა პაპა არაბული, ერთს იდაყვი ჩასცხო სახეში, მეორეს მუშტი უთავაზა გულის კოვზის ქვეშ, ამასობაში მესამე წამოეშველა ორთა, მათრახები უჭირა მოხუცებულს ზურგზე.

სწორედ ამ დროს მოხდა მთლად უცნაური ამბავი, საიდგანღაც ოსმანა გაჩნდა და ბარძაყებში ეძგერა ჩაფარს. იდაყვნაკრავმა რევოლვერი გაიძრო და სამი ტყვია დაახალა მგელძაღლს.

ოსმანა წაიქცა, მცირე ხანს აფხარკალებდა ფეხებს მდელოზე, მერმე გაიჭიმა, გაიჭიმა და უკანასკნელად შეუღრინა სიკვდილს...

## 23. მხერხავები

მამუკა არაბული დილიდანვე სჭრიდა სანახშირე მორებს. შირაქისა და ჯავახეთის უტყეო მიდამოებში გაზრდილი მეცხვარე გულისტკივილით აკეთებდა ამ საქმეს.

ეჩხუბებოდა ხისმჭრელებს, რომელნიც დაუზოგავად ჩეხავდნენ ტყეს.

ერთს წააქცევდნენ, ათ მოზარდს დაასახიჩრებდნენ; მიადგებოდნენ რომელიმე მუხას, აწვალებდნენ ნაჯახით, ორიოდე ცულის პირზე შემოაჭრიდნენ, მერმე მიაგდებდნენ, ახლა სხვას მიადგებოდნენ.

იმ დღეს ისე შემოეფანტა ხის მჭრელები, თავათაც ვერ შენიშნა მამუკამ. ნასამხრალამდის იმუშავა უსმელუჭმელმა. წაიქცეოდა ხე, დავარდებოდა სიჩუმე ტყეში, მოისმოდა ჩხიკვების ჩხავილი.

სათითოოდ გაპარულიყვნენ ბიჭები, მეურმეებმა ტვირთი წაიღეს, მზე მიიდრიკა, აღარავინ სჩანდა. მხერხავთაგან ერთერთი სადღაც მახლობლად ეგულებოდა მამუკას. იგიც უქმად დაეხეტებოდა, ხევხევ ჩალიჩობდა, სოკოებს ეძებდა სავახშმოდ.

კაცი უნდა გაეგზავნა მამუკას გორში, შეეთვალა: მომაშველეთო ურმები.

დაბობღავდა ღიჭიანში.

ყვიროდა:

„მალაზონია, ჰაუ, მალაზონია“.

ადამიანი არსად ჭაჭანებდა, ხეობა გრგვინვით უბრუნებდა ეხოს, ჩხრიალებდა ხევი, დაჟინებით ჩხაოდა ჩხიკვი.

მუხნარი გადაიარა, სერი ჩაირბინა. ხელი მიიჩრდილა თვალზე, ხედავს: უზარმაზარი ლოდის მახლობლად დაცუცქულიყო მალაზონია, და ჭალამნის თასმებს იბნევდა.

უნდოდა სახელი დაეძახნა მამუკას, მაგრამ აღარ იცოდა ძმათაგანი რომელი იჯდა ხევში? ჯამლეთ თუ მელიტონ?

ტყუპები იყვნენ მხერხავები, თვალის გუგიდან ამოღებულებივით ჰგვანდნენ ერთმანეთს.

საფეთქლები გაჟღალებოდა ძმებს, ამხანაგებიც ვერ არჩევდნენ ხშირად ურთიერთისაგან მათ, ჩოხა ერთნაირი ეცვათ, მწყრისფერი, მწყრისფერივე ჩაბალახით ჰქონდათ გაკრული თავი.

ფერად-ფერადი სოკოები ეყარნენ ლოდზე.

„მელიტონი ხარ?"

„ჯამლეთი ვარ, ჯამლეთ".

გაულიმა მალაზონიამ, მაგრამ ვერ გაიგონა მისი ნათქვამი.

ამ წუთში რომელიღაც ნადირს მიამსგავსა იგი მამუკამ, ჩაბალახის წვეტები ყურებივით მოსდგომოდნენ წვრილსა და ეშმაკურ სახეს.

„რად მაცდენ ბეჩავო, მელიტონ?"

„არა, ჯამლეთი ვარ გუდამაყრელო, ჯამლეთ, ნეტავი არც ჯამლეთი ვიყვე და არც ხვიტი, გუდამაყრელო".

„აბა ვინ გინდა იყვე?"

„არაკაცი, არაკაცი გუდამაყრელო. წელი მომწყვიტა მაგ საოხრე ხერხმა, კაი ხანია შენი ძახილი მესმის, მაგრამ ხმა არ გაგეც გუდამაყრელო, დამსაქმავს მეთქი რასმეს. სწორედ გითხრა, მეც ვაპირებდი გაპარვას".

„ეჰ, ჩემო ჯამლეთ, არ ვარგა როცა მუდამ გაპარვაზე უჭირავს კაცს თოლი."

„მაშ რა ვქნა გუდამაყრელო?"

„ვოჟკაცი იქ უნდა მაკვდეს, სადაც დაიბადების, ჩემო ჯამლეთ".

„თუ არ დაგაყენეს იქ სადაც დაბადებულხარ, მაშინ რა უნდა ჰქნა გუდამაყრელო?

შვიდი წელია, რაც იმ მუდრეგ ხერხზე გადაბმული დავწოწიალობთ მე და ჩემი ძმა, სამ წელს ჭიათურაში ვიმუშავეთ, ტყავი გაგვაძრეს, ბათუმში სიქა გაგვაცალეს, ტყიბულში საწყალი მელიტონი დასნეულდა, ველარც გორში ვნახეთ ხეირი, ამ მუხის კუნძებს რას გაართმევს კაცი, დღეში სამ აბაზს გვაძლევენ, მშიერ მწყურვალი ვყრივართ ამ ტყეში".

„მელიტონი სადღაა?"

„ხერხი წაილო, მოვპირავო, ასე ამბობდა, ალბათ იგიც სოკოებს ეძებს, ან არა და ისვენებს სადმე".

„ისვენებს, მაგრამ მუშაობა?"

„ეჰ, ჩემო გიგია, შრომით არავის აუგია ჯერჯერობით ფანჩატურები.

გონს მოდი, გუდამაყრელო გონს".

„პატიოსნურად უნდა ვიმუშაოთ ჯამლეთ, ხის მჭრელები გარბიან, მეურმეები შეშას იპარავენ, ოქუაშვილები მე ერთს ჩამამკიდებიან: პატიოსანი კაცი

ხარო, მუშას შენ მიუგდეო ყური. ამხანაგების დაბეზღება არ შამიძლია და სხვისი საქმეც მე უნდა გავაკეთო“.

„პაჰ, პაჰ, პაჰ, გუდამაყრელო, პატიოსან კაცად თუ გიცნეს, ლეღვივით გაგფცქვნიან იცოდე. პატიოსანი, ჰი, ხარია ყველაზე პატიოსანი და არც ერთ ცხოველს იმდენი ცემა არ ხვდება.

მეურმეები იპარავენ? ქურდის ქურდი ცხონდაო, ხომ გსმენია გუდამაყრელო? მეც ვიყავი ასეთი სულელი ოდესღაც, ასე მეგონა: პატიოსნად ვიმუშავებ, ხაზეინებს თავს შევაყვარებ, დამაფასებენ მეთქი. მე და ჩემმა ძმამ საუკეთესო ჯანი ტყიბულში, ბათუმში და ჭიათურაში ჩავტოვეთ, მერე რა? ჯერ ეს თქვი:

შენ რა მოგცა შენმა პატიოსნებამ გუდამაყრელო? ტყეში შენ გაგზავნიან, ნახშირს შენა სწვავ, ქურას შენ ანთებ, ტივებს შენ ღებულობ. რამდენი წელია სანახშირეში წვალობ, ჩოხა შემოგცვეთია, ქალამნიდან ცერი გიჩანს“.

მამუკამ ნაღვლიანად გაუღიმა ამხანაგს.

„ქალამანი არც შენ გაცვია სანაქებო ჯამლეთ“.

„მე გირჩევ მაგ შენი მთიულური ბანდულები გადააგდო გუდამაყრელო, აი ასეთი, იმერული ქალამნები შეიძინო, ასეთი გრძელთასმიანი, გესმის?“

მამუკა დააშტერდა ქალამნებს ცალი თვალით. ვერ გაეგო რად აქებდა მათი პატრონი ამ დახეულ ჯღანებს?

„რა ქალამანია ეგეთი განა?“

„გრძელთასმიანი, გრძელთასმიანი, გუდამაყრელო, მერმე ფომფლედ უნდა შეისკვნა ქალამნები, გესმის. შეგეხსნება, შეიბნევ, შეგეხსნება, ისევ შეიბნევ, ამასობაში დრო მიდის“.

მამუკამ გულიანად გაიცინა, მოეწონა ასეთი სიწრფელე ამხანაგისა.

„გუშინ ოქუაშვილმა თვალი შემასწრო, სულ მუდამ რად უკირკიტებო მაგ ქალამნებს? თუ ეს ქალამნები არ მოგწონს, ჩექმები მიყიდე მეთქი, ასე ვუთხარი“.

ჯამლეთ მალაზონიამ ქისა ამოიღო, ლოყებდაბერილი აფშუკუნებდა ყალიონს დიდხანს, მერმე ბეჯითად დასტენა ცერით, მოუკიდა და გააბოლა. ამ წუთში უცნაურად ეშმაკური გამომეტყველება ჰქონდა თრითინასებრ წვრილთვალება ვაჟკაცს. მერმე ყალიონი პირიდან გამოიღო, განზე გადააფურთხა, მარჯვენა ხელი მოუქნია გარს მომდგარ ბოლს და მიაშტერდა მამუკას ბისტგადაკრულ თვალს.

„მე ერთი ამბავი გავიგე გუდამაყრელო“.

ეუბნება და იცინის.

„რაი ამბოვია ეგეთი ჯამლეთ?“

ეკითხება მამუკა და თავათაც იცინის. შესცქერის სახეში და ფიქრობს: რა ყაი კაციაო ეგ ვირეშმაკა.

„რა... და...“

ესა სთქვა მალაზონიამ და მიმოიხედა ტყეში.

მხოლოდ ჩხიკვი ჩხაოდა მახლობლად.

რა დარწმუნდა, არავინ უსმენდა, განაგრძო:

„რა და შენ გუდამაყრელი არა ყოფილხარ თურმე“.

„მაშ ვინაო?“

ეკითხება მამუკა.

„ხევსური, თუ მოხევე ნახევსურალი“.

ჯამლეთმა ისევ ჩაიდო ყალიონი პირში, ისევ გაებერა [illegible] შუკუნებდა მცირე ხანს, გააბოლა, ისევ გამოიღო ყალიონი პირიდან [illegible] კვამლიდან გამოხედა მამუკა არაბულს და ეუბნება:

„იგიც გავიგე შენ არც გიგია ხიმიკაური ყოფილხარ თურმე, ჩვენ რას გვიმალავდი, ჩვენც შენსავით ბედდამწვარები ვართ, მამუკა“.

მამუკა არაბული ოდნავ შეკრთა:

„ვინ გითხრა შენ ეგეები ბედშავო?“

ჯამლეთი კვლავ იცინის დე ეუბნება:

„ვინც მითხრა, მითხრა, შენ რა გესაქმება?“

„მაინც ვინ, ეს მითხარი, თუ ჩემი ძმა ხარ?“

„ვინა და სესიამ“.

„სესია მებაღემან?“

„დიახ, სესია მებაღემ“.

„ნუ გეშინია, ეუბნება მალაზონია, დიდი ხანია, რაც ეს ამბავი ვიცი, როცა შენ ოქუაშვილებთან მენახშირედ დაგაყენა ბესომ, შენი თავი ჩვენ ორ ძმას ჩაგვაბარა სესიამ“.

„მეც ვიცოდი შენ და მელიტონიც რომ გადმოხვეწილები ხართ, მაგრამ ეს არ ვიცი რა შაგემთხვათ ესრეთი?“

„ათისთავი შემოგვაკვდა ბათუმში, სისხლსა გვწოვდა მუშებს და მას შემდეგ გადავიკარგეთ“.

მცირე ხანს ორივენი სდუმდნენ, ბოლოს მალაზონიამ დაარღვია ისევე დუმილი:

„მე და მელიტონმა გადავწყვიტეთ ადგილი და ხელობა გამოვიცვალოთ მამუკა. ჩვენ დურგლები ვართ, ამ ხერხმა გაგვიწყალა გული. ჩვენისთანა ხალხისათვის ერთ ადგილას დიდხანს დარჩენაც არ ვარგა, აჭარელი ძმაკაცი გვყავს ბათუმში ერთი, ამალამ ვაპირებთ აქედან გაპარვას, თუ შენც წამოგვყვები, საზღვარზე გადაგიყვანთ“.

მამუკა დაფიქრდა. თავჩაქინდრული ჩასჩერებოდა მიწას, თითქოს იქიდან უნდა მიეღო თაბირი, მერმე თავი ასწია, ისევ შეხედა ჯამლეთს, მაგრამ ვიდრე თავს მოუყრიდა სათქმელს, მალაზონიამ დაასწრო და ეს უთხრა:

„მე ვიცი, შენ შვილი გყავს გორში, გეძნელება მისი დატოვება, მაგრამ რად გინდა იქ იყვე, თუ საკუთარ შვილსაც ვერ გამოცნაურებიხარ. წავიდეთ ლაზისტანში, იქ ვიმუშაოთ, იქიდანაც მოეშველები მცირეს“.

ისევ ჩაჰქინდრა მამუკამ თავი. შემდეგ ნაღვლიანად ესა სთქვა:

„პაპა ჩემი შაპყრობილი ჰყავთ, უფლისაი, მაგ ძაღლებს.“

„ეგეც ვიცი, მაგრამ სესია ასე ამბობდა: ქრთამით ხერხდებაო საქმე“.,

„თუ ეს მახერხდა წამაგყვებით მეცა“.

მალაზონია წამოდგა, მხარზე ხელი დაჰკრა არაბულს.

„ახლა მე გამიშვი მამუკა, მეურმეებს გამოგიგზავნი, ნაშუალამევს სანახშირეში დაგვიხვდი, როცა მუშები წავლენ, — სატივესთან მოვალ და დაგისტვენ“.

*
* *

მხოლოდ ნაშუალამევს მიაღწია მამუკამ გორში. გუთნის [illegible] ჯერაც არ გადასულიყო ციდან. სანახშირეში ცეცხლი იღვეროდა. ურეხულებს წააგავდნენ შავად გარუჯული კუნძები.

მენახშირეები გაკრეფილიყვნენ. სატივესკენ გაიარა მამუკამ, ლაპლაპებდა მთვარის შუქზე მტკვარი, ქერქშემოცლილი ძელები გოლიათებივით მოჯარულიყვნენ ნაპირზე, ნელა ტორტმანებდნენ პალოებზე მიბმული ტივები, საწყალობლად ჭრიალებდა ჭაპანი.

გამობრუნდა, ნერგების ქვეშ კიდევ ენთო ცეცხლი, ლაპლაპებდნენ გარს ძომდგარი კლერტოები მანეულისა, ცვილის სანთლები დაუნთიათო თითქოს.

რუხფარაჯიანი მოხუცი ფეხმორთხმული იჯდა მიწაზე, წინ დაბჯენილი ყავარჯნისათვის მოეჭიდა ორივე ხელი, მკლავებზე ჩამოედო თავი.

ისე მიეახლა მამუკა, ხმაც არ გაუღია ბერიკაცს.

„სესიავ შენა?“

შეესიტყვა მამუკა ხმამაღლა.

სესიამ თავი წამოჰყო, სალამოს მშვიდობა უსურვა ახალმოსულს.

„რაი ამბოვი მამიტანე სესიავ, ჰა?“

„ამბავი? ამბავი ვერაა კარგი“...

„რაო უარს იძახის განა ქრთამზე?“

„წუხელისაც გითხარი ქილიფთარსაც შაუძლევია, მაგრამ“...

„მაგრამ რაიო?“

მოუთმენლად ჩამოართვა სიტყვა მამუკამ.

სესიამ ჯიქურ შეხედა მამუკას, მაგრამ სიტყვა გაეხირა ხორხის არეში. ერთბაშად აუვარდა ხველა. ახველებდა, ქანაობდა მისი მოდრეკილი სხეული, ახველებდა და ადუჟებდა ღადარში.

„მაგრამ რაიო?“

ხელახლა შეეკითხა მამუკა და როცა დაინახა ისევ ცეცხლს მიშტერებოდა მდუმარე სესია, ეს უთხრა:

„დამიჯერე სესია, გამოვცხადდები ხვალვე, აბა სანამდის უნდა სტანჯონ პაპა უფლისაი.“

„გამოცხადდები და მოგაშთობენ, სხვა რა იქნება?“

სდუმდა მამუკა არაბული, მიშტერებოდა ცეცხლს, საწყალობლად ჭრიალებდა ტივის ჭაპანი.

„არა და ტყეჩი წავალ სესიავ, ვეზნაჩანიკს არ შოვარჩენ პაპიჩემის ცემას“.

სესიამ ყავარჯენით უბიძგა მუგუზალს, ისე შეაგდო დაღვეღფილ ცეცხლში და ესა სთქვა:

„ჩვენ რაც არ უნდა ვივაჟკაცოთ ჩემო მამუკა, კაცისკვლით ვერას ვუშველით საქმეს. ერთად ერთი ვაჟი მომიკლა თამაზ ამილახორმა, მეც ასე ვიფიქრე: მოვკლავ მეთქი, მოკვლით, მოვკლავდი, მაგრამ შვილს ვინ დამიბრუნებდა?“

ერთბაშად თავი აიღო მამუკამ, მოუთმენლად ეუბნება ბერიკაცს:

„შენ ისე უბნობ სესია, უბედურებამ ხომ არ დაგვიარა წინაი?“

სესიამ ღონე მოიკრიფა, ასე იფიქრა: ახლა სჯობსო თქმა და ეუბნება:

„აღარაა შვილო უფლისაი ბედშავი. დღეს დილით უწამებიათ ხელახლა, ოსი ჩაფარი მიამბობდა ერთი, არ გასთქვაო შვილიშვილი, შამოაკვლიათო ბერიკაცი მაგ ძაღლთაპირებს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამუკა წამოვარდა გველცემულივით, თავზე წაიჭირა ორივე ხელი, ბერმე ჩაიკეცა მიწაზე. დიდხანს იყო ასე წამოჩოქილი ცეცხლის პირად, მუხლისთავზე დაებჯინა შუბლი, ნახევარ ბნელში ხედავდა სესია: თუ როგორ უტოკავდა ძარღვისთავები ცრემლით გაგუდულს.

დიდხანს იჯდა ორი ლანდი ჩამქრალ კერასთან, სატივესთან უსტვენდა ვიღაც.

მამუკა სატივესაკენ გაეშურა, სესია შეკრთა, წამოდგომა დააპირა, მაგრამ როცა ჩაბალახიანის ნაჩრდილი მიეახლა მამუკას, ისევ დაჯდა და შეეფიცხა ცეცხლს.

ახლად მოსულმა ჩაბალახი მოიხადა, შუბლიდან ოფლი მოიწმინდა აქშინებულმა, მხარზე ხელი დაადო მამუკას და ეს უთხრა:

„მივდივართ, მამუკა, მატარებელზე გვაგვიანდება იცოდე“.

„მე ველარ წამოვალ ამაღამ ჯამლეთ“.

მიუგო ნაღვლიანად მამუკამ.

„რაო, რათა?“

შეეკითხა მალაზონია.

„ჯერ პაპიჩემის სისხლი უნდა ავიღო ჯამლეთ.....“

ეს არ გაუგონია სესიას, მაინც მოუთმენლად უცდიდა მამუკას მობრუნებას ცეცხლთან.

## 24. შავი ოთხშაბათი

ოთხშაბათ საღამოს სესიამ ოსი, ჩაფარის სანაკოევის შემწეობით მოიპარა პაპა არაბულის ცხედარი. ძმებმა მალაზონიებმა ნაბადში გაახვიეს იგი და უხუცოდ წაიღეს ქალაქს გარედ.

როცა სახელდახელოდ გათხრილი სამარის კიდესთან ნაბადი შემოხსნეს მიცვალებულს, პირალმა მწოლარე უფლისა არაბული მთვარის შუქზე ცოცხალს მიაგავდა ზედმიწევნით. თეთრი, ბამბის პოპოკივით თეთრი წვერი წელამდის სწვდებოდა, ნაგვემი, მაგრამ უკვე დამშვიდებული სახე მძინარისას მოგაგონებდათ, მხოლოდ დაფანჩულ, ჭალარა წარბების ქვეშ დაევანებინა ღამეზე უშავეს სიკვდილს.

ქუდი მოიხადა მამუკა არაბულმა, დაიჩოქა, პირჯვარი გადაიწერა და შუბლზე აკოცა მიცვალებულს. დაბალი, დაბალი ხმით მოსთქვამდა: შენ იყავიო ჩვენი ოჯახის ჯავარი, შენ ამშვენებდიო არაბულების გვარს. სისხლი დაგვედოვო ვალად, ცოვიანოვს მოვკითხავთო შენს სისხლს და შაგეყრებიო პირნათლად შავეთში.

უკანასკნელად დაუკოცნა ღაწვის თავები ცხედარს და ბალღივით აქვითინდა ვაჟკაცი. როცა მელიტონ და ჯამლეთ მალაზონიები თავზე წამოადგნენ მამუკას, შეევედრა გათენებამდის მატირეთო მიცვალებულლი.

გეყოფა ბედშავო, გეყოფა, ეუბნება ჯამლეთ, ორივე მკლავზე ხელები წაავლო მამუკას, მაგრაი იგი არ სცილდებოდა ცხედარს, როცა ძმებმა ძალით ვაიყვანეს იგი განზე:

„მოვჰკლავ მაგ პირძაღლს...“

აყვირდა მამუკა ანაზდად.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

*

* *

ხუთშაბათს საყველიერო კრივი დაიწყო გორში.

ორ ბანაკად გაიყო მთელი ქალაქი. ქვემოუბნელები ზემოურებს ებრძოდნენ. დილიდანვე მოსეირე ხალხით გაივსო აივნები და ბანები.

წესისამებრ ჯერ მთლად პატარა ბიჭებმა წამოიწყეს კრივი. გამოსცვივდნენ ეზოებიდან ყმაწვილები, მამლაყინწებივით ეძგერნენ ერთმანეთს.

დროული კაცები შორიდან ადევნებდნენ მოკრივეებს თვალს.

„აბა, მიდი შვილოსან, გასცხე, არ შეარცხვინო ბიჭუკელავ გვარი“.

აგერ ორლობეში ორი ბიჭუნა წაკენწლავებია ურთიერთს, ერთს შავი ჩოხა აცვია, მეორეს თეთრი. გააწნა სილა შავჩოხიანმა მოპირდაპირეს, მამლის ბიბილოსავით გაუწითლდა ყბაყური. გამწარდა გვემული, მუშტი გასცხო ლაწვისთავზე შავჩოხიანს, ველარ აიტანეს კრივის წესები, ეძგერნენ ურთიერთს და ორივენი გადავარდნენ ლაფში.

იმარჯვა თეთრჩოხიანმა, ქვეშ მოიქცია „მტერი“, წიხლებიც მიაყოლა დამარცხებულს. უფროსი ძმა გამოექომაგა შავჩოხიანს, მიეჭრა მოპირდაპირეს და ზედიზედ უთავაზა სილა. შეჰქანდა ყმაწვილი და როცა მუშტი ამოჰკრეს ნიკაპზე, ვაჲ დედაო, დაიყვირა და იწვიმა ლაწვებზე ცრემლმა.

ძმა ძმას მიეშველაო?

გამოვიდა საასპარეზოდ სამი ძმა ერთი მეორეზე თითო ციდით მომეტებული. ძმათა შვილები წამოეშველნენ თეთრ ჩოხიანს, ძმათა შვილებს ბიძათაშვილები მოერთვენ და გაიმართა ხელჩართული ჩხუბი.

ათწლიანები გავიდნენ ასპარეზიდან, ახლა შეღერებული ყმაწვილები ჩაებნენ კრივში. ასოცი წლის უსინათლო პაპა ჭიშკართან იჯდა, სილების ლაწანი ესმოდა და კორიანტელი ჩხუბისა, არაკუნებდა ფილაქანზე ყავარჯენს, ყვიროდა:

„დასცხეთ ბიჭებო, ვენაცვალეთ თქვენს გამჩენს“.

ამილახვრიანთ ბიჭები მოდიანო, გაისმა ბრბოში.

დაიძრნენ მეეტლების, მეღვინეების, მეთულუხჩეების, მიკიტნების ვაჟები, მუშტმოღერილნი ეძგერნენ ამილახვრიანთ ყმაწვილებს. მათ თამაზ ამილახვარი მოუძღოდა ყოჩივით წინ. წაბლისფერი ჩექმები ეცვა, ზარნიშიანი ქამარი წელს უმშვენებდა, თავზე ხიზილალასფერი ფაფახი ეხურა.

პანტასავით დაჰყარა წინშემომხვდარი ბიჭები გენერლის ვაჟმა. მხარმარჯვნით მუხრან ბატონი მიჰყვებოდა ზურაბი. მხარმარცხნით ციციანთ ზაზაი, მოზვერივით სქელქედიანი ყმაწვილი.

სოსო, პეტა, გაგა და მიტკა პოპოვი დილიდანვე უბან-უბან დარბოდნენ. ხან სეირს უყურებდნენ, ალალგალაგ კრივობდნენ თავათაც.გაგა არაბულიც ხალისიანად ჩაება ამ წელსაც კრივში, რადგან სესიამ და „გუდამაყრელმა მენახ-

შირემ“ დაარწმუნეს ყმაწვილი; პაპა არაბული ციხიდან გავაპარეთ და მშვიდობით გავისტუმრეთო ცხვარში.

როგორც კი „სობოროს“ მოედანზე მიაღწიეს ჩვენმა გმირებმა, ეკიმალნიკალამ, მიკიტნის ვაჟმა, უჩურჩულა თამაზ ამილახვარს: შენი [illegible] მოდისო ეგერ.

გაგამ პირველმა შენიშნა თამაზ ამილახვარი, მყისვე მოაგონდა სესიას ნაამბობი: გაუპატიურება დაუპირა თამაზმა, მიტომაც თავს იხრჩობდაო რუსიკო.

ბრაზი წაეკიდა ხევსურს, პირველი ეძგერა ამილახვარს და ფერდში უთავაზა მჯიღი.

დაბარბაცდა თამაზი, მაგრამ არად ჩააგდო ტკივილი, შემოუქნია მოპირდაპირეს და ყვრიმალში გაარტყა მუშტი. მოუნაცვლა არაბულმა ხელი და ხუთივე თითი დაამჩნია ლოყაზე, მაშინ გულზე ხელი ჰკრა ამილახვარმა არაბულს, გამართული მკლავი მოუქნია და ცერი ამოჰკრა ცხვირზე.

თავბრუ დაეხვა გაგას, დაბარბაცდა და უთუოდ წაიქცეოდა, მიტკა პოპოვი და პეტა რომ არ ამოდგომოდნენ მხარში. სწრაფად გამოეყო ამხანაგებს სოსო. ჯიქურ მიეჭრა და გააწნა სილა. მოუნაცვლა ხელი ამილახვარმა ჯუღაშვილს. ტკივილი შესჭამა სოსომ, თავური იხმარა, გორული.

შეჰქანდა თამაზ ამილახვარი, ხიზილალასფერი ფაფახი გადავარდა ლაფში. მკლავი გამართეს მუხრანბატონმა და ციციშვილმა, გივი, პეტა და მიტკა წამოეშველნენ მეგობარს, გაგა არაბული ისევ ჩაება კრივში.

„კნიაზებს“ გაუჭირდათო რა გაიგეს, წამოეშველნენ მაჩაბლიანთ ბიჭები თავიანთ ტოლებს, მაგრამ იმარჯვა მიტკა პოპოვმა, დურგლის შვილები მოიშველია, ზეინკლის ბიჭები, გიორგაანთ ობლები, გრძელიშვილიანთ ყმაწვილები მოერთვენ მათ.

უფროსებმა რა შენიშნეს ცემა-ტყეპა გამწვავდა, ჩაერიენ და გააზავეს ყმაწვილები, ახლა დიდებმა წამოიწყეს „ძმური ჩხუბი“ თავათ.

შუკებიდან, ქუჩებიდან, ქუჩაბანდებიდან ახალი და ახალი მწკრივები ემატებიან მოკრივეებს. გაისმის სილების ლაწანი, მუშტების ბრაგვანი, უბან-უბან ყიჟინებდნენ: „მიდი, მიდი გენაცვა, დუბე, დუბე შვილოსან“.

ჩოხააკეცილი, მკლავებ წაკარწახებული ვაჟკაცები ღაწვის თავებზე, ყვრიმალში, გულ-მუცელში შეუბრალებლად სცემენ ერთმანეთს.

აჰა, გადმოლახეს ზემოუბნის მიჯნა ქვემოურებმა, უმოწყალო იერიშით წინ მოიწევენ.

ერთბაშად შედრკა ზემოუბნელების წინა წყება, ხმელხმელი,მაღალი, კუშტი ვაჟკაცი წინ მიუძღვის მოკრივეების ჯგუფს, მაუდის ჩოხა აცვია ტანზე.

„აბა განი, ხორველა ბიჭი მოდის, ხორველა ბიჭი“.

— გაისმის შეძახილი ხალხში. ზემოუბნელების ფალავანმა გზაგადაუჭრა ხორველა ბიჭს და პირველმა უთავაზა მუშტი, მაგრამ მოუნაცვლა „ხორველამ“ მჯიღი და გუდურასავით ძირს დასცა მეტოქე.

გამოჰქანდა „ფრთიანი ვასუა“, მისწი-მოსწია ხალხი. უცებ ბრბო გაარღვია ცნობილმა მოკრივემ ეგნატაანთ იაკობამ, მის დანახვაზე შედრკნენ ბიჭები, ჩინჩხვარივით ლეწავს ვინც კი ხელში მოჰყვება. აქვე კრივობენ „გოჭის ბიჭი“ ტანმორჩილი, მაგრამ კუნძივით ჩასკვნილი ვაჟკაცი, უზარმაზარი დევ-

კაცი ხოდელი, გაცივებულ კამეჩსავით ქშინავს და უშენს წინ შემოსვლართ მუშტებს.

აივნებიდან დედაკაცების ჟივილი მოისმის, შედრკენ ქვემოუბნელები. ფუჩეჩაანთ ზაქარას თავზე ხონჩა დაუდგამს, სველი ხელადები ზედ შეუდგამს, ღვინოს აწვდის დაქანცულ მეკრივეებს, ბერბუკიდან, ტინისხიდიდან ჩამოსული ვაჟკაცები თან მოჰყავს ნაცემი მოკრივეების ნაცვლად. ქვემოუბნელებსაც მოესმით ყიჟინი, ეს ატენელები და ხიდისთაველები შეუერთდნენ მათ.

მთელი გორის თავადაზნაურობა, ადმინისტრაცია და დიდი ვაჭრები სეირის საყურებლად გამოსულიყვნენ. მაზრის უფროსი ცოვიანოვი თეთრ ცხენზე იჯდა, თავის ამალით დაგელავდა ქუჩებში.

*

* *

შავ ორშაბათს, კვლავ განახლდა კრივი, ქვემოუბნელების ყეენმა გადმოლახა მტკვარი. აქლემზე უკუღმა იჯდა პირგამურული, ცალთვალა „ყეენი," რომელსაც შაქრის ქაღალდის წოწოლა ჩაჩი ეხურა თავზე, ცალ ხელში ხმლის მაგივრად ქაფქირი ეჭირა, ცალში ჟანგიანი შამფური, რომელზედაც ხახვი იყო წამოგებული. პირუკუ შებრუნებული ტყაპუჭი ტანზე ეცვა, პირში ორი კოჭი ჰქონდა; ყომარბაზობდა, იჯღანებოდა, ამილახორსა და მაზრის უფროსს აპამპულებდა.

მედოლეები წინ მოუძღოდნენ ბრბოს, ხალხს ამცნობდნენ ყეენის შემოსვლას. ხელჯოხიანები დარბოდნენ „აღებულ უბნებში" თავის გზირებს განაწესებდნენ. ეტიკს უზარმაზარი ყავარჯენი ეჭირა ხელში, წინ გადაუდგებოდა მოქალაქეებს, „ხარკს" ართმევდა ყეენის ხაზინისათვის.

ზემო უბნის მიჯნა გადმოლახა ყეენმა, ციხესთან მისასვლელებთან შეიქნა ხის ხმლების ჩახა-ჩუხი, კეტების ტრიალი, ნამდვილი ხელჩართული ომი გაიმართა.

ბოლოს უკუ იქცნენ ზემოუბნელები, ყეენმა გორის ციხეზე დაიდგა ტახტი. სოსო, გაგა, მიტკა პოპოვი და გივი კვალდაკვალ მისდევდნენ ბრუტიან ყეენს, ასე რომ მათ ყველაზე ადრე შეიცვნეს გუდამაყრელი მენახშირე, ეგეც შენიშნეს ყმაწვილებმა: სავსებით ახალი ქალამნები ეცვა ყეენად გადაცმულს.

როცა გორის მაზრის თავად-აზნაურობის მარშალი და მაზრის უფროსი ციხის გალავანში შემოვიდნენ, აქ სავსებით მოულოდნელი ამბავი მოხდა: ყეენმა გადააგდო ქაფქირი და შამფური, თვალის დახამხამებაზე გაიძრო ხანჯალი და მაზრის უფროსს ჩასცა ფერდებში.

აჩოჩქოლდა ბრბო, ჩაფრებმა სტვენა მორთეს, მისცვივდნენ მამუკა არაბულს და ძლივს გამოჰგლიჯეს ცოვიანოვი ხელიდან.

## 25. ფოტოგრაფიული აპარატი

სამშაბათ საღამოს სოსომ, პეტამ და გაგამ გორის ციხისაკენ გაისეირნეს. ალაგალაგ ჯერ კიდევ ისხდნენ ჯეელები და ქეიფობდნენ, ზურნის ჭიჭყინი ისმოდა.

ირგვლივ ჯგუფად დაყიალობდნენ მოსეირენი, შავი ორშაბათის კრივისა და ყომარბაზობის ამბებს მიუგდებდნენ ყურს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იჯდა თავკიდურის უზარმაზარ ლოდზე ბებერი მეზურნე. გაკიოდა ბაიათს:

„ეს ქვეყანა ჩალად არა ღირს,
ეს ქვეყანა ერთ ლამაზ ქალად არაა ჭღიიიირს“.

ციხის შესავალთან ფოტოგრაფიული აპარატი იდგა ძაძა გადაფარებული. ყმაწვილები შინ გაბრუნებას აპირებდნენ, მაგრამ ამ აპარატმა დააინტერესა ისინი. ალმართი აიარეს და შორი-ახლო შედგნენ.

ხან აპარატს უჭვრეტდნენ, ხანაც უთვალთვალებდნენ მისი პატრონი საიდანმე თუ გამოჩნდებოდა.

უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენდა იგი.

მიშტერებოდა ციკლოპიური და ბნელი თვალი საუკუნეთა გრიგალისაგან შელეწილ ბასტიონს, გარს მოხვეული ძაძა უცნაური გლოვით მოსავდა ამ უსულო საგანსაც სამფეხზე შემდგარს.

„რა საოცარია ცხოვრება, სთქვა სოსომ, ეს აპარატი ჩვენს წინაპრებს ხელთ რომ ჰქონდათ, ვინ იცის, რამდენი ბრძოლის, ციხეთა შელეწვის ამბები გვეცოდინებოდა დღეს! რამდენი ათასი გმირი დალუპულა ამ გალავანთან, მხოლოდ ეს კედლები დარჩენილან მათი გმირობის უტყვი მოწმენი!“.

ამის თქმა მოასწრო სოსომ და კარიბჭიდან სამი უცხოურად ჩაცმული კაცი გამოვიდა, უხუცესს მათ შორის ძველმოდური ბაკენბარდები ჰქონდა. ბინოკლი კისერზე ეკიდა, ხელში ბლოკნოტი ეჭირა, დაფეთებულივით აცეცებდა აქეთ-იქით თვალებს და რაღაცეებს იწერდა წიგნაკში.

ყმაწვილები გაოცდნენ რა დაინახეს, რომ ამ უცხოელებს მიხა ქილიფთარი მოსდევდა უკან. მიხას თავისი წოწოლა ქუდი ეხურა კალმუხისა, შინდისფერი კაბა ეცვა ყურთმაჯიანი, სათვალე შუბლზე აეკეცა. საერთოდ სავსებით პარადული შეხედულება ჰქონდა მას.

ყმაწვილებს თავაზიანი ღიმი მიაგება მიხამ, ბინოკლიან მოხუცს წამოეწია, მორიდებულად ხელი წაავლო მკლავში, ძლივს მოფანფალებდა დალმართში ლოყებლაჟლაჟა მოგზაურის გვერდით, თანაც სავსებით იდუმალი გამომეტყველებით ეჩიჩინებოდა რაღაცას.

უცხოელი თავს უკანტურებდა, ბლოკნოტში სწერდა განაგონს. ხან ილუშებოდა ხანაც ულიმოდა მიხას, ესიტყვებოდა ხმამაღლა და ასეთ დროს უცნაურად ელავდნენ მისი დიდრონი ოქროს კბილები.

უცხოელმა მთის ამფიტეატრზე ჩამომსხდარ მოქეიფეებს თვალი შეავლო და რაღაც ჰკითხა მიხა ქილიფთარს. მხოლოდ პასუხი მისწვდა ყმაწვილების სმენას:

„გუშინ ღამის 12 საათზე დასრულდა გორში ტრადიციული საყველიერო კარნავალი, ყეენობა“.

აქ მიხამ ფილოლოგიურად განუმარტა უცხოელს წარმოშვება სიტყვისა ყაენის მონღოლურ „ყაჰანიდან“.

„საქართველოს მრავალტანჯული ხალხი, განაგრძო მიხამ, ყოველ წლიურად, შავ ორშაბათს მართავს ასეთ კარნავალს. მაჰმადიანი ყეენების, შაჰებისა და ხანების გასაქირდავად, აქლემზე, ან ვირზე უკუღმა შესვამენ, ხოლმე მასხარათაგანს ვინმეს, მთელი დღე აპამპულებენ და ნაშუალამევს მტკვარში გადაგდებენ ყეენს ხუმრობით“.

მოგზაურთაგანნი უმრწემესნი ფოტოგრაფიულ აპარატს მიეახლენ, ადგილი გადაუნაცვლეს, აღმოსავლეთის ფასადის გადაღებას შეეცადნენ.

მიხა ქილიფთარმა ახლა სამხრეთისაკენ გადაახედა ბინოკლიანს, [illegible] ქაუშვირა და ეუბნება:

„აი მანდაა თვალწარმტაცი ხეობა ატენისა. იმ მთების უბეებშია სახელგანთქმული ატენის სიონი. VII საუკუნის ძეგლი XI -ში განახლებული აფხაზთა და ქართველთა მეფის, სევასტოსის ბაგრატ IV-ის, კუროპალატის მიერ.

აი იმ მთის ქედზე ნანგრევს ხომ ხედავთ? უცხოელმა თავი დაუქნია; მაინც მოიმარჯვა ბინოკლი და გახედა.

„ეს გახლავთ დანახვისა.

როცა ჩვენ ქვეყანას მტრის ურდოები შემოესეოდნენ, გლეხებს ვაზის წალამი აჰქონდათ მანდ. კოცონებს გააჩაღებდნენ და ეს იყო ნიშანი. დანახვისაგან მთელი აღმოსავლეთ საქართველო მოსჩანს.

მეთექვსმეტე საუკუნეში ლალა-მუხთარ ფაშა შემოესია საქართველოს. გორში მეციხოვნე ჯარი დასტოვა და შირვანს გაემართა შაჰ თამზაპთან საბრძოლველად.

გორელებმა ყველიერის ორშაბათს შეუთვალეს ციხისთავს: სპარსეთის შაჰის გასაპამპულებლად ყეენობას ვმართავთ და ხელი არ შეგვიშალოთო. დილიდანვე დიდძალი ხალხი მოადგა გორისციხეს. მეციხოვნენი სეირის საყურებლად გამოვიდნენ გალავანგალმა.

სწორედ ამ ადგილზე ყეენად გადაცმულმა შიოშ გარსევანიშვილმა სატევარი გაიძრო და ციხისთავი მოჰკლა.

1578 წლის შავ ორშაბათსაც კოცონები დაანთეს დანახვისაზე და აჯანყებამ იფეთქა მთელს ქართლში. შავად გაუთენეს ეს ორშაბათი თურქებს".

მოგზაურებმა აპარატი დაკეტეს და თავდაღმართში დაეშვნენ. ყმაწვილები დიდხანს იდგნენ ციხის მთავარ კარიბჭის ზღურბლზე და შესცქეროდნენ თუ როგორ მიფორთხავდა მიხა ქილიფთარი მხნედ მიმავალ უცხოელების უკან.

ციხის ეზოში ფეხი შესდგეს თუ არა, მეზურნეების გარშემო მოჯარულ ბრბოდან ძაღლის მწერმა გამოჰყო თავი. მიტკა პოპოვს მოსჭიდებოდა იგი მკლავზე, ძლივს მოკელანობდა შარვალშემოხეული.

თეთრ ბლუზაზე წითელი ღვინო გადასხმოდა ძაღლის მწერს, უამისოდაც ემჩნეოდა ნასმურევი რომ იყო ძალზე.

„ვინ მოგტეხა ძაღლის მწერო ეგ ფეხი?"

ეუბნება ვაშალომიძეს პეტა.

„გუშინ კრივში გავიმარჯვე სასტიკად".

ამბობს ძაღლის მწერი და ბანდალობს.

„მაგას ფეხებით უკრივნია გუშინ".

გაეხუმრა გაგა არაბული.

ძაღლის მწერმა ტუჩები მოიკვნიტა. ბრაზიანი თვალი შეავლო გაგას და დადუმდა.

მიტკა პოპოვმა ახალი ამბავი წამოიწყო: ზემოუბნელების ყეენი მტკვარში დამხვრჩვალაო კინაღამ. ჩვეულებრივად ხომ მეჩხერ წყალში გადააგდებენ ხოლმე ყეენს, ბიჭები მთვრალები ყოფილან, აუღიათ და სატივესთან გადაუგდიათ ბაყალი ბიწაძე მტკვარში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ორაგული როდის დამხვრჩვალა მტკვარში?“

შენიშნა სოსომ.

„ამ წელს ბედი არ სწყალობს გორელ ყეენებს, ამბობს ძაღლის მწერალი, არც ქვემოუბნელების ყეენს დაადგება კაი დღე“.

„როგორ, ხომ არაფერი მოსვლია გუდამაყრელ მენახშირეს ციხეში?“

იკითხა სოსომ, რომელსაც ფრიად აწუხებდა მისი ამბავი.

ძაღლის მწერმა ღვარძლიანად გაიცინა და ენაარეული ამბობს:

„რომელი გუდამაყრელი მენახშირე, მენახშირე კი არა, ბისტი. იგი ცნობილი ყაჩაღი ყოფილა, მამუკა არაბული. ესა სთქვა, გაგას თვალი გაუსწორა და განაგრძო: „ზეგ დილით უნდა დაახრჩონ წმინდა წყლის მინდორზე“.

სოსო, პეტა და მიტკა შეკრთნენ ამ უცნაური ამბის გამგონე, ხოლო გაგა არაბული რეტდასხმულივით შეტორტმანდა.

„არაბულო, ჯერ ეს მითხარი, შენი რაა მაგ ყაჩაღი მამუკა, აა?“

ქილიკობს ვაშალომიძე.

გაგა უარესად გაფითრდა და არა მიუგო რა. სოსო ერთბაშად დაიბნა. ერთ წუთში გაირბინა მის თვალწინ განაგონისა და შემჩნეულის გალამ.

მოაგონდა პაპა არაბულის ბესოსადმი ნათხრობი იდუმალ. მამუკას მიერ ყაზახთა ოფიცრის უცაბედად მოკვლა. ამ ამბავს გადაბა იმავე წელს, უცნაურად ჩამოხეული მწითური კაცის მოსვლა მათსას, ცალთვალა „კეთროვანის“ გაჭირვება ნემსში ძაფის გაყრისას, ბოლოს მისი საოცარი, ომახიანი სიმღერა: „ვოჟკაცსა გული რკინისა, აბჯარი უნდა ხისაო“.

გამხნევდა, თავათაც შეუტია ძაღლის მწერს, ასე როგორ წამოყრანტალებულ ამბის გამო, მკლავში ხელი წაავლო გაგას.

გულშემოყრილი ყმაწვილი ძლივს მიიყვანეს მეგობრებმა ქილიფთარიანთ სახლში.

*

* *

ძაღლის მწერის უხიაგმა მოშიანობამ მთელი გეგმა დაუფუშა მიხასა და ცოქალას. მათ განზრახული ჰქონდათ მეორე დილით სტეფან-წმინდას გაეგზავნათ გაგა. საბაბიც ნათქვამი ჰქონდათ: დიდედა ავათაა და გნატრულობსო.

ცოქალას დანახვაზე ატირდა გაგა, კალთაში ჩაუვარდა დედობილს.

სასოწარკვეთილმა მიხამ აღარ იცოდა თუ როგორ ეცა ყმაწვილისათვის ნუგეში. ბოლოს ისევ ცოქალამ მოისაზრა.

მიხას უნდა დაეწერა დიდი არზა რუსეთის მეფის სახელზე. წვრილად აღწერდა სტეფანწმინდაში მომხდარ ხიფათს, ხოლო რაც ყაჩაღობას შეეხებოდა 60 მართლმორწმუნე ქრისტიანი, მათში პირველი „სობოროს“ მღვდელი, დაამოწმებდნენ რომ მამუკა არაბული ყაჩაღად გავარდნილი არა ყოფილა, არამედ გორში მენახშირედ იყო და პატიოსანი შრომით ცხოვრობდა დღემდის. ეს თხოვნა დეპეშით გაიგზავნებოდა პეტერბურგს.

მეორე საღამოსვე ყოველივე მზად იყო და როცა გაგა არაბულს ხელი მოაწერინეს არზაზე, მან მართლაც ირწმუნა ცოქოლას შეგონება: „ხენწიფე იმპერატორი გულმოწყალე ქრისტიანია“, ან როგორ ინებებსო უდანაშაულო კაცის ჩამოხრჩობას, მით უმეტეს, რომ ცოვიანოვი მომჯობინდაო.

მიხა ქილიფთარი იჭვნეულად შესცქეროდა ამ საქმეს, მაგრამ გაგა არაბულის მწუხარებამ პრინციპისათვის გადაახვევინა, თავათ დასწერა ოხვენიც და ყმაწვილის დასამშვიდებლად აქებდა კიდევაც „სულგრძელობას ქრისტიან მეფისას“.

## 26. ჰყივოდნენ ყორნები წმინდა წყლის მინდორზე...

უთენია დასძრეს დიდძალი ხალხი ატენიდან, ტინისხიდიდან, ბერბუკიდან, მეჯვრისხევიდან, ტყვიავიდან, კარალეთიდან. გორი დაიცალა, დუქნები დაჰკეტეს, დიდი და მცირე წმინდა წყლის მინდვრისაკენ გაეშურა. მიჰრიალებდნენ უთვალავი ურმების ქარავნები.

მუხრანიდან და ხვედურეთიდან მუხრან ბატონები და ციციშვილები ჩამოვიდნენ აზნაურების ამალით. გორელი თავად-აზნაურობა, ადმინისტრაცია და ვაჭრები უკლებლად გამოვიდნენ სეირის საყურებლად.

მოდიოდნენ ცხენოსნები, ქვეითები, მეურმეები, თითქოს დიდ ბაზრობისაკენ მიეშურებოდნენ, ჩარდახიან ურმებში მორთულ-მოკაზმული ქალები ისხდნენ, ყველას ეს ეწადა: საკუთარი თვალით ენახათ თუ როგორ აიყვანდნენ სახრჩობელაზე სამ კაცს.

მათ შორის ორი მართლაც განთქმული ყაჩაღი იყო, მათი სახელები თავზარსა სცემდა მთელ მაზრას. ხოლო მესამის, მამუკა არაბულის ავკაცობა არავის სჯეროდა.

გორის ღარიბი მოსახლეობა: მედუქნეები, მიკიტნები, მენახშირეები, მხერხავები, თულუხჩები, დალაქები და მემწვანილენი, ყველა კარგად იცნობდა უწყინარსა და გამრჯელ ცალთვალა კაცს, რომელსაც გიგია ხიმიკაური ჰქონდა შერქმეული, ბევრი მას იცნობდა როგორც გუდამაყრელ მენახშირეს მხოლოდ.

გორელთა შორის მორწმუნენი დაჯერებული იყვნენ მეფის დეპეშა მოუსწრებდა და ნიკალა, ტფილისელი ჯალათი, უთუოდ გაწბილდებოდა.

გაგა იმ დღესაც შინ შეიქციეს მიხამ და ცოქალამ. კარგამოკეტილ ოთახში იდგა ფანჯარასთან ყმაწვილი და ნამტირალევი თვალებით გასცქეროდა ჭიშკარს.

ყოველ წუთში ელოდა კარი გაიღებოდა და შეწყალების დეპეშას შემოიტანდნენ, ცოქალა ხან ხატის წინაშე დაჩოქილი ევედდებოდა „დეპეშის დაჩქარებას“ ღმერთს, ხანაც შემოფათურდებოდა ოთახში, შეხედავდა დაზაფრულ ყმაწვილს, ისევ თავისაში ჩაიკეტებოდა, ისევ ილოცავდა და სტიროდა.

უცნაური სინანული წრიალებდა გაგა არაბულის გულში.

როგორ უგულოდ, ხშირად მკვახედ ექცეოდა იგი საცოდავ მამას. ქალამანდაფხრეწილი, ჩოხაშემოხეული დაწრიალებდა იგი გორში, ცვილივით ჩამომდნარი, მუდამ ნახშირში გამურული, შემოირბენდა მიხასას, ამოიღებდა ჩვრებიდან სიმწრით მოანაგარ გროშებს.

პაპა არაბულიც რომ ატყუებდა გაგას!

ეს ერთი საწყალობელი კაციაო, ვალი მართებსო ჩემი ძველი, ყოველთვიურად თითო ოქრო მოგიტანოსო.

იგონებს გაგა მის საცოდავ სამყოფლოს, გიორგაანთ მიწურში, მის ბისტგადაკრულ თვალს, აგურისფერ ჩოხას.

რამდენჯერ დახვედრია იგი გაგასა და სოსოს მარტოხელა კერასთან, იჯდა ხანდახან, ეს დაზაფრული კაცი და ამღერებდა ფანდურზე.

რამდენი მწუხარება ხმიანდებოდა მის დაბეჭილ ხმაში!

„აჰ, რისთვის დამიმალა ეს ყველაფერი საცოდავმა მამამ! [illegible] თავისი საიდუმლო, მტლედ დავედებოდი, ყაჩაღად გავიჭრებოდი [illegible], ცოცხალი თავით არ დავნებდებოდით“.

ახლა ენიშნა გაგას: როცა იგი ავადმყოფობდა, მუდამ მიხასას ჩალიჩობდა მამაი. მოკრძალებულად შემოაღებდა კარს, დაჰხედავდა ცალი თვალით ავადმყოფს, მოიბოდიშებდა: მიხას ნახვა მეწადაო, ხმა გაკმენდილი გაბრუნდებოდა.

თან გაჰყვებოდა ცოქალა და დიდხანს ესმოდა გაგას დერეფნიდან ორთა ჩურჩული.

ახლა ყოველივეს საფარველი აეხადა, ახლა ყველაფერი ნათელია.

ინებებდეს ღმერთი და შეიწყალებდეს ხელმწიფე მამუკას, ყველაფერს მიატოვებდა გაგა, სკოლასაც, რუსიკოსაც, ყველაფერს დათმობდა, ტოლებს მოიშველიებდა და ციხიდან გამოიხსნიდა მამას.

იღება ჭიშკარი, მეზობლიანთ ვასუა შემოდის, ფოსტალიონი აღარსად სჩანს, ღმერთო!..

ისევ იღება ჭიშკარი; ფოსტალიონი აღარსად სჩანს, ღმერთო!..

ეჰ, ვინ იცის, ეგებ მართალი იყოს სოსო ჯუღაშვილი, ეგებ აღარც ღმერთი იყვეს სადმე და აღარც ლომისის წმ. გიორგი!

აღარც ღმერთი სჩანს სადმე და აღარც ხელმწიფის გულმოწყალება.

იღება ჭიშკარი, ღორ-ხბო შემორეკა მოჯამაგირემ. დღე ერთი წავიდა, ღამე დაილია, ისევ დილაა, ისევ იღება ჭიშკარი და ფოსტალიონი აღარსადა სჩანს, ღმერთო!..

. . . . . .

* * *

სოსო, პეტა და მიტკა პოპოვი გათენებისას გაემართნენ წმინდა წყლის მინდორზე, შესცქერიან გლეხების დაღვრემილ სახეებს, მიიჩქარიან ჩოხაშემოხეული სოფლელები, ცხვრებივით მიერეკებიან მამასახლისები მათ.

მილაშლაშებს ჭკუამხიარული ბაზრის ხალხი, ისე მიუხარიათ სახრჩობელას სანახავად, მიდიოდნენ თითქოს ქალაქიდან მოსული ჯამბაზების საყურებლად. ნისლი დგება მინდვრებიდან, მახლობელ მთებზე ნისლის ფანტელები ფრიალებენ და კავკასიონი მოსჩანს ზეთისხილის ფერი სავსებით.

აჰა, გამოჩნდა სამი სახრჩობელა ბექობზე. სამივეზე მარყუჟიანი თოკები ჰკიდია.

საშინელი სრესაა ირგვლივ. ცნობისმოყვარენი კისერს იგრძელებენ, დიდი და მცირე წინ მიისწრაფვის.

ისმის ბაზრული ლაზღანდარობა. ვილაცას ფეხი დაადგეს, უწმაწურად ილანძღება.

მამასახლისები უყვირიან ხალხს.

სულ ახლოს მიაღწიეს ბექობთან სოსომ, პეტამ და მიტკამ.

ახოვანი, წითელხალათიანი კაცის ზურგი გამოჩნდა, მას რუსული გარმონივით დანაოჭებული შავი შარვალი აცვია, თეთრ წინდებში ჩატანებული.

„აი ეს არის ნიკალა ჯალათი“, გაისმა ჩურჩული ხალხში. როცა იგი მობრუნდა, სოსომ შენიშნა: მაყვალივით შავი წვერი ჰქონდა მას ბარიევით მომრგვალებული, ბორას ნისკარტივით მოდრეკილი, კეხიანი ცხვირი.

მან რაღაცა გაიხუმრა, წინმდგომებმა გადაიხარხარეს.

შემდეგ ამისა, სოსოს გვერდით ერთმა მოხუცმა ესა სთქვა: „ათ წელს თვითონ ყაჩაღობდა ეს სულძაღლი“.

სოსო ლოდზე აფოფხდა: ნიკალას გვერდით სამი კაცი მიწაზე იჯდა. ერთს შავი ჩოხა ეცვა, მეორეს, უმრწემესს, თეთრი ხალათი, ხოლო მესამეს აგურისფერი ჩოხა. სოსომ მამუკა არაბული იცნო.

ჯალათი მივიდა მხარმარცხნით მდგარ სახრჩობელასთან და ტაბურეტი დაუდგა ქვეშ, მერმე თოკს მისწვდა და მარყუჟი გააკეთა. ხელახლა ძირს ჩამოვიდა აუჩქარებლად, დასწვდა თეთრ ხალათიანს და ტაბურეტთან მიიყვანა.

ბრბოს გამოეყო მღვდელი, მივიდა თეთრხალათიანთან, ილოცა. ყმაწვილმა აკოცა ჯვარს, ხელზე ემთხვია ხუცესს, თავის ნებით ავიდა ტაბურეტზე, საწყალობელი თვალებით გადმოხედა ბრბოს და ტილოსფერი გადეფარა სახეზე.

ახმახმა ნიკალამ თოფრა ჩამოაცვა, მერმე სწრაფად გამოაცალა ტაბურეტი, უხმოდ და მორჩილად დაეკიდა ყმაწვილი ძელზე.

ახლა შავჩოხიანს დასწვდა ჯალათი. მას წაბლისფერი ფაფახი ჰქონდა წარბებამდის ჩამოფხატული.

მაჭარივით მღვრიე თვალებს უბრიალებდა სასეიროდ მოსულ ბრბოს. რაღაცას ზმუოდა, რომელიღაც ენაზე.

ესეც შენიშნა სოსომ, ვიდრე ტაბურეტთან მიიყვანდნენ, მან სახეში შეაფურთხა ნიკალას.

მაშინ უკუდგა ჯალათი, გაუშალა და თავისი ბანჯგვლიანი ხელით ისეთი სილა აჭამა ბედშავს, მხრებგანიერი, ვაჟკაცი შეტორტმანდა, ფაფახი გადაუვარდა, ნიკალამ ფაფახი აიღო და შარვლის ხვანჯარში ჩაირჭო. ხოლო შავჩოხიანს მთლად მტუტისფერი თავი გამოუჩნდა.

საჩქაროდ გადააცვა თოფრა და ცხვირპირზე გასცხო მხრებგაკრულს. მერმე ორივე მკლავი მოხვია და ტაბურეტზე შეაგდო.

ახლა, აგურისფერმა ჩოხამ გაიელვა.

სოსო გაფითრდა სავსებით. პეტამ და მიტკამაც იცნეს მამუკა არაბული.

როცა ხუცესი მიეახლა მხრებგათოკილს, მან იუარა ზიარების მიღება.

მაშინ ხუცესი შემოტრიალდა და ნიკალამ შემოხვია ორივე მკლავი, ყმაწვილივით აიყვანა ტაბურეტზე, მარყუჟი გადააცვა შიშველკისერზე და ტაბურეტი გამოაცალა.

ელვის უსწრაფესად წიხლი მოხვდა სახეში ჯალათს, ერთი დაბარბაცდა, ნადირივით დაილმუვლა, მივარდა ორივე ფეხს და მთელის ძალით ჩამოსწია ძირს, მერმე მუხლებზე ჰკრა თავისი გრძელი, ბანჯგვლიანი ხელი და ქალაქურად შეაგინა „დედის ჯიგარი“.

საათის პენდელივით გაჰქანდა და გამოჰქანდა მამუკა არაბული, ერთბაშად დაეცა მიწაზე.

„თოკმა იპატია“!

დაიქუხა მრავალმა ათასმა ანაზდად.

ხალხი პირჯვარს იწერდა, ალბათ განგების ნებაა, მეფის დეპეშაც მოუსწრებსო ბედშავ მენახშირეს.

ვიღაც შავხალათიანმა ახალი თოკი გადააგდო სახრჩობელაზე, მერმე თავათ აძვრა და გამონასკვა.

ნიკალამ მკლავები დაჰხვია თავის მსხვერპლს. ტაბურეტამდის მიიყვანა, ხელახლა შეაყენა და გადაუგდო მარყუჟი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღარ ტოკავდა უკვე ცხედარი, ნიკალა აუღელვებლად მიეხლა [illegible] ახალი ქალამნები მოთმინებით გახადა.

სამხრობამდის არ დაშლილა ხალხი. სოსო, პეტა და მიტკა უკანასკნელი გაემართნენ შინისაკენ, სამივეს მიწისფერი გადასდებოდა სახეზე.

ორ მგზავრს წამოეწიენ ყმაწვილები მინდორზე. ერთს შავი, ვრცელფარფლიანი ქუდი ეხურა, მეორეს რკინისგზელის ფორმა ეცვა.

სოსოს მრავალგზის შენიშნული ჰყავდა ეგ შავქუდიანი ბრბოში. იგი მოუსვენრად დაწრიალებდა სახრჩობელების მახლობლად. ყურადღებას იქცევდა თავისი მაღალი ღვაწებითა და სელაპისებური, დაშვებული ულვაშებით.

იგი ახლაც მოღუშული მოჰყვებოდა გვერდით რკინისგზელს, გაფიცხებული ესაუბრებოდა რუსულად.

„ვინაა ნეტავ ეგ კაცი?“

იკითხა სოსომ.

„შავქუდიანი?“

შეეკითხა მიტკა და თავათაც თვალი გააყოლა მგზავრს.

„შავქუდიანი, ჰო!“

„ეგ მაქსიმ გორკია, რუსი მწერალი, წუხელ ჩვენსას გაათია მან ღამე“.

უკანასკნელად მიხედეს მამუკას ცხედარს. ასეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა შორიდან: ორ ყაჩაღს შორის თავჩაქინდრული იდგა მამუკა არაბული წმინდა წყლის ველზე და საკუთარ, შიშველ ფეხებს დასჩერებოდა.

აქ მოხდა ერთი უცნაური ამბავი: მოდიოდა მოტვლეპილ მინდორზე მარტოხელა ყორანი, მოაკანტურებდა თავს ამპარტავნად მკერდწამოწეული. ღიმის მომგვრელი იყო მისი მედიდური დარბაისლობა.

„ეს წყეული სადღა მიდის ახლა!..“

ესა სთქვა სოსომ, ქვას დასწვდა და საეგებიოდ ესროლა უკვე აფრენილს.

მცირე მანძილი იფრინა ყორანმა, მემრე ფარფატით დაეცა მიწაზე და საშინელი ყივილი მორთო.

ვიდრე ყმაწვილები მინდორს გადაივლიდნენ, მოსცვივდა ყორნების მთელი ლეგიონი და უცნაური ვიშვიში ატყდა.

მეორე დღეს მელორეებმა მოიტანეს გორში ამბავი:

მთელი ღამე ჰყივოდნენ ყორნები წმინდა წყლის მინდორზე...

## 27. დანახვისა

ეთხოვებოდნენ ყმაწვილები გორის მშვიდ ქუჩებს, ბალახითა და ხავსით მოსილ ქუჩაბანდებს, ჩუტკერაანთ უბნის ვიწრო შუკებს, მტკვრისა და ლიახვის ხეობების საყვარელ სანახებს, ბურეთისა და კვერნაქის მშვენიერ ქედებს, ყოველ ამინდში რომ იცვლიან ფერსა და აღნაგობას. გორის ციხეს მუდამ დაღვრემილს, საუკუნეთა კოშმარულ სიზმრებში გართულს.

როგორი დიდი მღელვარება შეიპყრობს ხოლმე ჭაბუკს, როცა თავისი სიყრმის ასპარეზს უნებურად შორდება, სცილდება იმ აზრით, რომ ცხოვრების უფრო მაღალ ხარისხზე შესდგას ფეხი.

როგორი პატარა, საყვარელი და სანატრელი ხდება მაშინ ეს ადგილები, მივიწყებულია ყოველივე სიმძიმილი და თუნდაც დუხჭირი ცხოვრებაც გეტარებინოს მანდ, მაინც გიმძიმს მათი დათმობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ ორი დღით გადაიდო ტფილისს წასვლა. ავად შეექმნა ოლგასა ქილიფთარი თავის ვენახის მოსავლელად ატენს წასული.

ცოქალას პირით შემოეთვალა ყმაწვილებისთვის: ვინ იცის, ეგებ ველარც დაგიხვდეთო გორში მობრუნებულთ ცოცხალი, ტფილისს წასვლისას გამომიარეთ, ჩემი ვენახის ტკბილი ნაყოფით უნდა დაგლოცოთო.

გადასწყვიტეს, მიხა ვინახულოთ, შემდგომ ამისა დანახვისაზე ავიდეთო.

დასთქვეს: შაბათ დილას მტკვრის ხიდზე შეხვედროდნენ ურთიერთს.

სოსო, პეტა და მიტკა პოპოვი დროზე მოვიდნენ, გაგა არაბულს უცადეს, მაგრამ აღარსად სჩანდა.

„იცი სოსო, ამბობს დაღონებული პეტა, გაგა არაბული ხიფათს ეწევა იცოდე“.

„რაო, რათაო?“

„ნამეტნავად გულჩათხრობილი გახდა გაგაი, სწავლაზე გული აიცრუა, შენ რომ გვერდით არა ჰყოლოდი, გამოცდებსაც ველარ ჩააბარებდა, უხიაგი რამეები განუზრახავს, იცოდე, ხიფათს ეწევა გაგაი რასმეს“.

„რაში ატყობ მაინც?“

„როგორ თუ რაში? მან დათვზე აიღო ვამეხის სისხლი და დიდი პაპისა და მამისას განა ასე შეარჩენს ცოვიანოვს?“

„წამო გავუაროთ პეტა“.

„არა, მე აღარ მეკარება ბოლო ხანს“.

„აბა შენ წამომყე მიტკა“. წაეპოტინა სოსო პოპოვს.

„ჩემთან თითქმის უმზრახადაა გაგა. ისევ ისა სჯობს შენ წახვიდე და შენებურად დაათათბირო“.

ამას ამბობს მიტკა.

*

* *

ქილიფთარიანთ კარმიდამო გამოკეტილი დაუხვდა სოსოს. მხოლოდ ინდოურები დაბორიალობდნენ ეზოში. ამპარტავნულად გაფუყული მამალი გოროზად დადიოდა დედლებს შორის, ხორხოცობდა, ლეკურებივით წამახულ ფრთებს. უსვამდა ბეყვითლებულ მდელოზე.

გაახსენდა სოსოს ბავშვობაში როგორ ეშინოდა ქილიფთარიანთ ინდოურისა.

სკებს ჩაუარა, სევდიანი ზუნი ისმოდა ირგვლივ. ცუგაი კიბესთან იწვა, სოსოს ფეხისხმა რა შემოესმა, თავი წამოსწია, თავისი თელგამიანი თვალები ნაღვლიანად მიაშტერა სტუმარს, დაბაკუნა მიწაზე კუდი და ისევ განაგრძო თვლემა.

ხარიხებზე უნაბის ასხმულები, და ხახვის გალები ეკიდა.

წინა კარი ურდულებით დაეგმანათ.

ახლა უკანიდან მოუარა სახლს.

„გაგა“,

დაიძახა სოსომ. ჩამი-ჩუმი არსაიდან ისმოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ მამალი ინდოური გამოეხმაურა ამ ხმას.

კიდევ დაიძახა: გაგაო.

ისევ გამოეხმაურა ინდოური, თითქოს რომელიღაც უცნაური ენაზე პასუხი რაღაც.

უკან გაბრუნებას აპირებდა და სწორედ ამ დროს მახლობელ შრამელიდან შემოესმა ჭრიალი, გულის წამღები ტკრციალი.

მიეახლა შრამელს, ყური მიუგდო ჭრიალს, ლითონის უცნაურ წრიპინსა და ხრიალს.

ახლა ღიღინი შემოესმა სოსოს:

„ავაი ჩემო გორდაო,
ეეხლა საქმე სჭირსაო,
გადაერია ჯარჩია,
ფერი დაიდო მგლისაო“.

ეს ხმა ისევე დაბეჟილი და მწუხარე იყო, როგორიც ამ ექვსიოდე წლის წინად, გიორგაანთ მიწურში განაგონი.

და მოაგონდა სოსოს ტყაპუჭწამოსხმული მამუკა არაბული, ერთბაშად მის თვალწინ გაიელვა საშინელმა ჩვენებამ: თავჩაქინდრული იდგა აგუოისფერ ჩოხიანი კაცი წმინდა წყლის მინდორზე და საკუთარ შიშველ ფეხებს დაშტერებოდა.

უკვე აღარ იყო ამ ქვეყნად მამუკა არაბული, მაგრამ მისივე ხმა შურისგებით სავსე და მწუხარე, ახლა ამ გამოკეტილ შრამელიდან მოესმოდა სოსოს, სწორედ ისეთი, ზედმიწევნით ისეთი...

„ვოჟკაცსა გული რკინისა,
აბჯარი უნდა ხისაო“.

კარი შეაღო სოსომ, ტრიალებდა ჩარხი, ნაპერწკლებს ისროდა ნახევრად ბნელში. მკლავებწაკარწახებული გაგა იდგა და ლესავდა სატევარს.

სოსოს დანახვაზე ჩარხი შეაჩერა, უცნაურად აიმღვრა გაგა და ხელში შეაცივდა ხანჯალი.

„რად გინდა ბიჭო ეგ სატევარი?“

ეკითხება სოსო.

„გამოდგებისა“.

სოსომ სატევარს მიხედა და სატევარივით მახვილი მზერა შეაფეთა მეგობარს. საშინელი შურისგების სახმილი გიზგიზებდა ხევსურის თვალებში.

ანაზდად ისეთი გამომეტყველება მიიღო სოსომ, თითქოს არც კი შეემჩნია ეს, მხარზე ხელი დაარტყა მეგობარს და ლაღობის კილოთი ეუბნება:

„არ მივდივართ გაგაჯან ატენში?“

არაბულმა ოფლი მოიწმინდა შუბლიდან, გაღეღილი საკინძე შეიბნია და ამბობს:

„მენა, მენა ვეღარ წამავალ“:

სოსოს შენიშნული ჰქონდა: გაჯავრებისა და უგუნებობის დროს, კუთხურად უქცევდა გაგა არაბული.

მკლავში ხელი წაავლო, შრამელის კარამდის მიიყვანა და ეუბნება გაგას:

„რაო, რათაო?“

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქმე მაქვს“.

„რა საქმე?“

„მემრე გეტყვი“.

სოსო მცირე ხანს სდუმდა, შემდეგ ამისა ჰკითხა: ცოცხალია სადღაარ? ავლევს წავიდაო, მიიღო პასუხი.

„უცანაური კაცი ხარ გაგა. ეუბნება მშვიდად სოსო. ამხანაგების ხათრი არა გაქვს, ეს კარგი, მაგრამ ხვალ ზეგ ტფილისს მიდიხარ და არც კი გინდა შენს გამზრდელს გამოეთხოვო, მერმე ავათაა მიხაი“.

„მე აღარ მოვდივარ ტფილისს“. ჩაილუღლუღა გაგამ და საჩვენებელი თითი გადაუსვა გალაპლაპებულ ლინგს ალესილი ხანჯლისას.

სოსომ შეხედა მის სახეს და შენიშნა სისხლსა და ფოლადს ეთამაშებოდა დამწუხრებული მარტოსული.

თავი აიღო გაგამ, თავისი დაბინდული, ნაღვლიანი თვალები შემოანათა კარის ალაგზე შემდგარ მეგობარს, და ეუბნება:

„ძრიელ ცუდად შაქნილაო ძია მიხაი?“

სოსომ თავი დაუქნია და ეუბნება:

„აბა ეგ სატევარი შეინახე და ახლავე წამო“.

სულ რამდენიმე წუთში, პირდაბანილი, საკინძე შებნეული გამოვიდა მიხას სახლიდან გაგა და მონუსხულივით უკან გამოჰყვა მეგობარს.

*

* *

ადრე იძალა სიცხემ. ნერგებს ფოთლები შესჭკნობოდათ. ვენახებში ღვივოდა ყურძენი. ატმები და ვაშლები აფერადებდნენ წალკოტებსა და ბაღებს.

გატრუნულიყო ბუნება, გალურსულიყვნენ მთები, ბრეკებზე შეფენილი თხები წამოწოლილიყვნენ ჩეროებში და იკოხნებოდნენ.

ცისფერი, ღია ცისფერი ტანას წყალი უღიმღამოდ მოიპარებოდა თავის სარეცელზე.

ეზოებში ფეხშიშველა, შავოსანი დედაბრები დაფუსფუსებდნენ, საწყალობელი ხმით მღეროდნენ:

„აჰ, ლაზარე, ლაზარე,
ლაზარე მოადგა კარსა,
აბრიალებს თვალსა“.

მეწინავეს მათ შორის, სველ მჩვრებში გახვეული თიხის ლაზარე მიეხუტებინა მკერდზე.

ფქვილის ტომრებით დატვირთული დედაკაცები ფეხშიშველა უკან მოსდევდნენ მას და გალობდნენ თავათაც:

„ღმერთო მოგვეც ტალახიო,
აღარ გვინდა გორახიო“.

მიტკა პოპოვი შესდგა, გაოცებული უთვალთვალებს დედაბრებს.

„სოსო, ა სოსო“, შეეხმიანა იგი წინ მიმავალს.

„ვინ არიან ეს დედაკაცები?“

სოსომ ჩავლა აცალა შავოსნების პროცესსიას, მერმე გაუღიმა მიტკას და ეუბნება:

„შენ პირველად ხედავ ლაზარბატონობას?“

„პირველად“.

„ეს ჩვეულებაა ძველი, მოხუცი ქალები თიხისაგან გააკეთებენ ლაზარეს, სველ ჭინჭებში გახვევენ, დადიან სოფელ-სოფელ, მღერიან, ეალერსებენ წვიმისათვის ღმერთს, მერმე ლაზარეს აბანავებენ და ჩამონათხოვი სანოვაგით მოილხენენ“.

ბარბალეს ეკლესიას ჩაუარეს. სოსოს, გაგას და პეტას თავიანთი ბავშვობა მოაგონდათ, ღამის თევანი, გიჟების ღრიალი, გაფრენილი მამლების ხორხოცი, ყოველი ხე ამ გზის პირზე, ყოველი ჩირგვი უკვე განვლილი ბედნიერი დღეებისა და წამიერი სიმძიმილის მოგონებაა.

ეს ჩრდილო მრავალი, საყვარელი კაკლები ატენს მიმავალი გზის გაღმა-გამოღმა,ეს ლურჯი, ზღვასავით ლურჯი ვენახები ტანას მდინარის გაყოლებით, ეს დაღვრემილი ვერის ციხე ჯერაც ამაყი.

მიდიოდნენ, შესცქეროდნენ დანახვისას ამ ხეობიდან და გზადაგზა უთხრობდნენ ერთმანეთს, ათასგვარ ლეგენდას მის გამო განაგონს.

მანდიკურად ცხენზე გადამჯდარი დიაცები მიაჯირითებენ ოფლში გაღვარულ ცხენებს, მიჭრიალებენ ურმები, დასიცხული კამეჩები ქლიავისფერ თვალებს აბრიალებდენ, ყივის ხეობაში მამალი და ეს ისე მოისმის როგორც სიზმარეთიდან მოღწეული ძახილი.

მოჩხრიალებს გამდნარი ფირუზი — ცაზე უფრო ცისფერი ტანა.

* *

ყმაწვილები გაოცდნენ როცა მიხა ქილიფთარი ვენახში დაუხვდათ. რუ გადმოეშვა, ორკაპიან ჯოხს დაყრდნობოდა, იდგა ყურძნით დახუნძლულ ვენახში, გახარებული ნაყოფის სისავსით.

ვაზები კვლავ გაეხალისებინა სინოყივრეს, სილურჯე შეჰმატებოდა ფოთლებს.

ვაგლახად მოექცია ავადმყოფობას მიხა. ცისფერი ძარღვები მოუჩანდა საფეთქლებსა და ღაწვის თავებზე, შეთხელებოდა ისედაც მეჩხერი, მგლისფერი წვერი.

სიფრიფანა გამხდარიყო მისი ოდნავ კეხიანი ცხვირი, ყურებში ბამბა გაეკვეტებინა, თავი მწყრისფერი თავშალით წაეკრა, ხმას სიძაბუნე შეჰპარვოდა და თვალები ეცრემლებოდა ანაზდად.

ყმაწვილების დანახვაზე გაიხარა, აღელვდა ბერიკაცი.

„მობრძანდით, მობრძანდით“, თქვა მოკრძალებულად, თითქოს სხვის ვენახში ეპატიჟებოდა სტუმრებს.

სოსომ შენიშნა მას ღაწვები ოდნავ შეუწითლდა ანაზდად, ქორის ჭანგივით დახრილი ნესტოები გაუგანიერდა და უცნაურმა აღგზნებამ შეიპყრო იგი.

სოსოს შენიშნული ჰქონდა: რაღაც უცნაური, ყმაწვილური სიწრფელე მის შემოხედვაში, ისეთი მიამიტი კდემამოსილება, რომელიც მამაკაცს შემოეძარცვება ხოლმე ხანდაზმულ ცხოვრების მანძილზე.

დაფაცურდა მიხა ქილიფთარი, თავის მარანში შეიყვანა სტუმრები. სკამლოგინები იდგა ირგვლივ. უზარმაზარი საწნახელის გასწვრივ, დაკრიალებული ხაფები და თუნგები ეკიდა კედელზე, ახლად მოცელილი თივა ეყარა ერთ

კუთხეში. ნაბადი ეგდო ხის საწოლზე ისე გაფუყული, ზედ წევსო ვინმე ასე ეგონათ ახალმოსულებს.

წესრიგი და სისუფთავე სუფევდა ირგვლივ, ქლიავის ... ეკიდა ფანჯარასთან, საამური სუნი იდგა მარანში. დაგრაგნილი ჭილობები ეგდო მიწაზე.

„ეს არის ჩემი საოსტიგნოი ატენში, როცა ოჯახი თავს მომაბეზრებს, აქ გამოვიქცევი. ვუვლი ჩემს ვაზებს და ვერთობი ბუნებაში განმარტოებით. განა რა ბევრი რამ სჭირია ჩემებრ ბერიკაცს, ერთი ჭილობი, ერთი მუთაქა და ერთიც ნაბადი“.

„შეგაწუხეთ ვგონებ ძია მიხა, შეგაწუხეთ, ბოდიშობდა პეტა, ჩვენ ასე გვითხრეს, ავადაა და მიტომაც გამოვიარეთ“.

„მაგას რათა ბრძანებთ შვილო, თქვენზე უფრო საპატიო მე ვინ მეწვევა ღვთისა და კაცისაგან დავიწყებულ ბერიკაცს“.

სთქვა მიხამ, ჭილობის გრაგნილს მიეჭრა, გახსნა და გადაჰფინა სკამლოგინზე.

„დაბრძანდით, დაბრძანდით, მუხლი დაასვენეთ შვილებო“. ესა სთქვა, ხელკალათას წამოუსვა და ვენახში გავიდა. მცირე ხნის შემდეგ შემოფათურდა, ქარვისებრ მტევნებით გაავსო მაგიდა.

„ახლა ხომ უკეთ ბრძანდებით ძია მიხავ?“

იკითხა სოსომ.

„მადლი უფალს, ცოტა მოვჯობინდი შვილო, მაინც და მაინც დიდი დღე არ მიწერია; რთვლობამდის თუ გავაწიე, მაჭრობაზე გამომიარეთ უქმეებში. უკეთუ ცოცხალი არ დაგიხვდეთ შვილებო, მე უკვე დავუბარე ცოქალას, ნუ დამმარხავენ ატენის სიონის ეზოში, ჩემს წინაპრების საძვალეში, მე აღარა ვარ ამოდენი პატივის ღირსი. აქ დამფლან ჩემს ვენახში, ჩემს მიერ დარგულ კაკლების ჩეროში, მაშინ მოდით ბიჭებო, შესანდობარი დალიეთ თქვენი სულის ჭირიმე“.

დაფაცურობდა მიხა, უმასპინძლდებოდა დასიცხულ სტუმრებს.

„ოღონდ თქვენ კარგად ისწავლეთ, ყველაფერს შეგინახავთ შვილებო, სანაქებო ჯაგნებს, თავანკარა ატენურს, ნუშსა და ფშატს, ატმისა და ვაშლის ჩირებს“.

როცა ამას ამბობდა იგი, გაგას გვერდით იჯდა. საერთოდ ქალაჩუნობას უჩვევმა, ქოჩორზე ხელი გადაუსვა ყმაწვილს.

„ობლობას ნუ დაიმჩნევ შვილო, დარდს არ გაუღო გულის კარები იცოდე, ბედშავი მამაშენი ვაჟკაცი იყო, დღენიადაგ ასე ამღერებდა ფანდურზე:

„ვოჟკაცსა გული რკინისა,
აბჯარი უნდა ხისაო“.

კიდობანთან მიფათურდა მიხა, პურები ამოალაგა. მერმე კუთხეში ბარი გამოსჩხრიკა, ხელში დაიკავა, ამბობს:

„თქვენდა პატივსაცემად ერთ ქვევრს მოვხდი ბიჭებო, ოცდახუთი წლის ღვინო მაქვს შიგ“.

მერმე მივიდა ჭურისთავთან, ხელები წაიკარწახა; ისე მოწიწებით შეემზადა წინასწარ, თითქოს მღვდელმსახურებისათვის ემზადებაო, როცა მიწა გადააცალა, ხის ბარით შემოაჭრა დონდლო აყალო, ახადა ქვევრს, წამუყო გაგას:

მომიტანეო თუნგი. ღვიათი მოასუფთავა ჭურის პირზე მომდგარი პოვე და ამოიღო თუ არა ღვინო, თავად დაუსხა ყმაწვილებს იგი, ტანაბ-წყალობით ცისფერი და გამჭვირვალე.

ნასადილევს სოსო, პეტა და მიტკა პოპოვი ვენახში გავიდნენ.

მიხა მიეახლა სუფრის ბოლოს დაღვრემილად მჯდომარე გაგას. მხარზე ხელი დაადო და ეუბნება:

„მაშ ზეგ მიდიხარ გაგაჯან ტფილისს, მოიწერები როგორ მოეწყობი დედი ჩემის ძმის ოჯახში, მე და ცოქალა არ დაგატყობთ ობლობას, მოიწერდე ხოლმე ვითარებას შენსას...“

გაგა მდუმარედ უსმენდა მამობრივ მზრუნველობით აღვსილ ბერიკაცს. მერმე შუბლზე ხელი გადაისვა და ეუბნება:

„მე აღარ ვაპირებ ტფილისს წასვლას, მიხა ბატონო“.

„რაო, რისთვინაო?“

შეეკითხა გაოცებული მიხა.

„რა დროს სწავლაა ძია მიხა, მამისა და პაპის სისხლი მეძახის“.

„არა მამაშვილობას, ეგ არ გამაგონო, არ გამაგონო იცოდე, სოსოს თან გაჰყევ ტფილისს იცოდე, სოსო გიწინამძღვრებს შენ მანდაც. მე აქ ცოქალამ ძომწერა, იარაღს უკირკიტებსო დღენიადაგ, შურის საგებლად ემზადები, ასე გადმომცეს. მაგას ნუ იქმ შვილო, მე გირჩევ.

ერთი სახნისით ჯერ არავის მოუხნავს საქვეყნო ყამირი. განა მარტო შენ, ჩვენ ყველას გვმართებს შურისგება, შვილო...“

რა გაიგო მიხა ქილიფთარმა დანახვისაზე ასვლას აპირებენო ბიჭები, ჯერ ატენის სიონი მოიხილეთ, იქიდან მოკლეებით ახვალთო დანახვისაზე.

მეც წამოგყვებითო სიონში, აიჩემა ბერიკაცმა, უჩემოდ ვერ გაართმევთო იქაურობას თავს.

ამაოდ ეევედრნენ, ნუღა დაშვრებიო ნაავადმყოფარი, მაინც წამოსვლა არ დაიშალა მიხამ.

სულ მალე მოიქანცა ბერიკაცი.

ქშენით მიყვებოდა ალმართებს, ოფლში იწურებოდა, ღაწვის თავები უცნაურად უწითლდებოდა.

უამბობდა ყმაწვილებს ატენის ძველ ამბებს, ქალაქი იყოვო მეთერთმეტე საუკუნეში ატენი. ქოლბაგები და დარბაზები უშენებიაო, ბაგრატ მეფის ბრძანებით, ატენის ციხისთავს მირონ თარხნის-ძეს.

ახლა სოსო და გაგა შეუდგნენ მხარში, მაინც უჭირდა ალმასვლა, მძიმედ სუნთქავდა, ახველებდა, წარამარა ისვენებდა გზადაგზა ლოდზე.

„თქვენ ვერის ციხეს ჩაუარეთ გარდატენთან არა?“ ამბობს მიხა და მიტკა პოპოვს შეაკქერის თვალებში.

სამთვეს გარს ადგა ე მაგ ციხეს შაჰ-აბაზი. ვერა დააკლო რა. ბოლოს მეციხოვნე შეიპყრეს ირანელებმა ღამით ერთი. აწამეს, წყაროს თავი გააცემინეს.

მოსწყვიტეს წყალი, ციხე აიღეს და შეიპყრეს მუნ დედა ლუარსაბ მეფისაი. ველარ აიტანა ბედშავმა ტყვეობა და საწამლავი დალია გზაში“.

„ეს რა ციხეა, იკითხა მიტკა პოპოვმა, მხარმარჯვნით კლდეზე ალმართულ ციტადელს მიაშვირა თითი.

„ეს საცივის ციხეა შვილო.

სიმონ მეფემ სამგზის აიღო იგი, სამგზისვე დაჰკარგა, ბოლოს გონის ციხე აიღო, იქიდან მოჰყვა, გარეკა თურქნი ვერის ციხიდან, საცივისა შემოწყო და ამოსწყვიტა მეციხოვნე ჯარი“.

უკვე გამოჩნდა ატენის სიონის საუკუნეთა გრიგალებისაგან დალმეჭილი ლურჯი კედლები, ხავსმოდებული ფიქალის სახურავი.

„რადაა ეს ტაძარი ძია მიხა ზევით ლურჯი, ხოლო ქვემოდ აგურისფერი?“

ეკითხება პეტა:

„ეგ ცეცხლისაგანაა შვილო, არაბებსა და თურქებს ასე სჩვევოდათ, თივას შემოუწყობდნენ ტაძრებს და ცეცხლს შემოაგზნებდნენ. თქვენ რომ წულრუ-ლაშენის ტაძარი ნახოთ, გუმბათიანად ალისფერია იგი“.

გასცქერის მიხა ქილიფთარი ატენის სიონს და გზადაგზა ადიდებს ბაგრატ IV, კუროპალატს. დიდებული მეფე იყოვო ბაგრატი, მაგრამ ქრისტიანობისგან დაებანგაო გონება.

ჩრდილოს შესავალთან შეაყენა ყმაწვილები. უჩვენებს უცნაურად დატვიფრულ დისკოზე მიმდგარ წყვილ ირმების ბარელიეფებს.

„ეს ხარი და ფური მისდგომიან მზის დისკოს. ამბობს მიხა. ისტორიკოსთაგანნი ზოგნი ასე ფიქრობენ თითქოს დისკო ესე წყლის ემბლემა იყოს, მე კი მგონია, მზის დისკოა იგი. მზეი ხომ სათავეა მსოფლიო ენერგიისა, ალბათ ეს უნდოდა ეჩვენებინა ხელოვანს: მსოფლიო ენერგიის არსთაზედან ემანაცია“.

ტაძარში ფრინველთა სკორესი და ნესტის სუნი იდგა.

დაფრთხნენ გარეული მტრედები, გრუტუნით მიაწყდნენ გუმბათის ფანჯრებს.

წვიმასა და სკორეს ჩამოერეცხა და წაებილწა ფრესკები, ირგვლივ მოსჩანდნენ თვალები, ხელები, ფრთები, ფეხები, გვირგვინების, ნიმბების ნაფლეთები პორფირების ნამუსრევები, რაინდების თორისა და ჰოროლების ნაწილები. ყველაზე მეტად ამაზრზენი იყო წარეცხილ ფრესკებზე დარჩენილი თვალები. დიდრონი, სევდიანი, მშვენიერი თვალები, იმზირებოდნენ გარშემო ოთხივე კედლიდან, სოსოს ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს ათასი თვალი იხედებოდა გადასული საუკუნეების ბნელი საფარველიდან.

კუთხეებში ჯერ კიდევ შერჩენილი იყო მეფეების, ერისთავების, წმინდანების გაცრეცილი სილუეტები.

იდგა წინაპართა აჩრდილებს შორის, მიხრწნილი მოხუცი და საწყალობელი ხმით შესტიროდა ჭაბუკებს:

„აჰა, ჩემო კარგებო, ჩვენი ქვეყნის წახდომისა და იავარქმნის უნუგეშო სურათი.

მთელს მსოფლიოში უნიკალურ ქმნილებებს, X, XI, საუკუნის ფრესკებს აწვიმს, ათოვს, და ფრინველნი ბილწავენ სკორეთი, აღარავინ სჩანს განმკითხავი და შემწყნარებელი.

აგერ კუთხეში მოხუცის სურათს ხომ ხედავთ, ეს არის ქრისტე ძველთა დღეთაი. თქვენ იცით; ლეგენდის მიხედვით ქრისტე 33 წლის გარდაიცვალა, მსოფლიო მხატვრობა ამ ფრესკის ბადალს არ იცნობს.

აგერ მხარმარცხნით, მიმავალი ანგელოსის ფრესკას ხომ ხედავთ, აქ უდიდესი ძალმოსილებით გადმოცემულია მოძრაობა“.

მერმე შეატყო მიხამ, ყმაწვილებს მოსწყინდათ, ბინოკლი მოიმარჯვა, დასავლეთის კედელს მიეახლა და ტაატით დაიწყო ქვაზე ამოკვეთილი წარწერის ამოკითხვა:

„თვესა აგვისტოსა 5-სა, 853 წელსა, დღესა შაბათსა, ქალაქი ტფილისი დასწვა ბუღამან, შეიპყრა ამირაჲ საჰაკ და მოჰკლა და მასვე თვესა აგვისტოსა 26-სა, დღესა შაბათსა"...

ყმაწვილებს მიუბრუნდა და ეუბნება: „ე. ი. 1041 წლის წინად დღევანდელ დღეს, ზირაქმან შეიპყრა კახაჲ და ძე მისი თარხუჯი". ამოკითხვა გაათავა და ყმაწვილებს ეუბნება:

„აწამა".

*

* *

დასავლეთის კედელთან მიიყვანა ისინი, მერმე ერთბაშად შემოტრიალდა და ეუბნება ისეთის დამაჯერებლობით თითქოს ცოცხლებს აცნობსო მათ:

„ეს გახლავთ კონსტანტინე აფხაზთა მეფე, ეს გიორგი მამამისი, აგერ სომეხთა მეფე სუმბათი და ვაჟი მისი სუმბათი. ეს ცადაპყრობილი ხელები, რომელიღაც კათალიკოსს დარჩენია მანდ".

გარს შემოუარეს ტაძარს. ყმაწვილები გაფაციცებით ათვალიერებდნენ ლოდებზე ამოჭრილ სვასტიკებს, ასოებს, ქარაგმებს, ოსტატების გაშლილ ხელებს, ბარელიეფებს, ყურძნის მტევნებს, ლომებს, ცხენოსნებს, ლომთან მებრძოლ სამსონს და კურდღელზე წამომჯდარ არწივს.

აღმოსავლეთის ფასადთან შესდგა მიხა, თავისი ყავარჯენი ზეაღმართა და უჩვენებს სამიოდე წყრთის სიმაღლე ბარელიეფს, ბიზანტიურ გარკაბაში მორთულ ფიგურას სახელოები ქობებამდის სწვდება.

„ეს გახლავთ ბაგრატ IV კუროპალატი, ნოველისომოსი ყოვლისა აღმოსავლეთისა, მარჯვნით ფენიქსი, მარცხნით ქრისტე".

მიხა ქილიფთარი ღელავდა, უკვე სამხრობა მოწეული იყო, ხვალ ადითო დანახვისაზე.

როცა ყმაწვილები მთის შემრეცილ ბილიკებს შეუდგნენ, მიხა ეკლესიის მორღვეულ გალავანზე იდგა, მისძახოდა:

„ვაჲ ჩემო სიბერევ, რომ ვერ მოგყვებით ბიჭებო, ჭკუით იარეთ გენაცვალეთ ბიჭებო, ჯერ მხარმარჯვნით მიჰყევით იმ ცალფეხა ბილიკს, მერმე ერთი ნიში შემოგეყრებათ, მხარმარცხნით გაჰყევით".

თვალებზე ხელს იჩრდილავდა, უყვიროდა ქვევიდან.

მზე ჯერაც არ იყო გადასული, როცა ყმაწვილებმა დანახვისას ნანგრევს მიაღწიეს.

სოსო ავიდა პირველი მორღვეულ კედლის ნამუსრევზე — უთითებდა ძეგობრებს ბრუტსაბძელს, იალბუზსა და ყაზბეგს, ცივგომბორის მთებსა და თრიალეთის მწვერვალებს.

„აღმოსავლეთით თვალი გააყოლეთ გედებივით გაწკაპულ ღრუბლებს, იქ სადაც შაბიამნისფერი გორაკებია, მოთეთრო გუმბათებს ხომ ხედავთ, ტფილისია, ტფილისი, კარგად დააკვირდით, ცეცხლებიც ელავენ, ვგონებ, აქა იქ..."

ამბობს სოსო, გასცქერის ლაპისლაზულისფერ თრიალეთის მთას და მის შორეულ განაშტოების კალთებთან შეფენილ თეთრ ქალაქს. მთლად სოსანის-

ფერი ლრუბლები გრძლივ მიტმასნოდნენ კავკასიონს, ისეთი მღელვარე ხაზით მოხატულიყვნენ მწვერვალები, თითქოს ერთი გაბედული მოსრეა ეგუფლიაო იგი დიდ ოსტატს ცისა და მყარის გასამიჯნავად. ხოლო [illegible] ტფილისს გადალმა ენდროსფერი ლრუბლები ელავდნენ.

ჭაბუკთაგანს ჯერ არც ერთს არ ენახა ტფილისი, ლეგენდებით გაბრწყინვებული ქალაქი, ახლა აღტაცებული გასცქეროდნენ ახალი ცხოვრების ამ დიდსა და ბრწყინვალე ასპარეზს....

* *

ღამე წამოეწიათ ატენს ჩასვლამდის, მაგრამ წვიმას ჩაასწრეს ბაღში. სდუმდნენ ასწლოვანი კაკლის ხეები, ბნელში ისე მოსჩანდნენ მტევნები, როგორც ატენის სიონის ბარელიეფებზე გამოკვეთილნი.

მიხას ჯერაც თვალი არ მიელულა.

ავახშმა ყმაწვილები, საწოლები მოუმზადა სახელდახელოდ. გაგა საწნახელზე გაიშოთა, პეტამ და სოსომ ჭილობები იკმარეს, მიტკა თივაში მოკალათდა.

ჯერ ნელა, სულ ნელა ფაჩუნებდა ვაზის ფოთლებში წვიმა. ჭოტი იძახოდა სადღაც. ნეშოს სუნი, მიწის სუნი შემოდიოდა დაბნელებულ მარანში. უცებ მოუხშირა წვიმამ და ანაზდად წამოვიდა თქეში. ერთობლივი ტაშივით გადაიარა მზისუმზირას, სიმინდისა და გოგრის ფოთლებზე.

შრიალებდა ვაზი და თვალმილულულ ყმაწვილებს ესმოდათ თუ როგორ სცვივოდა მარნის მახლობლად ატმისა და ვაშლის ნაყოფი.

გაიელვებდა ანაზდად, მოიჭრებოდა ცაზე ატენის მთების სილუეტები, კვლავ გაირთხმებოდა ვენახებზე ბნელი და ტკბილად საუბრობდა ვაზის ფოთლებთან წვიმა.

*

* *

პურით, ყველით, მწვანილით, ყურძნით და ვაშლებით დატვირთულ სუფრაზე მიიწვია მეორე დილას მიხამ სტუმრები, სველი ხელადიდან თავათ დაუსხა ღვინო, პირველი ჭიქა თავათ აიღო და დაილოცა:

„გაიხარეთ და გაახარეთ თქვენი ქვეყანა შვილებო, ისე როგორც მე ეს მტევნები მახარებენ უსასოვო მოხუცს.

ძველს ბერძნებს მითი ჰქონდათ მშვენიერი ერთი:

ჰესპერიდებს, ძევესისა და თემისის ასულებს, დასავლეთის უაღრეს კიდეზე უცხო რამ ბაღი ჰქონდათ გაშენებული, ოქროს ვაშლებს ისხამდნენ თურმე ხეები მანდ.

ბერძნების ღმერთებს ატენის ხეობაში რომ შემოევლოთ, ჰესპერიდების ბაღი და ოლიმპის მთა არად მოეჩვენებოდათ უთუოდ. მაგრამ რად გინდათ, ეს ედემი ჩვენი აღარაა უკვე, სხვისია, შვილებო, სხვისი...

უცხოელები მოდიან ხოლმე ჩვენს ქვეყანაში ხშირად,აქებენ ჩვენი ქვეყნის მშვენებას, ჩვენს ამო ჰავას, ღვინოსა და ხილს, ლამაზი ხალხიაო, ასე ამბობენ ჩვენზედაც.

არ ვარგა შვილებო როცა მარტოოდენ სილამაზეს გიქებენ უცხონი, ისა სჯობია უსახო ვაჟკაცები ვიყვნეთ, ვიდრე ლამაზი ჯაბანები, შვილებო.

გუშინ დიდი ჯაფა დაგადგათ დანახვისას ნანგრევებზე ასვლისას, განაგონი გაქვთ ალბათ, მუნ ანთებდნენო ჩვენი წინაპრები ოდესღაც კოცონებს.

უფრო მაღალ მწვერვალებზე მოგიხდებათ ალბათ ცხოვრებაში ასვლა. იცოდეთ ისეთი კოცონი უნდა გააჩაღოთ, მთელმა ქვეყანამ დაინახოს შურის გების ალი....“

. . . . . .

. . . . . .

როცა ქილიფთარიანთ ბაღიდან გავიდნენ ყურძნით, ატმით და ვაშლებით დატვირთული ჭაბუკები, სოსომ თვალი შეავლო ამ საყვარელ ხეებს, მარნის გარშემო მდგართ, თავისი ტკბილი ბავშვობა მოაგონდა ანაზდად.

აგვისტოს დამლევს, თითქმის ყოველ წელს, ამ ბაღიდან გამოსულს თან მოჰქონდა მას მიხას მიერ ნაძღვენი ხილი.

ამ დღეს მას არაფერი წამოუღია თან.

სოსო ახლა უკვე დაბეჯითებით გრძნობდა, რომ სადღაც აქ გათავდა, როგორც ბავშვობა, ისე სიყრმე მისი...

გაგა არაბული წამოეწია წინმიმავალს, არც მას მოჰქონდა საგზაოდ ხილი, პეტასა და მიტკას მიხედა, ჯაგნებით დატვირთულთ, სოსოს ნაბიჯი გაუსწორა და უჩურჩულა:

„ტფილისს კი არა, შავეთს წამოვალ შენთან“.

სახე გაუბრწყინდა სოსოს:

„მაშ ვიაროთ გაგა, ხომ ხედავ რა მშვენიერია ეს ქვეყანა ნაქუხილარზე“.

პირველი წიგნის დასასრული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირაკლი აბაშიძე

# წულუკიძის სიკვდილი

ამბ. წულუკიძის დასაფლავება, რომელსაც მნახველთა გადმოცემით 10.000-ზე მეტი კაცი დაესწრო, გადაიქცა გრანდიოზულ პოლიტიკურ დემონსტრაციად თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

ლ. პ. ბერია

თითქოს მწუხარე, გლოვითა და სევდით დაღლილი,
ზაფხულის მზეზე გარინდულან ბარში მინდვრები,
ყველა ფოთოლი დაკეცილი და თავდახრილი
ველებზე დგანან ჩინარები და სიმინდები.
მიწას მდუმარედ დასდგომია მნათობი სავსე,
ნელი ნიავიც არ აშფოთებს, გულს არ უღვიძებს.
ტრიალ ველებში, იმერეთის ბოლიან გზაზე
თავდადებული მიუძღვება ხალხს წულუკიძე.
ძმებო, აღსრულდა: ვისაც გულში გქონდათ მარადი
შურისძიება და გმირობა ვალად გამხდარი!
ძმებო, აღსრულდა: გადამწყვეტი დადგა საათი!
გმირებს საომრად მიუძღვება ბაირაღტარი.
ეს იყო მისი მოლოდინი და გატაცება,
ეს იყო მისი სიხარული, წვა და საგანი;
ასე სჭედავდა, შურისგების დავაჟკაცებას.
ერთი მებრძოლი, ერთი გმირი და სამთავანი.
ასე სჭედავდა, აღვიძებდა ხალხს სამთავანი,
რომ ბასრი რწმენა და მახვილიც ბასრი მიეცა.
ძმებო, აღსრულდა! მტრის სალეწად მიდის სარდალი.
ძმებო, გმირული აგუგუნეთ მარსელიოზა!
ტრიალ ველებში, იმერეთის ბოლიან გზაზე
მზე ჩინარებში გარინდულა და სხივს უკიდებს,
მაგრამ ეს ხალხიც რას მდუმარებს, რად გლოვობს ასე?
კუბოს ფიცრებში, თვალჩამქრალი, წევს წულუკიძე.
ვის დაუნახავს კოლხიდაში, თხმელის ჭალებით,
როგორ მიჰყვება რიონს მუხა ძირმოკვეთილი!
როგორ ნელდება ტალღა ზღვასთან, რომ მოკრძალებით
უსასრულობას შეუერთოს მუხა კეთილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩაჰქრა ნათელი მღელვარება და გატაცება,
შეწყდა წუხილი, სარეცელზე ტანჯვა, წვალება.
განა სიკვდილი დარქმევია ყველა დაცემას?
ეს იყო მხოლოდ გარდაცვალება.
გარდაცვალება რჩეულის და გმირის ხვედრია.
შავი სიკვდილი მხდალებისთვის შექმნა ბუნებამ,
გმირი, რჩეული, სხივმოსილი, მხოლოდ ერთია,
რომ ქვეყანაზე უწერია კვლავ დაბრუნება.
განა მზის ჩასვლას დარქმევია სიკვდილი მზისა?
იგი კვლავ მიწას დასტრიალებს და მსახურია.
განა დეკემბრის თოვლში კვდება მშობელი მიწა?
ისევ სიცოცხლით იფეთქებს და გაზაფხულია!
ასე კვდებოდა წულუკიძე, არწივი ბრძენი,
მაგრამ მეტყველი ბაგე ახლაც არ უდუმდება —
რომ ქვეყნად დარჩა მისი წილი სიცოცხლის დღენი
და მას ოდესმე ხელმეორედ დაუბრუნდება.
მიდის ლაშქარი, უჩუმარი, ხმაჩაკირული
(ასე მდუმარებს იმერეთში მხოლოდ ზამთარი),
მაგრამ უეცრად აგუგუნდა ჰანგი გმირული
და წინ პირველი შეიმართა დროშა მართალი.
სად, სად გასჭედეს ეს სიმღერა, რომელ კერაში,
რომელ გრიგალებს გამოჰგლიჯეს ზღვის ხმოვანება?
ვინ დაიტირეს, ვინ ადიდეს ამ სიმღერაში,
ვისი რისხვაა, ვისი წვა და აღფრთოვანება?
განა სიმღერა აღარ არის გლეხის ტირილი?
განა გათავდა, არ ღიღინებს ქართლში ამქარი?
განა სიმღერა არ გაწამებს, როგორც ტკივილი?
ვინ მოგიტანა, იმერეთო, ჰანგი ამგვარი?
დებო, დედებო, თქვენი მოთქმა, თქვენი ვარამი
იქნებ ერთმანეთს შეადუღეს ძმებმა, მამებმა,
ნახეთ, ისმინეთ, განა თქვენი რისხვა არ არი
ეს დაძახილი, ეს გრიგალი, ზღვის ხმოვანება?
მიდის ლაშქარი, მიგუგუნებს ჰანგი გმირული,
მტვერის ფრიალით იგრიხება ცაზე თაღები,
მიდის ლაშქარი, უთვლელი და თავგანწირული,
და სივრცეებში ირხევიან ბაირაღები.
ან ეს დროშები ვინ შეღება სისხლის წვეთებით,
ვინ წაუკიდა დროშის ტარებს ცეცხლი წითელი?
ვინ შეისროლა მეწამული ცაში სვეტები?
ასე ალისფრად ვინ აანთო ცა აწინდელი?
მგზავრო, კეთილო, ეს ვაჟკაცის გულისპირია,
მისი ანდერძით მისივ ფაცხის წნელზე გაკრული;
მისი საფლავი თვით მშობელსაც არ უტირია,
ცივი ციმბირის ყინულეთში გადაკარგული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიფართქალებენ იმერეთზე დროშის კალთები,
დიდის მომავლის დასტური და აზრი ნათელი,
როგორც ღრუბლებში ვარსკვლავების გამონათება,
ან, როგორც ფიცი, თავდადება და ერუანტელი.
უცებ შედგება, შექუჩდება ტალღა ამდენი,
უცებ ათასი შედუღდება გულის ძგერანი:
დაშლილ ყორეზე შევარდნილი კორიანტელი —
შურისძიებას ჩაჰყიჟინებს ხალხს ვეტერანი.
მერე ანდერძში ჩაუტოვებს ხვალის თაობას,
რომ წულუკიძის ჩაიგონონ სიტყვა ყოველი;
სჭექს ბათომელი შურისგებას, გამბედაობას,
შურისძიებას ჩაჰყიჟინებს ხალხს ბაქოელი.
და ერევნელის დაძახილი, როგორც ქარქვალი,
გაიკრიალებს მედგარი და გულს ჩამგონები:
„მსხვერპლად დაეცი, წმინდა იყო შენი ტანჯვანი,
შენს დაცემაზე აღსდგებიან მილიონები“.
მიდის ლაშქარი, მიჰგუგუნებს უხმო მთა-ველი,
მიდის ჩამქრალი წულუკიძე, ჩუმი სარდალი,
რომ სამშობლოში დაიკავოს მიწის მტკაველი
და მერე მოვლის ყველა მიწა და ბინადარი.
როგორც დიდ-რიონს, უერთდება ხალხს შენაკადი,
თითქოს ძახილი თითქო წუთი დგას ამბოხების,
თითქო ამოსკდა, რაც ყოფილა ბოლმა აქამდე,
და გზის პირებზე იცლებიან ყველა ქოხები.
გამოდით გზაზე, ძირს დაუშვით, ძმებო, თოხები,
ჩაარჭეთ ბარი, მჩაგვრელებზე მიდის ღარიბი,
მორჩა წამება, ბორკილები და ჯოჯოხეთი;
გლეხის ქალებო, შეაჩერეთ თითისტარები.
გამოდით გზაზე, შერყეულა ოდის ბოკონი,
მდიდრის ბირკვილებს უცახცახებს შიშით ხელები,
გამოდით გზაზე, ბატონობის გაწყდეს მომგონი,
პატარ-ქალებო, შეაჩერეთ სამუხელები.
სოფლის ბოლოში ჯარისკაცი გამოპარული
ხალხის დიდებას გაჰყიჟინებს და გაღვიძებას.
მუშის ბედისთვის, მაშვრალისთვის დუღს სიყვარულით
და უკანასკნელ სისხლის წვეთზე დაეფიცება.
უცებ ღრუბელი, საწვიმარი, ყუმი ღრუბელი
გაჩნდა თალხი და შეიყარა ზეცის კალთებთან.
მერე ჰაერში გამტკიცული, შეუგუბელი,
ელვის ხაზებით გაიბზარა და კვლავ გამთელდა.
ცაში დაიძრა დიდ-ლაშქარი ამდგარ ბუნების,
მეხის გუგუნი გამბედავი და ამბოხური,
შეკრთენ ხეები, უმწეონი, დაკარგულები,
და ქვენა-ქარი წამოვიდა ძველი კოლხური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წუთს გაუმარჯოს, როცა ბრძოლით ბორკილ-აყრილი
თვალებს შეიშრობს გატანჯული კაცი მტირალი;
სოფლის ბოლოში ამოწვდილი, როგორც ბორკილ-
როკზე შეიჭრა ჯუღაშვილი ნაციმბირალი.
შედგა ლაშქარი,
ეს რიონმა თავი დაიხსნა,
დადგა ვაკეზე, ჩაირბინა ხვამლის ქედები;
შეწყდა გუგუნი და დუმილში მხოლოდ გაისმა,
როგორ დაეცა ხეს პირველი წვიმის წვეთები.
მერე წვიმაში ჩაიმალა ლურჯი ველები,
თითქოს ჩამოდნა თვით ღრუბელი, ქუშად გაშლილი,
დაწრიალებენ იმერეთის ცაში ელვები
და გამძაფრებულ ბუნებაში ჰქუხს ჯუღაშვილი.
თითქოს ბნელი და უსამართლო ქვეყნის წინაშე
კაცს და ბუნებას მრისხანება ერთად ეთმინა,
ქარმა წაართვა გრუზა თმები, მერე წვიმაში
მძიმედ დაყრილი ნათელ შუბლზე ჩამოეფინა.
კობა დახედავს წულუკიძეს ხელდაკრეფილი,
ორთავ თვალები ენთებიან, წყვილად კრთებიან,
თმებზე რიგრიგად მოჰყვებიან წვიმის წვეთები,
ლაწვებს ჩარბიან, მერე ყელში ინასკვებიან.
რამ ააფეთქა ეს ბუნება დაუგეშელი,
ეს ავდარია თუ მეგრული მოთქმა ქალების?
უცებ ზეცაში გამოკრთება ელვა შიშველი,
უცებ მიწაზე გაელავენ კობას თვალები.
ელვა ელვაზე გადასკვნილი, გადაკვეთილი,
ძირს და ჰაერში მეორდება უფრო ჩქარ-ჩქარი:
სხმაში, ზღვაურში ღია ცისქვეშ ხმაგაკმენდილი,
კობას გრიგალებს თავდახრილი ისმენს ლაშქარი:
— გფიცავთ, მებრძოლო, გამოვეედავთ ათას დევ-გმირებს,
გფიცავთ, დავიხსნათ მოძმე, მონა და გათოკილი,
გფიცავთ, მებრძოლო, სიმართლისთვის ყველა დევნილებს
ტკინის ხელებით შევამტვრიოთ ფეხზე ბორკილი.
დე, ნუ სცდებიან ჯალათები, სისხლის-მღვრელები,
განა ვინც კვდება, ალარა გვყავს, ყველა მკვდარია?
კაცნი არიან, ვისი ხმებიც და სახელებიც
მარად დარჩება ძლევამოსილ პროლეტარიატს.
მოკვდნენ ისინი, მათი ენა მტრისგან დაჭრილი
თითქოს დადუმდა, მქუხარება მათი არ ისმის,
მაგრამ აჩრდილი, უწმინდესი მათი აჩრდილი,
ყურში ჩაგვძახის: — „გაიმარჯვებს სოციალიზმი“.
ხალხო, დიდება მათს აჩრდილებს! მოკვდნენ ისინი,
მათი სხეული, შავი მიწით დაისუდრება,
მაგრამ სახენი, შემკობილნი ეკლის გვირგვინით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვიხმობს: — „იბრძოლეთ, გაიმარჯვებს თავისუფლება!“
ხალხო, დიდება მათს სახელებს! სდუმან ისინი,
მაგრამ მათს ძახილს, მომწოდებელს, ისევ გავიგებთ
ციხის ნესტისგან ჩახლეჩილი ისმის ფიცივით:
— „სისხლი აიღეთ, მებრძოლებო, სისხლი აიღეთ!“
ხალხო, დიდება მათს ძახილებს გამაღვიძებელს,
განა ვინც მოკვდა, ყველა გვტოვებს, ყველა მკვდარია?
ჩვენგან განუყრელ წულუკიძეს მარად დიდება!
იგი დარჩება ძლევამოსილ პროლეტარიატს“.
კობა დახედავს თანამებრძოლს ხელდაკრეფილი,
ორთავ თვალები ენთებიან, წყვილად კრთებიან.
თმებზე რიგრიგად მოჰყვებიან წვიმის წვეთები,
ღაწვებს ჩარბიან, მერე ყელში ინასკვებიან.
დგას და დუმილში გამოჩნდება, კლდეს მიკრული,
შორი მეტეხი, კეცხოველის ბნელი საკანი;
აღარც ის არის, მუხთლის ტყვიით გულგანგმირული
ქართლის მიწაში სამუდამოდ წევს სამთაგანი.
ორი დაეცა, ორი მუხა, ორი არწივი,
ორი მებრძოლი, ურყევი და მტრისგან დევნილი;
კობა გასცქერის — გამოჩნდება შორი მანძილი
და ჩრდილოეთში გაიელვებს სახე ლენინის.
მაშინ გმირულად ჩაუძახებს ხალხს სამთაგანი,
დასძრავს მდინარეს, ისევ რაზმებს დაუბრუნდება,
აფრიალდება ქვეყანაზე დროშა მაღალი
და სამყაროში ძლევის ჰანგი აგუგუნდება.
მიდის ლაშქარი. დაუთხრია წვიმას მთა-ველი,
მოაქვს მდინარეს დაცემული მთებში ჭადარი.
რჩეულს ეყოფა სამშობლოში მიწის მტკაველი —
მალე მოსძებნის ყველა მიწა და ბინადარი.
ვის დაუნახავს კოლხიდაში ძირმოკვეთილი
როგორ მიჰყვება რიონს მუხა გაუღუნელი?
ასე დაბრუნდა სამშობლოში გმირი კეთილი
და მოკრძალებით შეეგებნენ საუკუნენი.

## მოგონება ბოლოთქმაში

როცა ჩასვლის წინ კოლხეთს დასული
ღრუბლებს დასძლევდა მზე ჩვენებური,
ორი ცაცხვის ხე, ორი ასული,
ენთო საფლავთან შეჩერებული.
და საღამოის წითელ მზისაკენ
ჰქონდათ აწვდილი მუდამ ხელები.
ზრდილი ცისაგან და მიწისაგან
იდგნენ ცაცხვები უდარდელები.
მე კი მესმოდა რაღაც წუხილად

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენს სამარეზე ფოთლის ჩურჩული,
და დაგვცქეროდი მშობელს უხილავს |
გულჩათხრობილი, როგორც კუნჭული.
მზე რომ წვებოდა ადუღებული
და დანამავდა ფოთლებს ისხარი,
წვიმა, ის წვიმა გადუღებელი,
მეჩვენებოდა დაუვიწყარი.
თითქოს ხელახლად და უარესად
წვიმას უნდოდა მიწის გალღობა,
ასე ფიქრობდა შენს სამარესთან
ორი ცაცხვი და ჩემი ბალღობა.
ახლა შენს სახელს ქვეყნის ტიტანი
ყველა ვაჟკაცებს მკერდზე აკონებს,
მე კი სიმღერად გადმოვიტანე,
რაც ბალღობაში გულს ჩამაგონე.

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიმონ ჩიქოვანი

# შენ უკვე იყავ მაშინ სტალინი

(ბათუმის) 9 მარტის დემონსტრაციას, რომელიც დამთავრდა ჯარებთან სისხლიანი შეტაკებით — ამხნაგი სტალინი ხელმძღვანელობდა, ამხანაგი სტალინი სულ მუდამ მუშებს შორის იმყოფებოდა. დაჭრილი გერონტი კალანდაძე თვითონ გამოიყვანა ხალხიდან და ჩვენს ბინაზე მოიყვანა.

**ილარიონ დარახველიძის** მოგონებიდან.

ყოველთვის, როცა სურათს შევცქერი,
როგორ უკიდებ გატენილ ჩიბუხს:
ჩემს მაგიდაზე სტრიქონი მღერის,
ადიდებული გრძნობები მიჰქუხს.
თვალწინ იელვებს ბათუმის ხვედრი,
როგორ ანთებდი ნაპერწკლით წამებს,
მუშებს რაზმავდი, ცეცხლს უკიდებდი
ცხრა მარტისათვის გატეხილ ღამეს.
ძმათა საშველად ამოტყდა ღელვა;
ვინღა შეკრებდა ძალას ამოდენს!
რომ ცხოვრებისთვის სიმართლე გეთქვა,
გაზაფხულივით ადრე წამოდექ.
ქარმა შეიპყრო მთელი ბათუმი,
თითქო ფაფარნი ჰქროდნენ ჰუნეთა.
ხალხს მიუძღოდი, როგორც სანთური,
როგორც გულისთქმა საუკუნეთა.
შემოგაგებეს ტყვიების სეტყვა
თითქო ჩაახშვეს წუთით ნადური
რომ ცხოვრებისთვის სიმართლე გეთქვა,
იდექ რვალივით გამორანდული.
„თავს უშველეთო“, ვიღაც გარბოდა,
მაინც არ გატყდა მძლავრი ლაშქარი.
ტყვიის ზუზუნი ჰაერს აპობდა,
ქროდა აშარი და ქარიშხალი.
არ განუცდიათ რყევა მცირედიც,
რადგან მათ უძღვენ გული მართალი.
შენ იყავ ჩაგრულ მუშის იმედი
მისი დროშა და მისი სარდალი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გვერდით დაეცა მოძმე დაჭრილი,
თითქოს ჯალათმა დანაც მოლესა.
იყო ხმაური, ქარი გაშლილი,
მაგრამ შენ მუშის კვნესა მოგესმა.
დაწვდი იმედი მკერდზე ასხურე,—
ფიქრმა მიიღო გულის დასტური,
და ვით სამშობლო, გადაახურე
გული და მხრები ახალგაზრდული.
ფარად დაუთმე მკერდი ალმართი,
ფარივით სწრაფი გვამცნე გმირობა,
მუშის სიცოცხლე ტყვიას წაართვი
და დაუამე მოძმეს ჭრილობა.
გაკაფე ცეცხლი, იხსენ დაჭრილი,
დაქანცულ მებრძოლს ძალას მატებდი,
შენ უკვე იყავ დიდი სტალინი
და მომავალის გზას ანათებდი.
კახაბერიდან მზე მოვლენილი
დაგნათოდა და კარგად ისმოდა,
როგორ გეძახდა დიდი ლენინი
და ხალხში მდგომი მარადისობა.
მარტის თვე იყო ჯერ არ ნახული,
ტყემლის რტოები ყვავოდენ გარეთ.
შენი გმირობა და გაზაფხული
ალამაზებდა მშობლიურ მხარეს.
და ეხლა როცა ბუნება უხვი,
იფეთქებს, გვიძღვნას მზე და ლაზათი,
გულში. იელვებს შენი ჩიბუხი,
და ცისკარივით მდგომი ასანთი.
ანთებულ ლექსით ვხვდებით განთიადს,
მინდა შეგკადრო მგოსნის მადლობა,
რომ კაცს ადიდებს შენი ქარტია,
და შენი ბრძნული ახალგაზრდობა.

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილო მოსაშვილი

# ბელადის სახლი

20 თებერვალს, ღამით მიწისძვრამ, რომელმაც მეორე დღემდე გასტანა, დაანგრია ქალაქი გორი და მის მახლობლად მდებარე ქართლის სოფლები.

**1926 წლის გაზეთიდან.**

მშვიდად ეძინა ქართლის ბუნებას
და მტკვარი ღამის მგზავრი გვიანი
გორის ციხეზე ჟამთა თქმულებას
სინჯავდა, როგორც ადამიანი.

ფიქრობდა: წავა და ველარ ნახავს —
ქართლის ცას როგორ გასცურავს ქორი
და უცნობ ხელით ნახშირით ნახატს
ჰგვანდა ღამეში მთვლემარე გორი.

ჰგვანდა ის სახლიც, თქმულების ფერად
რომ დარჩენია უკვდავ ხელოსანს,
მან შეუნახა ბელადის კერა
ხალხებს, ქვეყნებს და საქართველოსაც.

სდუმდნენ ქედები მოსილნი შავით,
ბნელი ეხურა მიმავალ დროსაც,
და შლიდა ცაში მშიერი სვავი
სამფეროვანს და გლოვისფერ დროშას.

უცებ იქუხა, გაიხსნა ბჭენი,
ფესვებს გაეკრა ხე და ხეხილი
ღამე იყო თუ ბნელეთის ჭერი —
ხმელეთს დაემხო ჩამოტეხილი.

შეირყა მთები, გორის ციხიდან
მიწამ მოხვეტა ძველი ალაგი,
მიწამ კედლები წამოიკიდა,
უნდა მტკვარგაღმა დადგას ქალაქი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თითქოს ქვესკნელში ეჯდეს კაენი,
იწვის, სივდება ცოდვით მოცული
და ანგრევს ციხეს ჩინგიზ ყაენი,
მატიანედან მკვდრეთით მოსული.

მთიულეთისკენ ჩქარა მდევარი,
ჩქარა — ჩაჩქანი სადმე რაც არი!
მაგრამ გაუტყდა გმირს სატევარი
და დაეფარა თვალებს ნაცარი....

შავად თენდება დილა პირველი,
შავი ნახატი ამოაქვს გორის,
თვალებდათხრილი დედა-ფრინველი
თვის ბარტყებს ეძებს ნანგრევებს შორის.

ეძებს და კვნესის, მიწას მკერდს ახლის,
სტირის სუყველა დედის სატირალს
და მარტოდ-მარტო პატარა სახლი
მოსჩანს ლიახვის და მტკვრის ნაპირას.

იგი, ნაგები კირით და ოხვრით
მიწისძვრის ხელმაც არ გაიმეტა,
და დარჩა ქართლში ბელადის ქოხი
ქვეყნიერების ხსნად და იმედად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დემნა შენგელაია

# ყრმობა[1]

ერთის მხრივ, გორი წვრილ მესაკუთრე მევახშეთა ქალაქს წარმოადგენდა, ხოლო, მეორე მხრივ, იგი ერთი უძლიერესი კერათაგანი იყო ხალხოსნური მოძრაობისა მთელ საქართველოში. „ტეტიათა მოტრფიალეების“ ერთერთ წრეში დაიარებოდნენ აგრეთვე მეთევზე ქიტა და კალატოზი კოპინაანთ ნიკალაც. აქ, კვირეულ რეფერატებზე, გორის ახალგაზრდობა დიდის გატაცებით კითხულობდა ჩერნიშევსკისა, ოუენისა და მოლეშოტის ნაწერებს, მაგრამ ქიტას რეფერატებზე უფრო „ნაროდნაია ვოლიას“ პროკლამაციები აღელვებდა.

იმ ხანად რუსეთის იმპერატორიც მოჰკლეს, მაგრამ მალე ალექსანდრე მეორის მაგიერ მესამე ალექსანდრე ავიდა ტახტზე და ყველაფერი ისევ ძველებურად დარჩა.

მეფის მკვლელობით შეშინებულმა გორის მე-16 გრენადერთა პოლკის პორუჩიკმა ანისიმოვმა გასცა აქაური ხალხოსანთა სამხედრო წრე, ხოლო ვინმე ცალთვალა იაგორა იოსელიანმა გორის ხალხოსანთა მეორე ორგანიზაციაც და მათი წევრები თითქმის ყველა ერთად დააპატიმრეს.

ციხეში ქიტაცა და ნიკალაც ჩასვეს.

კალატოზს გულს უფრო ის უკლავდა რომ ციხე, რომელშიც იჯდა, მისივე ხელით იყო ნაგები.

— ციხევ, გამიშვი, გამიშვი! — ღმუოდა იგი. — ციხევ, მოგიკვდა ამშენებელი! — და რკინის რიკულებს ამაოდ ასკდებოდა.

ბევრი ამათგანი ციმბირს დაკარგეს, ბევრმაც ციხეს ველარ გაუძლო და დაილუპა, ხოლო ორიოდ კაცი რამდენიმე თვის პატიმრობის შემდეგ პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ გაანთავისუფლეს.

ქიტაცა და ნიკალაც გარეთ გამოვიდნენ, მაგრამ ციხეში ყოფნით იმდენად მოტეხილიყვნენ, ზნეც იმნაირად ეცვალათ, რომ მათი მნახველნი ცოდვით იწვოდნენ.

ამას შემდეგ მეთევზე სულ განმარტოვდა, გული ჩაიხურა და მუდამ თავისთვის იყო. ხედავდა, თურმე, მცდარ გზას ადგა... ფიქრობდა, ფიქრით ტვინი უბრუნდებოდა და ამ ცხოვრების ავანჩავანისა მაინც ვერა გაეგო რა. მთელ დღეებს მტკვარსა და ლიახვში ატარებდა და პატარა სოსოც ხშირად თან დაყვებოდა. იჭერდნენ ერთად ციმორს, მურწასა და მსუქან ჭანარებს. იმანაც კარგ მეთევზესავით იცოდა ყოველი დორანი, მორევი და ჯილე.

---

[1] ცალკე თავები მოთხრობიდან.

ირგვლივ მზე იდგა. რიყიანში პაპანაქება ზუზუნებდა და გრილად მობერილი წყლის ნიავი კიდევ უფრო საამო იყო და თევზაობაც სასიამოვნო.

გლეხები ყანებს მხიარული ყიჟინით მკიდნენ, ანეულებს ... ... და ხვავად დამდგარ კალოებს ოროველას გუგუნით ლეწდნენ.

რკინისგზის გასწვრივ ტელეგრაფის მავთულებზე შემომსხდარი მწვანე ტარბები თვლემაში ირწეოდნენ და მეთევზენი იმდენად ერთობოდნენ თავის საქმეში, რომ არას ხდავდნენ, არც ამჩნევდნენ, როგორ ჩაშორდებოდნენ სოფელ უფლისციხეს. ერთხელ ისე გაერთნენ, რომ გრაკალსაც ჩაუწიეს.

შუადღისით, მშიერნი და დაოსებულნი, თათარიახნად მოხარშულ ცოცხალს მადიანად შეექცეოდნენ. ქიტა ალერსიანი ღიმილით შესცქეროდა თვალცინცხალა ბალღს და, სანამ ერთ პირს წაიძინებდნენ, შუადღეს გადიგრილებდნენ, არაკს ეტყოდა, არაკს ერთი პატარა ჭიჭყინა თევზისას. ის ვერანა ისე პაწია იყო, რომ სხეულში სინათლე შუშასავით გასდიოდა, ხერხემალი და საჭმლით გატენილი ნაწლავებიც ტანში შავად უჩანდა.

ჯამში იყო, — ლაღად იყო, პირი წყლით გავსებოდა და მაინც ყვიროდა:

— გამიშვით, ვიწროდა ვარო!

აიღო მეთევზემ და გეჯაში ჩააგდო.

— ვიწროდა ვარო! — მაინც ჩიოდა და ბოლოს, ძალა სულ რომ წაიღო, მეთევზემ შუა მტკვარში გადაისროლა.

ის ვერანა ვერც იქ დაეტია და ისევ ღრიალებდა:

— ვიწროდა ვარო!

ზღვაში რომ შეცურა, მხოლოდ მაშინ მოისვენა.

— ის ზღვა, ბიჭო, ხალხის გულია და შენც ანგრე უნდა იზრდებოდე. სანამ ხალხის გულში ბინას არ დაიდებ და მის ტკივილებს არ გაიგებ, მანამ მოსვენებაც ვერ უნდა ჰპოვო. დღედაღამ სწავლას უნდა გადაეგო, მაგრამ იგრე, რომა იმათ, — ხალხის სისხლის მწოველებმა და მუქთახორებმა, — ზოგიერთა ჩვენი ნასწავლებივით თავისკენ არ გადაგიბიროონ. რაგინდ კარგ ცხოვრებაშიც არ ჩავარდე, შენი ჯიგარი და ღვიძლი არ უნდა დაგავიწყდეს.

საწყალი, ეგრე იმიტომ ამბობდა, რომ ისიც ამ უკულმართად გაჭედილი ცხოვრებით იყო დაჩაგრული.

მთელი დღეები წყალში იდგა, წყალსა ხნავდა და წყალსა თესდა, მაგრამ ვერ იქნა, იმ წურბელა თამაზოვის ვალში ვერ ამოვიდა, — ეს ამოდენა ვაჟკაცი უცოლშვილოდ ბერდებოდა.

თამაზოვი თევზეულის ვაჭარი იყო და ქიტას მთელი ნაოფლარი იმის დუქანში მიდოდა, იმისი გადამკიდე მისი წყალში მონაგარი წყალსავ მიჰქონდა.

თამაზოვს კიდევ როგორმე გაუძლებდა, მაგრამ ის ოხრის ტიალი მაზრის უფროსი ჭირის დღესავით გადაეკიდა, დღე ერთი იყო და შარი ათასი.

— წიგნი რა შენი საქმეა, შე რაზბონიკოვო! ბუტოვჩიკებთან რა ხელი გქონდაო და რა ვიცი კიდევ.

თავი იმდენად გაჰბეზრდა, რომ იმის სისხლს დალევდა, მაგრამ რა ექნა, ძალა იმის ხელში იყო და ციხე.

ბეჩავს ჩოთქის მაგიერ ხელში ბადე ეჭირა, ქვის მაგიერ მკერდ ქვეშ გული ედო და ამ უსამართლოდ დადგმულ ქვეყანაში რა გაუვიდოდა, ადგა და ისევ მოთმინება ამჯობინა.

სოსო ძიას სიტყვებს გულში მტკიცედ იბეჭდავდა და ტკბილ საუბარში ჭამაც ავიწყდებოდა. კარგად ხედავდა, რომ ერთნი, ცოტანი, არასა ხნავდნენ, არცა თესდნენ, — სამაგიეროდ უხვადა მკიდნენ და დროს სულ მხიარულებასა და ქეიფში ატარებდნენ. მეორენი, თითქმის მთელი მილეთი, შრომით წელს იწყვეტდნენ და მაინც გაჭირვებასა და ვაივაგლახში იმყოფებოდნენ.

— რათ არი ეგრე? ან ეს სამართალი როგორი მოჭრილია? — ვინ იცის, მერამდენედ ეკითხებოდა თავსა და ახსნას ვერ პოულობდა.

ხან გმირთაგმირი ქუჩუკ ყარამანი იყო, ხან ვაჟკაცი კობა, ხან ცეცხლის მომტანი ამირანი, ხან ტარიელი და ხან კი პატარა ობოლი ყრმა ირმისა, რომელიც ირემმა თავისი რძით გამოზარდა, დადავაჟკაცებულმა მდევებში ტყვედ ჩავარდნილი მზეთუნახავი გამოიხსნა.

— მზეთუნახავს რა თავში ვიხლი! ვისწავლი, კაცი გამოვალ და ბედნიერების წამალს ვიშოვი. — ვარაუდობდა ბალღი და ვარაუდში გაზრდა ეჩქარებოდა.

*

* *

— ის რა არი, — არც თეფშზე დაიდება, არც დანით გაიჭრება და ყველა ჭამს? — ეკითხებოდა მეთევზე ალერსიანი ღიმილით.

ბავშვი ჩაფიქრდებოდა, ანგარიშობდა, საგონებელში ვარდებოდა და უეცრად:

— ძუძუ! — ყვიროდა გახარებული.

— გამოცანა გერგება, მომიცია გორის ციხე.

ვინ არ იცის გორის ციხე, როგორ ცამდე მაღალია.

ეს გორი კამკამა ცითა და ცასავით ანკარა წყლებით იმისია, ისიც იმისია, ის ჩამოქცეული ციხის კედლები, კოშკები და ზღუდეები. ეს ქუჩებიც, იმდენად ვიწრო, კამეჩი რომ ჩაწვება, ზედ უნდა გადაალაჯო. ტოლ-სწორებთან ერთად დარბოდა ლაღად ციხის ვრცელ გალავანში, კუკუმალულობას თამაშობდა, ქონგურებს უკან იმალებოდა. ცელქობა რომ მოსწყინდებოდა, თავდამარტოხელებული არბოდა მის უმაღლეს კოშკზე და ნიკაპით ხელის გულებზე ჩამოყრდნობილი სახეს გრილ ნიავს მიუშვერდა. ოცნებად წასული თვალებით ზღვასავით გაშლილი ტირიფონის თვალუწვდენ ხოდაბუნებს გადასცქეროდა და ცქერით ვერა ძღებოდა. სიო საამოდ აბიბინებდა მარცვლით დამძიმებულ თავთუხებს და აქვე, სადღაც მახლობლად, კოშკის ქონგურებში შემწყვდეული ნიავი სტვენდა კაცივით.

ზვირთებად აშლილი იისფერ ნისლიანი მთა-გორებიდან მოსრიალებდნენ მტკვარი და ლიახვი. ლიახვი მტკვარს გორთან შეერთვოდა და გაოცებული ბავშვი თვალს ხარბად აყოლებდა მათ დინებას.

აქა-იქ ნაფუზრებსა და ხილის ბაღებში ტივტივებდა შირიმის ქვით ნათალი ძველისძველი ეკლესია, ან ციხე-კოშკი ღორღივით მიყრილი ქოხმახებითა და საბძელ-გომურებით. კორიანტელად ამდგარ მტვერში ცხინვალისაკენ მიჯაგჯაგებდა ადამის წლის დანჯღრეული დელეჟანი.

ძირს, ციხის ირგვლივ, კამკამებდნენ ტორტლა და წმინდა წყალი.

პირველმად დაწოლილი ტკბებოდა ლაინისფრად გალურჯებული ცის უსაზღვროებით, თვალს ადევნებდა ჭიმჭიმელში დაკარგული ლურჯი ალიონის ფრთათა წურვას და ასე, ყოველდღე, ყოველ წუთს, იბადებოდა — [illegible] და, რომ გაყუჩდებოდა, თავის არსებას ყურს მიუგდებდა, კრთებოდა, თითქოს თავის ზრდას თვითონვე გრძნობდა.

ტოლ-ამხანაგებთან ერთად კრეფდა მინდვრის ყვავილებს, მღეროდა, კრიალობდა, შურდულით ჩიტებზე ნადირობდა, მტკვარში ჭყუმპალობდა, კისკისებდა და მისი ხალისიანი ჟრიამული უბანს ახარებდა.

გორში რვაათასი მცხოვრები იყო და ეს რვაათასი სული ბინადრობდა ორსართულიან სახლებში, ბანიან ქოხმახებში, გომურებსა და სარდაფებში. უმეტესობა ან ნადგამობისა იმისი მამის დიდი დოსტის, კალატოზის კოპინაანთ ნიკალას, ხელით იყო აშენებული. მიჯრით მიწყობილი კედლები რიყის ქვით აუტანია, შიგ ძველებური ქართული აგურის ფაიები დაუტანებია და ზედ წინამოზე, ხელობის ნიშნად თავისი ხუთი თითიც ბრტყლად დაუჩნევია.

ის საპატიმროც, ის სატიალე, იმას უშენებია და მერე შიგ თვითონვე ჩაუსვამთ.

— ციხევ, მოგიკვდა ამშენებელი! — გადასძახოდა ყრმა, ძია ნიკალასავით, ხეობასა და ამ მთებში თავს ისე გრძნობდა, როგორც არწივი ყაფაზაში.

*

* *

კონვერტზე ხუთი სახაზინო ლუქი იყო დარტყმული.

მაზრის უფროსმა დახედა, — წუხანდელი უზურში მოსული ხუთიანი გაახსენდა და კმაყოფილებისაგან გაეღიმა.

ამ ხუთიანით ქართლის თავად-აზნაურთა მარშალს ოცდასამი თუმანი მოუგო.

დააკვირდა, — ბუჩქად გადმოფენილი ხშირი წარბები კუშტად შეექუშა. კონვერტის კუთხეში ლამაზი მრგვალი ასოებით მკაცრად ეწერა:

ფრიად საიდუმლოდ.
ცირკულარულად.

— ეხ ე-ხ ე-ხ! — ამოიოხრა და სიცხით შეწუხებულმა თეთრი გუტაპერჩით ამოფენილი წითელკანტიანი საყელო დუგმაზე შეიხსნა.

კონვერტი რომ გახია, ბეჭედი ტკაცუნით გადატყდა და ლუქის წითელი ფიფქი და ნამსხვრევებ საწერ მაგიდაზე სისხლის წვეთებივით დაცვივდა.

მისი უდიდებულესობის
კანცელარიის
მე-3 განყოფილება
აპრილის 27, 1888 წ.

— ახა, ღმერთო ჩემო! რომ არ მასვენებენ, რომ არ მასვენებენ! — ამოხდა სასოწარკვეთილებისაგან და, ვინ იცის, ვინ არ ასვენებდა უფალს ვეზნაჩალნიკს: მე-3 განყოფილება, თუ ისინი, ლურჯქუდიანი წვეროსანი ახალგაზრდები და უწვერო სემინარიელები?

რატომღაც მუხლებში სისუსტე იგრძნო.

ჩაჯდა. კითხვა დაიწყო:

ვინაიდან მალე შეგირდთა ვაკაციები დაიწყება და მთელი მოსწავლე ახალგაზრდობა წავა იმპერიის სხვადასხვა ადგილებში, — ზოგი სამშობლოში და ზოგიც პრაქტიკულ მუშაობაზე, დაუყოვნებლივ შესასრულებლად გევალებათ, [illegible] საგანგებო თვალყური ადევნოთ მოსწავლე ახალგაზრდობას, [illegible] ლესი სასწავლებლის სტუდენტებსა და საშუალო განათლების სკოლის მოწაფეებს, რათა მათ კავშირი არ დაიჭირონ მცხოვრებთა დაბალ წრეებთან.

იმ შემთხვევაში, თუ თქვენ ამ მხრივ რაიმე საყურადღებოს შეამჩნევთ, ვალდებული ხართ დაუყოვნებლივ აცნობოთ გუბერნიის უფროსს და იმავე დროს მესამე განყოფილების გამგეს.

მისი უდიდესობის ამალის გენ.-მაიორი

(ხელწერა)

— გველის წიწილები! გველის წიწილები! — ჩაისისინა ხელისუფალმა და ოხვრით ღია ფანჯარას მიადგა.

ქუჩაში „იმ რაზბონიკ ქიტას“ მოკრა თვალი. მის გამჭრიახ თვალებს რა გამოეპარებოდა, — მაშინვე მიხვდა, რომ მეთევზემ ყასიდად აარიდა პირი.

— სალამიც არ გემეტება, შე ავაზაკო, შენა? — ჩაიბურტყუნა ულვაშებში, — მაშ კარგი, შე ბუნტოვჩიკო, ერთხელ ხო გადამირჩი, მეორედ, შაბაშ წუთისოფელო!

ამ დღის შემდეგ კიდევ უფრო ამოიჩემა იგი. დღე ერთი იყო და პოლიციაში გამოძახება, დაცინვა და დაკითხვა ათასი.

*

* *

კედლის გასწვრივ, იქ, სადაც სახურავებიდან ჩამოშვებულ თუნუქის მილებში ნაწვიმარი წყალი სდის ხოლმე, მყრალა ხეს ფესვებით ტენისათვის მიეგნო და უხვ ბუჩქნარებად აშლილიყო.

ერთ ასეთ ბუჩქთან რამდენიმე შეგირდი განცალკევებით იდგა და მით საერთო ჟრიამულისათვის თავი გაერიდებინათ.

ისინი ერთის შეხედვითვე განირჩეოდნენ სხვათაგან იმით, რომ არ თამაშობდნენ, არც ცელქობდნენ და უმეტეს ნაწილად ჩუმად იყვნენ. ჩუმად იყვნენ იმიტომ კი არა, რომ სათქმელი არაფერი ჰქონდათ, პირიქით, სათქმელი ბევრი იყო, ნახულიც, განცდილიც, მაგრამ სამი თვის უნახაობაში, ცოტა არ იყოს, ერთურთს გადაჩეოდნენ და პირველ შეხვედრაზე საუბარი ერთბაშად ვერ გაებათ. ამ გარემოებას უფრო ის ართულებდა, რომ მთელი მათი ყურადღება იმ ფერმკრთალსა და თვალციმციმა ბიჭუნას მიეპყრო, რომელიც ციხითათრიანთ სანდრუას მიეყვანა, აქ გაუცნობლად დაეტოვებინა და თვითონ, ამდენი ხნის უნახავ დოსტებთან შეყრით გახარებული, სათამაშოდ გაქცეულიყო. ეს უცნობი ბიჭი ტანად პატარა იყო, არც თუ ღონით უნდა ყოფილიყო დიდად გამოსაჩენი და გარეგნობითაც ისე სათუთად გამოიცქირებოდა, რომ ზოგიერდ ამათგანს პირის ქარადაც არ ეყოფოდა, მაგრამ რაღაც უხილავი რამ ანდამატურის ძალითა და ეშხით თავის ირგვლივ ყველას მაინც იკრებდა.

ტანს მუხლებამდე დაცემული კოხტა ახალუხი უმშვენებდა, ფეხთაც ახალთახალი „მუზიკა“ ჩექმები ეცვა, წელთ ტყავისავე თითბრის-ბალთიანი ქამარი შემოერტყა და თავზე შავი მაუდის ლაპლაპა „კარტუზიანი“ ქუდი ეხურა. მაშინვე ეტყობოდა, რომ სოფლელი არ უნდა ყოფილიყო.

სოფლებიდან ჩამოსული, მშობლებთან ნააზატევი ბალღები სირბილით, წივილით იქაურობას იკლებდნენ. ზოგნი მღეროდნენ და ზოგნი, ჟინლობით ან უსაბაბოდ მოდებული შარით აყაყანებული, ათასგვარი თამაშობით თავს იქცევდნენ.

ბიბლიოთეკა

— თავი მოიჭერ! — ეძახდნენ აგდებულად მართლაც „თავმოჭრილად“ წახრილ ბიჭსა და ზედ ოთურმას მოთამაშენი რიგრიგად ახტებოდნენ.

ზოგნი „ჯორიღლეტას“ თამაშობდნენ, ზოგი „ლაფთსა“ და ზოგნიც „ლახტსა“. წრეში ჩამდგარ ბიჭებს გარეთ მდგომნი ქამრებს ფეხებში გამეტებით უტლაშუნებდნენ და ამ საერთო გნიასში, აურზაურში კაცი ვერ გაიგებდა ვინ ვის ეძახდა, ან ვინ ვის ედავებოდა. ეს ახლად მოსული ბიჭუნაც შავს გუდალა თვალებს აქეთ-იქით ისე კვიმატიანად აციმციმებდა, რომ ეტყობოდა, ერთი სული ჰქონდა, სანამ ახლად გაცნობილ ამხანაგებში ისიც გაეჩვეოდა და ამ ორომტრიალში მონაწილეობას მიიღებდა.

მოწაფეობა ყოველ ახალ შეგირდს პირველ დღეებში აბუჩად იგდებს, აპამპულებენ, ათასნაირ სიტყვა-პასუხში გამოსცლიან და ცელქობაშიაც შემოწმებენ. ამ ბიჭს აქედანვე ეტყობოდა, რომ ყველაფერში გამოდგებოდა. თავიც ისე ღირსეულად და თანაც არხეინად ეჭირა, რომ ვერა შეჰკადრეს რა და ასე ენაჩავარდნილადაც იმიტომ იყვნენ. მაგრამ მიშა დავითაშვილი რის მიშა იქნებოდა, რომ ერთი თავისებურად მაინც არ გაეტივა. ზედმეტ სახელად მას, სიშავის გამო, „დაღამდას“ ეძახდნენ და ალბათ, მისი სახელი და გვარიც ყველას დიდიხნის დავიწყებული ექნებოდა, რომ მასწავლებლებს ყოველ დილით საკლასო ჟურნალში ამოკითხვით არ გაეხსენებინათ ხოლმე.

უცნობი ყმაწვილის დანახვაზე ლახტის თამაშს მაშინვე თავი გაანება. ქამრის ცემისაგან ახურებული ფეხების მანჭვითა და ცეკვით პირდაპირ იმ უცნობ ბიჭს მიაშურა და შავი თვალების კვიმატიანი ელვარებით გვერდით ისე მჭიდროდ ამოეტუზა, რომ ტანით, ლამის არის, ზედ აეხახუნა.

ციხითათრიანთ სანდრუას ნაამბობით ახლად მოსული თითქმის ყველას უნახავად იცნობდა, ზოგიც შორიდან ჰყავდა ნახული და ამიტომ „დაღამდაც“ მაშინვე იცნო. ისიც მაშინვე გაისაზრა, თუ რა ოინბაზიცა ბრძანდებოდა ეს ვაჟბატონი და არც გაკვირვებია მისი ამგვარი საქციელი. ოდნავ იქით მიიწია და მშვიდად, ოდნავ დამცნავად, მუშტრის თვალით ახედ-დახედა. ვალში არც დავიდოვი დარჩა. ახლა მეორე მხრიდან მოუარა და იმანაც გამქირდავად აზომ-ჩაზომა თავით ფეხებამდე.

— ჭოს! — გაუკვირდა მიშას, გაეღიმა კიდევაცა და უბირი სახე მაღლიდან ღიმილში ერთბაშად გაუბრწყინდა. მერე სასაცილო ამპარტავნობით ცხვირი მაღლა ააღირა და სუნნაკრავ მეძებარივით აქეთ-იქით გაატარ-გამოატარა. უცებ ჩაცუცქდა და ახალი ჩექმები მიზეზიანად მოყნოსა:

— იჰ! — ამოხდა დამცინავად, მაგრამ ახალმა შეგირდმა არად ჩააგდო იგი და ერთხელ კიდევ რომ ახედა ნირშეუცვლელად, ზურგი აბზუებულად შეაქცია.

„დაღამდა“ სახტად დარჩა, ამხანაგებს ერთი გაოცებით გადახედა და უცებ იქვე მდგომ პეტა კაპანაძეს ისე მიუბრუნდა, თითქოს საჩხუბრად ემზადებოდა:

— ერთი შენ ეს დამიჭი! — ქუდი ხელში მოულოდნელად შეაჩეჩა, კვლავ მოტრიალდა და ახალ მოსულს ჯიქურ მიახალა:

— მოდი ვიჭიდაოთ!

— ვიჭიდაოთ! — დაყაბულდა დიდის კმაყოფილებით ისიც. თავზე ქუდი სახელდახელოდ მოიგლიჯა, მაგრამ ჭიდაობა რატომღაც ცოტად მიიჩნია და გადაწყვიტა პირიქით შეუტიოს: — თუ გინდა, დავარტყათ კიდევაც!

„დალამდას“ ეხტიბარი წაუხდა. უნდოდა ერთბაშად დაეძალებინა იგი, მაგრამ ანგარიში არ გაუმართლდა.

არა, ეხლა ქეიფი არა მაქვს! — ცივად სთქვა და ჯიბეში ხელები ღრმად ჩაიწყო.

სოსოს გული მოუვიდა.

— ქეიფი არა გაქვს, თორემა, მე ვიცი, დიდი ვინმე ბრძანდებით.

— რატომაც არა, მე იგეთი ბიჭი ვარ, რომ ქეიფიც ვიცი და ბრძანებაცა. — მოუჭრა სასაცილო თავგამოდებით მიშამ, რამაც მეტოქე კიდევ უფრო გააბრაზა. სოსომ ერთი კიდევ ახედა, სადღაც გუნებაში თავისთვის გაიღიმა და ისე შეუტია აგდებულად:

— მეც ერთი ვინმე მეგონე... ადე, შე დრახინავ, შენა, დაა!

ყველა გაოცდა მისი ამგვარი სითამამით. ერთხანს ხმაც ვერ ამოიღეს.

— დრახინაო? — წამოიძახა პეტა კაპანაძემ შეყოვნებით და „დალამდას“ ისეთი თვალით ახედა, თითქოს ამოწმებდა, მართლა უხდებოდა ეს სახელი თუ არა.

— დრახინაო? — გაიმეორა გრიშა გლურჯიძემ და იმანაც ისეთივე თვალით აზომა იგი.

— დრახინაო? — აჰყვნენ სხვებიც და ხარხარმა ერთორად იმატა.

— დრახინაო? — წამოიძახა ვანო კეცხოველმა და მას მეორე მიშა, წინამძღვრიშვილიც, აჰყვა.

— დრახი-ინ!

— დრახი-ინ! — აყვირდა ყველა და ენაჩაგდებულ ბიჭს სიცილი დააყარეს.

— მოდი მიშას სახელი ამ დღიდამ, „დალამდას“ მაგიერ, დრახინაი იყოს, ჰა? — დაიძახა კოლა კავკასიძემ, რომელსაც მეტსახელად „რიჟას“ ეძახდნენ.

— იყოს, იყოს! — დაეთანხმნენ ერთხმად.

— ეგეც შენა, აჰანდეე! — ნიშნი მიუგო ამ ხარხარზე საიდანღაც გამომტყვრალმა ციხითათრიშვილმა. — თაგვმა თხარა, თხარაო, კატა გამოთხარაო, — კიდე არ მოისვენებ?

დავითაშვილი დაიბნა.

ეს კურკა ბიჭი არც ისე ადვილად გასაკვნეტი აღმოჩნდა, მას რომ ეგონა.

ამ ახალ სახელზე ხომ საქციელი სულმთლად წაუხდა. უცებ გაისაზრა, რომ ამიერიდან ის აღარც მიშა იქნება, არც „დალამდაი“.

„დალამდას“ კიდევ არა უშავდა რა, მაგრამ ე ვერანა დრახინა რა ეშმაკია, რომ ვერ გაუგია!

*
* *

სოსოს ამ ჯგუფში, სანდრუას გარდა, ერთი ნაცნობი კიდევა ჰყავდა, — თევზეულის ვაჭრის, თამაზოვის, შვილი გიორგა, მაგრამ მას თავი აქამდე ისე ეჭირა თითქოს თავის ცხოვრებაში პირველად ხედავდა. ახლა, დაინახა თუ არა, რომ ოსტატის შვილი ყველას ძლიერ მოეწონა, ნაგვიანევად გაამხილა:

— მე მაგას დიდიხანია რაცა ვცნობ... ეგ ერთი ღარიბი მუშის შვილია.

სოსოს ეკალივით მოხვდა გულში, სიტყვები კი არა, კილო ნათქვამისა.

არც დავითაშვილს დაუჯდა ჭკუაში გადაბღენძილი თამაზოვის სიტყვები. თავისი ანგარიშები უცებ დაავიწყდა და მრუმე თვალები ბრაზისგან:

— რა გინდა მემრე მაგითი რო სთქო, შე დოშო, შენა, ჰა?

— არაფერსაც არა ვსთქვამ... რა უნდა მინდოდეს? არაფერი! არაფერიც არ მინდა! — სთქვა უცნაური ამოჩემებით.

— მე კი ვიცი, რომ გინდა! — ჩაუჯიბრდა დრახინა.

— მე კი ვიცი, რომ არაფერიც არ მინდა!

— მე გეუბნები, გინდა მეთქი! — მაინც არ ეშვებოდა იგი. მერე ერთი ულაზათოდ გაეღრიჯა და ისე მიახალა დამცინავად: — ი, შენ არ იყავი, რო კატა გაჭყლიტე-ე!

ბიჭებს ფხუკუნი წასკდათ.

თამაზოვი გაშრა, ენა მუცელში ჩაუვარდა, მაგრამ დრახინა მაინც არა ცხრებოდა.

— ი, რიბიჟირავ! — მიაძახა მიწასთან გამასწორებელი კილოთი და ცხვირში ხელი ისეთი ზიზღით წაიჭირა, თითქოს მართლა თევზის ქონსა სვამსო.

ხარხარმა ერთიორად იმატა, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ის უფროსკლასელი იცინოდა, ამ ჩხუბს რომ შემთხვევით შეესწრო. სოსომ მაშინვე იცნო იგი, ეს ის იყო, — ლადი, ვანო კეცხოველის უფროსი ძმა.

ალბათ, დავა ჩხუბად გადაექცეოდათ, მაგრამ მალე ზარიც დარეკეს და ყველაფერი ერთბაშად აირია.

ვინ ნალახტევი ქამრით წელს საჩქაროდ იკრავდა, ვინ ზურგზე მოკიდებული შავი მუშამბის ამბგაში წიგნების ბრაგაბრუგითა და ვინ თავზე მოგლეჯილი ქუდით ხელში წივილით, ჟრიამულით კლასისაკენ მირბოდა.

ვიწრო ეზოში გასაქანი არც ისე დიდი იყო, ამიტომ ყველა ცდილობდა ერთი გაქანებით მოეხვეტა ეს მანძილი, დერეფანში პირველი შევარდნილიყო და კლასშიც საუკეთესო ადგილი დაეჭირა. ამას გარდა, ვინც ყველას გადაასწრებდა, ის უკეთეს მარბენალადაც ჩაითვლებოდა და ბიჭობის ერთი ზედმეტი სახელიც იმისი იქნებოდა.

სოსო ერთი შეფრთხა ამ წიოკობაზე. სულ გადაავიწყდა თავისი ახალთახალი ჩექმების ყადრი, ისიც, რომ ჯერ უცხო იყო. ლაპლაპა კარტუზიანი ქუდი რომ არ გადავარდნოდა, მოიგლიჯა და ერთი:

— აჰაი, დედიჩემის ღმერთსაო! — დასძახა, გაქანდა შურდულივით.

სკოლის კარამდე ყველა უკან ჩამოიტოვა. დერეფანში რომ გაჩნდა, გულმა არ მოუთმინა და უკან მოიხედა. ფეხდაფეხ მოყოლილი გრიშა გლურჯიძე დაინახა თუ არა, ჰაერში კალმახივით შეეკრიალდა და პირველ შეხვედრილ კლასს მიაშურა.

— მანდ არა, სოსოჯან, მანდ არა! მე მომყე, მე მომყე!

სოსო შედგა.

სკოლაში პირველად იყო და არ იცოდა საით აეღო გეზი გასაქცევად.

ყოყმანში პირველობაც დაჰკარგა. მაგრამ მარცხი აინუნშიაც არ ჩაუგდია და ახლა ის მიჰყვა ამხანაგს.

კარებში რომ შევარდა, გრიშა პირველ მერხზე უკვე საფუძვლიანად მოწყობილიყო და სოსოსაც თავის გვერდით ეპატიჟებოდა.

— აქ მო, ჩემთან დაჯე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმასაც ბევრი არ უფიქრია, მაშინვე მის გვერდით მოეწყო.

მალე დანარჩენებიც შემოხვავდნენ. ყველა უკეთეს ადგილს ეძებდა. ზოგმა იპოვა კიდეც, თავისთვის ქუდის დადებით დაიმკვიდრა და შუა კლასში ისევ სათამაშოდ გამოვიდა. გულმა არც გლურჯიძეს მოუთმინა, ქუდი მერხზე დიდის ამბით დასდო და ყველას გასაგონად დაიძახა:

— აქ ჩემი ადგილია! — ამ სიტყვით სოსო მარტო დასტოვა და ისევ ძველ ამხანაგებს შეუერთდა.

ვინ მღეროდა, ვინ უცნაური ხმით ჭყიოდა და ვინ მაგიდის ასაკეც ფიცარს ფიცარზე ყურის წამღებად არახუნებდა. სოსო მათ ცქერაში ისე გაერთო, რომ არაფერი გაუგია, როგორ მოუჯდა გვერდში ვიღაცა. მოიხედა, — დრახინა იყო. ერთი უსიამოვნოდ აიფხორა და იქით მიიწია, — კვიმატიანი ბიჭისაგან თავი შორს დაიჭირა.

— ერთ რამეს გკითხამ, — დაიწყო დავიდოვმა პირდაპირ და მიუკიბ-მოუკიბავად, მერე უფრო ახლოს მიუცოცდა და შარვლის გამობერილი ჯიბიდან „ეინემის“ კაკაოს მრგვალი კოლოფი ამოაძვრინა. — თუ მეტყვი, აი, ამას გასუნებინებ, — და თეთრი თუნუქის ყუთს თავი მაცდუნებელი მომხიბლაობით მოჰხადა.

— იფ, იფ, რა სუნი აქვს! — იძახოდა თავის მაცდური ქნევით და თან ყუთს შიგნიდან განზრახი გატაცებით ყნოსავდა. მაინც რომ ვერ მოხიბლა, თვალი თვალში ჯიუტად გაუყარა და, კი არ ჰკითხა, შეეხვეწა: — იცი რა... იცი რა... — ერთხანს სიტყვას თავი და ბოლო ვერ მოაბა და მერე ერთბაშად დააყარა: — ე დრახინაი რა არი, მითხარ, და ამ ყუთს, თუ გინდა, სულ გაჩუქებ...

სოსომ საეჭვოდ მიიჩნია ეს გულუხვობა და უხიაგად შეუტია:

— აბა მე რა ვიცი რაა! ერთი, თუ ძმა ხარ, იქით გამეცა, აქ არა მიხიმანო რა, დაა!

სიტყვა დასრულებულიც არა ჰქონდა, რომ გლურჯიძეც მოვარდა, ყუთის დანახვაზე თვალები სიხარბით გაუბრწყინდა, ყანყრატოში ხელი მუდარით წაივლო და ისე დაეღრიჯა:

— ერთხელ მასუნებინე, ერთხელ და... აი, ზიარების მადლმა, ვისაც მეტყვი, იმასა ვცემ! — თან ცხვირი მსუნაგად მიუშვირა, მაგრამ დრახინამ ყუთიანი ხელი იქით გასწია და უხეშად შეუბღვირა:

—ერთი იქით გაიწი, დაა! ემაგ ცინგლიანი ცხვირით რა უნდა გაიგო?... — მერე ნივთი უფრო გამოსაჩენად მაღლა ასწია და ორივეს ცეკვით გაშორდა.

— დილილმე, დილილმე! — მღეროდა და თან ყუთს ჰაერში მიმზიდველად ატრიალებდა. მას ახლა სხვანიც აეტორღიალნენ:

— მეც მასუნებინე, რა-ა!

— მეც!

— მეც! — ემუდარებოდნენ, მაგრამ დრახინას გაკერპებული გული ვერაფრით ვერ მოალბეს. ბოლოს ერთი იმათგანი მოთმინებიდან იმდენად გამოვიდა, რომ ხელი მხარში ტლანქად დასტაცა და ისე დაუტატანა:

— მასუნებინე მეთქი, თორემა გცემ, აი!

განძის პატრონმა ერთი ზემოდან აგდებით გადმოხედა, მერე ცხვირი მაღლა აიღო და ისე გადმოსძახა:

— წადი, აქედან გაეთრიე, შე ტურტლიანო, თორემა! აბა მაქვს, ბაბა ერთი სცადე! — მერე კლასს მიუბრუნდა და ყველას გასაგონად დაიძახა:

— ბიჭებო, ვის გინდათ, ერთი სუნება — ერთი პანღური-ი! იფ-იფ-იფ, რა არი, რა არი! ვინც ამას უსუნებს მაშინვე მღვდლად აკურთხებენ! ამასთან, ძმავ, ფას ყვაილები და დუხები!

მუშტარი მხოლოდ ორიოდე აღმოჩნდა, მაგრამ დავიდოვი არც ისეთი ბრიყვი გამოდგა, მათ რომ ეგონათ.

— ა-არა, ძმავ, ეგრე არა! — არ ჰყაბულობდა იგი, — ჯერ პანღური, მემრე სუნება! ე ყუთი არსად გაიქცევა და თქვენ კი გამექცევით! — და უცებ თავი მშობელთა დიდ გამგონე შვილად მოიკატუნა: — მამამ ეგრე დამაბარა და რა ვქნა, შვილი ვარ, უნდა დავუჯერო!

იმათაც რა ძალა ჰქონდათ, ადგნენ და დაჰყაბულდნენ.

რიჟა კავკასიძე ამ დროს თავისი საქმით იყო გართული, — მერხიდან მერხზე რიგ რიგად გადადიოდა ბიჭებიც ადგილს უსიტყვოდ უთმობდნენ და ყურადღებით უცქერდნენ, როგორ უკრავდა იგი დოლურს ყოველ მათგანზე.

მალე მაიგნო კიდეც ყველაზე ხმიანს. ამხანაგების დახმარებით ხელდახელ წინა რიგში გამოაცურა და მწკრივის თავში თავმომწონედ ჩადგა.

— ეე, დრახინ, მოდი რაღა! — გასძახა პანღურის ცემაში გართულ ამხანაგს. იმანაც ყუთს ხუფი მაშინვე დიდის ამბით დაახურა, ჯიბეში ჩაიტენა და დოლის თავში დამდგარმა ხელები მაღლა ასწია.

— მოწყალენო ხელმწიფენო და ხელმწიფანო! — მაგრამ მიუხედავად საზეიმო მომართვისა, სმენა მაინც რომ არ ჩამოვარდა, კილო იცვალა და ხმასაც კიდევ უფრო აუწია:

— ეჰეი, სმენა იყოს, გაგონება და ჯიუტის გაგორება!

მუქარამ თითქოს მართლაც გასჭრა, — ყველა გაყუჩდა.

— თქვენო ყოვლად უსამღვდელოესნო, — დაუბრუნდა იგი ისევ თავის საზეიმო კილოს, — მწყემსნო რეგვენნო, პატივისცემით გეუწყებათ, რომ დოლს დაუკრამს მონა ღვთისა რიჟა, — ღმერთმა გააგიჟა! იტანცავებს კნიაზ ანდუყაფარ ვარდყაყტოვ, ტაშ, ტუშ!

მედოლემაც არ დააყოვნა და გაისმა:

დიფ დაფი-დაფი.
დაფდაფი-დაფი.

ტიტვინიძემა და ციხითათრიშვილმა მაშინვე ჯიბის სავარცხლები იძვრეს, ზედ თუთუნის გასახვევი სიფრიფანა ქაღალდი შემოაფინეს და ზურნაც აჭყვიტინდა.

— ჯან! ჯან! — ღრიალებდა ეს მართლაც დრახინა და ბაღდადურს ეშხიანად ცეკვავდა.

მკლავგაშლით რომ უვლიდა, ბიჭებს ხან ხელს უფათურებდა თავში, ხან დაფის საწმენდ მტვრიან ჩვარს არტყამდა სახეში და ირგვლივ სულ ბადღვირსა და კორიანტელს აყენებდა.

მალე კავკასიძე ცხვირა კასრაძემ შეცვალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოლი ახლა იმან გაახურა.

დავიდოვმა, რიჟა რომ თავისუფლად დაინახა, მაშინვე იმას მიაშურა და ახლა საცეკვაოდ ის გაიწვია.

კავკასიძემაც გავა უსირცხვილოდ გაიშვირა და პატარძალივით განაწდა:

— მრცხვენია კნიაზჯან! — აწრიპინდა ქალის ხმით და თან ტუჩები უცნაურათ აიპრუწა.

დრახინა კი ისე გაერთო ცეკვაში, რომ უკვე ხუმრობაგაშვებით ეხვეწებოდა:

— მოდი, რიჟაჯან, მოდი!

— არა, კნიაზჯან, ეგრე როგორ იქნება, ქა-ა!

— ამოგივა რქა-ა! მოდი რაღა, საქმე ნუ გააჭირე, დაა! — აღარ ეშვებოდა კნიაზ ვარდუაუატოვი.

— უი, ქა, მეზობლებმა რო გაგვჭორონ! — წიკვინებდა კოლა, მაგრამ, კნიაზი რომ მაინც აღარ მოეშვა, პატარძალმა შარვლის ჯიბიდან მამისეული ჭრელი ბაღდადი ამოაფრიალა და თავი კეკელასავით კოპწიად წაიკრა.

კნიაზმა ისევ ჩამოიქროლა ჩასპანდურად, ლოთი-ფოთურად და, ერთი თავმოგიჟიანებულად რომ დასჭყივლა, ქალმა, როგორც იქნა, სძლია მორცხვობას, — ცალი ფეხით დაკოჭლებულმა გავა კიდევ უფრო უწმაწურად გამოზნიქა და ცეკვა დაიწყო.

— ჯაან, ჯან, ნენეჯან! — ყვიროდა დავიდოვი გაშმაგებით.

— ტაშ! ტუშ! — დასძახოდნენ პატარძლის ყოველ ჩაკოჭლებაზე ბიჭები და ტაში და დოლი მთელ კლასს აყრუებდა.

ეშხში შესულმა ნენემ ტუჩზე თითი მიიდო, ხელებიც განივრად გაშალა და, კნიაზი რომ ალთას აფხარკალებდა ფეხებს, ნენე ბალთას ჯაგჯაგებდა.

ვარდუაუატოვი ბუქნავდა, ღრიალებდა, დავლურს დარდიმანდულად უვლიდა და ბოლოს, ქალის ტრფობამ სულ რომ გააგიჟა, წონასწორობასთან ერთად დაჰკარგა პატიოსანი სამღვდელოებისა და ფართო საზოგადოების რიდი და მოკრძალება, უცებ პატარძლისაკენ საკოცნელად წაიწია, მაგრამ ქალმა მარჯვედ აარიდა თავი ხიფათს.

— იი, მეხი კი დაგაყარე ემაგ ტურტლიან თავზედა, აჰანდეე! — მიაკივლა გაკაპასებით და უკანიდან გოგმანით წამოქროლებულმა ერთი ისეთი პანღური აჭამა, რომ შეხურებულ სიძეს ტრფობის ჟინი უცებ გაუნელდა.

— აჰაი, შე ჩემენალავ, შენა! — დაუტატანა ტეტიურად ნეფემა და დედოფალს სამაგიეროს გადასახდელად დაედევნა.

გულგახეთქილი ნენე კრიახით, წივილით მაგიდაზე შეიჭრა, მას კნიაზიც მიჰყვა და გაჩნდა სირბილი მერხიდან მერხზე. ატყდა ერთი ალიაქოთი, ხარხარი და ღრიანცელი, — ვინ ნეფეს აქეზებდა, ვინ პატარძალსა.

გამოქანებულმა პატარძალმა თავი ვერ შეიკავა და კლასში შემოსულ თამაზოვს ზედ გადაახტა.

სოსო სიცილით კვდებოდა.

სულ გადაავიწყდა, რომ სკოლაში იყო, მაგრამ ამ დროს თვალგაფაციცებული მიშა წინამძღვაროვიც შემოიჭრა.

— თინიკოვი, ბიჭებო, თინიკოვი! — დაიძახა გულის გადამტრიალებელი ხმით და კარები სწრაფად მიიხურა, ერთიც შეკუნტრუშდა და თვალის დახამხამებაში თავის ადგილას გაჩნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

ყველა თავთავის ადგილას იჯდა.

სოსომ დრახინას ალმაცერად გადახედა.

ის ისე გატრუნულიყო და კვიმატიან თვალებს თავის ულაზათო, მაგრამ ცოცხალ სახეზე ისეთი ანგელოსური უმანკოებით ლულავდა, თითქოს აქ არაფერიც არ მომხდარაო.

— ვახ, რა ღმერთძაღლი რამეა, და! — გაუელვა აღტაცებისაგან და მტკიცედ გადაწყვიტა დაუახლოვდეს.

კარიც გაიღო.

კლასში მეთვალყურე თინიკაშვილი შემოვიდა.

თვითონ მასწავლებელი დღეს რატომღაც ვერ მოსულიყო და მის მაგიერ ინსპექტორ ბუტირსკის ეს გამოეგზავნა.

ოსტატის შემოსვლა და მოსწავლეთა წამოშლა ერთი იყო.

— დასხედით!

მოწაფენი დასხდნენ.

თინიკოვმა ბალღებს შუბლშეკვრით გადახედა, მერე ცალი თვალი ოდნავ მოხუჭა და ყველა სათითაოდ ჩაათვალიერა.

ბალღები მიხვდნენ, რომ საქმე ცუდად მობრუნდა და რომელიღაც მათგანს სასჯელი არ ასცდებოდა.

— კავკასიძე! — ბრძანა ოსტატმა მკაცრად.

— ზდეს! — დაიძახა რიჟამ და ფეხზე ელდანაკრავივით წამოიჭრა.

— დავიდოვ! — კი არა ბრძანა, წარმოთქვა ტკეპნით უფროსმა.

— ზდეს! — დაიწრიპინა დრახინამ ისე საცოდავად, რომ აქა-იქ ბიჭებს ფხუკუნიც წასკდათ.

თინიკოვმა შუბლი კიდევ უფრო კუშტად შეიკრა და წელათრეულ ბავშვს უსიტყვოდ მიაჩერდა, მაგრამ დრახინა არ შემკრთალა, უფროსს თვალები ისეთი ანგელოსური გულუბრყვილობით გაუსწორა, თითქოს ეუბნებოდა, — მე რა შუაში ვარო, მაგრამ მეთვალყურემ ზედაც არ დახედა.

— კუთხეში დადექით! — გაისმა, კარგახნის დუმილის შემდეგ უხამსი ბრძანება.

— მეე, ოსტატო-ო? — იკითხა განცვიფრებით დავიდოვმა.

— მეე, უჩიტელო-ო? — გაიმეორა რიჟამაც თუთიყუშივით.

— ჰო, თქვენ, თქვენ! — სთქვა თინიკოვმა იმედის დამწურავად და ჟურნალი გადაშალა.

იმათაც რა ძალა ჰქონდათ, ადგნენ და კუთხეში შავად გალაქულ მრგვალ ღუმელთან სასჯელის მოსახდელად გაჩერდნენ.

— აბეწოვ! — დაიწყო მოწაფეთა ამოკითხვა ოსტატმა.

— ზდეს! — მიუგო აბეწაშვილმა ფეხზე წამოდგომით.

— დანდუროვ! — ჩაჰყვა ანბანზე შეგირდთა გვარებს.

— ზდეს!

დავიდოვ! — კი არა სთქვა, ჩაიბურტყუნა ოსტატმა და კუთხეში მდგომ დრახინას მოხედა. მერე უეცრად შუბლი გაეხსნა და ისე შეეკითხა: — ბიჭო, ეგრე რად გამხდარხარ, ეს ზაფხული ხალიჩას ხო არა სძოვდი?

— დაბადებით ეგრე ვარ ოსტატო! — საცოდავი ხმით დაიკნავლა მოულოდნელი მზრუნველობით გაკვირვებულმა შეგირდმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თინიკოვს გაეღიმა. ბავშვებსაც ეს უნდოდათ, იმათაც ეცინა, მაგრამ უფროსმა ერთი ისეთი თვალები დააბრიალა, რომ ისევ მიყუჩდნენ, სული ფრჩხილებში გაეპარათ.

თინიკოვი არა სცხრებოდა, — ისევ ნიშანში ამოღებულ დრახინას უცქეროდა. უცქირა, უცქირა, — ხმა არ ამოუღია. მისი ყურადღება შეგირდის გამობერილმა ჯიბემ მიიქცია. დავიდოვი მაშინვე მიხვდა, რომ ხაფანგში გაება და, უშნოდ გამობურცულ ჯიბეს რომ ვერა მოუხერხა რა, ეშმაკ მელასავით გაიტრუნა. მრუმე თვალები ჭერში სასოებით ალაპყრო, მაგრამ ამ ოხრისტიალ ხელებისთვის რა ექნა არ იცოდა. წელზე შამოიწყო, — უხერხულად ეჩვენა, ქამარში გაიყარა, — არც ეს დაუჯდა ჭკუაში. ბოლოს ისევ ძირს დაუშვა და ჯარისკაცივით სასაცილოდ გაიჭიმა.

— ჯიბეში რა გაქვს? — იკითხა მოულოდნელი გაბრაზებით თინიკოვმა და თვალები სისხლით აევსო.

— არაფერი, ოსტატო! — მიუგო შემკრთალმა მოწაფემ და ხალათის სწორება დაიწყო. ეს სატიალე კალთა ისე მოკლე იყო, რომ ჯიბეს ვერა ჰფარავდა, რამდენი არ ჩამოსწია, მაინც მაღლა ადიოდა.

— ეხლავ ამოიღე და აქ დადე!

— ვაი, რა განძი დავკარგე! — გაიფიქრა დასჯილმა შეგირდმა სინანულით, კოლოფი ამოიღო და მაგიდაზე უსიტყვოდ დასდო.

მასწავლებელმა ნივთს ერთი შუბლშეკვრით გადახედა და კვლავ საკლასო ჟურნალის კითხვას მიუბრუნდა.

— ჯუღაშვილი! — ამოიკითხა ისევ ისეთივე ტკეპნით თინიკოვმა, რადგან ეს გვარი რუსული ალფაბეტით ასო დონით იწყებოდა.

— აქა ვარ! — მიუგო სოსომ ფეხზე წამოდგომით.

ოსტატმა წარბები ისევ შეიჭმუხნა.

ერთხანს უცქირა, უცქირა და მერე ავი ძაღლივით აღრენილად შეუტია:

— ზდეს-თქო, ბიჭო!

— ზდეს! — გაიმეორა ბალღმა გამოძახილივით.

— Сади-ись! — წაიღრინა თინიკოვმა გაავებული ძაღლივით და ბავშვიც დაჯდა.

რიჟა და დრახინა მაშინვე მიხვდნენ, რომ თამაზიშვილისაგან იყვნენ დასმენილნი და, სასჯელის მოსახდელად ღუმელთან მდგარნი, მაინც არა ცხრებოდნენ, მაბეზღარას კუთხიდან მუშტებით ემუქრებოდნენ.

რიბიჟირას არ ეგონა, რომ ისინი ოინს ეგრე ადვილად გაუგებდნენ და ახლა შეფიქრებულმა არ იცოდა როგორ დაეძვრინა თავი ხიფათისაგან. ნაღდად იცოდა, — მიჰბეგვავდნენ. ოსტატის შიშით, ხმის ამოღებას რომ ვერა ბედავდა, პირჯვარს გამალებით იწერდა და ისე არწმუნებდა ორივეს მუნჯურად თავის უბრალოებაში, მაგრამ არა გამოდიოდა რა, მაინც ვერ აჯერებდა.

თინიკოვმა გვარები ბოლომდე ჩაიკითხა, მერე შუა ადგილას გამოვიდა და დიდის ამბით განაცხადა:

— Ну, დერეფანში გადით და სიმაღლის მიხედვით წყნარად დამწკრივდით! საყდრისაკენ წესრიგით გაემართეთ! ღმერთი ვილოცოთ! — ისე ნაწყვეტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწყვეტად სთქვა, თითქოს ისევ გვარებს კითხულობსო და მერე დასჯილებს მიუბრუნდა:

— თქვენც რიგში დადექით!

ორნივ ელვის სისწრაფით მოსწყდნენ კუთხეს, მაგრამ თინიკოვმა დრახინას ხელი მკლავში ჩაატანა და ისე შეაჩერა.

— აჰა, ეს ყუთი და მეორედ აქ არ დავინახო.

სიხარულით ცად აფრენილმა ბიჭმა კაკაოს კოლოფს ხელი დასტაცა და ჯიბეში ძალისძალად ჩატენა.

ხუთ წუთს შემდეგ წყვილ-წყვილად დაწყობილი ბავშვები პარაკლისზე საყდრისაკენ მიემართებოდნენ.

*

* *

ორღობეების გამხმარ ტალახში მიტანტალებენ რიგში ჩამდგარი იხვები და, გახეთქვამდე გატენილმა ჩიჩახვმა რომ არ გადასძალოს, უკან დიდკაცურად გადაბღენძილან. ფართოფარფლიან ფეხებს მიწაზე გულდაგულ ადგამენ და შინ საქმის კაცებივით დინჯად ბრუნდებიან. თუ რომელიმე მათგანს გზადაბნეული კალია ან ბუზი ჩამოუქროლებს, ფიცხლავ ნისკარტს გაუკაპუნებს, დანარჩენებიც ირგვლივ შემოეხვევიან და მზრუნველობით ეკითხებიან:

— რა დაგემართა, ხო არაფერსა სჭამო?

სემაფორთან კივილიც გაისმის.

თბილისიდან ქშენით მოვარდნილი მატარებელი სადგურში გრიალით შემოდის.

ეს დრო გორის წყნარსა და მოსაწყენ ცხოვრებაში უდიდესი მოძრაობისა და აღრევის დრო არის.

აი, ქუჩაში ეტლიც შემოგრიალდა.

— ხაბარდაა! ხაბარდაა! ხაბარდაა! — ყვირის მეეტლე ნაგიჟარა და აფორიაქებული მტვერი ცაში კორიანტელად ადის.

ყურთმაჯიანი თავადიშვილები და ლეჩაქაკეცილი მანდილოსნები გზად ჩერდებიან და ხარივით გაბღენძილ ზიზილპიპილებიან ვეზნაჩალნიკს მდაბლად მიესალმებიან.

წვერმოშვებული ახალგაზრდანი და საზაფხულო არდადეგებზე ჩამოსული სემინარიელები ეტლს პირს განზრახ არიდებენ.

მაზრის უფროსმა ბრაზით კბილი კბილს მძლავრად დააბჯინა.

ამ რამოდენიმე დღის წინათ თავგაბეზრებულმა ქიტა მეთევზემ თავის მეგალეს საქულა თამაზოვს იმდენი სცემა, ხელში ცოცხალი ძლივს გამოჰგლიჯეს.

მაზრის უფროსი თამაზოვის ჯავრს აბა ვის შეარჩენდა? ხელი ხელსა ჰბანს და ორივე პირსა, — მაზრის უფროსი პირი იყო და ამ პირს ათასი ხელი ჰბანდა. ერთი ამგვარი ხელთაგანი ისიც იყო, ის მდიდარი, და იმისი წყალობით ბარაქა მის ჯიბესა და ოჯახსაც არ აკლდებოდა.

ახლა იმისი გულის ჯავრი გაახსენდა და კიდევ უფრო აენთო, რადგან ჩაფრებს ის მოუსვენარი მეთევზე დღესაც ვერ ეპოვნათ. ალბათ, წერამ თუ

აიტანა, თორემ ეგრე რამ გაათავხედა, რომ მოციქულად ვიდაც კალატოზი მოუგზავნა და თან შემოუთვალა, — ცხვარი ცხვარია, თუ გაბრაზდა და ცხარიაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთმინებიდან გამოსულმა ის მისი არამკითხე მოციქული ბაბინუ ვირის აბანოში ჩააგდო. ახლა საპოლიციო ნაწილში მის დასაკითხავად მიეშურებოდა.

მეთევზე ჩაფრებს ვერც დღეს ეპოვნათ. მის რისხვას სადღაც ემალებოდა. ეხლა იმდენად აიგდო თავი, რომ გუშინ წერილიც გამოუგზავნა:

— ჩამომეხსენი, შენ ცოდოში ნუ გამრევო! იმ კალატოზსაც უბრალოდ ნუ აწვალებ, თორემ მე ვიცი და ჩემმა კაცობამაო.

ეტლი დიასამიძის სახლს გაუსწორდა.

აი, ძველი ხალხოსანის, რასენ კალანდაძის, წიგნის მაღაზიაც. დახლზე აწყვია იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენა," „ბუნების კარი" და... დახლ ქვეშ საეჭვო წიგნები. ხალხიც საეჭვო დადის იქა, — დიაკვნის შვილები, ტეტიათა მოტრფიალენი... იმ მეთევზეს, ალბათ, ისინი აბრიყვებენ, თავზე ხელი იშათ ააღებინეს.

— გაგთოკავთ! ციხეში ჩაგალპობთ! — დაემუქრა იგი ვიღაცას და ისედაც შეკრული შუბლი კიდევ უფრო კუშტად შეიჭმუხნა.

გორი ქართლის გულია და, როგორც ქვეყნის გულს შეშვენის, აქ არის სასულიერო სასწავლებელი, საოსტატო სემინარია, დედათა პროგიმნაზია, საქალაქო სკოლა და ფოსტა-ტელეგრაფი.

ხელისუფალს გული ისევ გაეხსნა: ყოვლის შემძლე ღვთის და ხელმწიფის წყალობით აქ იყო კიდევ მე-16 გრენადერთა პოლკის ყაზარმა, პოლიცია, ღვთის დიდი ტაძარი და რვა მომცრო ეკლესია: მართლმადიდებელთა, კათოლიკეთა, გრიგორიანთა.

ეტლმა მთავარ ქუჩას აუქცია და, ჯერ მისგან ამდგარი ბდღვირი და კორიანტელი არ დამჯდარიყო, რომ შესახვევიდან სროლის ხმა მოისმა. მას მეორეც მოჰყვა, მესამეც.

დუქნებს ვიღაც დამბაჩიანმა ჩამოუქროლა.

დამბაჩიანი კაცი რომ ჩაირბენდა, დახლქვეშ შიშით დამალული ვაჭრები მხოლოდ მაშინ გამოდიოდნენ გარეთ და გულგახეთქილნი გაჰყვიროდნენ:

— დაიჭით! დაიჭით! დაიჭით! — მაგრამ დამჭერი არავინ იყო. სანამ ჩაფრები გამოჩნდებოდნენ, მსროლელი ცამ გადაყლაპა თუ მიწამ, არავინ იცოდა.

მაზრის უფროსი ისე მძიმედ იყო დაჭრილი, რომ შინ მიყვანამდე ამოხდა სული.

ნაგიჟარა ზოგს სწორედ ამბობდა ზოგს უმატებდა. აშეთებული თვალებით უამბობდა ყველას, თუ როგორ გამოხტა ქიტა ალაყაფიდან, როგორ გაუმიზნა დამბაჩა, როგორ ესროლა სამჯერ ზედიზედ და როგორ დაუფრთხა ეტლში ცხენები.

— ჩემმა მზემ, სიყრმის მზემ, მეც ძლივს გადავრჩი! — ისე ამბობდა, თითქოს საგმირო საქმის მონაწილე ისიც ყოფილიყოს.

სოსო თავს ამაყად გრძნობდა, რომ ის არსენა ბიჭი იმისი ძია იყო და ოცნებობდა: აი, სწავლას მორჩება, ისიც იმისთან წავა და სიმართლისათვის თავს ერთად დასდებენ.

*
* *

ერთ დღეს სკოლის კარებში სოსოს ლადო კეცხოველი შემოხვდა. ტყუბოდა, მას რაღაც ჰქონდა სათქმელი, მაგრამ ვერ ახერხებდა. ბოლოს ერთი ფრთხილად მიიხედ-მოიხედა, ხომ არავის ესმისო, და ისე მიმართა:

— აჰა, ბიჭო, ეს წაიკითხე და მალე დამიბრუნე... ოღონდ არავინ გინახოს, აი! — და ხელში რაღაც რვეული შეაჩეჩა. სოსოს ბევრი არ უფიქრია, მაშინვე უბეში გააჭანა.

უკვე სამი დღე იყო, რაც საზაფხულო არდადეგებს შემდეგ სწავლა დაიწყო, მაგრამ ქართული ენის გაკვეთილი დღეს შედგა პირველად, რადგან მას სამადლოდ კვირაში მხოლოდ ერთი საათი ჰქონდა დათმობილი.

პირველი კლასიდან საგნებს რუსულად ასწავლიდნენ და ამიტომ ეს გაკვეთილი მათთვის ყველაზე სანუკვარი რამ იყო. მით უფრო, რომ ქართულს ამ წლიდან ყველასათვის საყვარელი ტეტიათა მოტრფიალე მწერალი სოფრომ მგალობლიშვილი ასწავლიდა.

სოსო ამხანაგებში სათამაშოდ არ გარეულა. მერხზე განმარტოებით დაჯდა. კეცხოველის რვეულს დახედა, — ხელნაწერი გაზეთი იყო. მისმა კითხვამ მალე ისე გაიტაცა, რომ მის ყურადღებას ისიც კი გამოეპარა, როგორ შემოვიდა კლასში მასწავლებელი; მხოლოდ ერთბაშად ჩამოვარდნილმა სიწყნარემ გამოარკვია და მისასალმებლად ფეხზე წამოშლილ კლასთან ერთად მანქანებრივ წამოდგა.

— დასხედით! — ბრძანა მასწავლებელმა.

შეგირდები დასხდნენ.

მგალობლიშვილმა გაკვეთილი მაშინვე დააყენა, მაგრამ, სანამ საგანზე გადავიდოდა, ჯერ მოსწავლენი გვარების ამოკითხვით სათითაოდ გაიცნო.

საკლასო ჟურნალი ბოლომდე რომ ჩაიკითხა, წამოდგა. შეგირდებს ტკბილი, სადა და ოდნავ გლეხური ენით აუხსნა, თუ რაოდენ დიდი მოვალეობა აწევს ყოველ მათგანს ქვეყნის წინაშე. ბოლოს იმდენად გაერთო, რომ თავისი მოკლე საუბარი შემდეგი სიტყვებით დაასრულა:

— თქვენც კარგად იცით, ყმაწვილებო, რომ ჩვენი სოფელი ქონებრივად და განათლების მხრივაც ძალზე ჩამორჩენილია. იგი თქვენ შემოგცქერისთ იმედის თვალით, რადგან იმისი მომავალი და ნუგეში თქვენა ხართ. ამიტომ თქვენც თვალი უნდა გაახილოთ, კიდევ მეტის მონდომებით ისწავლოთ, განათლდეთ და დაბეჩავებულ ხალხს დროზე მიეშველოთ. დაჩაგრულსა და გავერანებულს მხარში ქომაგად ამოუდგეთ, უწამლოთ, გული შვებით მოუფონოთ და მით ის დიდი გასაჭირი, რომლის ქვეშაც ის იჭყლიტება, შეუმსუბუქოთ. აი, იმის მაგალითად, თუ რა დღეშია ჩვენი ხალხი, მე თქვენ ილია ჭავჭავაძის ერთ მოთხრობას წაგიკითხავთ. — ამ სიტყვებით წიგნი გაშალა და მაშინვე კითხვა დაიწყო.

შეგირდები სულგანაბული უსმენდნენ და გაკვირვებას მოდიოდნენ, რომ ახალი მასწავლებლის წაკითხულ-ნაამბობი არაფრით არა ჰგავდა იმას, რასაც აქამდე ასწავლიდნენ, რომ ისინი აქ ლაღ ადამიანებად კი არა, მონებად იზრდებოდნენ და გულში ყრუ, ჯერ კიდევ შეუგნებელი უკმაყოფილების გრძნობა

ებადებოდათ. ეს ახალი სიტყვები ფრთხილად, მაგრამ საკმაო ხიცხადით ანიშნებდნენ, რომ იქ, სკოლის კედლებს იქით, რაღაც სხვა ამბებია, ამ ამბებს სოსოც კარგად ხედავდა, მაგრამ გრძნობდა, რომ მარტო ნახვა არა კმარიდა, რომ ის, რასაც აქა სწავლობდნენ, სხვა არის და ასე ცხოვრება არ იქნება, არც ის ასეენას წიგნები იყო საკმარისი და ისედაც დაჯავრიანებულმა არ იცოდა ვისთვის მიემართა.

მგალობლიშვილი ერთი საწყალი, მიამიტი კახელი გლეხის პეტრეს ამბავს კითხულობდა. ეს პეტრე ერთხელ სხვა მეურმეებთან ერთად თურმე ქალაქს ღვინის გასასყიდლათ მიდიოდა. გზად, ლოჭინის ხევთან, ვიღაც ოხერი მამინაცვლისაგან გაუბედურებული ორი ბიჭი შემოხვდა. პეტრემ შეივრდომა ისინი, პური აჭამა, გული დაუყვავა და იმ ღამეს მოასვენა კიდევაცა. დილით რომ გაეღვიძა, ხედავს ბიჭები გაპარულან, მისთვისაც ჯიბე შეუჭრიათ და სამი და ათი შაურიც ფულად წაუღიათ.

ოთხი წლის შემდეგ ქალაქში, მახათაზე, ვიღაც ავაზაკს საჯაროდ ახრჩობდნენ.

ამ საზარელ ამბავს სოფლიდან ახლად ჩამოსული პეტრეც შეესწრო და, ურმებისაკენ გულაფორიაქებული რომ ბრუნდებოდა, ერთიც ვნახოთ, გზაზე ვიღაც ძალზე ნაცნობი სახის ბიჭმა რაღაც ქაღალდი შეაჩეჩა.

თვითონ ერთი უწიგნო კაცი იყო და მაშინვე ბაკებს მიაშურა. გრილოში მიწოლილი შვილი საჩქაროდ გააღვიძა, წიგნი ხელში შეაჩეჩა და ასე უთხრა:

— ერთი ადექ, ეს წამიკითხე!

ისიც ადგა და კითხვა დაიწყო.

„...შენმა გულკეთილობამ რომ ტკბილი ნაღველი ჩამისახა გულში და კინაღამ არ დამიმორჩილა, აქამდის კიდევ გულში მიღვივის, როგორც ნაცრის ქვეშ შენახული ნაღვერდალი. ისიც გაქრება, ვიცი, განა შენ კი ამხანაგი არა ხარ ჩემის მამინაცვლისა? განა შენ კი არ დამირჩე ერთად ერთი ძმა? განა შენ კი არ მიიყვანე ის სარჩობელამდე?

შვილი გაოცდა, მამას ცივმა ოფლმა დაასხა.

მე რა შუაში ვარ? — დაიძახა კვნესით და თრთოლვით შეშინებულმა პეტრემ. პეტრე მთლად ცახცახებდა.

— მართლა და ჩვენი ბებერი პეტრე რა შუაში უნდა იყოს?“

ეს სიტყვები ისე მწველად მოხვდა სოსოს გულში, რომ შეშფოთებული ფეხზე წამოიჭრა, მაგრამ ოსტატმა გაოცებული თვალებით რომ შეხედა, ერთბაშად გამოერკვა, უხერხულობისაგან რატომღაც თავზე ხელი გადაისვა და ისევ დაჯდა.

ბალღები იმდენად გაიტაცა ამ ამბავმა, რომ არც შეუტყვიათ, როგორ დასრულდა გაკვეთილი.

მერე ისევ გნიასი, ისევ ყიჟინი და მოუსვენარი სირბილი გაცელქებული შეგირდებისა.

სოსო იმდენად იყო გაბრუებული ამ მოთხრობით, რომ ერთხანს არ ამდგარა თავის ადგილიდან.

— მართლა და, რა შუაში იყო ის ბებერი პეტრე, ჰა? — ვინ იცის, მერამდენედ ეკითხებოდა თავის თავს, მაგრამ განაჩენი რომ ვერ გამოიტანა, გრამატიკის წიგნი მერხის უჯრაში შეაგდო და სარკმელისაკენ ნელა გაემართა. ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს, საიდან არ იყოს, ის ალქაჯი დრახინაც უკნიდან ჩუმად წამოეპარა და წივილით, კივილით ზურგზე მოახტა.

— აჩუ, აჩუ, ცხენო! — ერეკებოდა რაშს და თან ფერდებზე, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დეზებსა სცემდა.

სოსომ ბევრი იხტუნა, ხან თეძო აიქნია, ხან გვერდი აუკრა, მაგრამ ჩაბღუჯული მხედარი მანამ ვერ მოიშორა, სანამ თვითონ არ ინამუსა და არ გადმოხტა. დრახინას ეგონა, რომ ის სამაგიეროს გადასახდელად დაედევნებოდა და გაქცევა დააპირა, მაგრამ, რომ აღარ დაედევნა, შედგა, სახეზე მხიარულების იერი ერთბაშად შამოშორდა.

— რა დაგემართა? ხო არა გაწყეინეს რა? — შეეკითხა მზრუნველობით.

— იჰ, ერთი შენცა, დააჰ! — აუქნია მხარი უარის ნიშნად. მერე ერთი დიდივით გულდარდიანად ამოიოხრა და ისე შეეკითხა: — დრახინ, მართლაც და რა შუაში იყო ის საწყალი პეტრე, ჰა?

დავიდოვი დაფიქრდა, სახე იმასაც მოელუშა და შავი თვალები ამხანაგს ერთბაშად სევდიანად შეაბნელა.

— აი, ის საწყალი ქიტაიც! — განაგრძო სოსომ გულჩახშულად, — იმდენი ჰქნეს, იმდენს ეცადნენ, რომ ამ ქვეყანაში არ დააყენეს, გაამწარეს, კაცის მკვლელად აქციეს და დამნაშავეც ის არის! იიჰ, ეგეთი სამართალიც! — ამოიოხრა დიდივით დაჯავრიანებულმა.

დრახინა დაფიქრდა.

ერთხანს ხმა არ ამოუღია. სხვა გამოსავალი რომ ველარ ნახა, დოსტს ისევ კითხვითვე მიმართა:

— სოსო, ჰა? რათ უნდა ხდებოდეს ეგრე, ა? — მაგრამ სოსომ სიტყვის დასრულებაც არ აცალა, მკლავში ხელი ჩაავლო და ისე გაიყვანა ცალკე განმარტოებით.

— ერთ რამეს გაჩვენებ, — სთქვა გულჩახურულად და მერე, თითქოს ახლა მოაგონდაო, თითის ქნევით დაამუნათა: — ოღონდ არავის უთხრა, აი!

— იჰ! — აუგდო სიტყვა დრახინამ ისე, თითქოს ეუბნებოდა: ნამუსის შეწახვას რას მასწავლიო.

— მაშ, აი, დახე! — და უბეში სათუთად შენახული რაღაც რვეული ამოიღო.

დრახინამ დახედა. თაურზე მთის წვერვალები იყო დახატული, კალთებზე აქოჩრილი ტყე და ცოტა ქვემოთ ნახნავ-ნათესები იწყებოდა. იქვე, მწვანედ აბიბინებულ კორდზე, ნახირი გაშლილიყო და ოდნავ მოშორებით გლეხები ყანას მუშაობდნენ. მთის იქიდან ამოწვერილ მზეს სხივები მორგვიდან ამოჩხიროულ ურმის სოლებივით გაეშალა და შიგ სიტყვა „განთიადი“ ლამაზი ასოებით ჩახლართულიყო.

— ეს ჩვენი გაზეთია! — სთქვა თავგამოდებით სოსომ და თვალი ეშმაკურად ჩაუკრა. — მაშა, ეგრე იცის ლადომა!

— ვინ ლადომა ჭო?

— ვინა და ლადომა! — ისეთი ხმით წამოიყვირა, რომ დრახინა მაშინვე მიხვდა ვინ ლადოც იყო. ამ დროს თამაზოვიც მოიჭრა და კვიმატიანად თვალაცეცებულმა იკითხა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რაა, რა?

— რა და რვა! — მოუჭრა სოსომ უკმეხად, რვეული ... ში დამალა.

ვაჭრის შვილმაც დიდი დავა არ დაუწყო, მაშინვე ჩამოშორდა, მაგრამ ხუთი წუთიც არ გასულა, რომ თინიკოვთან ერთად კვლავ წამოადგა თავსა.

— აი ეს არი, ოსტატო, ამას აქვს ი ჟურნალი?...

სოსოს ბრაზით გული აევლვრა, მაგრამ არა უთქვამს რა.

— სად არის ჟურნალი? — შეეკითხა თინიკოვი.

— სოსომ თავი შორს დაიჭირა.

— რა ჟურნალი, ოსტატო? მე ჟურნალისა არა ვიცი რა! — იუარა და თან გულში უხაროდა, რომ თამაზოვს ჭკუით აჯობა. იმის მობრუნებამდე ჟურნალი სხვისთვის გადაეცა.

— ეხლავ აქ მომიტანე, თორემ სასტიკად დაისჯები! — დაემუქრა ოსტატი, მაგრამ სოსო არც ისე უბრალოდ იყო ნაკერი, რომ ეგრე იოლად გატეხილიყო.

როცა თინიკოვს არაფერი გაუვიდა, ბრაზით აენთო, სულ ცეცხლი ჰყარა პირიდან და, სხვა რომ ვერ მოუხერხა რა, იმ დღეს უსადილოდ დატოვა.

ეს რომ ციხითათრიანთ სანდრომ გაიგო, — შეფიქრიანდა. „ბეზაბეზად“ დარჩენას კიდევ არა უშავდა რა, მაგრამ საფიქრებელი ის იყო, რომ ვაი თუ ყოფაქცევაშიც ოთხიანი დაეწერათ და მერე რაღა ეშველებოდა? უბრალო კაცის შვილი იყო და ამდენს კი აღარ მოუთმენდნენ. ძუძუსთან შეზრდილი დოსტი მაშინვე ცალკე გაიყვანა და ისე შეეკითხა:

— შენა, ჭო, რას ხუმრობ? რატო არ აძლევ ემაგ საოხრე ჟურნალსა? თუ, გინდა რო შკოლიდან დაგითხოვონ?

ბალღს ცრემლები მოერია.

— რა ვქნა, სანდროჯან! — წამოიძახა სასოწარკვეთილებით. — აი, დედა ნუ მომიკვდება, მამა ნუ მომიკვდება, თავს მოვიკლავ და ვერ მივცემ...

*

* *

შემდეგი გაკვეთილი ილურიძეს ეკუთვნოდა. ის გეოგრაფიასა და არითმეტიკას ასწავლიდა. ბუნებით კეთილი კაცი იყო და ბალღების დიდი მოყვარული, მაგრამ გული რომ მოუვიდოდა, ყოველგვარ გონიერებასა კარგავდა.

სოსოს უსადილოდ დატოვების ამბავი იმასაც გაეგო და, თამაზოვის ჯაშუშური საქციელით გაბრაზებული, კლასში შურდულივით შემოვარდა.

იმისი შემოსვლა და სამარისებური დუმილის ჩამოვარდნა ერთი იქმნა, რადგან მისი საგანი ეს მესამედ ჰქონდათ და, თავისი ანჩხლი ხასიათით ყველას შიში და მოკრძალება ჩაუნერგა გულში.

ახლა, როგორც შეგირდები ამბობდნენ, გეოგრაფიის „გაკვეთილს აყენებდა“ და მას დრახნაც ფეხდაფეხ შემოჰყვა. თან გრძელ ჯოხზე დახვეული უზარმაზარი გეოგრაფიული რუკა იატაკის საგველ ჯაგრისის გრძელი ტარივით შემოიტანა.

შეგირდები მასწავლებელს ფეხზე ადგომით მიესალმნენ.

— დასხედით! — ბრძანა იმნაირად, რომ ყველა მიხვდა, — დღეს ბრაზიანად იყო და ვაი იმისი ბრალი, ვინც ამ გუნებაზე ხელში ჩაუვარდებოდა.

დრახინა ჯერ ისევ დაფასთან იდგა. კვიმატიანი მანჭვა-გრეხით რუკას კედელზე რომ ჰკიდებდა, თან ილურიძისაკენ იცქირებოდა, ღმერთი არ გაუწყრეს და აქ თვალი არ შემასწროსო.

ილურიძემ კლასს ერთი ქორივით გადახედა და ბალღების მოღიმარი სახის მიხედვით იგრძნო, რომ ის ჭინკა ბიჭი მის უკან რაღაცას ეშმაკობდა. მოულოდნელად შემობრუნდა, მაგრამ რომ ვერ დაიჭირა, უკმაყოფილებისაგან სახე დაჭმუჭნილ ქაღალდივით დაელმიჭა, კრავივით თავმოკატუნებულმა ცელქმაც უფროსს თვალი ისეთი მიამიტობით გაუსწორა, რომ უკანა რიგში ვიღაცას ფხუკუნი წასკდა.

ილურიძე ცეცხლივით აენთო, მაგრამ დრახინამ, ვითომცდა არაფერიაო, ისევ ისეთივე მიამიტი გულმოდგინებით ხალათის კალთების სწორება დაიწყო.

დღეს მას ახალი ტანისამოსი ეცვა და თავი დიდად მოსწონდა. მასწავლებელმა მის ჩაცმულობას თვალი მაშინვე დაადგა და გაანჩხლებით შეეკითხა:

— Ты, несчастный, ეგ რა ჩაგიცვამს?

შეგირდმა ზედ გაოცებით დაიხედა. იმისი აზრით, ჭასზე უკეთესად თვით სტამბოლის ხონთქარსაც არ ეცვა და ამას რაღა უნდოდა, ვერ გაეგო.

— ალბათ მემტერება და იმიტომ! — იპოვა ახსნა და ერთბაშად შიშის კანკალმა აიტანა.

— Кучер, — некучер, — განაგრძობდა ოსტატი შარიანად, — ученик, — не ученик... А кто же ты такой, в самом деле? Вон отсюда! — მაგრამ შეგირდმა რომ არ გაუგონა, შუბლი კიდევ უფრო მრისხანედ შეიჭმუხნა და გესლიანად ჩაიდუდუნა: — მაშ კარგი... რახან არ გადიხარ, რახან ეგრეა... აბა ერთი ატაკამა მაჩვენე სად არის?

ბიჭმა თვალები უმწეოდ ააცეცა.

— ე სატიალე ატაკამა რაღა ზახრუმალაა! — გაუელვა თავში და მიხვდა, რომ იღუპება. — ვაი დედასა, რა უშნოდ გავები! — ამოხდა გუნებაში და ფართოდ გაშლილი ხელი მისგან საშაროდ მოტანილ რუკაზე ისე განივრად მოუსვა, თითქოს იღუპება და უკანასკნელი ღონით ცურავსო. ყველა მიხვდა, რომ იმისი ბედი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ იგი განაჩენს მაინც არ ნებდებოდა. ხელებს კიდევ უფრო ფართოდ უსვამდა და თან ცდილობდა, რაც შეაძლება მეტი სივრცე მოეხვეჭა, — იქნებ შიგ ალალბედათ ის სატიალე ატაკამაც მოჰყოლოდა. მაგრამ ვაი ის იყო, რომ არ იცოდა, ის ოხერი, — ქალაქი იყო, ზღვა თუ კუნძული? ვაიზე უარესი კიდევ ის იყო, რომ არც ის იცოდა, რომელ კონტინენტზე ეძებნა. ჯერ აზიაში მოუსვა ხელი, მაგრამ, ილურიძე უშნოდ რომ დაიმანჭა, მაშინვე აფრიკაში ამოჰყო თავი. ამ დროს ამხანაგების ჩურჩულიც მოესმა:

— ამერიკა-ამერიკაო! — იმასაც რა ექნა, ადგა და ამერიკაში გაქანდა, მაგრამ ეს ვერანა ახალი ქვეყანა მართლაც მისდა საუბედუროდ აღმოეჩინა იმ ოჯახქორ კოლუმბსა! ამერიკა ორია, წადი და ეძებე ახლა რომელია!

ყოველი შემთხვევისათვის ადგა და ხელი კანადაში მოუსვა.

— მოუსვი, მოუსვი რა გენაღვლება! — აღარ ეშვებოდა ჩაჯღრეტული ოსტატი და სიამოვნებისაგან, რომ ველარსად წაუვიდოდა, ხელებს შმუშნა დაიწყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვაიმე, დედავ! — გაიფიქრა დასალუპავ კაცსავით განწირულმა შავა ბიჭმა. — ჯერ სწავლა არც დაგვწყებია და ხელათ ედინიცა გავიკარ!

სოსოს სულ ჭირის ოფლს ასხამდა, თავის დოსტს რომ ამ დღეში ხედავდა. გადაწყვიტა ერთ დღეს ძალისძალათ მოისვას გვერდში და გაცდენილი გაკვეთილები მოამზადებინოს, მაგრამ წასულ საქმეს ახლა რა ეშველებოდა.

— ჩილი, ბიჭო, ჩილისთან მოძებნე! — უჩურჩულეს აქეთ-იქიდან, მაგრამ ხიფათში ჩავარდნილი ბიჭი, შიშით ისე იყო გაშტერებული, — რომ ყურთასმენაც დაკარგოდა და ცუდათ ესმოდა.

— ე ჩირი რაღა ბედენაა! ჩირი კი არა, ჭირი თქვენა, აჰანდეე! — შეიკურთხა გუნებაში და მკლავები უსასოოდ დაყარა.

— ჩილი, ბიჭო, ჩილი! — მაინც არა სცხრებოდნენ მეჩურჩულენი, მაგრამ ილურიძემ კლასს ერთი ისეთი თვალი გადაუბრიალა, რომ ჩილი კი არა, მართლაც ჭირის ოფლი დაასხა ყველას და ხმა მაშინვე ჩაიწყვიტეს.

დრახინამ როგორღაც ძალა მოიკრიფა კიდევ და ისევ ძებნას შეუდგა, მაგრამ ის საოხრე უდაბნო ატაკამა სადღაც ჩილის კუნჭულში იმნაირად მიმალულიყო, რომ მაინც ვერ იპოვა და ვერა.

— Лентяй. — აყვირდა მოთმინებიდან გამოსული მასწავლებელი და მერე ჯორის ტლინკებივით ზედიზედ მიაყარა: Лентяй! Лентяй! Лентяй! გაკვეთილი, რად არ ისწავლე? Несчастный, შე უბედურო, შენა, სამი ჯამი ლობიო არა გყოფნის და გაკვეთილი კი არ იცი! Единица! Вот тебе! Вот тебе! Вот тебе! და რამდენი „ვოტ ტებეს“ იტყოდა, იმდენი ჩამოსმულ „ედინიცას“ თითო მინუსს უწერდა და ამნაირად ერთიანი შვიდის გამოკლებით დაუწერა. — ეხლა? კიდევ იცელქებ? Говорил же я тебе! აღარც ეხლა დასცხრები? — ნიშნს უგებდა თავის მსხვერპლს და მერე ელდანაკრავივით აღრიალდა: — Убирайся вон отсюда, вон из класса!

შეგირდი გარეთ შურდულივით გავარდა, მაგრამ წუთიც არ გასულა, რომ კარები ისევ გაიღო და ერთბაშად ყველა ფეხზე წამოიშალა.

კლასში სკოლის ინსპექტორი შემოვიდა და თან აკანკალებული დრახინა და ვიღაც უცნობი ბიჭი ერთად შემოიყვანა.

ბუტირსკიმ კლასს თვალი კუშტად მოავლო და, წვერზე ხელი ნიკაპიდან ზემოთ რომ აღარ აივსა, მიეხვდნენ, — დრახინას შავი დღე არ ასცდებოდა.

— Скажите, пожалуйста, это вы его выгнали из класса? — შეეკითხა სკოლის უფროსი მასწავლებელს.

დრახინა ჯერ ისედაც არ იყო ფეროვანი ყმაწვილი და ახლა სულ მიწის ფერი ედო სახეზე. მასწავლებლის რისხვას, როგორც იქნებოდა, გადაურჩებოდა, მაგრამ გაანჩხლებული ბუტირსკის კლანჭებისაგან თავის დახსნა სულ უიმედო საქმე იყო, — თუ გამოგდება არა, ყოფაქცევაში ოთხიანს მაინც ვერ მორჩებოდა. ილურიძე, მიხვდა, რომ მისი თავდაუჭერლობის გამო საწყალ ბიჭს საქმე უხეიროდ მოუბრუნდა და ბალღების გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა მისი პასუხიც გაისმა:

— Нет, Василий Акинфиевич, я его за глубосом послал. — და თან ბუტირსკის ნამალავად ხათაბალაში ჩავარდნილ შეგირდს თვალით ანიშნა, რომ ახლავ გლობუსისათვის წასულიყო.

— Ах, вот как! Ну так иди! — სთქვა სკოლის ზედამხედველმა და ბალღი ისევ გაუშვა. მერე ის უცნობი ყმაწვილი თავისუფალ მერხზე დასვა და დიდის ამბით განაცხადა, რომ დღეის ამას იქით ისიც მათთან ერთად ისწავლის.

ბიჭს ყველამ ცნობისმოყვარე თვალებით გახედა.

— რა გვარი ხარ, ბიჭო, შენა? — შეეკითხა ილურიძე, ზედამხედველი კლასიდან რომ გავიდა.

— გოგოხია გახლავარ, პატონი! — მიუგო მორიდებულად ახლად მოსულმა და მერე დაუმატა: — სამეგრელოდან!

— ე პატონი რალა დარდუბალაა? — წამოიძახა რიჟამ ხმამაღლა და მთელმა კლასმა ერთხმად გადიხარხარა.

მასწავლებელმა კლასი მაშინვე დააწყნარა და აუხსნა, რომ ის საქართველოს ერთი მეტად მნიშვნელოვანი კუთხიდან არის და სასაცილოც აქ არაფერია. ამ დროს დრახინაც შემოვიდა და გლობუსი მაგიდაზე დადგა.

იურიძემ უცქირა დავიდოვს, უცქირა და მერე უკმაყოფილოდ წაიბურტყუნა:

— Несчастный садись! — და გაკვეთილი განაგრძო.

დღეს ის მსოფლიოს ახალ ქალაქებს ხსნიდა, მაგრამ გაკვეთილის დასრულება ვერ მოასწრო, — ზარიც დარეკეს.

ბიჭები სიცილით, ხარხარით მაშინვე დრახინას მისცვივდნენ, ზოგი გადარჩენას ულოცავდა, ზოგი სიხარულით თავში მეგობრულად არტყამდა, მაგრამ მალე ისევ ჩამოშორდნენ და ახლა იმ ახალ შეგირდს მიეხვივნენ.

— ვინა ხარ?

— რა გქვიან?

— სადაური ხარ?

— ვისი შვილი ხარ?

აღმოჩნდა, რომ მას ქართული ცუდად ეხერხებოდა და იმის ყოველ პასუხზე სიცილით იხოცებოდნენ. სახელიც უცნაური ჰქონდა: დერმოდონტე.

გოგოხია დაიბნა, დამფრთხალი თვალებით ხან ერთს შესცქეროდა, ხან მაორეს, მაგრამ რომ არავინ წამოექომაგა თვალი ცრემლით აევსო.

სოსომ უცქირა, უცქირა და ბოლოს, ბიჭებმა სულ რომ აიგდეს თავი, გული მოუვიდა. შეურაცხყოფილს მხარში ხელი მეგობრულად დაარტყა და ისე სთქვა გამომწვევად:

— აბა, აბა, ეგეები არ იყოს, აი! ეს ჩემი დოსტია! ხო გაიგონეთ? — ყველამ სიცილი შესწყვიტა, ზოგიერთები აიფხორნენ კიდეც.

— ჩემი დოსტია! — ბრაზობდნენ ისინი, — დიდი რამე კი არი, აი! ერთბაშად არავინ წაგართვას!

სოსოს ყურადღება არ მიუქცევია იმათთვის, გოგოხიას თვალებში მეგობრული თანაგრძნობით ჩახედა და ისე უთხრა:

— გინდა, მე ქართულს გასწავლი და შენ მეგრული მასწავლე!

ბავშვს ამ თანაგრძნობით გული ერთბაშად ამოუჯდა და ტირილი დაიწყო.

— რა გატირებს, ჭო! — შეუტია დრახინამ — რო ტირი, რა, თითარში კი არა ხარ! — წამო, ერთად ვითამაშოთ! — ამ სიტყვებით ორივემ ერთმანეთს ხელი ჩასჭიდეს და ეზოში ისე გააქანეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

* *

უკანასკნელი გაკვეთილიც დასრულდა.

ყველა შინ მიეშურებოდა.

სკოლის შენობა თანდათან ცარიელდებოდა და უსადილოდ დატოვებული სოსო შინ მიმავალ ამხანაგებს დაღვრემით გასცქეროდა.

სამეცადინო დღის დამთავრებით გახარებულ ბიჭებს მარტო სიარული ეზარებოდათ. სულ დაავიწყდათ, რომ მათი ამხანაგი უსადილოდ რჩებოდა და შინ უიმისოდ ბრუნდებოდნენ. ცელქნი და მოუსვენარი მაინც არა ცხრებოდნენ, თავთავის უბნელებს გაფაციცებით ეძებდნენ, რომ ერთად ეარათ და გზადაგზა თამაშობით გული ერთხელ კიდევ მოეჯერებინათ, ყველაზე ადრე დრახინას მოაგონდა თავისი უსამართლოდ დასჯილი დოსტი და მაშინვე მოსძებნა. ის დერეფანში ფანჯარასთან განმარტოებით იდგა და ისე იყო ფიქრად წასული, რომ ამხანაგის მოახლოება არც შეუტყვია. არც იყო გასაკვირი. დღევანდელი მისი დღე სავსე იყო შთაბეჭდილებით. ჯერ თამაზოვის ჯაშუშური საქციელი და მერე დრახინასა და გოგოხიას თავგადასავალი. ბალღის ნორჩი გული ამდენი განცდით ზედმეტად გადაიტვირთა და გუნება სულ გაუფუჭა.

— ჭოო, მოდი ერთი რამა ვქნათ, — ეგ ვერანა ჟურნალი მე მაქვს და ბრალსაც მე ვიდებ, ჰა? — კი არ უთხრა, შეეხვეწა დრახინა და მერე ჩვეულებისამებრ ერთბაშად მიახალა: — ბეზაბეზადაც მე დავრჩები!

მაგრამ ძმაკაცმა მისი წინადადება შორს დაიჭირა და, ჯიუტად შემოჩენილი ბიჭი თავიდან რომ მოეშორებინა, უკმეხად შეეკითხა:

— ვითომ რატომაო?

— იმიტომა, რომა... იმიტომა, რომა... — სიტყვას სიტყვა ველარ გადააბა და შავი თვალები უმწეოდ აახამხამა, — იმიტომა, რომა მარტო შენ რათ უნდა დარჩე, ჰა? ემაგ საქმეში, თუ სადმე ბრალია, ჩვენც მიგვიძღვის...

— ჩვენც დავრჩებით, ჩვენცა! — ჩამოერივნენ ახლა სხვებიც.

— სწორია, ბიჭებო! აი ეგ მომწონს! — დაიძახა ლადომაც. — ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის! მოდი, ყველანი დავრჩეთ, ჰა? ემაგ საქმეში ჩვენი კლასიც მხარს დაგიჭერთ!

მაგრამ სოსომ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, — არას გზით არა ჰქნა. ამ დროს საიდანღაც თამაზოვიც გამოხტა.

როგორც უმეტესობა ფუფუნებაში ნაზარდი ყმაწვილებისა, ცუდად სწავლობდა. ნებიერი და გულზვიადი სკოლაშიაც ისევე იქცეოდა, როგორც დედამის ოჯახში, რისთვისაც სოფლის ღარიბმა შვილებმა მაშინვე აითვალწუნეს და ამხანაგობისაგანაც სულმთლად გარიყეს. დასცინოდნენ, აწვალებდნენ, წარამარა თავში აფარებდნენ და ისიც გაბოროტებული სამაგიეროს კიდევ მეტი მაბეზღარობითა და ცილისწამებით უხდიდა. წლეულს უფროს განყოფი-

ლებაში მეორედ დარჩა, ძველ ამხანაგებს დაშორდა და შურით აღსავსე უსადილოდ დატოვებულს ნიშნის მოგებით მიაძახა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეზაბეზა, ბეზკუსკაა!
ბეზაბეზა, ბეზკუსკაა!

მისი უსირცხვილობა მართლაც გასაკვირველი იყო. ყველა გაშტერებით უცქეროდა ამ უტიფარსა და ერთხანს აზრს ვერ მოსულიყვნენ. ბოლოს დრახინამ ამდენიც ვერ მოითმინა და ბრაზით აკანკალებულმა თავში ერთი ისეთი ჩააფარა, რომ ჯაშუშს კოზიროკიანი ქუდი სახეზე თვალებამდე ჩამოეფხატა. ამასაც არ დაჯერდა და ხელი მეორედაც მოუქნია გასარტყმელად, მაგრამ სოსომ მოასწრო, ხელი ხელში სტაცა და ისე შეაჩერა.

— გაანებე თავი, დრახინ! — შეეხვეწა ბრაზით გამწარებულ ამხანაგს და თამაზოვს ზიზღით გადახედა. — ემაგ გველს ხელით როგორ ეხები? — მაგრამ დავიდოვი იმდენად იყო აზავებული, რომ არც ხვეწნა და არც მუდარა აღარა სჭრიდა, სოსოს სხვანიც ჩაეშველნენ და გაცეცხლებულ ბიჭს ძლივს ამაგრებდნენ.

— გამიშვით! — ყვიროდა იგი. — გამიშვით მეთქი! — გინებით, ლანძღვათრევით მისკენ მიიწევდა. მაინც რომ არ გაუშვეს, სულმთლად გაგიჟდა: — მოშაშორეთ მაინცა, ნუ დამანახებთ ემაგ არამზადას, თორემ, დედა ნუ მომიკვდება, გავგიჟდები, მამა ნუ მომიკვდება, არაფრის ატვეჩაი არა ვარ! — და ბოლოს, რომ არ გაუშვეს და ხვეწნა-მუდარითაც არა გაუვიდა რა, იატაკზე ჩაიკეცა და სასოწარკვეთილებით ტირილი დაიწყო.

შეგირდების აზრით, ტირილი დიდი ქალაჩუნობა იყო, მაგრამ დრახინა ისე ტიროდა, რომ ყველას გულში თანაგრძნობა და სიბრალული გამოიწვია,

მოთმინებიდან გამოსულმა ლადომ მაბეზღარას ქეჩოში ჩაავლო ხელი, კარებთან მიიყვანა და ერთი ისეთი პანღური ამოჰკრა, რომ გარეთ ბურთივით გაირბოლა.

— ჯაშუშო! მაბეზღარა-ავ! გამცემო-ო! — დასცეს ყიჟინა დანარჩენებმაც და ამ ამბის შემყურე დრახინა ცოტათი დამშვიდდა.

ბოლოს საქმე იმითი გათავდა, რომ ყველანი თავთავის სახლებში წავიდ-წამოვიდნენ და სოსო სასჯელის მოსახდელად მაინც სკოლაში დარჩა.

*

* *

დრახინა ჯერ ისედაც არ იყო დამდგარი ხასიათისა და, შინ რომ მივიდა, სულ დაკარგა მოსვენება. ოთახიდან ოთახში უშნოდ დაბორიალებდა და არ იცოდა რა ეღონა, ან რით დახმარებოდა თავის ტყვედ ჩავარდნილ ამხანაგსა. გაკვეთილის უცოდინარობის გამო რომ კინალამ ხათაბალაში არ ჩავარდა, იმას არად აგდებდა. ის უფრო ჰქეჯნიდა, რაო აი, ის შინ არის, ისადილებს კიდევაცა და იმისი ამხანაგი კი დატუსაღებულია და ციხეში მარტოდმარტო უპურობდა ზის.

ბიძის სახლში, სადაც ის „ნახლებნიკად“ ცხოვრობდა, გვიან სადილობდნენ, ამიტომ სუფრის გაშლაც კარგახანს დაყოვნდებოდა და მანამდე იმას რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოათმენინებდა? სასადილო ოთახში შეიპარა და ბუფეტის კარი ჩუმად გამოაღო. ძეხვისა და პურის რამდენიმე ნაჭერი ქაღალდში სათუთად გაახვია და ჯიბეში საჩქაროდ ჩაიტენა.

გუშინ, მის სანახავად სოფლიდან ჩამოსული მამა ისევ შინ რომ ბრუნდებოდა, გამოთხოვებისას ერთი სპილენძის შაურიანი აჩუქა. ამ ფულით მას რეზინის შეძენა უნდოდა შურდულის გასამართავად, მაგრამ ახლა გადაიფიქრა. გზად კაკიევის საშაქარლამოში შეუხვია, ერთი ბოთლი ლიმონადი იყიდა და იქვე გაახსნევინა. აირი რომ არ ამოსულიყო ბოთლს თავზე ცერი მაგრად დააჭირა და ისევ სკოლისაკენ მოკურცხლა. საკანს რომ მიუახლოვდა, ფანჯრის ქვემოდ ერთი აქეთიქით გაიარ-გამოიარა, მერე შედგა და ფრთხილად დაიძახა:

— სოსო, ჰაი სოსო!

ტუსაღმა მაშინვე იცნო ამხანაგის ხმა და ფანჯარას გაკვირვებული მოდგა

— ეს შენა, დრახინ?

— მე, მა რაა! შენმა მზემ, ერთბაშად თამაზოვი მოვიდოდა!

— აქ რა გინდა?

— არაფერი! რა უნდა მინდოდეს! — და მერე ერთბაშად გული მოუვიდა: — ბიჭო, რა პირი დაგილია და იგრე მიცქერი? ერთი ეგ ფანჯარა გააღე და, აჰა, ეს გამომართვი, თორემ გაზი სულ წაუვიდა და ეგ არი! — ხორაგის მიწოდებასაც რომ აპირებდა, შეყოვნდა, ეს ოხერი ცერი ბოთლის ყელში ისე მაგრად ჩაეჩურთა, რომ ველარ აძრობდა. ბევრი იწვალა, ბევრს ეცადა და ბოლოს, როგორც იქნა, ამოგლიჯა. წყალი ბიჭს მიაწოდა და თან ნატკენ თითს სიმწარით ხან ენით ლოკავდა და ხან სულს უბერავდა.

ყველაზე მეტად ტუსაღი ლიმონადმა გაახარა, მაგრამ შეყოყმანდა, არ იცოდა, ისიც გამოერთვა თუ არა.

— ჭო, ე ლიმონათის ფული სადა გქონდა?

— ფოშტა გავცარცვე! — მოუჭრა მკვახედ დრახინამ, მერე სულის ბერვით მოშუშებული ხელი ჯიბეში ჩაიდო და უკმეხადვე შეუტია: — სჭამე, ჭოო, სჭამე, ბევრს ნუ ლაპარაკობ! — სოსომაც მეგობარი აღარ გააწბილა და ჭამას შეუდგა.

თვითონ მშიერ დრახინა კედელზე მხარით მიყრდნობილიყო და დოსტის ქეიფს ანერწყვებული შესცქეროდა. ლიმონადსაც რომ დაეწაფა, მოთმინება აღარ ეყო და ისე დაუტატანა:

— კარგი ერთი, დაა! ნამუსიც კარგი საქონელია! რო გაუსვი, რაა, ცოტა მეც დამიტოვე!

სოსომ ბოთლი მაშინვე მოიშორა, ამხანაგს უსიტყვოდ გადააწოდა და, თვალი თვალში რომ გაუყარეს, თავდავიწყებით გადაიხარხარეს. დრახინას მეტიც არ უნდოდა, მაშინვე ფანჯარაში გადაცოცდა და ცოტა ხან შემდეგ ორნივ, მაძღარნი და ბედით კმაყოფილნი, ლადოს გაზეთს ხმამაღლა კითხულობდნენ.

მერე დრახინამ კითხვა შეწყვიტა და ნაღვლიანად წამოიძახა:

— ჭო, რად არი ე ცხოვრება ეგრე უსწორმასწორო, ჰა? რად არი იგრე, რომა ზოგი ულირსად ბედნიერია და ზოგი კი უბედური! რად იჩაგრებიან გლეხები? დღესა და ღამეს ასწორებენ, შრომაში წელი სწყდებად და მაინც ბეჩავად სცხოვრობენ... აი, შენ რო ქიტას ამბობდი, იმ მეთევზესა! რად უჭირდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმას ცხოვრება, ან ყაჩაღად რატომ გავარდა? ან ეს როგორი მთავრობაა, რომ ყველა იმას აგინებს? ყველა-ყველა, მაგრამ ე ღმერთი რაღა, ეს ქვეყანა, რომ ქვეყანას, არ ეშველება, ჰა?

სოსომ კეცხოველის „განთიადი" უბეში საიმედოდ შეინახა და ისე სთქვა დინჯად:

— იცი, დრახინ, რას გეტყვი? ჩვენ გვატყუებენ, — ღმერთი არ არსებობს, სუ იმ მღვდლების გამოგონილია!

დრახინა შეხტა.

— იჰ, კარგია დაა! — წამოიძახა შიშით გულგახეთქილმა და სახეზე გაოცება და ეჭვები ერთად გამოეხატა. მერე თავი მოიფხანა, ლიმონადის ცარიელი ბოთლი ყოველ შემთხვევისათვის პირში ჩაიწურა და, გარეთ რომ გადაადგა, იკითხა:

— რას ამბობ, ჭოო!

ბოთლი ისე შორს ისროლა, რომ მხოლოდ ახლა გასკდა.

დრახინა მაინც არა ცხრებოდა:

— ჭოო, ღმერთი არის, ქვეყანა მაინც უბედურია და, რო არ იყოს, ხო სუმთლად დავიღუპეთ! ნეტა ი ბოთლი არ გაგვეტეხა და, ქიშმიშში გადავცვლიდით! მაშ ე მზე, მთვარე და ვარსკვლავები რაღამ გააჩინა?

— ეჰ, დრახინ, დრახინ, — ამოიოხრა სოსომ ჯავრიანად, — რაც ქვეყანა და გაჭირვება გაჩენილა, ღვთის ხსენებაც მას აქეთ მოდის! მართლა რო ყოფილიყო, ამ უსამართლოდ გაჭედილ ქვეყანას როგორ არ მიეშველებოდა, ჰა?

— ბიჭო, რაებს ამბობ მეთქი? აქ ე კედლები თავზე არ დაგვენგრეს და!

— მე კი ეგრე მითქვამს და!

— ჭოო, შენც ლადოსაეფ ურჯულო ყოფილხარ, განა! მითხარით მაინცა, სად გათათრდით ეგრე?

სოსომ ერთხანს პასუხი არ გასცა, მერე შუბლი კიდევ უფრო კუშტად შეიკრა და დინჯი, ოდნავ საყვედურიანი კილოთი დაიწყო:

— ბიჭო, ე როგორი საქმეა, გაკვეთილებს რათ არა სწავლობ, ჰა? ღვთის საქმეებს იძიებ და ამ ჩვენი ქვეყნისა კი არა იცი რა... სად რა ქვეყანაა არ იცი და ქვეყნად ცხოვრება კი გინდა, მოდი, ერთხელ დავსხდეთ და ერთად ვისწავლოთ.

დრახინა მხრებში უხერხულად აიწურა და ერთხანს ენა ველარ მოაბრუნა.

სოსომ, ამხანაგი გაწბილებულ მდგომარეობიდან რომ ამოეყვანა, სიტყვას გეზი უცებ უცვალა:

— აი, თურმე ერთი ჭკვიანი ბებერი ნემენცი ყოფილა... იმას ერთი წიგნი დაუწერია... მთელი ქვეყნისა და ამ ცხოვრების ამბავიც იქა წერებულა...

— კარაბადინი იქნება. — დაასკვნა დრახინამ.

— კარაბადინი კი არა... კაპიტალი ყოფილა.

— ე კაპიტალი რაღაა?

სოსომ პასუხი არ გასცა, — თვითონაც არ იცოდა რა იყო. მერე სახე ისევ დიდივით ჭკვიანურად შეიკრა და დინჯად სთქვა:

— თურმე, იმ წიგნში ყველაფერი წერებულა... წაიკითხავ, თვალები მაშინვე აგეხილება. ჩვენ კი ეგრე ბრმებივით დავდივართ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კარგია დაა! — არ დაიჯერა დრახინამ, გუნებაში კი სულ ამას ფიქრობდა: ხედავ, ამ ბიჭმა რაღაცას მიაგნო და მე კი ისევ იგეფეფ ხეტიალი ვარო. მერე ხმამაღლა დასკვნა:

— სომხის კარაბადინი იქნება მეთქი, ბიჭო!

ამხანაგმა არა უპასუხა რა.

— თურმე, — განაგრძო ცოტახნის შემდეგ სოსომ. — შიგ ჩვენი ამბებიც წერებულა, — აი, კოპინაანთ ძიასი, ქიტასიცა და, ეგრე გასინჯე, მამაჩემისაცა.

ეს კი ნამეტანი მოუვიდა ბიჭსა. აბა რა დასაჯერებელი იყო, რომ ვიღაც ცხრამთასიქითელ მოხუცს იმათი ამბავი შეეტყო? ამ მიამიტობაზე დრახინას გულიც მოუვიდა.

— ბიჭო, რეებს ბოდავ?... — აყვირდა იგი. — იმ ლემენცმა მამიშენის ამბისა რა იცოდა, სიზმარში ხო არ ნახავდა?...

სოსო გაჩუმდა, — მართლაც და საიდან უნდა სცოდნოდა იმ მოხუცს იმისი მამის ამბავი?

ქუჩიდან ყაყანიც მოისმა.

ყური მიუგდო, — ძია ნიკალას ხმა იყო და ჯავრიან გულზე ისე გაეხარდა, თითქოს მისი მხსნელი ის ყოფილიყოს. ფანჯარასთან მიიჭრა და, რაფაზე გადაკიდებულმა, ხმამაღლა გასძახა:

— ძია!.. ძია!...

— რა იყო, შვილო? ბიჭო, სადა ხარ? გეძებთ, გეძებთ ვერ გვიპოვნიხარ! აქამდე მანდ რა გინდა? — შეეკითხა კალატოზი გაკვირვებით, მაგრამ ბალღმა სიტყვა ბანზე აუგდო:

— ძია, ძია, თუ ჩემი დედილო ნახო, ერთი უთხარ, შენი შვილი სოსოი ციხეში ზის და მალე დაგიბრუნდება-თქო!

კალატოზს გაოცებისაგან მხარზე გადაკიდებული სამუშაო იარაღით სავსე ტომარა ძირს ჩამოუცურდა, მაგრამ გაისწორა და ისევ შეეკითხა:

— რატომა, ბიჭო, რატომა? ჯერ ციხეში რა გინდა?... ცოდო ხარ, შე საბრალევ, რა დროს შენი ციხეა? — მაგრამ ბალღი სარკმელს ერთბაშად მოსწყდა. საკანში თინიკოვი შემოვიდა და გაოცებული კარებშივე შედგა, — ტუსაღი ერთი ჰყავდა და ახლა ორი დახვდა.

*

* *

ზამთრის პირი იდგა, მაგრამ ჯერ მაინც საკმაოდ თბილოდა. არასოდეს მზე ისე ტკბილი არ არის, როგორც შემოდგომის მიწურულში და შემოდგომის უკანასკნელ ამინდებზე დახარბებულ ხალხს შინ შესვლა ეძნელებოდა.

**გუშინ ურბნელმა** გლეხებმა ამბავი მოიტანეს, რომ სოფელ რუისის მახლობლად ქიტას ჩაფრები ჩასაფრებოდნენ, მაგრამ ვერა დაეკლოთ რა. დევნილს თვითონ იასაული მოეკლა და ორი ჩაფარიც დაეჭრა.

მთელი გორი ფეხზე დადგა, — ყველას ეს ამბავი ეკერა პირზე. ქიტას ძველი მეგობარი, თამაზოვიც, ხომ შიშით გარეთ ვერ გამოდიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირადღე იყო. გაკვეთილებისაგან თავისუფალ შეგირდებს წიოვის შემდეგ თავი კაკიევის საშაქარლამოს წინ მოეყარათ და ისინიც ამ ამბავზე აყყანებ-დნენ.

— ბიჭობაც ეგეთი უნდა, მაშა!—ამბობდა რიჟა კავკასიძე გაცხარებით.— გადაუდგა თურმე წინა, აი ეგრე და იგრე ააძაღლა! — და ამ სიტყვებით დამბა-ჩასავით მომართული თითები ფეხგამოშლილ ჩახმახივით გაატკაცუნა.

— ი იასაულია, თუ რაღაც ჯახრუდოზანა, რაღას აკეთებდა? — იკითხა კაპანაძემ დაფიქრებით.

— რა უნდა ექნა? ადგა და მოკვდაა! — გაუგრძელა პასუხი რიჟამ. მეტი თვითონაც არ იცოდა. ამბის შესავსებად უნდოდა კიდევ რამე დაეძატებინა, მაგრამ დრახინა მაშინვე პირში ეცა და სიტყვა უკმეხად გაუტრიზავა:

— აბა, რათა სტყუი, ჰა? ეგრე კი არა ყოფილა, ბიჭებო. აი, მე გეტყვით როგორც მომხდარა! — და ამბავი ისეთი სიჩქარით განაგრძო, თითქოს ვილაც მოსდევსო, თან ყოველ ბრალიანსა და უბრალო ადგილას სიტყვა „თურმეს" უმატებდა.

— სანამ ი ბიჭი იასაულს მოჰკლამდა, ბევრს ეხვეწა თურმე! ჩამომეხსენიო, შენ სისხლში ნუ გამრევო, მაგრამ, რო არ ჩამოეხსნა, იმასაც რა ძალა ჰქონდა, ადგა და ესროლა, ესროლა და სული გააგდებინა!

— ძიელ სულძაღლი რამ იყო, თურმე! — ჩაურთო სიტყვა კაპანაძემ.

— ვინა, ბიჭო? — აყვირდა რატომღაც ციხითათრიშვილი და მაშინვე საჩ-ხუბრად გაემზადა.

— ვინა და ის იასაული! — მოუჭრა მოკლედ პეტამ და გული მერე მოუ-ვიდა: — რო ყვირი, რა გაყვირებს, ჰა?

სანდრო ერთბაშად მოლბა და შემარიგებელი ბოდიშიანი ღიმილით უპა-სუხა:

— მე მეგონა ქიტას ამბობდი და იმიტომა, განა!

დრახინა კი ისევ ისეთივე გაცხარებით განაგრძნობდა:

— მემრე, დაჰ, იქვე წისქვილთან გლეხები იყვნენ და იმათ გასძახა: ჩემი ამბავი არ დამალოთ და თავი არ დაიღუპოთო! მე რო ვერ მიპოვიან, თქვენ აგიკლებენო... თუ გკითხონ, უთხარით, — ეს ამბავი ქიტა მეთევზემ დაატრია-ლა-თქო, და თურმე ამ სიტყვებით გაიქცა! აი, ზიარების მადლმა. გლეხებს გარ-და, მებორნეც იქა ყოფილა და იმას უთქვამს, მაშა! — დაასრულა დრახინამ დიდის კმაყოფილებით, რომ ეს ამბავი ყველაზე დაწვრილებით იმან იცოდა და რიჟაც იქვე ჩააჩუმა.

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

ამ საუბარმა მუდამ აჯაჯღანებული კაკიევიც გაიტაცა და დახლს იქი-დან ბიჭებს ყურს სულგანაბული უგდებდა.

— აი ბიჭიც ის არის და ქუდიც იმასა ჰხურავს! — დაარღვია სიჩუმე სო-სომ. — ნეტავ, ერთი ცალი თვალით კიდევ მანახა და სხვა არა მინდა რა!

— მა რა! ისინიც იგრე ყოფილან, ი ჯიოშვილი და ხუბულური! — ისევ ჩამოერია ბაასში დრახინა და თან ლაპარაკს არავის აცლიდა.

კაკიაშვილი აქამდე ჩუმად ისმენდა მათ ბაასს, მაგრამ, ბიჭები წრეს რომ გადასცდნენ, შეშინებული აყაყანდა:

— აქედან გამეცალეთ, თქვე ბუნტოვჩიკებო, თქვენა! ვაჰ, ამ ჩემ დუქანზე ხო არ დამდგარა ე დუნია, განა სხვა ადგილი არ არი? წადით და, საცა გინდათ, იქ იყაყანეთ! შვილო, ძმაო, მუშტარი ისედაც არ მოდის და თქვენც რალა გინდათ? ამ ჩემ საქონელს ნუ ეფარებით, ერთი პატიოსან შყიდველს ნუ მიფრთხობთ, დაა! — მაგრამ ჯიბრზე გამდგარი ბიჭები ადგილიდან ფეხს მაინც არ იცვლიდნენ.

*
* *

გორში საყველიეროდ დიდი კრივები იმართებოდა.

ამ დღეებისათვის აქაურები ერთის ყოფით ემზადებოდნენ: ხორაგს იმარაგებდნენ, ღვინოებს ეზიდებოდნენ და ეზოებში ყველგან თონეები გუზგუზებდა.

ყველაზე მეტად ბალღები ჟრიამულობდნენ, დარბოდნენ, ერთ ადგილას ვერ ისვენებდნენ და ამდენი სასუსნავით გამსუნაგებულნი დედებს კაბაში ეკიდებოდნენ.

დამკლავებული დიასახლისები გათენებიდან ფუსფუსებდნენ, წუთი რაა, წუთის მოსვენება არა ჰქონდათ და ქადებსა და ნაზუქებს თონეებში ხილაბანდით პირაკრულნი აცხობდნენ.

ოჯახებში გოგო-ბიჭებმა სულ გააჩანაგეს თუ სადმე სარეცხის ან სხვა რაიმე თოკის ნაკუწი იყო, — საქანელებს აბამდნენ და ზედ მთელი დღე ქანაობდნენ.

სოსო სულ მუდამ დაფიქრებული დადიოდა, აზროვნებითაც სხვარიგად აზროვნებდა, — უფრო ღრმად და დაკვირვებულად. ამხანაგებიც სხვანი შეირჩია და, თუ არ თამაშობდნენ, მათი გონებისთვის მისაწვდომი საკითხების გამო გატაცებით მსჯელობდნენ.

შვილის გასართობად დედამ მეზობლებში ცოტა ფული ისესხა და ისიც საყველიერო სამზადისს შეუდგა. ხეზე ერთი მაღალი საქანელაც გადმოუბა და ბალღი ცად რომ ადიოდა, თან დედის გულის გასახარებლად თავის ტოლებს, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გადასძახოდა:

ყველიერში ყველი ვჭამე,
აღდგომასა ჩიტებიო;
დედაჩვენსა დაუზრდია
ქოჩრიანი ბიჭებიო!

ახლა ჩითით ნაკერმა შირმის თეატრმაც ჩამოიარა.

უბნის ბავშვები ჟრიამულით ეზო-ეზო დასდევდნენ და ბუზმენტიან-ფიფინებიან ცხვირა პეტრუშკას ვნებათა წარმოდგენას ვინ დასთვლის მერამდენედ შესცქეროდნენ.

იმ ქუჩაზე, სადაც კრივები იშლებოდა, დედაკაცები ბანებსა და აივნებს ჰგვიდნენ, რადგან ზედ სალამოთი აუარებელი ხალხი მოიყრიდა თავს სეირის საცქერლად.

მოდავე უბანთა მიჯნა ოქონის საყდართან იდო.

ზემოელებს თავისი მეტოქე ქვემოელები მთავარ ქუჩამდე უნდა ჩაერეკათ, ხოლო ქვემოელებს მოედნამდე. რომელი მხარეც აჯობებდა, იმ წელიწადს გამარჯვებულიც ის იქნებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

საღამო იყო.

მზე ჯერ ისევ მაღლა იდგა და ტკბილი ჟრუანტელით იწურებოდა.

მარტის საამო სითბო დღის მანათობელს თან მიჰყვებოდა და გრძლად დაფენილ ჩრდილებთან ერთად დედამიწას ადრიანი გაზაფხულის სუსხი ნელნელა ეპარებოდა.

ხვალ დიდმარხვის ორშაბათიც უნდა გათენებულიყო და ჭვარტლით პირგამურული ვაციწვერა ბერიკები და პამპულები საცაა გორის ქუჩებს ფანდურებითა და ზურნის ჭიჭყინით შეესეოდნენ. ვირზე უკუღმა შემჯდარი ყეინიც ხარკს მოჰკრეფდა, ქალაქს დაარბევდა, ხალხს ააწიოკებდა და, ამბოხებული გორელები ლიახვში სიცილხარხარით რომ გადაისროდნენ, ერთს უკანასკნელად იქეიფებდნენ და მერე ქორწილები მოიშლებოდა, ლხინებიც კარგახანს შეიკვრებოდა.

ამ საღამოსაც, ისევე, როგორც გუშინ, გუშინწინ და გუშინწინისწინ, ერთბაშად აივსო ხალხით ქუჩა, ბანები და აივნები.

ყველას მოუთმენლობა ეტყობოდა, ყველა ღელავდა, რადგან მოპირდაპირენი დღეს უკანასკნელად შეეტაკებოდნენ ერთმანეთს და მით წლევანდელი გამარჯვების ბედიც საბოლოოდ გადაწყდებოდა. ის სამი დღის ძმური ჩხუბიც ჩარტი არ იყო, ჩარტი დღევანდელი ბრძოლა იქნებოდა და, ვინც დღეს გაიმარჯვებდა, ბურთიც იმას დარჩებოდა და მოედანიც. ამიტომ გორის განთქმული ბაბამი მოკრივეები აქამდე ჯართი კაცებივით ბანზე უქმად რომ ისხდნენ და წვრილფეხობის ძიძგილსა და ღრიანცელს არხეინად დასცქეროდნენ, ახლა შეიშმუშნენ, ისინიც საკრივოდ ემზადებოდნენ.

ბანებზე გადმომსხდარი მეტოქენი ერთიმეორეს ოინბაზური სიტყვებით დასცინოდნენ და ყოველ მარჯვედ მოჭრილ პასუხზე ხმამაღლა ხარხარებდნენ.

ღობეები და ახლად კვირტგაშვებული ხეები ბალღებით იყო დახუნძლული, ისინიც ჩიტებივით ჟრიამულებდნენ.

უცებ ქვემოელებმა ერთი ვილაც წრიპა ბიჭი გამოახტუნეს, რომელმაც შუა ქუჩაში მამლაყინწურად გაიარ-გამოიარა და თან მუშტების ქნევით ჭყიოდა:

— ზემოელებო, გამოდით! ზემოელები, გამოდით!

კოპინაანთ ნიკალამ სოსოს ერთი ალმაცერად გახედა და ღიმილით ანიშნა:

— ხედავ, გიწვევს! გადი, რალა! — მაგრამ სოსო არ გავიდა: ბიჭი პატარა იყო, ხელის გასვრად არა ღირდა.

ის კი ისევ ისე დადიოდა და თან, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაჰკიოდა:

— გამოდით! გამოდით!

არავინ რომ არ გავიდა, დაცინვაც დაიწყო:

— იი, ლაჩრებო, შეგეშინდათ, განა?

ციხითათრიანთ სანდრუამ ამდენიც ვეღარ მოითმინა, ადგა და გავიდა. ამ მამლაყინწას თავისი ხმელი მუშტი მიახლოებისთანავე სახეში სთხლიშა თუ არა, მეორედ გარტყმა აღარ დასჭირებია, — მიწაზე გააგორა. ამ დროს, ძირს დაცემულის მაგიერ, საიდღანაც რიბიჟირაც გამოტყვრა და სანდრუას სამაგიეროს გადასახდელად შეუტია.

თამაზოვის დანახვაზე სოსოს იმისი ვაჭარი მამა გაახსენდა, მამის გახსებაზე უაჩალად გავარდნილი ძია ქიტაც მოაგონდა, გულს მდულარესავით გადაევლო რაღაცა ცხლად და, თვითონაც არ იცოდა, როგორ გაჩნდა [illegible] ქუჩაში.

— აბა, სანდროჯან, ერთი იქით მომეცალე! — ისეთი ხმით [illegible], რომ ამხანაგი შედგა, მართლა ჩამოეცალა.

თამაზოვმა სანდროს მაგიერ სოსო რომ დაინახა, ერთი შეკრთა, გაქცევაც დააპირა, მაგრამ ამ მილეთის ხალხისა შერცხვა. სხვა გზა არა ჰქონდა, მუშტით მისკენ გაქანდა, მაგრამ მოწინააღმდეგემ მარჯვედ აიცდინა მოქნეული მჯიღი და პასუხად ერთი ისეთი გაულაწუნა ფაფუკ სახეში ხელუკუღმა, რომ ვაჭრის შვილს წუთით თვალთ დაუბნელდა. სოსომ გამორკვევა არ ახანა, მეორე ალიყურიც გააწნა, უნდოდა მესამეც მიეყოლებინა, მაგრამ სახტად დარჩა: რიბიჟირა მიწაზე ტომარივით ეგდო და ბედითად ღრიალებდა. წუთიც და ქვემოუბნიდან თამაზოვის შემცვლელიც გამოხტა, მაგრამ არც სოსო დატოვეს მარტო თავის უბნელებმა, მის გვერდით უცებ დრახნა გაჩნდა.

— ეხლა ჩემი ჯერია! — დაიძახა მან მიახლოებისთანვე, ამხანაგი ხელად უკან დასწია და ზედ მოსულ მოწინააღმდეგეს გულდაგულ შეეგება.

კრივი ნელნელა ჩაღდებოდა.

დაღამებამდე ჯერ კიდევ კარგახანი იყო დარჩენილი და ამიტომ დიდები არა ჩქარობდნენ, პატარების ძიძგილს თვალყურს გაფაციცებით ადევნებდნენ.

— უუჰ, შენი ღმერთისა!

— უუჰ, შენი ჭირიმე, შენი! — აქეზებდნენ აქეთ-იქიდან მოკრივეებს.

ამ დაკა-დაკაში თამაზოვიც გონს მოვიდა და მიწაზე წელი ძლივს აიტანა. ეს ამოდენა ხალხი ერთად რომ დაინახა, სირცხვილს ველარ გაუძლო და ბრძოლის ველი ტირილით დატოვა.

— ია, ქალაჩუნავ!

— ფინაჩო! — ეძახოდნენ აქეთ-იქიდან ხარხარით.

პატარებს ახლა მოზრდილნიც წამოეხმარნენ, მოზრდილთ დიდებიც ჩამოჰყვნენ, და სულ მალე დიდი კრივი გაჩაღდა. სილების ტკაცა-ტკუცი, მუშტების ბაგა-ბუგი და ოხვრა-გრიალი იქაურობას აყრუებდა.

— დაჰკა! დაჰკა!

— მიდი, გენაცვა, მიდი-ი!

— დუბე-დუბე!

და მაჩხუბართ სულ ახალნი და ახალნი ემატებოდნენ. მალე ქუჩაში ტევაც ალარ იყო. ყველაფერი აირია. ვილაც კვნესოდა, ვილაცა ცხენივით ჭიხვინებდა და იქ, ზედახორად შემდგარ ხალხში, ალია მკალავი ლეკურ ყაიდაზე რაღაცას ყურის წამღებად ჭყიოდა.

ეგრე იბრძოდნენ ისინი, სანამ გორიჯვარიდან დაშვებული მძიმე ბინდები წყალში დამბალ შაქრის ქაღალდივით და ჩამოიძენძა. დღის სინათლე ჯერ ისევ სასიცოცხლოდ ფართხალებდა და კრივის ბედი მაინც არა წყდებოდა. ბრძოლა შედგა და მოწინააღმდეგენი ადგილიდან ფეხს არ იცვლიდნენ.

— უუ! — ზუზუნებდა ხალხი და მუშტები ქუხდნენ, მაყურებელნი ჟრიამულებდნენ, მოხუცნი ახალგაზრდებს აქეზებდნენ, დედაკაცები ყურის წამღებად წიოდნენ და ამ ორომტრიალში, ვნიასსა და აყალმაყალში უეცრად რისხვით გაისმა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაიწით! დაიწით! დაიწით!

ხალხმა მოიხედა, ჩაფრები იყვნენ.

კრივი ერთბაშად დაიშალა, დუმილი ჩამოვარდა.

თავდავიწყებულ მებრძოლთ ბინდიც ისე წამოჰპარვოდათ, რომ არა შეეტ-ყოთ რა და საცაა დაღამდებოდა.

— Дорогу, дорогу! Разойди — ись! — ყვიროდნენ თოფმომარჯვებულ ჯარისკაცები ჩაფრებთან ერთად და ხალხს მუქარით მიაპობდნენ.

სოსო იმის მაგიერ, რომ მართლა გაწეულიყო, პირიქით, მათკენ გაქანდა და თვალები ხარბად ააცეცა.

ჩაფრებს გუთნის ჯაჭვებით გაკრული ვაჟკაცი წინ წაეგდოთ და საპატიმროსაკენ მიჰყავდათ. სულ წინ ცხენზე შემჯდარი მამასახლისი თავაღერებით მოუძღვოდა.

— გზა მოგვეცით, გზა! — ყვიროდა იგი და სროლას იმუქრებოდა. მხრებაწურულ ტუსაღს თავი მწუხარედ ჩაეკიდა და ნიკაპით მკერდზე დაყრდნობილს მოწყვეტილად მოაქნევდა. თან სიარული ისე უმძიმდა, თითქოს ეს ბინდი მთელი სიმძიმით მას აწვა მხრებზე.

ქუჩის ორივე მხარე ხალხით იყო სავსე, არავინ ხმას არ იღებდა და ამ დუმილში ეს ბორკილების ჩხრიალი კიდევ უფრო გულის მომკვლელად გაისმოდა.

— გზა მოგვეცით, გზა! — ემუქრებოდნენ ხალხს, ჩაფრები კი არა,—ღამე და მათ უკან ბნელი რჩებოდა, ბნელეთში ვაჟკაცი მოაბიჯებდა.

პატიმარი ჯულაანთ ბინას მიუახლოვდა. მეტი სიარული ვერ შესძლო. ხელებგაკრულმა ერთი ისე გაიზმორა, თითქოს ბორკილების დაწყვეტას ლამობსო, მაგრამ ველარ გაგლიჯა. გაწამებული სახე ცად აიშვირა და დაჭრილ ხარლაღივით დაიბღავლა:

— წყალი-იჰ! ვინა ხართ ქრისტიანი, წყალი დამალეინეთ! — ჩაფრები ფიცხლავ მისცვივდნენ და კონდახის ცემით, გინებით კვლავ წინ გაიგდეს.

— ეეხ! — ამოიოხრა ტუსაღმა სინანულით და გზა ისევ ლასლასით განაგრძო.

ამის გაგონებაზე სოსომ შინიდან მაშინვე წყლით სავსე ლიტრა გამოარბენინა და შეჯაჭვული კაცისაკენ თავაღებით გაეშურა.

— უკან დაიწი! გესვრით! — აყვირდნენ ჩაფრები, მაგრამ ბალღს არაფერი არ ესმოდა, არც არას გრძნობდა, მოღერებულ თოფებში თამამად გაიარა და თვითონაც არ იცოდა, როგორ გაჩნდა მწყურვალეს პირისპირ. ვაჟკაცი მაღალი იყო და, ხელგაკრულს პირამდე რომ ვერ ასწვდა, ტუსაღი თვითონ დაიხარა და ლიტრას ისე ხარბად დაეწაფა, თითქოს თავის სიცოცხლეში პირველად სვამდა.

— გაიზარდე! — თქვა, სველი ულვაშები აქეთ-იქით მხრებზე ასრესით შეიწმინდა. მერე ბალღს დააჩერდა, უცქირა, უცქირა და ბოლმით ამოიოხრა:

— ვაი დედიჩემის ღმერთსა! ბიჭო, ეგრე რას მიცქერ, ვერა მცნობ?

— ქიტა-ა? — კი არ დაიძახა, შეეკითხა იგი პასუხის მაგიერ.

რომ გამოერკვა, — არავინ იყო.

შუა ქუჩაში მარტო დგა.

მიწაზე გატეხილი ლიტრა ეგდო.

ჯაჭვების ჩხრიალი ღამეში ისევ გულის მომკვლელად გაისმოდა.

— ქიტა-ა! ქიტა-ა — და ტირილით უკან დაედევნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

გრძელმა, გაუთავებელმა ზამთრის ღამეებმაც იკლო. აპრილის-სისხლის ტილები ხალისიანად თენდებოდა.

ქვეყანა გაიფურჩქნა, ტყეები ამწვანდა. დაბრუნებულმა მერცხლებმაც შარშანდელი ბუდეები ჟრიამულით მოიკითხეს და ამდენი ხნის უნახავ ცასა და მიწას ალერსიანი ნავარდით ელამუნებოდნენ.

ვარდისფრად აყვავებული ატმის ხეები ბაღებში ავარდნილ კვამლებივით ბოჟირებდნენ. ახლად გამოჩეკილ წიწილებივით გაქულული ჭერმები და ნუშები აპრილის მზეს ტკბილი ფართხალით შესწიოდნენ.

მთელი ზამთარი შინნამწყვდევი ბალღები გარეთ გამოეფინენ და ხალისიანად ჟღიოდნენ. ნიავისაგან გაფანტულ ვაშლის, ქლიავისა და ალუჩის ყვავილთა თეთრ ფიფქს ცეკვით ხელებს უშვერდნენ და თან ხმამაღლა გაჰყვიროდნენ:

— თოოვს! თოოვს! თოოვს!

სახლის გვერდით, მზის გულზე მსხდარნი მოხუცებულნი აპრილის მზის ქვეშ ტკბილად იშმუშნებოდნენ.

მთის წვერზე გაძვალებული თოვლი ჯერ ისევ ჯიუტად იდო და ნელა ლღვებოდა.

მწვანედ აბიბინებულ მინდორ-ველებში რძითა და თაფლით გატენილი კვირტ-კუკრები ფერად-ფერად ყვავილებად გაფურჩქვნილიყვნენ და აზუზუნებული ფუტკარი ხარკის მოსაკრებად შეჰფენოდა.

ჰაერში ზარდლის ქსელები მზის სხივებზე ვერცხლისფრად ლივლივებდნენ და ადამიანს სახეში უხამსად ეტმასნებოდნენ.

გუთნეულები ზანტ ტაატით აბრუნებდნენ ზამთრის ნესტით გაჟიჟინებულსა და გამლხვალ მიწას. ღირღიტა ღრიჭინებდა, ტაბიკები ჭრაჭუნობდნენ, ხნული შავად იხრილებოდა.

— თფვეი, ჰაა მოო! — ახალისებდა ალერსიანი შეძახილით ხარკამეჩებს უღელზე შემჯდარი გუთნისდედა, შოლტსაც ეშხიანად უტლაშუნებდა და თან მოდიდებული რუების და ნაკადულების ცელქ დუდუნს ნელი ღიღინით ბანს ეუბნებოდა:

სხვათა მოჯამაგირობას ადვილად იტყვის ენა-ოო!

ბოსელ-გომურებში ნაბამი საქონელი ახლად წამოშლილ ქორფა ბალახს ხარბადა სძოვდა, გალაღებული ზაქ-ხმორები სიხარულით კუნტრუშებდნენ და ეს ქვეყანა სიცოცხლით, ბარაქითა და წვენით ივსებოდა.

ცხრათვალა მზე, უზარმაზარი ხარის თვალით დასცქეროდა ამ ხნულებს, ამ ბაღებს, ამ საძოვრებს, წყალსა და მიწას, მთასა და ბარს. ქვეყანა სიცოცხლით ივსებოდა, ნეტარებდა და ამ დროს ნესტისა და პარაშის მყრალი სუნით სულშეხუთული ლაღი მეთევზე, ტყე-ღრეებში ნაიალაღარი ვაჟკაცი საკანის ჭერქვეშ ვიწროდ გამოჭრილ სარკმლის რიკულებს უფერული, ნაავადმყოფარის ხელებით დაჰკიდებოდა, ცას გასცქეროდა და, კი არ სუნთქავდა, სვამდა ერთი წვეთი ცის ლაჟვარდს, ჭამდა თვალებით ერთი კიკნა მიწას, საპატიმროს ეზოში ტიტვლად რომ მოჩანდა.

ციხის ეზოში, შუა ადგილას ერთადერთი დაგრეხილი ატმის ხე ღრუბლის ქულასავით აფუებულიყო. ნიავი ტოტებს წყნარად არხევდა და ისიც, ის უნა-

მუსო, თითქოს იმის გასაბრაზებლად, ვარდისფერ თათებს ბუნჩულა ბავშვივით იქნევდა. უხაროდა და ყვაოდა, უხაროდა და თეთრად მოკრთეული ოთხ კედელს შორის გამომწყვდეულს გულს ულაღებდა და უკლავდა [illegible] სიხარულისა და მწუხარების ცრემლებს ერთად აღვრევინებდა.

საწვიმარ მილთან, სახურავის ქვეშ, ქალამანივით მიკრულ ბუდეში შორეთიდან ჩამოფრენილი კუდმაკრატელა მერცხლები ხალისიანად ჟრიამულობდნენ. ცოლი ბუდეში კვერცხებს ათბობდა, ქმარი ჭია-ღუას ეზიდებოდა, თავს ევლებოდა, ელამუნებოდა ახლად მოყვანილსა და უკვე მოკრუხულ პატარძალსა. ბედნიერნი და გალაღებულნი, ერთად ირჯებოდნენ, მუშაობდნენ და მერე. ოჯახური ზრუნვითა და სიყვარულით გართულნი, ჟღურტულებდნენ, გალობდნენ ტუსაღის გულის მოსაკლავად.

ქიტა ატამს გასცქეროდა, მერცხლებს შეჰხაროდა და ეს ვერანა სიცოცხლე კიდევ უფრო ტკბილი იყო და ძნელად დასათმობი.

— იიჰ, სულელო! — ბუტბუტებდა ნაზი საყვედურით. — ჰყვავი, რაღა! ხე ხარ და ნამუსი არა გაქვს! ეგ ყვაილები იგრე გაგიფურჩქნია, თითქოს ციხეში კი არა, სამოთხეში იყო! იიჰ, ნეტავ ერთი შენად მაქცია! შენსაეფ აქ კი არ დავდგებოდი, მაღლა, სულ მაღლა ავიდოდი, თავს შუა ცაში გავყოფდი, ყვავილებით ცას ავეკვროდი და მემრე... მოვკვდე, აღარ ვინაღვლი! იიჰ, ერთი ემაგ ბენ ტოტებში თავი გამაყრეინა და მემრე... — დაილმუვლა და რკინის მესერს კიდევ უფრო მაგრა ჩაეჭიდა.

ზოგს ამბობდა, ზოგს ფიქრობდა და ფიქრობდა ისე, რომ ეგონა ამ ნაფიქრსაც ლაპარაკობდა.

ციხეს ირგვლივ მდინარეები უვლიდა: ლიახვი, ტორტლა, წმინდაწყალი და იქ, მოშორებით, მტკვარი შხუოდა, შიგ თევზები, ტივები, კამეჩები და ბავშვები ჭყუმპალაობდნენ.

— ციხევ მოგიკვდა ამშენებელი! ციხევ, გამიშვი, გამიშვი, შე ვერანავ, შენა! აქ რა ჯანდაბა მინდა? მე აქ რა გამაძლებინებს? მეთევზე ვარ და წყალში მინდა, ტყის ძმა ვარ და ტყეში მინდა, მტკვრის შვილი ვარ და მტკვარში მინდა კიდევ, ჩემი ტკბილი სიცოცხლე მინდა, ჩემი აბრაშუმის ბადე მინდა, ჩემი სილაღე მინდა, ერთს რო იგრე დავჭყივლებ: მაცოცხლეთ, მაცოცხლეთ, თქვენ. სატიალეებო, თქვენა, აჰაი, ტა-ტა-ტაჰ!

თავი მტკვარში თუ ეგონა, რიკულს ხელი უშვა და, ქვის იატაკზე ზღართანი რომ მოადინა, ქოჩორმა ერთ კედელს უწია და ფეხებმა მეორესა.

ცხრათვალა მზე ისევ ბრიალებდა, ქვეყანა სიცოცხლით ისევ ივსებოდა.

*

* *

ერთ მზიან დილით გორის მთავრობამ წმინდაწყალზე სამი შავად შეღებილი სახრჩობელა ამართა, — ორი იმ ხუბულურისა და ჯიოშვილისა იყო და ერთიც მეთევზისა.

მაზრის უფროსმა გაურჩებული გლეხობის დასაშინებლად ყველა სოფლის მამასახლისებს ამ დღისათვის ორ-ორი კაცი ჩამოაყვანინა და მთელი გორი ისე აივსო ხალხით, რომ ქუჩებში ტევა აღარ იყო.

ბანები და აივნები, ხეები და ლობეები, ციხის ჩამოხვეწილი ზღუდეები და კოშკის თავები მაყურებლებით იყო დახუნძლული და მათი გუგული ხეების ფორეულ ფრთონასავით გაისმოდა.

მუდამ მოუსვენარი ბალღები ხალხს ფეხებში თაგვებივით დაუძვრებოდნენ და ერთიმეორეს ყურის წამღები ყვირილით ეხმაურებოდნენ.

უეცრად საპატიმროდან „დალაბანდის" რატრატიც მოისმა. ხალხი გაჩქურდა. მხოლოდ ცელქი კუდმაკრატელა მერცხლები არა ცხრებოდნენ, თავდავიწყებულად ჟღურტულებდნენ და ცას მოქნეულ ხანჯლებივით სერავდნენ.

„დალაბანდის" რატრატში ჯარისკაცთა ფეხის მწყობრი ხმაც ისე გაისმა, თითქოს სადღაც ფარდაგსა ბერტყავდნენ. მალე ჯაჭვებიც, ალბათ, ბორკილები, გულსაკლავად აჩხრიალდნენ.

სადღაც ვილაცის სატიალე ცხენმა დაიხვიხვინა ტკბილად.

მეთევზე შედგა, ჭიხვინს ყური მიუგდო, წუთით ოცნებად წასულს ტკბილად გაეღიმა, მაგრამ უკანიდან კონდახი რომ მიაყოლეს, თავი მხრებში ჩაიტანა და ძუნძულით, ჩხარაჩხურით წინ წაირბინა. აი ამხანაგებსაც დაეწია, გაოგნებულს გაკვირვებით გაეღიმა და ხალხს ისე გადახედა, თითქოს ეკითხებოდა:

— ხალხოუ, ეს რეები ხდებაო?

ვილაცამ ვერ მოითმინა და გმინვით ალმოხდა:

— იჰიმეე!

— ვაი შენს დედასა, შვილო, რა ბიჭი ფუჭდები!

ქიტამ ყური მოჰკრა ამ სიტყვებს, ხმით იცნო მთქმელი, ერთბაშად მოიწყინა და თვალცრემლიანი შეევედრა:

— დაო, დამლოცე, დამლოცე!

— ღმერთმა გაცხონოს, ძმაო! — დაიკვნესა კეკემ, მეტი ვერ შესძლო, ცრემლებმა ყელი გადაუკეტეს.

ორ მწკრივად დაწყობილი სალდათები ხის კაცებივით მიდიოდნენ. წინ მაზრის უფროსი და ოლარგადაგდებული მღვდელი მიუძღოდა ჯვარცმით ხელში. შავ ანაფორას განივრად მიაბარტყუნებდა და კალოშებით შემოცვეთილი ნაზამთრი ჩექმები ხან გამოჩნდებოდა და ხან იფარებოდა. მათ ჯამბაზივით წითლად ჩაცმული ჯალათი ახლდა. მაღალ ფეხებს ფართოდ მიალაჯებდა. გორის სასამართლოს წევრნი, ქალაქის თავი, ციხის ექიმი, მაზრის თავად-აზნაურობის მარშალი და კიდევ რამდენიმე დიდი თანამდებობის პირიც აქვე ბრძანდებოდნენ.

სოსო მაშინვე იქით გაიწია, იმისი, იმ საწყალი ძიას, ახლოს ნახვა ეწადა, მაგრამ ხალხში ვერ გაატანა. გულმა მაინც არ მოუთმინა, გაძვრა, გამოძვრა და ერთ მომაღლო ადგილას გაჩერდა.

— ე ვერანა, რათა მცივა! — და, რომ არ წაქცეულიყო, აძიგძიგებული ვილაც ძიას ფერხთით ჩაიკეცა.

ეგრე რომ იჯდა ჩაცუცქული, თავში რალაც დაეცა წვეთივით. ქუდი მოიხადა, — წვიმა იყო. მოწმენდილ ცას გაკვირვებით ახედა, — თავს ძია ნიკალა გადმოჰყურებდა და ის იყო, უხმოდ რომ ტიროდა და ცრემლად იღვრებოდა.

— ძია! — უნდოდა დაეძახა, მაგრამ ენა ველარ მოაბრუნა, ფეხში ხელით წაეტანა.

კალატოზმა დაიხედა და, თავის დოსტის შვილი რომ იცნო, თავი ვეღარ შეიმაგრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს შენა, სოსო? — დაიღმუვლა და ტირილის მაგიერ ცხენივით აფრუტუნდა. — ხედავ, სოსო, ხედავ, ჩვენი საწყალი ქიტა რა დღეშია? — და სასიკვდილოდ მიმავალი ძმაკაცი ბალღისათვის უკეთ რომ დაენახვებინა, ტოტყი ხელებით წიწილივით აიტაცა. სოსო ძიას მხრებზე უცებ მოეწყო და, ძირს რომ არ გადავარდნილიყო, ქოჩორში ხელი მაგრა ჩაავლო. აზიმზიმებულ ხალხს ზემოდან გადახედა და თავისდა უნებურად ინატრა:

— იიჰ, ნეტავ ერთი იგეთი სიტყვა მაცოდინა, იგეთი, რომ მთელი ეს მილეთის ხალხი თან გამომყვებოდეს!

ნიკალა ისევ ღმუოდა:

— შეხე, სოსო, შეხე! იმ ჩვენ საწყალ ქიტას შეხე მეთქი, ბიჭო! ვერა ხედავ იმ ჩვენ ბოღრა ბიჭსა, რა დღეშია? ვაიმე, ვაიმე, შე ოხერო ჩემო თავო! — და ღვრად მოხეთქილი ცრემლებით ბალღს მკერდზე გადმოფენილ ფეხებს უხვად ურწყავდა.

ისინი, ის განწირულნი, ეშაფოტის წინ მოჩილად შედგნენ.

ერთი იმათგანი ხალხისკენ რომ შემობრუნდა, სოსომ მაშინვე იცნო, უნდოდა ეკივლა, მაგრამ არ დაიკივლა.

— ცოდოა! — გაიფიქრა და თვითონაც არ იცოდა რათ იყო ცოდო.

— სოსო, სოსო, შეხე, იმ საწყალ ბიჭს შეხე, რა დღეშია! ვერა ხედავ, რეები ხდება?

ამასობაში სამივე ტუსაღს ხუდნებიც შეხსნეს. მიწაზე ჩხრიალით რომ დაყარეს, — ბორკილები კი არა, ერთი რაღაც უბრალო ჯაჭვები იყო.

მღვდელმა ჯერ ერთი აზიარა, მერე მეორე. ქიტამ არ ისურვა, სულიერი მამა ხელით აირიდა.

სასამართლოს მდივანმა საქმეც გაშალა. ბუტბუტით განაჩენის კითხვას რომ შეუდგა, ჯალათმა სამივეს ხელები უკან გაუკრა და წინ ისე გაიგდო, მაგრამ, ალბათ, მერე მოიფიქრა, — წინ წასულთ გადაუსწრო და შავად შეღებილ კიბეზე თავისი ფეხით აუძღვა.

სახრჩობელის ძელზე ამ დროს ერთი ტუტუცი მერცხალი შემოჯდა. ძელი შავი იყო, ჩიტიც შავი იყო და მერცხლის გული მოჩანდა მხოლოდ თეთრად. ეს გული ხან აქეთ ბრუნავდა, ხან იქით და თან ჟღურტულებდა, ჟღურტულებდა ტკბილად გულგადალეული. ჯალათმა თოკი აუქნია და მერცხალი ისე დააფრთხო.

ქიტამ ჩიტს თვალი გააყოლა, მაგრამ თავზე გრძელი ტომარაც ჩამოაცვეს.

სოსომ მხოლოდ ეხლა შეიგნო, რომ ამ ზღვა ხალხში კაცს მართლა ჰკლავდნენ.

— ქიტაა! ქიტაა! — დაიწივლა და ამ წივილმა ეს მაისის კამკამა დილა ბებუთივით გასერა.

ხალხი შეჩოჩქოლდა, ყველას ჟრუანტელმა დაუარა ტანში ბავშვის ამ განწირულ ძახილზე.

ტომარჩამოცმული მაღალი ბიჭი რატომღაც უფრო დაგრძელებული მოჩანდა და ისიც შეკრთა, — იქნებ ხმით იცნო? დატორტმანდა, მაგრამ ფეხლათმა მოასწრო და სანამ წაიქცეოდა, თავზე ყულფიც გადააცვა...

*

* *

...მიიხედ-მოიხედა, — შინ იყო.

— დედი, ჩამოიღე, დედი-ი! — და ხელები ზარდაცემულად აასავსავა.

ძეძე კედელთან მიიჭრა და თეთრი ზეწარფარებული ტანისამოსი ლურსმანზე საჩქაროდ ჩამოგლიჯა.

ბალღს იმ დღეს სიცხე მისცა და მთელი ღამე ქიტას აბოდებდა.

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კარლო კალაძე

# ბარათი

ლავრენტი ბერიას

ისევ გათენდა... უნებლიედ ჩემს მაღალ სარკმელს
ჩუმი შრიალით ჩამოშორდა ტოტების ჩრდილი.
ჯერ არსად სჩანან მეგობრები, არ მოგვესალმენ,
და მხოლოდ ბაღი ფრინველივით ფრთხიალებს დილით!
ფიქრები შორით მიჰყვებიან ღამეებს უვრცესს!
მათი გამოთქმა სამუდამოდ მივანდე ანბანთ
და თითო წამი დასჩენია ქაღალდის ფურცელს,
ანბანიც არის ბნელი ღამის ნასახი ალბათ!
ახლა აქ ჩემი და ფოთოლის ბედი ერთია —
ჰბაძავს ტუჩების მღელვარებას ხმა ალვის ხეთა!
რომ არ მებრძოლა, — ბნელი ღამე არ გამეთია,
ბაღიც ერთ ძვირფას საიდუმლოს არ გამიმხელდა.
ვხედავ, ამ ალვებს მთელი ღამე არ სძინებიათ —
შარა-გზის ნაცვლად ბაღის კიდე ბედმა არგუნა!...
მხოლოდ ვარდები ხელუხლებლად იფურცლებიან,
ფოთოლთ შრიალში ბილიკები მიმოკარგულან!
თითქოს დილითაც გამოუთქმელ ფიქრს განაგრძობენ,
და მე ღიმილით წარმოვიდგენ მათ სიმარტოვეს!
რტოები მხოლოდ მოალერსე ხელისგულს გრძნობენ,
ქვეყნის ამბავი როდი ესმით შრიალა რტოებს!..
იციან მათი მოამაგე მოსკოვს წავიდა, —
ბაღს არ ახარებს მდუმარება მაღალ აივნის,
მაგრამ, უცდიან კიდევ მოვა, ერთი წამითაც
ფიქრთ გასართველად ხეივანში ისევ გაივლის!
მან ბებერ ხეებს ჩამოჰბელა ხმელი მკლავები,
რომ ახალ ნერგებს ალვის ტანი ცად აესროლათ!
და აი, რატომ ცქრიალებდნენ ცად ვარსკვლავები,
ანუ ალვები ალიონზე რამ აათრთოლა...
მიისწრაფვიან ტანის რხევით მაღლა, სულ მაღლა!
ველარ გხედავენ... ვერ მიმხვდარან საით წახველი,
და შეუთანხმდნენ საქართველოს შრიალა ბაღნარს,
რომ ყოველ დილით ამოითქვან შენი სახელი!
აწ დავაჟკაცდნენ, რაინდულად ეტრფიან თბილისს,
შენობებ შორის ფრთებაშლილნი, საკვირველები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაღში სიმებად შემოჭრილან სხივები დილის,
და მათ ყივილით დასევიან კვლავ ფრინველები...
შუქმა და ჩრდილმა შენობებზე გადაიარა —
აღსდგნენ ქართული ჩუქურთმები კვლავინდებურად!
ქვაზე ქვა აღსდგა! — საძირკველი კირით კი არა,
ახლა შენს მიერ შთაგონებით განმტკიცებულა...
უცებ კარებიც გაიღება! — და ვხედავ, ტოლნი
ოთხსავე მხარეს ქარებივით მიიჩქარიან!
ისევ შენს სახელს ვიმეორებ ტუჩების თრთოლვით —
შენს ახალგაზრდებს გაბედული სვლა გვიხარია...
ოსტატო! ვიცით საიდუმლო შენი გულისა —
სამშობლო მთა-ბარს დასჩენია ფიქრი აშკარა:
ძალა ვინ მისცა გულს მღელვარე გაზაფხულისა,
ხეთა რტოებზე ყვავილები როგორ გაშალა!
სახელი მისი, განთიადის დიდი სახელი,
შენ აქ თვითეულ გამარჯვებას თვითონ დაარქვი!
ქართლის ცხოვრებას სტალინური ხელი ახელი,
მტკვრის მდინარებად გააღვიძე ჩამკვდარი ძარღვი...
მაშ გაუმარჯოს ძლევამოსილ მებრძოლთა ბელადს!
როგორც ფარვანა, სიხარულით სინათლეს ვეტრფი,
შევძარი გული ერთი ლექსის გამოსათქმელად,
და აღარ დამრჩა მწუხარების მცირედი ფერფლიც.
ისევ გათენდა... ამოსუნთქვით მეც ავიმართე,
პატარა ლანდი მაგიდაზე დახრილი ტანის...
და მაინც ვდუმვარ... ღირსეულო, მხოლოდ შენ გმართებს
დღე მიულოცო საქართველოს სახელით სტალინს.
უთხარ: სამშობლომ განუფანტა ღრუბელთა ჩრდილი,
რომ ფიანდაზად გაუშალოს ფეხთქვეშ ქარბუქიც!
დედის ხსოვნაში საამაყოდ ჭაღარა შვილიც
რომ არის მარად საზრუნველი, არის ჭაბუკი!
იგი დაიძრა მღელვარებით, მთები დასტოვა, —
და აი წარღვნილ ორწოხებში ბრძოლა მდინარის
დარჩა, ვით კობა ჯუღაშვილის ახალგაზრდობა —
თავისუფლების მოტრფიალე, მარად მძვინვარი!
როგორც ტალღები, სიხარულით ვისწრაფვით ყველა,
დაიძრეს ლეღმად ისევ ძალა გაზაფხულისა!
ჩვენც ადიდება გვენატრება... და ძმათა შველა.
ჯარის ნაბიჯი ძგერა იყოს მისი გულისა...
ჰბაძავს ტუჩების მღელვარებას ხმა ალვის ხეთა,
ღია სარკმელთან ველოდები მზეს მოხალისე...
ლილოს მთებიდან დილის შუქმა ამოიხედა,
და შენი ბაღიც ფრინველივით ფრთხიალებს ისევ!

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლეო ქიაჩელი

# სჯალინი

მთელი დღე გაურკვეველი რამ წუხილი გულს შემოსწოლოდა. სადღაც სიღრმეში იგრძნობოდა მისი ფარული ფუსფუსი, რომელიც შეგნების სმენამდე ვერც კი აღწევდა. იგი ხელს არ უშლიდა მას მუშაობაში. დღესაც ურთულესი საკითხები იდგა მის წინაშე, დღესაც ნათელი, პირდაპირი და უბორძიკო იყო მისი აზროვნება, როგორც ყოველთვის, და მისი შინაგანი ჭვრეტა საგნებისა და მოვლენების ღრმა და საოცარი, გულთან სადღაც სიღრმეში მიმალული წუხილი კი მაინც თავისას განაგრძობდა დამოუკიდებლად. დროთ სევდის შუქად მოსწყდებოდა თვალებიდან და მათ ურყევსა და მტკიცე გამოხედვაში უალრესად სათუთ სულიერ განწყობილებას ჩააქსოვებდა, ადამიანს რომ ხშირად მოიცავს გამოუთქმელი, უსაგნო ოცნების სახით. მაგრამ უდიდეს საქმეთა შორის, რომელთაც იგი უძღოდა, ამ მოვლენისათვის გულისყური ვერ მიეპყრო შესაცნობად.

მხოლოდ ნაშუალამევს გვიან განმარტოვდა თავის ოთახში. დაღლილი იყო და სავარძელში ჩაჯდა. მარტოობა ესალმუნა. ოთახში სიჩუმე იყო. ერთხანს გარინდული იჯდა. ნელა გატენა ჩიბუხი, მაგრამ სანამ მოსწევდა, იგრძნო, რომ თავის ჩუმ წუხილთან დარჩა პირისპირ და გულისყურიც მყისვე იმან მოსტაცა. თითქოს მისმა ფუსფუსმა მოჰბერაო, ბავშობა მოაგონდა შორეული. თვალწინ დედა წარმოუდგა და მშობლიური ქოხი, სადაც იზრდებოდა. თბილი ალერსი იგრძნო, მაშინ განცდილი, როცა პატარა იყო და მისი ფასი არ იცოდა. მისი ზრდის მონაწილე პატარა ლოგინი, ღარიბი დგამი თუ ჯამი ისე დაუდგნენ თვალწინ, თითქოს სინამდვილეში ხედავსო. ისე, როგორც ოდესღაც ელაგნენ ისინი დედის ოთახის კუთხეში, მის წარმოდგენაშიც ისე დალაგდნენ. თითქოს თვალები ასხიათო, ისე შემოსცქეროდნენ. როგორ ხარო, სიყვარულით ეკითხებოდნენ და ბავშობის საალერსო სახელს უწოდებდნენ. ჩვენც შენი ხნისა ვართო, გულუბრყვილოდ თავს უტოლებდნენ. ერთად განვლილი ზიარი ცხოვრების გარდასულ ამბებს მოაგონებდნენ, თუ რა ლხინი ენახათ, ან რა ჭირი მრავალი თავს გარდახდენოდათ. მშვიდი და წყნარი იდგა დედა შვილის წინ. ტკბილმწარე ამბავს უსიტყვო ნიშნებით ადასტურებდა. გულზე ხელი დაედვა და შვილისთვის თვალი თვალში გაეყარა.—რამდენი შიში უნახავს შენთვის ამ გულსო — ამბობდა იგი. — მაგრამ იცოდე, შვილო, რომ დედის გული ყველა ერთია, და გებრალებოდეს.

აქ უცებ შეწყდა უცნაური ფუსფუსი იმ წუხილისა. ისიც სავარძლიდან ფიცხლად წამოდგა, თითქოს საშური რამ საქმე მივიწყებული ახლა მოაგონ-

დაო. დარეკა. თითებში მოუთმენლობა უკრთოდა. სინანული და ჯავრი სახეზე გამოხატოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდივანი შემოვიდა ოთახში. ჰკითხა, შუაზიიდან ცნობა 


[illegible]ამ დედისერთას გადარჩენისა, ტაშკენტიდან ჰაეროპლანით გაგზავნილი ექიმი რომ უნდა მიშველებოდაო. — ექიმი იტყობინება, ბავშვი გადარჩაო, იყო პასუხი.

დამშვიდდა თითქოს. მაგრამ მაინც წარბებს ქვემოდან მდივანს ირიბად გადაჰკრა თვალი და ხელით ანიშნა, ცნობა მომიტანეო. მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ იმ ხელში ჩიბუხი ეჭირა, ამას წინად გატენილი. ასანთს გაჰკრა. თითქოს ოთახში ჭარი უბერავსო, ანთებულ ცეცხლს ხელის გული შემოაფარა. თვალები ოდნავ მოჭუტა და პირველი ბოლი მაღლა აუშვა.

მდივანმა ცნობა წინ დაუდვა მაგიდაზე.

ჩიბუხს ზემოდან ელვის სისწრაფით გადაავლო თვალი მოტანილ ცნობას.

და სიხარულმაც უმალვე დაშალა მის თვალებთან მიჯრით მიყრილი ნაოჭები.

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნატო ვაჩნაძე

# დაუვიწყარი დღე

საბჭოთა საქართველოს 15 წლისთავზე 140 დელეგატი გავემგზავრეთ ჩვენი დიადი სამშობლოს დედაქალაქში, რომ პარტიისა და ხელისუფლების მეთაურთა წინაშე გვეთქვა, თუ რა ბედნიერია ჩვენი ქვეყანა, როგორ ცხოვრობს საქართველოს მუშა, გლეხი და ინტელიგენტი და მომავალში რის გაკეთებას აპირებენ ისინი.

მზიანი, თბილი დღე იყო, როცა მოსკოვში ჩავედით. სიხარული, მღელვარება, — აი ის, რასაც პირველ დღიდანვე განვიცდიდით ყველანი.

19 მარტს ნაშუადღევის ოთხის ნახევარზე კრემლის დარბაზში ვართ. ისეთი მღელვარება გვიპყრობს, რომ ლაპარაკის უნარიც წართმეული გვაქვს. გრძნობს ამას ჩვენი ხელმძღვანელი ამხ. ლ. პ. ბერია და ყველას გვამხნევებს, გვიალერსებს, გვამშვიდებს.

დარბაზში სრული სიჩუმეა.

საათს ვუცქერი. კიდევ რამდენიმე წუთი და შემოვა ის, ვინც მილიონების სიხარულია. რამდენიმე წუთი დარჩა, მაგრამ რა დაუსრულებელი სჩანს ეს დრო!

უეცრად გაიღო კარი და საზეიმო სიჩუმე შესცვალა ასორმოცი გულიდან ერთბაშად ამოვარდნილმა „ვაშას“ ძახილმა.

აჰა, როგორც იქნა, მეღირსა და დავინახე ბელადი, საყვარელი, ძვირფასი ამხანაგი სტალინი!

ჩქარი, მხნე ნაბიჯით შემოვიდა თანამებრძოლებთან ერთად.

არა მჯერა, თუ ასე ახლო და ასე უბრალოდ ვხედავ მას.

დიდხანს ისმის დარბაზში „ვაშას“ გუგუნი. ამხანაგი ვოროშილოვი ნიშანს გვაძლევს — გავჩუმდეთ, მაგრამ ახლა ძალა არა გვაქვს დავემორჩილოთ ამ მითითებას. განუსაზღვრელი სიხარულით სავსეა ამდენი გული და რა გააჩუმებს მათ?!

ალერსიანი, გაბრწყინვებული თვალებით გვიყურებს ამხანაგი სტალინი. თვალებში იმდენი სითბო აქვს და ისეთი ღიმილით გვიცქერის, რომ უცბადვე შვებას გრძნობს გული და ასე მგონია, თითქოს ბავშვობიდანვე ვხედავდე ამ მშობლიურ სახეს.

ბოლოს, როგორც იქნა,გასჭრა მის თანამებრძოლთა თხოვნამ: შესწყდა გუგუნი და დავსხედით.

ჩვენს პირდაპირ, სულ ახლოს დაჯდა ბელადი.

დაიწყო დელეგატების გამოსვლა.

ყოველი მათგანი პატაკს არდგენს, თუ როგორ მუშაობდა აქამდე, რას ფიქრობს მომავლისათვის და როგორ დაიცავს სამშობლოს საჭიროების დროს.

ჩუმად, დინჯად, ალერსიანად ჩაურთავს ხოლმე თავის [illegible] — იოსებ ბესარიონის-ძე. ეს შენიშვნა კი სამუდამოდ და ღრმად იწერება თითოეული ჩვენთაგანის გულში. მღელვარებით ვაკვირდები ამხანაგ სტალინის ყოველ მოძრაობას.

კარგი შთაბეჭდილება დასტოვა დელეგატ ლუბა შენგელიას, ჭიათურის სტახანოველის, აკაკი ხორავას, მართა პლიევას, კახელ კოლმეურნის და სხვათა გამოსვლამ.

იოსებ ბესარიონის-ძე ყურადღებით უსმენდა მათ და ხანდახან ჩაურთავდა ხოლმე თავისებურ რეპლიკას.

როცა კახელმა კოლმეურნემ სიტყვა მისცა პარტიისა და ხელისუფლების მეთაურებს, რომ მომავალში გეგმას 200-ის გადაჭარბებით შეასრულებს, ბელადმა ქართულად უთხრა:

—აგაშენა ღმერთმა!

ერთ კოლმეურნე ქალს კი:

— იცოცხლე ათასი წელიწადი!

სხდომის დროს ერთმა დელეგატმა წარმოადგინა კოლხიდის ჭაობების ამოშრობის გეგმა. როდესაც იოსებ ბესარიონის-ძეს უჩვენეს ციფრობრივი მონაცემები, მან გამოსთქვა ის აზრი, რომ გეგმა დაახლოებით ათჯერ უნდა შემცირდესო. ამასთანავე იქვე დაუმტკიცა დელეგატებს, თუ რა არის გეგმაში რეალური და რა არ არის რეალური. ამხანაგი სტალინი გაიტაცა ამ საკითხმა, ყოველმხრივად ასწონ-დასწონა და მისცა ამხანაგ მოლოტოვს მრავალი მითითება კოლხიდის ჭაობების ამოშრობის ცხოვრებაში გატარებისათვის.

ცხადადა ვხედავდით იმ წუთში, რომ ამხანაგი სტალინი ისეთი ადამიანია, რომლისათვისაც საკმაოა მხოლოდ თვალი გადაავლოს მასალას და უმალვე დააზუსტებს, სად არის იქ შეცდომა და როგორ უნდა სწარმოებდეს მუშაობა.

საზეიმო სხდომამ ცხრა საათს გასტანა.

ბოლოს დელეგატებს საჩუქრები დაგვირიგეს. საჩუქრების მიღების დროს დელეგატები ხელს ვართმევთ პარტიისა და ხელისუფლების მეთაურებს, მოკლე სიტყვებში მადლობას ვუხდით და თან ვაძლევთ დაპირებას, რომ მეტის ენერგიით ვიმუშავებთ მომავალში.

ჯერ კიდევ წინა დღით გათვალისწინებული ჰქონდა ეს მდგომარეობა ჩვენს საყვარელ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას და ამიტომ მან გაგვაფრთხილა კიდეც:

— იცოდეთ, ამხანაგებო, ზედმეტს არაფერს დაჰპირდეთ ამხანაგ სტალინს, თორემ მას ისეთი მეხსიერება აქვს, რომ ათი წლის შემდეგ შეხვედრის დროსაც გკითხავთ: რატომ არ შეასრულეთ თქვენი დაპირებაო.

დღეს მე შრომის წითელი დროშის ორდენით დამაჯილდოვეს. ყველაზე ბედნიერი დღეა ეს ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ რა შეედრება იმ ჯილდოს და სიხარულს, რომ ასე დიდხანს და ასე ახლო ვხედავდით იოსებ ბესარიონის-ძეს?

რაღაც განსაკუთრებული სიმშვიდე და უდიდესი ძალა სჩანს მის გარეგნობასა და მოძრაობაში.

ვუყურებდი და მეჩვენებოდა, რომ ჩვენი სიხარული და ბედნიერი განწყობილება გადაედო მასაც. გვიყურებდა ჩვენ და, ვინ იცის, იქნებ ამ წუთში აგონდებოდა თავისი ბავშვობა, მშობლიური მიწა.

ბიბლიოთეკა

გამოვედით კრემლიდან. გავიარე ახმაურებული ქუჩა. სასტუმროში დავბრუნდი.

სხვაზე არაფერზე არ შემიძლია ახლა ფიქრი: მხოლოდ ამხანაგ სტალინზე ვფიქრობ.

მექნება შემთხვევა კიდევ ვიხილო იგი?

ვოცნებობ ამაზე და რატომღაც მებადება რწმენა, რომ აუცილებლად ვნახავ.

*

* *

ორმა დღემ გაიარა. შუალამისას თეატრიდან დავბრუნდი. ამბავი დამხვდა, რომ ხვალ ოთხ საათზე შინ უნდა ვიყო და ველოდო სანამ არ მოვლენ ჩემს წასაყვანად.

სად? ვისთან? ვინ იქნება იქ? დიდხანს არ მაძინებს ამაზე ფიქრი.

როდესაც მეორე დღეს დელეგატები მანქანებში ჩავსხედით, გავიგეთ, რომ ამხანაგ ვოროშილოვთან მივდიოდით. ჩვენი ანგარიშით ამხანაგი სტალინი იქ არ იქნებოდა, ძალიან მწყინდა ეს.

ღრუბლიანი დღე იყო. ოდნავ სთოვდა.

ნახევარი საათის შემდეგ ამხანაგ ვოროშილოვის აგარაკზე ვიყავით. კარებში ამხანაგი ვოროშილოვი შეგვეგება, ხალისიანად ჩამოგვართვა ხელი და შინ შეგვიყვანა. დიდ სასტუმრო ოთახში რამდენიმე კაცი იჯდა. მალე ლავრენტი პავლეს-ძე და მისი მეუღლე მოვიდნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ შემოვიდნენ ამხ. კაგანოვიჩი და მიქოიანი. ის იყო მივესალმე მათ, როცა კარებში ამხანაგი სერგო ორჯონიკიძე გამოჩნდა და უეცრად, სრულიად მოულოდნელად, თვალი მოვკარი ძვირფას სახეს.

სიხარულმა ამიტაცა. კინაღამ შევძახე აღფრთოვანებულმა, მაგრამ თავი შევიმაგრე.

აუჩქარებლად, დინჯად შემოვიდა. არ მასვენებდა ძლიერი სურვილი—მივსულიყავი მასთან. რომ არ მოვქცეულიყავ ასე, ვძლიე თავს და მოშორებით დავდექი. აქედან შევყურებდი. ამხანაგ სტალინთან იდგნენ ამხ. ლ. ბერია და ს. ორჯონიკიძე და რაღაცაზე დიდხანს საუბრობდნენ.

ბოლოს დელეგატებს სუფრაზე დაგვიძახეს. მაშინ გავბედე, მივედით ლ. ბერიასთან მე და მსახიობი თამარ ჭავჭავაძე და ვთხოვეთ:

— მიგვიყვანეთ ამხანაგ სტალინთან.

ღიმილით გადმოგვხედა ლავრენტი პავლეს-ძემ, ჩაგვკიდა ხელი და მიგვიყვანა ამხანაგ სტალინთან.

— გილოცავთ, ამხანაგებო, ორდენებით დაჯილდოვებას! — მოგვესალმა იოსებ ბესარიონის-ძე და ხელი ჩამოგვართვა.

სუფრაზე წინასწარ იყო განაწილებული ადგილები. დავსხედით იქ, სადაც ჩვენი გვარი იყო აღნიშნული. ჩემს გვერდით იჯდა უკრაინელი არტისტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიცკო. მოშორებით ისხდნენ ამხ. ვასაძე და ხორავა. ჩვენ ვისხედით მომცრო მაგიდასთან. დიდ სუფრასთან ისხდნენ ამხ. მოლოტოვი, ბერია, კაგანოვიჩი, მიკოიანი, პოლიტბიუროს სხვა წევრები.

ამხანაგი სტალინი და ორჯონიკიძე შემოვიდნენ იმ კარიდან, რომელიც მომცრო მაგიდასთან იყო. ჩემს პირდაპირ ორი ადგილი იყო თავისუფალი. იოსებ ბესარიონის-ძემ წაიკითხა ბილეთებზე დაწერილი გვარები და ბილეთები სხვა ადგილზე გადასდვა.

— ამას მნიშვნელობა არა აქვს, — სთქვა, დაჯდა და გვერდით ამხანაგი სერგო დაისვა.

ახლაც ისე, როგორც საზეიმო სხდომაზე, ბელადის პირდაპირ ვიჯექ.

— აი, ბედიც ასეთი უნდა! — ვფიქრობდი გახარებული.

სუფრას ხელმძღვანელობდა ამხანაგი ბუდიონი. ენამახვილი, მხიარული თამადა გვყავდა.

პირველი სადღეგრძელო, რა თქმა უნდა, ბელადზე ითქვა. ხანგრძლივმა „ვაშამ“ და ქართულმა „მრავალჟამიერმა“ აახმაურა დარბაზი.

— გაუმარჯოს დიად სტალინს — ისმოდა განუწყვეტლივ.

მთელი იმ დროის განმავლობაში, სანამ ოფიციალურ ტოსტებს ამბობდნენ, იოსებ ბესარიონის-ძე რაღაც ჩაფიქრებული იჯდა.

ბოლოს სიტყვა ითხოვა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

ბელადმა დაიწყო ლაპარაკი. ლაპარაკის დროს გადასდგამდა ხოლმე 2-3 ნაბიჯს წინ, შემდეგ უკან. ლაპარაკობდა დამშვიდებით, ხმადაბლა.

ვუყურებდი და ვამჩნევდი, რომ ახლა არც ერთი პორტრეტი არა ჰგავდა მას. ბელადის სახე უფრო მიმზიდველია, ვიდრე ფოტოგრაფიულ სურათებზე. შავი თმა ალაგ-ალაგ შეეერცხლილია ჭაღარით. სახე მხნე აქვს და წლები არ ემჩნევა. მაკვირვებენ მხრები, — რაღაც რკინის ძალა სჩანს მათში. აცვია ყველასათვის ცნობილი რუხი ფერის ფრენჩი, შავი შარვალი და ჩექმები. თვალებიდან დიდი ინტელექტუალური სიღრმე და მორალური ძალა იხედება. თვალები მუდამ ფიქრობენ. ლაპარაკობს ნელა. ხანდახან პაუზა უყვარს. ხმა მაღალი აქვს, ბგერაში ლითონის რეკა ისმის. წმინდა რუსული გამოთქმა აქვს, მაგრამ ენისა და სიტყვის მუსიკალობა ქართულია. ფრაზები უბრალოა და ამასთანავე ნათელი. ერთხელაც რომ გაიგონო, სამუდამოდ დაიმახსოვრებ. თითქო მრავალჯერ მოგესმინოს ან წაგეკითხოს.

მრავალი რამ საგულისხმო სთქვა ბელადმა.

მისი მახლობელი თანამებრძოლნი ამხანაგები მოლოტოვი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, ორჯონიკიძე, ბერია და სხვები ისეთი ყურადღებით უსმენდნენ და ისე შეჰყურებდნენ, რომ მათ ცქერაშიც ადვილად ამოიკითხავდი კაცი, თუ რაოდენად ძვირფასი იყო ის მათთვის, რა უსაზღვროდ უყვარდათ და რა ძლიერი გავლენა ჰქონდა მათზე ბელადს.

ბოლოს ბელადმა გადახედა ყველას, რატომღაც შეჩერდა წუთით და სთქვა შემდეგი:

— აი, თქვენ ყველანი, ამხანაგებო, ამბობთ: დიადი სტალინი, დიადი სტალინი. დიადი ლენინი იყო. მე მხოლოდ მის ნაანდერძევს ვანხორციელებ.

და ვანხორციელებ ამხანაგებო, მარტო კი არა, არამედ თქვენთან ერთად. რომ არ ყოფილიყო კოლექტივი, რომ არ ყოფილიყავით თქვენ, როგორ ფიქრობთ — შევძლებდი მარტო მე რამეს გაკეთებას? განა ოდესმე რომელიმე დიდი საკითხი გადამიწყვეტია მე უთქვენოდ? ლენინი, ვიდრე მოხსნიდა, ვთქვათ, რევკომის თავმჯდომარეს, 200 კაცს დაეკითხებოდა და მხოლოდ შემდეგ გადასწყვეტდა საკითხს. ჩვენი ძალა კოლექტივშია, თქვენში ყველაში. რა შუაში ვარ აქ მე? მე და თქვენ — აი როგორ სდგას საკითხი.

— არა, ეგრე არაა! — გაისმა ამხანაგ ვოროშილოვის ხმა.

— არა, არ არის ეგრე. — ისმოდა ამხანაგ კაგანოვიჩისა და სხვათა ხმები.

ბელადის თანამებრძოლებმა მისი სიტყვა არ მიიღეს.

ტემპერამენტით, ამაღელვებლად დაიწყო ამხ. კაგანოვიჩმა:

— არა, არ არის ეგრე, ამხანაგო სტალინ! განა შენ ერთმა არ გადასჭერ გლეხთა კოლექტივიზაციის საკითხი იმ მძიმე დროში, როცა საჭირო იყო შენი რკინისებური სიტყვა? განა შენ არ გეჭირა საჭე იმ დღეებში, როცა უკლონისტებისა და ოპორტუნისტების წინააღმდეგ ვიბრძოდით? განა შენ არ მასწავლე მე, თუ როგორ უნდა ვიკითხო ჩერნიშევსკი? შენ განმანათლე მე, შენ დამაყენე მე გზაზე!

ამხ. სერგო ორჯონიკიძემ ილაპარაკა იმ განსაკუთრებულ ნებისყოფაზე და მორალურ ძალაზე, რომელიც ახასიათებს მხოლოდ ამხანაგ სტალინს.

ასევე მგზნებარედ უარყო ამხანაგ სტალინის სიტყვები ამხ. ვოროშილოვმა.

ვუსმენდი მათ და ვხედავდი ცხადად, თუ რა იყო მათთვის იოსებ ბესარიონის-ძე, როგორ უყვარდათ და აფასებდნენ მას.

ბელადს კი არ მოსწონდა ასეთი შექება, უკმაყოფილოდ ხელს ჩააქნევდა ხოლმე.

იგრძნო რა ბელადის უკმაყოფილება, სიტყვა ითხოვა ამხ. მოლოტოვმა.

მგზნებარე სიტყვებისა და შეძახილების შემდეგ, მან ჩუმად და დამშვიდებულად დაიწყო:

— შენ მართალი ხარ, ამხანაგო სტალინ. სწორია ისიც, რომ დიდი ძალა მხოლოდ კოლექტივშია. სწორია ისიც, რომ ჩვენ ბევრ რამეს კიდევ ვერ მივაღწიეთ. მაგრამ, როგორიც არ უნდა ვიყოთ ჩვენ, ამხანაგებო, ცუდი თუ კარგნი, ჩვენ მოწოდებული ვართ რევოლუციის საქმე ვაკეთოთ და ამ მძიმე ტვირთს ვზიდავთ ბოლომდე.

დასასრულ, მინდა ვთქვა ერთი რამ: გაუფრთხილდით ჩვენს სტალინს. ჩვენ მხოლოდ ერთი გვყავს სტალინი. სხვა სტალინი ჩვენ არ გვყავს, არასოდეს არ გვყოლია და არასოდეს არ გვეყოლება!

სთქვა და დაჯდა.

ხმიანმა „ვაშამ“ დაფარა ამხ. მოლოტოვის ეს გულთბილი სიტყვები.

იოსებ ბესარიონის-ძემ შეხედა და ჩაილაპარაკა:

— ეხ, ისევ თავისი დაიწყო!

*
* *

ზეიმი გრძელდებოდა. მშვენივრად მღეროდნენ უკრაინელი არტისტები, რომელნიც ჩვენთან ერთად იყვნენ მიპატიჟებული.

იოსებ ბესარიონის-ძე განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდა უკრაინელთ. მეორე ოთახიდან გამოიტანა თავისი სურათები წარწერებით და გადასცა მათ.

დავინახე თუ არა ეს, ახალი საზრუნავი და ფიქრი გამიჩნდა: რა ვქნა, როგორ მივიღო მეც ბელადის სურათი წარწერით?

ძალიან დაფიქრებული და დაღონებული ვიყავი, უეცრად იოსებ ბესარიონის-ძემ მკითხა:

როდის ბრუნდებით თქვენ?

— ხვალ, ან ზეგ, — ვუპასუხე.

მაშინ ადგა ამხანაგი სტალინი, გავიდა და როცა დაბრუნდა, ხელში ორი ფოტოგრაფიული სურათი ეკავა. ორივეს უკვე ჰქონდა წარწერა. ერთი მე მომცა, მეორე მსახიობ თამარ ჭავჭავაძეს. ამასთან უკანასკნელ წუთში, სანამ გადმოგვცემდა, თითქოს დაეჭვებული სისწორით გვაძლევს თუ არა, კიდევ ერთხელ გადახედა წარწერებს.

„სტალინისაგან ამხ. ვაჩნაძეს ნატოს" — ათრთოლებულ ხელში მეკავა ძვირფასი პორტრეტი ასეთი წარწერით.

ჩემს სახლში ახლა ამაზე ძვირფასი სურათი და სამკაული მე არა მაქვს.

მთელი სადილის განმავლობაში ჩვენ ვმღეროდით ქართულ სიმღერებს. განსაკუთრებით გვაქეზებდა ლავრენტი პავლეს-ძე და ხანდახან თითონაც გვეხმარებოდა. უნდოდა, რაც შეიძლება კარგად ეჩვენებინა ჩვენი თავი. ჩვენც მხიარულად ვიყავით. მაშ, სხვაგვარად როგორ იქნებოდა? არა მგონია, ოდესმე ვყოფილიყავ ასე ბედნიერი და მხიარული, როგორც ახლა.

უკრაინელი არტისტები მართლაც კარგად მღეროდნენ. ზოგიერთს შესანიშნავი ხმა ჰქონდა.

იოსებ ბესარიონის-ძეს ძალიან ჰყვარებია უკრაინული სიმღერები. სიამოვნებით უსმენდა მათ.

რა უბრალოდ, რა თავისუფლად ვგრძნობდი თავს! თუმცა სხვაგვარად არც შეიძლებოდა ვყოფილიყავ, რადგან თვით იოსებ ბესარიონის-ძე და ყველა მისი თანამებრძოლი ერთობ გულთბილი ადამიანები არიან. შეუძლებელია უცბადვე არ შენიშნო მათი უბრალოება, რაღაც განსაკუთრებული სიცოცხლის ძალა, მიმზიდველობა.

მალე სასტუმრო დარბაზში გადავედით. აქ უკრაინელთა ოფიციალური კონცერტი დაიწყო. იოსებ ბესარიონის-ძე გატაცებული უსმენდა მათ. დავდიოდი დარბაზში და თან დამქონდა ძვირფასი საჩუქარი.

ვილაცამ შემთავაზა:

— მომეცით აქ სურათი, შეგინახავთო.

შიშით და თან გულმოსულად გადავხედე:

— რას ამბობთ, როგორ იქნება! — გავტრიალდი და გავშორდი.

ჩემზე უკეთ ვინ შეინახავდა მას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

დიდიხნის დალამებული იყო, როცა დავიშალენით.

ლავრენტი პავლეს-ძემ დაგვიძახა რამდენიმე კაცს და გვითხრა:

— ამხანაგებო, იოსებ ბესარიონის-ძე თავის აგარაკში გპატიჟობთ. ნახევარი საათის შემდეგ წავალთ.

მე და თამარ ჭავჭავაძე მორიდებულად ვიდექით ეზოში გასასვლელ კართან და ვუცდიდით გვეტყოდნენ, თუ რომელ მანქანაში ჩავმჯდარიყავით.

კარებთან დიდი მანქანა გაჩერდა. ამ მანქანაში შევიდნენ ამხანაგი სტალინი, ლავრენტი პავლეს-ძე და მისი მეუღლე.

ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ ისინი იმავ წუთში გაემგზავრებოდნენ. უეცრად მანქანის კარი გაიღო, ამხ. ბერია გამოვიდა და ორივეს დაგვიძახა.

ისევ მომეცა შემთხვევა ახლო ვყოფილიყავ ბელადთან.

— დაბრძანდით! — გვითხრა იოსებ ბესარიონის-ძემ, როცა მანქანაში შევედით და უნდოდა თავისი ადგილი დაეთმო.

რა თქმა უნდა ჩვენ უარი ვთქვით.

დაიძრა მანქანა.

იოსებ ბესარიონის-ძეს საოცარი თვისება აქვს: ისე უეცრად მიგიზიდავს, ისე უბრალოდ უჭირავს თავი, რომ უნებურად შენც თავისუფლად გრძნობ თავს, გულღიად ხარ მასთან.

იოსებ ბესარიონის-ძემ გაიცინა და სთქვა:

— რა დრო დადგა: ძლივს არ მეღირსა ორი თავადიშვილის ქალთან ერთად ჯდომა!

ეს ისე სთქვა, რომ უნებურად ყველას გაგვეცინა.

იოსებ ბესარიონის-ძემ მოიგონა ის დრო, როცა კახეთში ცხოვრობდა. მე ვუამბე, რომ ჩემს ბავშობაში მახსოვს კახეთში ზოგიერთნი ნოემბრის დასასრულს ჰკრეფდნენ ყურძენს. ღვინო, მართალია, ცოტა გამოდიოდა, სამაგიეროდ გემო და სიმაგრე ჰქონდა განსაკუთრებული.

იოსებ ბესარიონის-ძემ მაშინვე მიმართა ამხ. ლ. პ. ბერიას:

— რომელი ფრანგული შამპანიური შეედრება კახეთის ღვინოს, მაგრამ არ ვიცით ჩვენ კარგი დაყენება. ჩვენებური ყურძნიდან საუკეთესო შამპანიურიც დადგება. ჩვენ ვცდილობთ, რაც შეიძლება მეტი დავაყენოთ, ხარისხი კი ფუჭდება ამის გამო. აი კარგი იქნებოდა, მაგალითად, რამდენიმე ნაკვეთი აგვეღო და ისე დაგვემუშავებინა, რომ საუკეთესო ხარისხის ღვინო მიგვეღო.

ამასთან ამხანაგმა სტალინმა გაიხსენა, რომ სოფელ ანაგაში კარგი ღვინის დაყენება იცოდნენ.

შემდეგ მოიგონა, რომ კახეთში ყოფნის დროს ის ცხოვრობდა ორ ძმა ახმეტელთან. მოიგონა და ჰკითხა ლავრენტი პავლეს-ძეს — შემთხვევით ხომ არ იცით, სად არიან ისინი, რას აკეთებენ, როგორ ცხოვრობენ ახლაო.

— კარგი ადამიანები იყვნენ! — სთქვა ბოლოს გულთბილად.

ამხანაგი ბერია დაჰპირდა, რომ საქართველოში დაბრუნებისთანავე გაიგებდა ყველაფერს და აცნობებდა.

მანქანა საშუალო სვლით მიდიოდა.

— წაიყვანე უფრო ჩქარა! — უთხრა შოფერს იოსებ ბესარიონის-ძემ.

— არა მაქვს უფლება! — უპასუხა შოფერმა.

— მაშ აგრეა? შენ არ მემორჩილები მე? — ხუმრობით უთხრა ამხანაგმა სტალინმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

* *

— აბა დაისვენეთ, სანამ სხვებიც მოვიდოდნენ! — შეგვთავაზა იოსებ ბესარიონის-ძემ, როცა მასთან სახლში შევედით.

რა დროს დასვენება იყო! მე ვიყავი იმ ოთახებში, სადაც მუშაობდა და თავის მცირე თავისუფალ დროს ატარებდა ამხანაგი სტალინი.

რა უბრალოდ სცხოვრობს თურმე ბელადი!

სასადილო ოთახში დავინახე ორი დიდი ტახტი, სამუშაო მაგიდა და „მოვიოლა".

შევაღე კარი დასაძინებელ ოთახში და შევიხედე.

აქაც საკვირველი უბრალოება: ხის საწოლი და გვერდით ისევ სამუშაო მაგიდა. საწოლთან დაფენილია დათვის ტყავი. კედელს ამკობს ერთად-ერთი დიდი სურათი იოსებ ბესარიონის-ძის ქალიშვილისა. მაგიდაზე ბლოკნოტები, წვერწათლილი ფანქრები და წიგნები. ზემოთ იდვა ამხანაგ ლენინის წიგნი.

მეტი არაფერი. რა უბრალოება და რა სისუფთავე!

მალე დანარჩენი სტუმრებიც მოვიდნენ.

სასადილოში მხოლოდ ერთი ქალი დიასახლისობდა. უხმაუროდ, უბრალოდ გააწყო მან სუფრა.

ხალისით, ღიმილით ეგებებოდა იოსებ ბესარიონის-ძე თავის სტუმრებს და ამავე დროს დიასახლისს სუფრის გაწყობაში ეხმარებოდა. რაღაცას ეუბნებოდა დედაკაცს და აჩქარებდა.

მე და ერთი უკრაინელი არტისტი ტახტზე ვისხედით და ვითომ ვესაუბრებოდით ერთმანეთს, ნამდვილად კი თვალს ვადევნებდით იოსებ ბესარიონის-ძეს.

ზღაპარში მეგონა ჩემი თავი. ის ადამიანი, ვინც უდიდესი პარტიის ხელმძღვანელი იყო, ადამიანი, ვისაც თაყვანს სცემს მთელი საბჭოთა კავშირი, კაცი, რომელიც მთელი ქვეყნის მშრომელთა ნუგეშია, ახლა ასე უბრალოდ მასპინძლობს და ზრუნავს თავის სტუმრებზე!

სრულიად ჩვეულებრივად იყო სუფრა გაწყობილი. არავითარი ოფიციალობა. ვისაც სად უნდოდა, იქ დაჯდა.

იოსებ ბესარიონის-ძემ თავიდანვე უბრალოების ხასიათი მისცა სუფრას და მხოლოდ ერთხელ სთქვა სიტყვა.

მან ილაპარაკა რუსი ხალხის სიდიადესა და რევოლუციონერობაზე.

განსაკუთრებით აქ ვიგრძენი, თუ როგორ ჰყვარებია ამხანაგ სტალინს უკრაინული მუსიკა.

იოსებ ბესარიონის-ძე დასტრიალებდა პატეფონს და თითონ არჩევდა ფირფიტებს. უმთავრესად ხალხურ სიმღერებს უკრავდა.

— აი რა დიდებულ ჰანგებს ჰქმნის ხალხი! — თითქო ვკითხულობდი კიდეც ამ სიტყვებს მის მოღიმარ თვალებში.

ადამიანი, ვინც ყველაზე უფრო ზრუნავს ხალხისათვის, ვისაც ყველაზე მეტად ესმის მისი ჭირი და ლხინი, ცხადია, ყველაზე უფრო გულმართლად და ძლიერად განიცდის ხალხური ჰანგების სიდიადეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკრაინელმა არტისტებმა გვაჯობეს სიმღერაში. ვცდილობდით, არ ჩამოვრჩენოდით მათ, მაგრამ ვერა გავაწყეთ-რა.

იოსებ ბესარიონის-ძემ შენიშნა ჩვენი მდგომარეობა, შეგვაჯგუფა ქართველები და თითონაც დაიწყო სიმღერა:

„ნეტავი გოგო მე და შენ
ყანები მოგვცა ზიარი...“

რეკდა მისი მაღალი ტენორი.

ვმღეროდი და თან ოცნებით წარმოვიდგინე ჩემი ბავშობა, როცა კახეთში ვცხოვრობდი.

„შიგ სამარგელი მორია,
ნაპირი მისცა ტყიანი...“

მოძახილს ამბობდა იოსებ ბესარიონის-ძე.

წმინდა ხალხური, შეურეველი, ხალასი ხალხური კილოთი და იერით მხოლოდ ბავშობაში, მეზობელ გლეხებში გამიგონია ეს სიმღერა. ახლაც მესმოდა ის.

ჩემს სიცოცხლეში სამჯერ განვიცადე მე სიმღერის სიდიადე. ბავშვობის დროს კახეთში, როცა დიდ სახალხო დღეობაზე პირველად გავიგონე „გრძელი კახური“. ვგრძნობდი იმ სიმღერის საოცარ შედუღებას ბუნებასთან. მოჯადოებული ვიდექ და ვუსმენდი. ახლაც, როცა იმ სურათს და შთაბეჭდილებას მოვიგონებ, მღელვარება მიპყრობს.

მეორედ — როცა მოსკოვის დიდ თეატრში ინტერნაციონალს მღეროდნენ. მღეროდა მთელი პარტერი, იარუსები, მთელი ხალხი. თითქო მთელი ქვეყნის ხმები იყო შეერთებული ამ ძლიერ გუგუნში.

და მესამედ ახლა, როცა ჩვენთან ბელადი მღეროდა.

არა, უფრო ძლიერად. ის ორი შთაბეჭდილება რომ შევაერთო, ისე განვიცდიდი ამ ჩემთვის ნაცნობ სიმღერას, რომელსაც ახლა ბელადთან ერთად ვამბობდი.

ვმღეროდი, მაგრამ არ ვიცი — როგორ. გრძნობა მერეოდა და მიშლიდა.

ვთქვით შემდეგ „შაშვი — კაკაბი“ „გურჯანელნი“, „ბერი კაცი ვარ“.

გათამამებულმა დავიწყე სიმღერა „ურვაუ ურვაუ“. ჩემი წარმოდგენით ეს იყო გურული ხალხური. როგორც მერე გავიგე, ხალხურ სიმღერასთან მას საერთო არაფერი არა ჰქონია. იოსებ ბესარიონის-ძემ უცბადვე შენიშნა, რომ ჩემს „ურვაუს“ არაფერი საერთო არა ჰქონდა ხალხურ კილოსთან. მივხვდი, რომ არ მოეწონა და უცბად შეეწყვიტე. იოსებ ბესარიონის-ძეს ხომ აბსოლუტური სმენა აქვს.

ლავრენტი პავლეს-ძე მოვიდა ჩვენთან და გვითხრა:

— ნუ დაეღლით... იკმარეთ, დაემშვიდობეთ!

გავიწიეთ მადლობის სათქმელად და გამოსამშვიდობებლად.

— აბა რას ამბობთ! — გაგონებაც არ უნდოდა ჩვენი წასვლის შესახებ იოსებ ბესარიონის-ძეს — რა დროს შინ წასვლაა, ახლა იწყება მხიარულება!

— დაიღლებით, — უთხრა ლავრენტი პავლეს-ძემ.

ბიბლიოთეკა

— არ დავიღლები, — მხნედ სთქვა იოსებ ბესარიონის-ძემ, — დილის ექვს საათამდე მე არასოდეს არ ვწვები. ახლა კი ისეთი დღეა, რომ შეიძლება სრულიადაც არ დაიძინოს კაცმა.

დამამახსოვრდა ასეთი სცენა: ამხანაგი სტალინი ჯგუფად დამდგარ სტუმრებს ელაპარაკებოდა. ჩვენთან ამხ. ვოროშილოვი იდგა.

მიაჩერდა ამხ. ვოროშილოვი და შემდეგ ჩვენ გვითხრა:

— იცით, რატომ გვიყვარს ჩვენ ამხანაგი სტალინი ასე ძლიერად? იმიტომ რომ, არავინ ისე არ იცის კაცის დაფასება, როგორც მან. არავინ არ არის ისეთი შეუდრეკელი და ნათელი გონებისა, როგორც ის. იმიტომ, რომ ჩვენ ვიცით — არავინაა ხალხის ერთგული მასავით და ამიტომ პირფერობას და ორგულობას არავის აპატივებს.

თენდებოდა, როცა დავიშალენით.

დავემშვიდობეთ ძვირფას მასპინძელს.

როცა სახლს ვშორდებოდი, ვხედავდი, რომ ის კიდევ ერთხანს იდგა კიბის საფეხურზე. მხრებზე ფარაჯა ჰქონდა წამოსხმული.

მისი სახე და გარეგნობა სამუდამოდ აღმებეჭდა მარტის ცივ, მოღრუბლული განთიადის ბურუსში გამოკვეთილი.

ჩვენი მანქანა მიგვაქროლებდა მოსკოვის ქუჩებზე.

ფიქრი, ერთად-ერთი ფიქრი მიტრიალებდა თავში. აი ის — მშობლიური, უსაყვარლესი ბელადი და ადამიანი. აი კაცი, რომელიც სახეა მთელი ქვეყნიერების ახალი მორალისა. ალერსიანი, უბრალო, გენიალობამდე უბრალო ადამიანი. ნეტავი კიდევ მანახვა!

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხეილ ჭიაურელი

# ბელადთან შეხვედრა

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკთა ხელმძღვანელის ამხ. ლავრენტი ბერიას ხელოვნების მუშაკთადმი გულისხმიერი დამოკიდებულების მეოხებით ამხანაგი სტალინის ნახვის ბედნიერება მეღირსა.

უნდა გამოვტყდე დიდის მღელვარებით ვემზადებოდი დიადი საბჭოთა ქვეყნის ბრძენ მესაჭესთან შეხვედრისათვის. მე მხოლოდ კულტურული ფრონტის ერთი მუშაკთაგანი ვარ და არსებითად მეტად მცირე რამ მაქვს გაკეთებული სოციალისტური სამშობლოსათვის, და ის აზრი, თუ როგორ მოვახერხებდი პასუხი მეგო ეპოქის დიდი ადამიანის წინაშე, დიდად მაფიქრებდა.

გამოაცა ამხანაგ სტალინის ყოველგვარ „შემწყნარებლობას“ მოკლებულმა არაჩვეულებრივმა უბრალოებამ. მას ვერ შევნიშნე ნატამალიც კი ფუფუნებისა, რომელსაც ჩვეულებრივ დიდი მოღვაწენი ეტანებიან.

ამხანაგ სტალინში შედუღებულია მთელი კავშირის 183 მილიონიან მოსახლეობის სიყვარული. და ამხ. სტალინის უბრალოებას, მის სისადავეს ღრმა ფესვები აქვს გადგმული თვით საბჭოთა ხელისუფლების ბუნებაში.

## ბელადი „უკანასკნელ მასკარადს“ სინჯავს

ამხანაგმა სტალინმა ჩემი ნაშრომის „უკანასკნელი მასკარადის“ ხელახლა ნახვის სურვილი გამოსთქვა.

ჩემს განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც დავინახე რა ნაირის ხალისით, რა ნაირის ჭაბუკური გატაცებით, შთაბეჭდილებათა რა სიცხოველით განიცდიდა ბელადი თვითეულ კადრს.

ამა თუ იმ ეპიზოდის პოლიტიკური მნიშვნელობის შესახებ შენიშვნებთან ერთად ბელადმა მთელი რიგი წმინდა ფსიქოლოგიური და საყოფაცხოვრებო ხასიათის შენიშვნები მომცა.

ბელადს მიაჩნია, რომ საბჭოთა კინო დიდი მნიშვნელობისა და უდიდესი ძალის მქონეა.

„ჩვენი კინო საზღვარგარეთ ჩვენს დიპლომატიაზე ნაკლებ საქმეს არ აკეთებს“, — შენიშნავს ამხანაგი სტალინი.

როდესაც შეეხე საბჭოთა კინომატოგრაფიის იდეოლოგიურ როლს და მის უპირატესობას ბურჟუაზიული კინომატოგრაფიის წინაშე, ბელადმა შემისწორა და მიმითითა, რომ კაპიტალისტური კინო ჩვენზე ურიგოდ როდი სწყვეტს ბურჟუაზიული იდეოლოგიის მასებში დანერგვის ამოცანასო.

— იქ ოსტატურად მუშაობენ, — განმარტავს ამხანაგ სტალინი. — „ნეიტრალურ“ თემებზე ფილმების შექმნით ბურჟუაზიული კინო მასებს კლასობრივი ბრძოლის ცეცხლს უხშობს, თავბრუს ახვევს.

შეეხეთ „ჩაპაევს“ — ამ შესანიშნავ ფილმს, რომელიც ბელადმა მრავალჯერ ნახა და რომელიც მას საბჭოთა ხელოვნების უდიდეს მიღწევად მიაჩნია.

„უკანასკნელი მასკარადის“ საერთო შეფასების შემდეგ ბელადმა ჩემი ყურადღება მიაქცია სურათის სქემატიურობას და განმარტებითი წარწერების დაზოგვას.

სიტყვა ჩამოვარდა ქართველ კლასიკოსს ილია ჭავჭავაძეზე, რომელიც ერთხანს მივიწყებული იყო.

— შეცდომა იყო, — შენიშნავს ბელადი. — ანალოგიური ამბავი მოხდა ლევ ტოლსტოის მიმართაც. ლენინი კი ამბობდა, რომ ამ გრაფზე ადრე ასეთის სიმართლით გლეხზე არავის დაუწერიაო. იმიტომ ხომ არ ვერიდებით ილია ჭავჭავაძეს, რომ ის თავადთაგანი იყო? მერე და განა რომელიმე ქართველმა მწერალმა მოგვცა ისეთი ფურცლები მემამულეთა და გლეხთა ფეოდალური ურთიერთობის შესახებ, როგორიც მოგვცა ჭავჭავაძემ? მე-19 საუკუნის მიწურულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართველ მწერალთა შორის ილია ჭავჭავაძე უთუოდ დიდი ფიგურა იყო.

შეჩერდა ბელადი განსაკუთრებით ილია ჭავჭავაძის პოემა „განდეგილზე“ და აღნიშნა სიმკვეთრე და დახვეწილობა განდეგილისა და ახალგაზრდა მთიული ქალის სახეებისა. ეს უკანასკნელი სიცოცხლის ძალის განხორციელებაა, რომელიც ასკეტ ბერს იმორჩილებსო.

## ფეოდალურ-მებატონური დროის მოგონებანი

ამხანაგი სტალინი გადავიდა თავისი სიჭაბუკის მოგონებებზე და გვიამბო გორელი ფეოდალის ამილახვრის შესახებ:

— ეს დიდი თავადიშვილი ლიბერალი იყო. მაგრამ გლეხებს უკლებლივ ღალას ახდევინებდა, ჭირნახულის მესამედს. მძიმე გადასახადებით სასოწარკვეთილი გლეხობა თავადს სალამს აღარ აძლევდა. ეს დაუსჯელი პროტესტის ერთად-ერთი ფორმა იყო. ამილახვარი საჩოთირო ყოფაში ჩავარდა. თავადმა გლეხობას თავი მოუყარა და განუცხადა: ერთი წლის ღალას დაგიბრუნებთ და სახნავ მიწებსაც ხელსაყრელ ფასებში მოგყიდითო. არ მიიღეს გლეხებმა თავადის „წყალობა“ და უპასუხეს: შენს დაპირებას მოვისაზრებთო. მოისაზრეს და გადასწყვიტეს: ძნელია, თავადისაგან რაიმე სიკეთეს მოველოდეთო. ღალას ისევ აბარებდნენ, მაგრამ შეხვედრისას თავადს ძველებურად სალამს მაინც არ აძლევდნენ. მეორე შემთხვევა: ამილახვარმა მოიწადინა გლეხებისათვის სკოლის აშენება. გლეხებმა ეჭვი აიღეს, ალბათ, რაღაცას გვიხიმანდრებსო, არ გვინდა სკოლა, ბატონო: „ქვენა ქარისა არც მოტანილი გვინდა და არც გატანილიო“. უნდა აღინიშნოს, რომ ქვენა ქარი დიდი უბედურება იყო გლეხობისათვის. მას თან სდევდა გვალვა და მოუსავლობა. „ლიბერალმა“ ამილახვარმა „ღირსეული“ მემკვიდრე აღზარდა — გიორგი ამილახვარი, რომელმაც შავი რაზმი შეადგინა და რომელიც მთელ ქართლს შიშის ზარსა ჰგვრიდა.

ამხანაგ სტალინმა გაიხსენა გიორგი ამილახვრის ზოგიერთი საქმე. თავადმა სომეხი-გოგონა მოიტაცა და ორიოდე კვირა ტყეში ჰყავდა, ნამუსაბალს და მერე მშობლებს მიუგდო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ერთხელ თავადი თავის შეზარხოშებულ ამფსონებთან ერთად შინ ბრუნდებოდა და მთის ფერდობზე რაღაც შავი ლანდები შენიშნა. გადასწყვიტეს „შეეტყოთ", რა ჩრდილები მოსჩანსო. მთვრალმა თავადიშვილებმა სროლა ასტეხეს და ამოხოცეს... გლეხების კამეჩები. გიორგი ამილახვარზე ჩივილს ვერავინ გაბედავდა, რადგან მიღებული იყო დიდი მთავრის კარზე, რომელსაც სასახლე ჰქონდა ბორჯომში.

## ელიბოს ზარბაზანი

ფეოდალებზე მოგონებანი ამხანაგ სტალინმა ელიბოს ზარბაზნის ამბით დაასრულა:

— ელიბო ქიზიყელი იყო და გამომგონებლის სახელი ჰქონდა გავარდნილი. როდესაც მებატონეებისა და მეფის მოხელეების ჩაგვრამ გლეხობა სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა, ელიბომ გადასწყვიტა, სოფელს გამოჰქომაგებოდა. ელიბოს ნახული ჰქონდა, მეფის ზარბაზნები მაინც და მაინც დიდები არ იყვნენ. მან გადასწყვიტა, გაეკეთებინა დიდი ზარბაზანი და საქართველოდან... პეტერბურგისათვის ესროლა. ელიბომ ტყეში შეარჩია ვეებერთელა ფუტურო მუხა, მოსჭრა და თოფის წამლითა და ქვებით გატენა. გლეხები ზარბაზანს შემოეხვივნენ. ელიბომ ზარბაზნის ტუჩი პეტერბურგისკენ მიმართა და პატრუქს მოუკიდა. გაისმა საშინელი გრიალი. რამდენიმე ათეული გლეხი დაიღუპა და დასახიჩრდა. გადარჩენილები ელიბოს მისცვივდნენ:

— ეს რა ჰქენ, შე ოჯახდაქცეულო?

ელიბომ ამაყად მიუგო:

— ე რა არის? ისიცა ნახეთ, ახლა პეტერბურღში რა დღე დაადგებათო!

საქართველოში ფეოდალიზმის ნაშთებმა საბჭოთა ხელისუფლების დროსაც-კი იჩინა თავი, — დაასკვნა ამხანაგმა სტალინმა.

— მან გამოხატულება ჰპოვა ნაციონალისტურ გადახრაში. რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს კომპარტიაში. თუ რამდენად იყო მოწამლული ფეოდალური ურთიერთობით ქართველი გლეხობის გონება სჩანს შემდეგი ფაქტიდან: 1924 წელს ქართველ გლეხებთან საუბრის დროს ერთი მოხუცი შემეკითხა:

„არ შეიძლება მოსკოველი ბიჭები გამოგვიგზავნოთ... დროებით მაინც, რომ თავადაზნაურობის ჯავრი ამოვიყაროთო, თორემ ე ჩვენი მთავრობა გულჩვილობას იჩენს და თავად-აზნაურობას ხელს აფარებსო", — დაასრულა მოხუცმა.

## გელადის ავტობიოგრაფიის ეპიზოდები

ზევითა ვსთქვი, რომ ამხანაგმა სტალინმა ჩემი ყურადღება შეაჩერა ძველი ხელისუფლების ინსტრუქციაზე, რომელიც თანამდებობის პირებს უკრძალავდა მთხოვნელებთან დაწვრილებით გამოსაუბრებას.

— ეს ამბავი ბათუმის ციხეში მოხდა, — გაიხსენა ამხანაგ სტალინმა. — მოიყვანეს დაპატიმრებული ჯოხაძე, ახალგაზრდა ბოლშევიკი, ჯმუხი, მაგარი ბი-

ჭი. ჯოხაძემ მთხოვა, გამეცნო მისთვის ქართულ ენაზე „კომუნისტური მანიფესტი". ერთმანეთთან შეხვედრა ჩვენ არ შეგვეძლო. მაგრამ, რადგან ჩვენი კამერები მეზობლად მდებარეობდნენ, მე ჩემს კამერაში „მანიფესტს" ხმამაღლა ვკითხულობდი და მეზობელ კამერაში მოსმენა შეეძლოთ.

ერთხელ როგორღაც ჩემი „ლექციების" დროს დერეფნიდან ფეხის ხმა გავიგონე. ლექცია შევწყვიტე. უცებ მესმის:

— რად გაჩუმდი? განაგრძე, ამხანაგო.

ფანჯარასთან მივედი. ლექციის განგრძობას მთხოვდა გუშაგი ჯარისკაცი.

ამხანაგ სტალინის მიერ მოთხრობილი მეორე ეპიზოდი:

— ეს რეაქციის დროს იყო, ჩემი ჭაბუკობისას. თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში დამარცხებულმა, მეფის ოპრიჩნიკების მიერ-უსასტიკესი რეპრესიებით განაწამებმა და სასოწარკვეთილებამდე მისულმა შეიარაღებულმა გლეხობამ ტყეს შეაფარა თავი. დამსჯელი ექსპედიციების უდიერობას პარტიზანი გლეხობაც დაუნდობელ პასუხს აძლევდა. პარტიზანთა ერთ-ერთმა ჯგუფმა მძევლებად გაიტაცა მემამულეთა ქალები. ახალგაზრდა ბიჭების მძევლებთან დამოკიდებულებამ საჩოთირო ხასიათი მიიღო. პარტიამ პარტიზანებთან მოლაპარაკება დამავალა. მე შევხვდი მათ და შევეცადე დამემტკიცებინა მათთვის, რომ მათი საქციელი ჩირქს სცხებდა რევოლუციურ მოძრაობას. მაგრამ ვერა გავაწყე-რა, გავლენა ვერ მოვახდინე:

— ჩვენს ცოლებს, დებსა და დედებს მეფის ჯალათებმა თავს ლაფი გადაასხეს. ჩვენი წინაპრები სამარცხვინო დაღს ატარებენ, — მიპასუხეს მათ და მომაგონეს ბატონების პირველი ღამის უფლება — საჩექმე.

პირველად მაშინ ვიგრძენი იმ რისხვისა და კლასობრივი სიძულვილის ძალა, რომელიც წარმოადგენს რევოლუციის მამოძრავებელ და უძლეველ ძალას.

როდესაც ჯარისკაცთა მასები სტიქიურად სტოვებდნენ ფრონტს და შინ ბრუნდებოდნენ, იყო შემთხვევები სისასტიკისა მტრების მიმართ. ამხ. ლენინს მოსდიოდა დეპეშები და სთხოვდნენ ზომების მიღებას.

— ხალხი საუკუნეებით ელოდა ამ დღეს, ამ შესაძლებლობას — სამაგიერო მიეზღო ექსპლოატაციისათვის, ჩაგვრისათვის, კატორღისა და სიკვდილით დასჯისათვის. რა უნდა ვქნა, მე უძლური ვარ შევაჩერო სტიქიონი! — უპასუხა ლენინმა.

და ამხანაგ სტალინმა აქვე გაიხსენა სისხლიანი ეპიზოდი, რომელსაც ადგილი ჰქონდა თბილისში პირველი რევოლუციის დროს. ქალაქის საბჭოში გამოხმობილ იქმნენ მოსალაპარაკებლად მუშებისა და მოქალაქეების წარმომადგენელნი. მათ შორის ქალებიც იყვნენ. ყოველივე საბაბისა და გაფრთხილების გარეშე „დეპუტატებს" ტყვია დაუშინეს. მრავალი მსხვერპლი იყო.

თბილისის მუშები აღშფოთდნენ და განიზრახეს ტერორით ეპასუხნათ. მე ამის შესახებ მივწერე ლენინს. ლენინი გადაჭრით წინააღმდეგი იყო. მე მეორედ მივწერე და ვაცნობე, რომ შეუძლებელია მუშათა დაშოშმინება-მეთქი და ამხანაგმა ლენინმა პასუხი მომცა, რომლის აზრი იყო — ისე მოიქეცით, როგორც სჯობდესო.

იძულებული ვიყავით ყუმბარისათვის მიგვემართა.

1905 წლის რევოლუციის გარიჟრაჟის პერიოდს ამხანაგი სტალინი ამთავრებს კარლ მარქსის „კაპიტალის“ უცნაური ექსპროპრიაციის გეზზე.

— თბილისში ცხოვრობდა ერთი საკმაოდ ცნობილი „ხალხსანებული“ ბუკინისტი. მე სემინარიაში ვსწავლობდი. ჩვენ მარქსისტული წრე გვქონდა. ხსენებულ ბუკინისტს როგორღაც ხელში ჩაუვარდა მარქსის „კაპიტალის“ პირველი გამოცემის პირველი ეგზემპლიარი. გაითვალისწინა „მოთხოვნილება“ ამ წიგნზე და გადასწყვიტა წიგნის გაქირავება. ფასი მეტად დიდი იყო — კვირაში 15 მანეთი. ჩვენმა წრემ პირდაპირ უზალთუნობით მოაგროვა ფული. ჩვენთვის ძნელი იყო ჩვენი ღარიბი ბიუჯეტიდან ასეთი თანხის გამოძებნა. ჩვენ აღშფოთებული ვიყავით ამ „ხალხსანის“ „განმანათლებელი“ პოლიტიკით.

ხელთ ვიგდეთ სანატრელი ტომი და სამი დღით დავაგვიანეთ უკან დაბრუნება. ბუკინისტმა დამატებით ქირა მოგვთხოვა. ჩვენც გადავუხადეთ. უნდა გენახათ მისი აღშფოთება და გაბოროტება, როცა დაინახა, რომ ჩვენ „კაპიტალის“ ექსპროპრიაცია მოვახდინეთ: წინ გადაუშალეთ „კაპიტალის“ ხელთნაწერი ტომი, ათ დღეში ჩვენ მიერ უკანასკნელ სტრიქონამდე გადაწერილი...

ბელადმა გაიხსენა გამოქცევა ციმბირიდან, სადაც იგი მეფის მთავრობამ გადაასახლა.

— მე სამაზრო პოლიციის უფროსის განკარგულებაში ვიმყოფებოდი. სასტიკი ხასიათის ადამიანი იყო. იგი სძულდა არა მარტო გადასახლებულებს, არამედ მთელ მოსახლეობას, განსაკუთრებით კი მეეტლეებს. მეეტლეები, როგორც ცნობილია, ჩრდილოეთის სუსხიან პირობებში ასვერსიანი გადასარბენებით მცირე როლს როდი თამაშობდნენ. ეს მრავალ ქარცეცხლს გამოვლილი ხალხი მაზრის პოლიციის უფროსს ძალზე ჰყავდა დაშინებული. რომ გაქცევა განვიზრახე, გადავწყვიტე ეს სიძულილი გამომეყენებინა: მე პოლიციის უფროსზე საჩივარი მინდა შევიტანო, სადგურ ზიმნაიაში ნაცნობობა მაქვს-მეთქი ვუთხარი ერთ-ერთ მეეტლეს. ზიმნაია რკინის გზის უახლოესი სადგური იყო, რომელიც რამდენიმე დღის სავალზე მდებარეობდა. მეეტლე დიდის ხალისით დამეთანხმა, მხოლოდ პირობა ჩამომართვა, ქირის გარდა, დიდ სადგურებზე „არშინიანი“ არყის ჭიქების მწკრივი უნდა დამედგა, ხოლო პატარა სადგურებზე — „ნახევარარშინიანი“. ბაიყუში პოლიციის უფროსისადმი სიძულილით ატაცებული მეეტლე ჩინებულად მიმაქროლებდა. სადგურებზე მიკიტნები ჩემის ხარჯით „არშინიან“ და „ნახევარარშინიან“ არყის ჭიქებს ასმევდნენ.

40 გრადუსიანი ყინვა იდგა. მე ქურქში ვიყავ გახვეული. მეეტლე ცხენებს ერეკებოდა. ქურქი გახსნილი ჰქონდა და მის თითქმის შიშველ მუცელზე სუსხიანი ქარი ნავარდობდა. ეტყობა მისი სხეული ლაზათიანად იყო სპირტით გაჟღენთილი. ჯანსაღი ხალხია!

ასე მოვახერხე გამოქცევაო, დაასრულა ბელადმა.

ამხანაგ სტალინთან შეხვედრები ჩემი ყველაზე საბედნიერო და დაუვიწყარი შთაბეჭდილებებია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## „ბ ე ლ ა დ ს“.

### ქართველ მწერალთა კრებული, მიძღვნილი დიდ სტალინისადმი.

I

ჩვენი სამშობლოს ხალხებისა და მთელი მშრომელი კაცობრიობის დიად ზეიმს — ხალხთა გენიალური ბელადისა და უსაყვარლესი მასწავლებლის დიდი სტალინის დაბადების სამოცი წლისთავს საქართველოს საბჭოთა მწერლობა გამოეხმაურა დიდი კოლექტიური წიგნით — ბელადისადმი მიძღვნილი ლექსების, პოემების, მოთხრობების, ნოველებისა და მოგონებების კრებულით.

ცნობილია, რომ ქართულ საბჭოთა მწერლობას უკვე აქვს ამ დიად თემაზე მუშაობის გარკვეული, საკმაოდ მდიდარი გამოცდილება. დიდი სტალინის შესანიშნავი ცხოვრება და რევოლუციური მოღვაწეობა უმთავრეს და ორგანიულ თემად გადაიქცა თანამედროვე ქართული მწერლობისა და ხელოვნებისათვის, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ქართველი ხალხის საამაყო შვილმა ამხანაგმა ლავრენტი ბერიამ თავის შესანიშნავ ისტორიულ შრომაში დიდის სიცხადით და მეცნიერული სიზუსტით გადაშალა ჩვენს თვალწინ ამხანაგ სტალინის შეუდარებელი გმირული ცხოვრებისა და რევოლუციური ბრძოლების მთლიანი სურათი.

ამხანაგ ლ. პ. ბერიას შრომის („ა/კ ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“) ნიადაგზე თანამედროვე ქართული მხატვრული სიტყვის, ყალმის, ფერადის, თეატრისა და კინემატოგრაფიის ოსტატებმა შეჰქმნეს მრავალი შესანიშნავი ნაწარმოები, შთაგონებული ბელადის აზრისა და საქმის სიდიადით, გამსჭვალული ამხანაგი სტალინისადმი სიყვარულის მგზნებარე გრძნობით.

ამ შესანიშნავ თემაზე მუშაობა საუკეთესო სკოლად გადაიქცა ქართული მწერლობისა და ხელოვნების საუკეთესო ოსტატებისათვის მათს ბრძოლაში ნამდვილად ხალხური, კომუნიზმის დიადი ეპოქისათვის შესაფერი, საბჭოთა ხალხის უწმინდესი აზრებისა და გრძნობების ამსახველი მაღალ-მხატვრული ნიმუშების შესაქმნელად.

და ამ დიდი შემოქმედებითი ბრძოლისა და მუშაობის ახალ, უაღრესად მკაფიო და ნიჭიერ გამოხატულებას წარმოადგენს ქართველ მწერალთა ეს ახალი კრებული მიძღვნილი ბელადისადმი.

II

კრებული იხსნება გალაქტიონ ტაბიძის ლექსით — „გორი“. ეს თითქოს ერთგვარი ლირიული უვერტიურაა ამ წიგნში აღერებული დიდი მრავალხმოვანი ორკესტრისათვის. ამ ლექსში მოისმის ყველა ის მთავარი მოტივი, რომლის გახსნასა და განსხეულებას მიეძღვნა ეს კრებული — ხალხის დუხჭირი წარსული, სტალინის მშობელ ქვეყნის უკვდავი გმირული სული, სტალინის წინამძღოლობით წარმოებული დიადი ბრძოლები, ამ ბრძოლების შედეგად აღორძინებული და აყვავებული ჩვენი სამშობლოს ზეიმი, ხალხის მადლიერება და ერთგულება დიდი სტალინისადმი.

ღრმა ფანტაზიით აღბეჭდილ და ლირიულად ამღერებულ სტროფებში გალაქტიონ ტაბიძე გადმოგვცემს კოშმარული წარსულის განცდას:

„გზებად — ეკლები მტრობის,
ციხის კედლები — ბინად,
ალყა მრავალი ხნობის,
დარტყმა მეხად და გრგვინვად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძვლებს, აქ მიმოყრილს ზვინად,
ფრთებს აზომებდა ქორი.
ომი მიაჩნდა ლხინად, —
ასეთი იყო გორი“.

და ასეთივე ძალით, ექსპრესიით გამოჰკვეთს პოეტი ხანგრძლივი ბრძოლებისა და თავდადების შედეგად ლენინისა და სტალინის გენიის მეოხებით ჩვენი სამშობლოს ხალხების მიერ მოპოვებულ მზიური ცხოვრების ამსახველ სტრიქონებს.

დიდი ბელადის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის სხვადასხვა ეპიზოდის ამსახველ ნაწარმოებთა ციკლიდან, პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ალიო მაშაშვილის ლექსი „დაბადება“.

რუსთაველური მეტრით შეკრულ სტროფებში პოეტი ხატავს ბუნების პეიზაჟის, ყოფა-ცხოვრებითი ფონისა და სულიერი განწყობილების კოლორიტულ სურათს, რომელთა გარემოცვაშიც დაიბადა ამხანაგი სტალინი. ამ დიადი ისტორიული მოვლენის გარემოცვის პოეტურ აღწერისას ავტორი უეჭველად აღწევს მხატვრული დესკრიპციის დიდ ძალას:

„ფანჯარაში იხედება ღამე ცივი და ფერმკრთალი,
მის ბიბლიურ ჭაღარაზე ცვივა თოვლის ნაფერთალი,
კერა მაინც არ ჩამქრალა ნაღვლით ნამწვარ-ნაღვენთალი,
ქოხის გულში დაფარული ღვივის ცეცხლის ნაღვერდალი“.

ლექსში გამოთქმულია მშრომელი კაცობრიობის აღტაცების და სიხარულის გრძნობა იმის გამო, „რომ პატარა გორის ჭერქვეშ დაიბადა გარიჟრაჟი“. ბავშვის დაბადებით გახარებული მამის აღტაცებული დალოცვის სიტყვებში ხალხის საერთო გრძნობა და სურვილია გამოხატული:

„მან იცოცხლოს, გაიფურჩქნოს მისი ძალა და იერი,
მშობელ დედის რძედ შეერგოს ეს ცხოვრება წამიერი,
ჯუღაშვილის გვარს მღეროდეს მთელი იმერ-ამიერი,
მან იცოცხლოს, მუდამ იყოს მისი მრავალჟამიერი!“

ბელადის ცხოვრების პირველ წლებს, მისი ბავშვობის ხანას ხატავს კონსტანტინე გამსახურდია თავისი წიგნის „ბელადი“-ს იმ პირველ ფრაგმენტებში, რომლებიც ამ კრებულშია მოთავსებული. როგორც ვიცით, კ. გამსახურდიას ეს წიგნი მხოლოდ პირველი ნაწილია ავტორის მიერ განზრახული ტრილოგიისა, რომელიც მთლიანად მოიცავს ბელადის ცხოვრებასა და ბრძოლებს, დაწყებულს მისი ბავშვობით და დამთავრებულს მისი გენიალური სტრატეგიისა და ხელმძღვანელობის სურათებით სამოქალაქო ომის ჭარიშხლიან წლებში.

კრებულში მოთავსებული დაწყებითი ფრაგმენტები ამ ტრილოგიისა გვიხატავენ ბელადის ბავშვობის სოციალურსა და ყოფა-ცხოვრებითს გარემოცვას, გვიჩვენებენ სულიერი რაინდობის, ხალხისადმი სიყვარულის, მჩაგვრელებისადმი ზიზღისა და უშიშროების იმ თვისებებს, რომლებიც იმ თავითვე არსებობდნენ მომავალი ბელადის სულიერ სამყაროში.

მცირე მოცულობის ამ რამდენიმე ფრაგმენტში უკვე იგრძნობა ავტორის შემოქმედებითი მიზანდასახულობის სიღრმე და ფართო დიაპაზონი, გამსახურდიასათვის დამახასიათებელი პოეტური ძალა და ლანდშაფტისა და გარემოცვის ფერადოვნად ხატვისა, დამაინტერესებელი თხრობისა. უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ თემატიურ მასალას ღრმა დადებითი ზეგავლენა მოუხდენია მწერლის ენობრივ-სტილიურ თავისებურებაზე — ამ მხრივ მეტის ხალხურობისა და სიცხადის თვალსაზრისით.

გორის სასულიერო სასწავლებელში ამხანაგი სტალინის მოწაფეობის პირველ პერიოდს შეეხება კრებულში მოთავსებული თავები დემნა შენგელაიას დიდი მოთხრობისა „ყრმობა“. ჩვენ ვხედავთ სტალინს თავისი ბავშვობის ამხანაგებისა და მეგობრების გარემოცვაში. მკვირცხლი, ცოცხალი, ჭკვიანი და გამჭრიახი, მეგობრისათვის თავდადებული, ხალხისადმი სიყვარულით გულაძგერებული ბავშვი, — ასეთ შტრიხებში ხატავს მწერალი სტალინის ყრმობის პორტრეტს. ბავშვ სტალინის პირველი დასჯა სკოლაში კეცხოველის ხელნაწერი ეურნა-

ლის წაკითხვისათვის, მისი უშიშარი და რაინდული თავდაჭერა, მისი ოცნება და ძიება ჯერ კიდევ მისთვის გაურკვეველ და ბუნდოვანი მომავლისა, კრიკის სურათი, — ყოველივე ეს მოთხრობაში მოცემულია დიდის დამაჯერებლობით და ემოციური ზეძლიერების ძალით.

სტალინის ბავშვობას შეეხება აგრეთვე სერგო კლდიაშვილის მოგონება „შემთხვევა ძველ გორში", სადაც ესკიზურად დახატულ ძველი გორის ყოფა-ცხოვრებითი სურათის ფონზე ერთგვარი სიმბოლიურ-განზოგადებული მანერით ნაჩვენებია ბავშვ სტალინზე პირველი შემოტევა რეაქციული სამყაროსი (ნათლიღება დღეს შემთხვევით დაჯახება ეტლისა, რომელშიაც დიდი კაცები ისხდნენ) და სტალინის მიერ ამ დაჯახების უვნებლად გადატანა.

მარტივი ფაბულური ხაზი, ხატვის სადა საშუალებები და წრფელი განცდა ამ მცირე ნოველის მიმართ უეჭველ ინტერესს და მიმზიდველობას ბადებს.

ბელადის მუშაობის პერიოდის ერთ ეპიზოდს ასახავს აგრეთვე ან. ხახუტაშვილის მოთხრობა „მეგობრობა", რომელიც გვიჩვენებს ბავშვ სტალინის სწრაფვას ცოდნისაკენ, სწავლისაკენ, საითკენაც იგი წარმართავდა თავისი ამხანაგებისა და მეგობრების წრეს.

ამხანაგ სტალინის ახალგაზრდობის ერთ-ერთ დამახასიათებელ მომენტს შეადგენს მისი გატაცება მხატვრული ლიტერატურით. როგორც ვიცით, ამხანაგი სტალინი ახალგაზრდობაში სწერდა ლექსებს, რომლებმაც სამართლიანად დაიმსახურეს ილია ჭავჭავაძის ყურადღება და რომლებიც ილიამ თავისი „ივერიის" პირველ გვერდზე მოათავსა 1895 წლის სექტემბერ-დეკემბრის ნომრებში. ამხანაგი სტალინი ლექსებს ბეჭდავდა „სოსელო"-ს ფსევდონიმით. ბელადის ბიოგრაფიის ეს შტრიხი აუღია თავის ლექსის საფუძვლად პოეტ ი. გრიშაშვილს. პოეტი მიმართავს ბელადს:

„სოსელო" — მე შენს ყრმობას მაგონებს,
„სოსელო" — შენსკენ მეც ვეშურები,
აშრიალებდა გაზეთის კონებს
შენი ლექსების ბუდეშურები".

და მკვეთრ პოეტურ ფრაზაში ი. გრიშაშვილი გამოხატავს სტალინის გარდამქნელსა და ამაღორძინებელ როლს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, სტალინის სახელის სიდიადეს და მარადიულობას ხალხის შეგნებაში:

„შენ შეუცვალე მშობლიურ ლიახვს
თავისი ძველი მიმართულება,
მარადისობის გრიგალებს მიაქვს
შენზე სიმღერა, შენზე თქმულება".

ჭაბუკ სტალინის შეხვედრა ილია ჭავჭავაძესთან წარმოადგენს აგრეთვე თემატიურ საფუძველს ალ. გომიაშვილის ლექსისას „ბაზალეთის ტბა" და აკ. ბელიაშვილის ნოველისას „პოეტის ოცნება".

ალ. გომიაშვილი ხსენებულ ლექსში ჭაბუკ სტალინის მისვლას „ივერიის" რედაქციაში სახავს როგორც მხცოვანი პოეტის სანუკვარი ოცნების ხორცშესხმას. სწორედ ამ შეხვედრის წინ ილია ჭავჭავაძეს ეჩვენებოდა ბაზალეთის ტბის ფსკერზე მდგარი აკვნიდან სამშობლოს მხსნელი გმირის ამოსვლა, ზეწამოდგომა:

„ხვიოდა ტალღა და ვარსკვლავებს, ვეფხვების ბრწკალებს
ღამის წყვდიადში ნაპერწკლები დაბლა სცვიოდათ;
გადახსნილიყო ბაზალეთის წალკოტი მწვანე:
ოქროს აკვნიდან მზე-ჭაბუკი ამოდიოდა".

პოეტის ამ სიზმარში მისი და მთელი ერის ოცნება იყო გამოხატული და ამ სიზმარ-ოცნებას ხორცი შეესხა ახალგაზრდა სტალინის მისვლით მხცოვან პოეტთან.

აკაკი ბელიაშვილის ნოველაში—„პოეტის ოცნება" ჩვენ ვხედავთ თავისი ხალხის ბედნიერ მომავალზე მეოცნებე პოეტს. იგი შთაგონებული უმღერის თავისი ჩაგრული და წამებული სამშობლოს აღორძინების იდეალს, სოციალური უთანასწორობისა და უკუღმართობის მოსპობის იდეალს, იგი ოცნებობს გმირზე, გენიოსზე, რომელიც შესძლებს წინ წაუძღვეს ხალხს ამ იდეალებისათვის ბრძოლაში. მისი შორმჭვრეტელი გონება ხედავს, რომ

ეს გენიოსი გმირი მოვა. შეიძლება ისეთი შვილიც წარმოშვას ჩვენმა ქვეყანამ, რომელიც სათავეში ჩაუდგება არა მარტო თავისი მშობელი ხალხის, არამედ მთელი ქვეყნის ბედნიერებისათვის ბრძოლას. და პოეტი ნატრობს: „ნეტავი ისეთი ბედნიერი ვიყო, რომ ჩემის თვალით მაჩვენა ის ადამიანი, თუნდაც ერთი-ორი სიტყვით დამალაპარაკა მასთან". და ამ ფიქრებით მოცულმა პოეტმა არ იცოდა, რომ მისი ეს ოცნება უკვე განხორციელებული იყო, მას პირისპირ ესაუბრება მშრომელი კაცობრიობის მომავალი ბელადი და მასწავლებელი — ჭაბუკი ს ტ ა ლ ი ნ ი.

შალვა დადიანის ნოველა „ქარბუქში" ხატავს ეპიზოდს ახალგაზრდა სტალინის გამოქცევისას გადასახლებიდან, მაგრამ მწერალს ეს ერთი კონკრეტული ისტორიული ფაქტი აუყვანია დიდ განზოგადოებულ სიმაღლემდე. ამ ნოველაში აღწერილი ვაჟკაცური, გმირული ბრძოლა ახალგაზრდა სტალინისა სუსხიანი გარემოცვის წინააღმდეგ, მისი მტკიცე ნებიჯით სვლა დასახული მარშრუტით — ეს მხატვრულ სახეში გამოხატული ეპოპეაა დიდი სტალინის იერიშებისა რეაქციულ სამყაროს წინააღმდეგ, მისი უკანდაუხეველი და უკომპრომისო წინსვლისა მშრომელი კაცობრიობის განთავისუფლებისა და აღორძინების უმაღლეს იდეალისაკენ, რომელიც მცხოველმყოფელ რეალობად აქცია ლენინ-სტალინის დიადმა პარტიამ.

შალვა დადიანი სწერს ღრმა პოეტური სტილით და ალეგორიული მანერით:

„დგებოდა კორიანტელი და თითქო ჯოჯოხეთური თარეშიაო, ამ გამყინავ თოვლის მტვერს აყრიდა მიდამოს ზესკნელიდან, ქვესკნელიდან, გარესკნელიდან.

თითქოს ხორციელს არავის შეეძლო ამ ქარბუქში თავის გატანა.

ის მიდიოდა თავდაღწეული და თავაწეულიც".

ახალგაზრდა სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის მგზნებარე ეპიზოდებს ხატავენ თავიანთ პოემებში ვალერიან გაფრინდაშვილი და სანდრო ეული. ამ თემაზეა აგრეთვე აგებული პანტელეიმონ ჩხიკვაძის, რაჟდენ გვეტაძის და ელიზბარ პოლუმორდვინოვის მოთხრობები. ვალერიან გაფრინდაშვილის პოემაში „ზღვა და ბელადი" მოცემულია ბათუმში ახალგაზრდა სტალინის მიერ წარმოებული რევოლუციური ბრძოლების პოეტური ანარეკლი. პოემის შესავალში ვალერიან გაფრინდაშვილი გამოხატავს თავის პოეტურ განცდას იმ დიადი და ბრწყინვალე გზისას, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს გორის პატარა ქოხს და კრემლის ცად-აწვდილ კოშკებს.

„ორი სიმაგრე — გორი და კრემლი
ვით მიუვალი მოსჩანს კედელი,
კრემლი დგას, როგორც ერთგული გრდემლი,
სადაც სჭედს ფოლადს დიდი მჭედელი".

სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის ბათუმის პერიოდის მგზნებარე ეპიზოდებს პოეტის ფანტაზია აკავშირებს ზღვასთან და ეძებს შეხვედრის წერტილებს პროლეტარული რევოლუციის გენიალური ბელადის მღელვარე ცხოვრებასა და ზღვის მარადიულ დაუცხრომელ ძალებს შორის:

„მისთვის ნაპირი იყო ტრიბუნა,
ტალღებისაკენ ხელს გაიშვერდა,
მნათობთ მჭევრობა მან დაიბრუნა,
იგი ქარიშხალს ხელით იჭერდა".

ახალგაზრდა სტალინი — ბათუმის მუშათა რევოლუციური მოძრაობის ბელადი და ორგანიზატორი, მისი მეთაურობით წარმოებული ბრძოლები ცარიზმისა და ოპორტუნისტ-მენშევიკების წინააღმდეგ, თვითმპყრობელობის მოციქულთა გაცოფებული შურისძიების გრძნობა სტალინის მიმართ და ახალგაზრდა ბელადის ურყევი რწმენა და აღტაცებული ოცნება ბედნიერ მომავალზე, — ასეთია იდეურ-თემატიური ქარგა სანდრო ეულის პოემის „ეპოქის ავტორის" ერთი ნაწილისა, რომელიც ამ კრებულშია მოთავსებული.

სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის ბათომის პერიოდისათვის დამახასიათებელ ექვს სურათს შეიცავს პანტელეიმონ ჩხიკვაძის მოთხრობა „სწორუპოვარი". ამ სურათებში ჩვენ ვხედავთ სტალინის უმაღლეს კონსპირატიულ ხელოვნებას, რომელიც გზა-კვალს უბ-

ნევს პოლიციის აგენტებს. მწერალი გვიჩვენებს, თუ როგორ ზრდიდა ამხანაგი სტალინი მუშათა კლასის საუკეთესო შვილებს კლასობრივი სიფხიზლისა და სიფრთხილის სულისკვეთებით, როგორის მშობლიური მზრუნველობით რაზმავდა და საბრძოლველად აიარაღებდა მშრომელ ხალხს ახალგაზრდა ბელადი, რა მკაცრად და დაუზოგავად ებრძოლა და ანადგურებდა იგი სოციალიზმის საქმის მტრებს და მოღალატეებს — მენშევიკებს.

რაჟდენ გვეტაძის ნოველა „გზაზე" აგრეთვე კონსპირატიული ხელოვნების მაღალი სტალინური სკოლის მაჩვენებელ შემთხვევას აგვიწერს ჭიათურის რაიონში ამხანაგი სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის პერიოდიდან. ამხანაგი სტალინი — თბილისის პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის პირველი ორგანიზატორი, ბელადი და მასწავლებელი, — ასეთია თემა ელიზ. პოლუმორდვინოვის მოთხრობისა „განთიადის წინ".

## III

კრებულში ვხვდებით ისეთ ნაწარმოებებს, რომლებიც უშუალოდ არ არიან მიმართული ამხანაგ სტალინისადმი, უშუალოდ არ შეეხებიან სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ისინი მიძღვნილი არიან სტალინის სახელოვან თანამებრძოლებისადმი, მაგრამ მათში მკაფიოდ და ნათლად არის გამოხატული დიდი სტალინის ხელმძღვანელი და შთამაგონებელი ზეგავლენა ქართველი ხალხის საამაყო შვილებზე, პროლეტარული რევოლუციის საუკეთესო ადამიანებზე.

სიმონ ჩიქოვანის ლექსი „ბელადის მოძმე" აღადგენს ჩვენს ცნობიერებაში მგზნებარე რევოლუციონერის ლადო კეცხოველის ბრწყინვალე სახეს, თვითმპყრობელობის ჯალათების მიერ მისი ვერაგულად მოკვლის შემზარავ სურათს. პოეტის ფანტაზიას შევყავართ სასიკვდილოდ განწირული დიდი რევოლუციონერის სულიერი ცხოვრების, მის განცდათა და გრძნობათა ინტიმურ სამყაროში და მით უფრო მძაფრდება სურათი ამ კეთილშობილი რაინდის ვერაგული და მუხანათური მკვლელობისა.

„მაგრამ ტყვედ იყავ ხალხის ძმობილი
და შეგაგებეს ტყვია ქორივით,
შენ და ცისკარი გულგაპობილი
ვიწრო საკანში დაგცეს ორივე".

ლექსის შემდეგი მდინარება ასახავს კეცხოველის დაღუპვის მწვავე რეზონანს მშრომელი ხალხის გულში, იმ საქმისა და აზრის უკვდავებას, რომლისთვისაც სიცოცხლე გასწირა კეცხოველმა, და ამ იდეის საბოლოო გამარჯვებას ჩვენს დიადს სტალინურ ეპოქაში:

„გარიჟრაჟივით ეხლა იელვებს
ტყვიავის ბაღზე შენი სახება
და შენს სამშობლოს აბედნიერებს
ბელადის ბრძნული გადმოძახება."

სტალინის მეორე სახელოვანი თანამებრძოლის ალექსანდრე წულუკიძის დასაფლავება, რომელიც უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკურ დემონსტრაციად გადაიქცა, წარმოადგენს თემატურ საფუძველს ირაკლი აბაშიძის პოემისას — „წულუკიძის სიკვდილი".

წრფელი ტემპერამენტით, ღრმა ემოციური ძალით აღბეჭდილი ლექსი განგვაცდევინებს იმ საბრძოლო თავდადებისა და შურისძიების მრისხანე გრძნობას, რომლითაც მშრომელი ხალხი სამარისაკენ მიაცილებდა თავისუფლებისათვის თავდადებულ მებრძოლის ცხედარს:

მიდის ლაშქარი, მიგუგუნებს ჰანგი გმირული,
მტვერის ფრიალით იგრიხება ცაზე თაღები,
მიდის ლაშქარი უთვლელი და თავგანწირული
და სივრცეებში ირხევიან ბაირაღები".

პოემის უძლიერეს და უმთავრეს მომენტს წარმოადგენს ამხანაგ სტალინის მიერ წულუკიძის კუბოსთან სიტყვის წარმოთქმის სურათი. ეს ღრმა ისტორიული მოვლენა ირაკლი

აბაშიძის პოემაში წრფელსა და შთაგონებულ განხორციელებას პოულობს. გარისხებული ბუნებისა და ხალხის აზვავებული ბოღმის ერთიანი სურათი აქ დახატულია მძაფრად და მკვეთრად:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ელვა ელვაზე გადასკვნილი, გადაკვეთილი,
ძირს და ჰაერში მეორდება უფრო ჩქარ-ჩქარი;
სხმაში, ზღვაურში, ღია ცის ქვეშ ხმაგაკმენდილი
კობას გრიგალებს თავდახრილი ისმენს ლაშქარი“.

პოეტური მასალის ამ ციკლს უნდა მიეკუთვნოს კარლო კალაძის ლექსი „ბარათი“, რომელიც მიძღვნილია ქართველი ხალხის საამაყო შვილის დიდი სტალინის უერთგულესი მოწაფისა და თანამებრძოლის ამხანაგ ლავრენტი ბერიასადმი. ორიგინალური პოეტური საშუალებებით ლექსში გამოთქმულია ქართველი ხალხის ღრმა მადლიერება და სიყვარული ამხანაგ ლავრენტი ბერიასადმი, გამოხატულია ის დიდი აღმშენებელი და ამაღორძინებელი როლი, რომელიც შეასრულა ამხანაგმა ლავრენტი ბერიამ ქართველი ხალხის ცხოვრებაში:

„შენ ბებერ ხეებს ჩამოჰბელა ხმელი მკლავები,
რომ ახალ ნერგებს ალვის ტანი ცად აესროლათ.
და, აი, რატომ ცქრიალებდნენ ცად ვარსკვლავები
ანუ ალვები ალიონზე რამ აათრთოლა...“

დიდი სტალინის სახელით, მისი ბრძნული მითითებების განხორციელებით, მისი უშუალო ხელმძღვანელობით და მზრუნველობით გამოიყვანა ამხანაგმა ლავრენტი ბერიამ საბჭოთა საქართველო ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს მოწინავე რესპუბლიკათა პირველ რიგში. კალაძის ლექსში მოცემულია ამ აზრის მართალი გამოხატულება:

„სახელი მისი, განთიადის დიდი სახელი
შენ აქ თვითეულ გამარჯვებას თვითონ დაარქვი,
ქართლის ცხოვრებას სტალინური ხელი ახელი,
მტკვრის მდინარებად გააღვიძე ჩამკვდარი ძარღვი.“

## IV

ბელადის სამშობლო, ქართლის გული, ბედნიერი ქალაქი გორი, პატარა ქოხი, სადაც დიდი სტალინი დაიბადა, სამართლიანად წარმოადგენს ჩაგონების დაუშრეტელ საგანს თანამედროვე ქართული პოეზიისათვის. კრებულში მოთავსებულ ამ თემაზე აგებულ ნაწარმოებთა ციკლიდან პირველ რიგში აღსანიშნავია ილო მოსაშვილის ლექსი „ბელადის სახლი“.

ქართლის ბუნების პოეტურ პეიზაჟთან ერთად აქ ჩვენ ვხედავთ მახვილად დახატულ სურათს იმ უკულმართი სოციალური ვითარებისას, რომელშიც სცხოვრობდა ქართველი ხალხი ჩვენს ქვეყანაში კონტრრევოლუციური მენშევიზმის ბატონობის წლებში:

„სდუმდნენ ქალები, მოსილნი შავით,
ბნელი ეხურა მიმავალ დროსაც.
და შლიდა ცაში მშიერი სვავი
სამფეროვანს და გლოვისფერ დროშას.“

პოეტი აღწერს გორის მიწისძვრას, რომელმაც ქალაქის მრავალი ნაგებობა გააცამტვერა, მაგრამ მას უვნებლად გადაურჩა პატარა ქოხი — ბელადის სახლი. თითქოს ბუნების სტიქიონმაც დაზოგა იგი, როგორც უკვდავი და ურყევი სიმბოლო ხალხის ბედნიერებისა და მზიური ცხოვრებისა:

„იგი, ნაგები კირით და ოხერით,
მიწის ძვრის ხელმაც არ გაიმეტა
და დარჩა ქართლში ბელადის ქოხი,
ქვეყნიერების ხსნად და იმედად.“

გრიგოლ აბაშიძის ლექსში „ფუძემდებელი“ განსახიერებულია ბელადის წარმომშობ ქალაქისა და გორის ციხის მშენებელი უკვდავი და გმირული ძალა—ჩვენი ხალხის დაუშრე-

ტელი გენია, ხალხის, რომელსაც დიდი სტალინის დაბადებამ, მისმა გმირულმა ბრძოლებმა და რევოლუციურმა დაუცხრომელმა მოღვაწეობამ განუხორციელეს უწმინდესი მარადიული ოცნება და დაუშუშეს ყველა მტკივნეული ჭრილობა. ეს ლექსი ღრმა პოეტური აზრისა და ფანტაზიის შემცველი ნაწარმოებია.

ვასო გორგაძე ბელადის წარმომშობ ქალაქს ხატავს მის სანახავად მოსულ ბედნიერ ქალაქზე შთაგონებულად აძლიერებულ სახალხო პოეტის ჯამბულის განცდათა ასპექტში.

„შთაგონებული ჰქუხს, გრიალებს ჰანგი მწყაზარი,
ადიდებს არწივს, ჰანგებმაგარს, ოქროფრთებიანს...
იზრდება ქოხი, როგორც მუხა უზარმაზარი,
და მისი მხრები მთელ მსოფლიოს გადაფენია“.

განახლებული გორის და მისი მიდამოების — ქართლის გულში დამკვიდრებული სოციალისტური ცხოვრების კოლორიტული სურათების ფართო პანორამას გვაძლევს გიორგი ქუჩიშვილი პოემაში „იქ, სადაც იშვა ბელადი“.

შთაგონებულად ხატავს ხარიტონ ვარდოშვილი ქართლის ბუნების პეიზაჟს ლექსში „ქართლის ზეცა“, რომელიც გამოხატავს პოეტის წრფელ სიყვარულს ჩვენი ქვეყნის დიადი წარსულისადმი და ასეთივე წრფელ აღფრთოვანებას ჩვენი ცხოვრების აღორძინებით სტალინის დიადი და უძლეველი დროშის წინამძღოლობით.

ქართლის გულს, ბელადის მშობელ ბედნიერ კუთხეს ხატავენ და შთაგონებულად უმღერიან ლექსებში აგრეთვე გიორგი კაჭახიძე („გორის ბაღებში“), კალე ბობოხიძე („ბელადის სამშობლო“) და გიორგი კალანდაძე („გორის ციხეზე“).

## V

სტალინი, როგორც საბჭოთა ხალხის ბრძენი ბელადი და მზრუნველი მამა, როგორც მსოფლიო პროლეტარიატის საბრძოლო დროშა, როგორც მშრომელი კაცობრიობის უსაზღვრო სიყვარულისა და მადლიერების გრძნობით შემოსილი გენია, წარმოადგენს ამ კრებულის მონაწილე მწერალთა შთაგონების წყაროს და საგანს.

ლეო ქიაჩელის ნოველას—„სტალინი“ ჩვენ შევყავართ ბელადის სულიერი ცხოვრების, მისი ინტიმური გრძნობებისა და განცდების სამყაროში. მწერალი სადა მხატვრული საშუალებებით აღწევს დახატოს თავის ყრმობაზე მეოცნებე, თავისი ბავშვობის ცხოვრების, მშობლიური გარემოცვის მოგონებებით წუთიერად გატაცებული დიდი ბელადის სახე. და ამავე დროს ამ მცირე მოცულობის ნოველაში ავტორი გვიჩვენებს სტალინს, როგორც კეთილსა და ბრძენ მებაღეს, რომელიც უდიდესი მღელვარებით ადევნებს თვალყურს ადამიანის ბედს, საბჭოთა ქვეყნის მოქალაქის ცხოვრებას, დაუღალავად ზრუნავს მათი სიცოცხლისა და კეთილდღეობისათვის. ნოველის სადა და წრფელი ტონი ამ ნაწარმოებს ღრმა ზემოქმედებითს ძალას აძლევს.

ღრმა ემოციური ძალით არის აგრეთვე აღბეჭდილი რაჟდენ გვეტაძის ლექსი „სტალინის სურათზე“, რომელშიაც უშუალო, ჭეშმარიტი პოეტური გრძნობით და ორიგინალური მხატვრული მანერით არის გამოხატული ბედნიერი საბჭოთა ბავშვების სიყვარული და მადლიერება მათი დიდი მოამაგისა და მამის ამხანაგი სტალინისადმი.

სანდრო შანშიაშვილის ლექსი „სტალინის სახე“ და ალექსანდრე ქუთათელის მოთხრობა „მენავე“ გვიჩვენებენ, თუ რა დიდ მასულდგმულებელ ძალას, რა ცხოველმყოფელ იმედს და ნუგეშს წარმოადგენს დიდი სტალინის სახელი ჩვენი სამშობლოს საზღვრებს გადაღმა, კაპიტალის უღელქვეშ მგმინავი მშრომელი ხალხისათვის.

ვიქტორ გაბესკირიას ლექსში „ბელადის სადღეგრძელო“ ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ ორგანიულად შეეიდა საბჭოთა ხალხის ყოფა-ცხოვრებაში სტალინისადმი მადლიერებისა და სიყვარულის დიადი გრძნობა. პოეტი გვიხატავს ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებული ბედნიერი და მზიური ცხოვრების მკაფიო სურათს, რომელიც განათებულია ბელადისადმი უსაზღვრო ერთგულებით და მადლიერებით.

ბორის ჩხეიძის მოთხრობა „ძვირფასი თვალი“, რომელშიაც ასახულია მენშევიკური კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ქართველი ხალხის საუკეთესო შვილთა თავდადებული

ბრძოლა, მოთხრობის გმირთა ტიპიური თავგადასავლის მეშვეობით გვიჩვენებს, რა სიმაღლემდე აიყვანა ადამიანი სტალინის სახელმა, მისი გენიით განათებული გზით ბრძოლამ და შრომამ.

ლადო ბალიაურის „ხვაშიადი“ და ლევან მეტრეველის „ხარი [illegible] „მუყემსი თედორე“ აგრეთვე იმის შესახებ მოგვითხრობენ, თუ რა [illegible] ბებერებითაა გამსჭვალული ჩვენი სამშობლოს ხალხი დიდი სტალინისადმი იმ მზიური და ბედნიერი ცხოვრებისათვის, რომელიც ადამიანმა მოიპოვა ჩვენს დიად სტალინურ ეპოქაში.

სტალინის სახელი სპობს და ანადგურებს საბჭოთა ხალხის შეგნებაში ჩარჩენილ კოშმარული წარსულის ყველა ცრუმორწმუნეობრივი ტრადიციის უკანასკნელ ნაშთებს, სტალინის სახელი აძმობილებს ჩვენი სამშობლოს ხალხებს და ამოძრავებს მათ უფრო დიადი და ბრწყინვალე მომავლისათვის შეკავშირებულად საბრძოლველად. ამ აზრის პოეტურ განსახიერებას წარმოადგენს გაბრიელ ჯაბუშანურის ლექსი „შეხვედრა“.

კრებულში მოთავსებულია აგრეთვე ლირიკული ჟანრის, მიმართვითი მანერით დაწერილი ლექსები, რომლებშიაც პოეტები ისწრაფვიან მხატვრულ შედარებათა საშუალებით გამოხატონ სტალინის აზრისა და საქმის სიდიადე, გამოსთქვან სტალინისადმი სიყვარულისა და ერთგულების უაღრესად ხალხური გრძნობა.

ასეთ ლექსებს შორის აღსანიშნავია ალ. აბაშელის „სტალინისადმი“, კონსტ. ჭიჭინაძის „ხალხთა ბელადს“, იაკინთე ლისაშვილის „სტალინი“ და სოლომონ თავაძის „ბელადისადმი“.

მთელ საბჭოთა ხალხს შეუძლია გაიმეოროს ალ. აბაშელის აღფრთოვანებული სიტყვები:

„ბნელს ჩაენგრა ქვა და ბურჯი,
ჩვენ სიცოცხლე გაგვიმრთელდა,
რა შავ ღამეს გადავურჩით
რა ბრწყინვალედ გაგვითენდა!“

მთელი საბჭოთა ხალხის სურვილია გამოხატული კონსტანტინე ჭიჭინაძის სიტყვებში:

„დე, სამუდამოდ იყოს ქებული
და წარუშლელი დარჩეს მარადის
გზა, ელვასავით განათებული,
გორის ციხიდან კრემლის კარამდის“.

კრებული მთავრდება ნინო ნაკაშიძის ნარკვევით „შთაბეჭდილებანი“ და გერონტი ქიქოძის მოგონებით.

ნინო ნაკაშიძეს, მართალია, პირადად არა ჰქონია დიდ ბელადთან შეხვედრის შემთხვევა, მაგრამ მისი ეს ნარკვევი შეიცავს მრავალ საინტერესო ცნობას იმ საერთო ატმოსფერის შესახებ, რომელშიაც უხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა დიდ სტალინს თავისი ახალგაზრდობის პერიოდში.

გერონტი ქიქოძის „წარსულის მოგონებიდან“ ცხოველი ინტერესით და ყურადღებით იკითხება. ავტორი გვიზიარებს თავის შთაბეჭდილებებს და მოგონებებს ამხანაგ სტალინთან პირადი შეხვედრების შესახებ.

წიგნს დართული აქვს ქართველ მხატვართა სურათები ცნობილ გამოფენიდან, რომელიც ქართველმა საბჭოთა მხატვრებმა მიუძღვნეს ამხანაგ სტალინის შესანიშნავი ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის სახელოვან ისტორიას. როგორც ვიცით, ქართველ მხატვართა ეს ნამუშევრები შეადგენენ სახვითი ხელოვნების საშუალებით შესრულებულ ილუსტრაციას ამხანაგ ლ. პ. ბერიას ისტორიული შრომისა „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“.

გამომცემლობა „ფედერაციას“ დიდის გულმოდგინებით, სიყვარულით და პასუხისმგებლობით უმუშავნია ამ წიგნის ღირსეულ გაფორმებაზე. კრებული ამხრივაც საუკეთესო ნიმუშია ქართული წიგნის საგამომცემლო ტექნიკისა.

უეჭველია, ეს კრებული საყვარელ საკითხავ წიგნად გადაიქცევა საბჭოთა მკითხველების ფართო მასებისათვის.

ბ. ეღენტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი


| | გვ. |
|---|---|
| **ლავრენტი ბერია** — თანამედროვეობის უდიდესი ადამიანი | 3 |
| **საქართველოს საბჭოთა მწერლების მიმართვა ამხანაგ სტალინისადმი** | 11 |
| **ფილიპე მახარაძე** — დიდი პროლეტარული მესაჭე | 21 |
| **ალიო მაშაშვილი** — დაბადება (ლექსი) | 46 |
| **ალექსანდრე გომიაშვილი** — ბაზალეთის ტბა (ლექსი) | 48 |
| **კონსტანტინე გამსახურდია** — ბელადი (გაგრძელება) | 50 |
| **ირაკლი აბაშიძე** — წულუკიძის სიკვდილი (პოემა) | 87 |
| **სიმონ ჩიქოვანი** — შენ უკვე იყავ მაშინ სტალინი (ლექსი) | 93 |
| **ილო მოსაშვილი** — ბელადის სახლი (ლექსი) | 95 |
| **დემნა შენგელაია** — ყრმობა (თავები მოთხრობიდან) | 97 |
| **კარლო კალაძე** — ბარათი (ლექსი) | 134 |
| **ლეო ქიაჩელი** — სტალინი (ესკიზი) | 136 |
| **ნატო ვაჩნაძე** — დაუვიწყარი დღე | 138 |
| **მიხეილ ჭიაურელი** — ბელადთან შეხვედრა | 148 |


## ბიბლიოგრაფია


| | |
|---|---|
| **ბ. ეღენტი** — „ბელადს“. ქართველ მწერალთა კრებული, მიძღვნილი დიდ სტალინისადმი | 153 |

РУСТ 33,35
Р,КЕ ИМЭЛ
1 1 12 М ГИ 6

ფასი 2 მან. 50 კაპ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

# „МНАТОБИ“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ